რევაზ

მიშველაძე

რჩეული თხზულებანი

ოცდახუთ ტომად

მწერალი და მოგზაურის ზურგჩანთა

ტომი

XXII

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, რევაზ მიშველაძის შემოქმედება კარგახანია მსოფლიო ლიტერატურის ორგანულ ნაწილად იქცა.

„საქართველოს მაცნე“ გამოსცემს პროზის დიდოსტატის რევაზ მიშველაძის რჩეულ თხზულებათა ოცდახუთტომეულს.

მკითხველი ამ ტომების წაკითხვისას ადვილად დარწმუნდება, რომ მწერლის ჟანრულად უაღრესად მდიდარ ნაწერებში ჩანს არა მარტო საქართველოს პრობლემები, არამედ ქართული სარკმლიდან დანახული მსოფლიოც.

2013

ISBN 978-9941-16-228-2 (ოცდახუთივე ტომი)
ISBN 978-9941-16-372-2 (XXII ტომი)

რედაქტორი **მერაბ ცაგარეიშვილი**

კომპიუტერული
უზრუნველყოფა **მავრა ბანცური**
ციალა ძიმისტარიშვილი

© რევაზ მიშველაძე, **რჩეული თხზულებანი ოცდახუთ ტომად**
© **გამომცემლობა** „საქართველოს მაცნე“, **თბილისი,** 2013

მისამართი: თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. №27

ფინეთი – 1966

11.IX – 23.IX

უკან დარჩა საკადრო ფურცლების შევსებისა და დახასიათება-რეკომენდაციების შეგროვების ხანგრძლივი (მტანჯველი კინაღამ წამომცდა) პროცესი. განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდეთო, გაგვაფრთხილეს, გრაფებს: – „საზღვარგარეთ გყავთ თუ არა ნათესავები (თუ გყავთ, რა მიზეზით და რა დროიდან), ახლობელთაგან არის თუ არა რომელიმე რეპრესირებული (რომელ წელს და რა მიზეზით, რეაბილიტირებულია თუ არა), საზღვარგარეთ რა მიზნით მიემგზავრებით“ და ა. შ. თუ სიცრუეში დაგიჭირესო, გაგვაფრთხილეს კომკავშირის ცეკაში, სისხლის სამართლის პასუხგებაში მიცემა არ აგცდებათო. რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე, არა და, ძალიან მინდა საზღვარგარეთ წასვლა. კადრების ფურცელში მაინც ჩავწერე: ბიძაჩემი ცუტუ მიშველაძე, სამამულო ომში უგზოუკვლოდ დაიკარგა. არავითარი შეტყობინება არ მიგვიღია. არ ვიცით, მკვდარია, თუ ცოცხალი-მეთქი. დახასიათება ჯერ უნივერსიტეტმა (მესამე კურსის ასპირანტი ვარ) მომცა, მერე ეს დახასიათება რაიკომმა დამიმტკიცა და ცხრავე საბუთს თავი რომ მოვუყარე, როგორც საიდუმლოდ გვაუწყეს, საბოლოო განჩხრეკისთვის კგბ-ში გადააგზავნეს. კგბ-დან ჩვენი ჯგუფის ყველა წევრზე, ჩემს გარდა, დადებითი პასუხი მოვიდა. რამაზ გოგლიძემ მითხრა, ჩერქეზიას დავარეკინე და ყველაფერი რიგზე იქნებაო. რაიმე ხომ არ გეწერა ანკეტაში ისეთიო. ბიძა მყავს ომში დაკარგული და ხომ არ დავმალავდი-მეთქი. შენცა ხარ, რაო,

ბიძა ხომ ოჯახის წევრად არ ითვლება, რამ ჩაგაწერინაო. ორი დღის შემდეგ ჩემზეც მოვიდა „დაბრო“ და სიხარულით ცას ვეწიე. ამით დამთავრდა სავიზო-სასაბუთებო ეპოპეა და ჩვენი თხუთმეტკაციანი ჯგუფი, ე. წ. ახალგაზრდული დელეგაცია ფინეთს მივემგზავრებით. ვისაც ვიცნობ, ესენი არიან: გურამ გაბუნია – დელეგაციის ხელმძღვანელი, მისი მეუღლე ქ-ნი ლია, ნორა გვრიტიშვილი, ნანული ბარათაშვილი, გურამ ზედგინიძე, სოლიკო ხაბეიშვილის მეუღლე გიული, მე, ლია ლორთქიფანიძე, კოტე ქორიძე... დანარჩენს გზაში გავიცნობ.

პირველად მივდივარ საზღვარგარეთ. რაც შეეხება მოსკოვს, სამჯერ ვარ ნამყოფი სადისერტაციო მივლინებით.

ორი დღე მატარებლით მგზავრობამ უფრო დაგვაახლოვა ერთმანეთს. გვიანობამდე არ ვიძინებთ. ჯერ იყო და ზესტაფონში და სამტრედიაში გურამ გაბუნიას (თბილისის ალკკ პირველი მდივანია) მისი მდივან-კოლეგები ზესტაფონის და სამტრედიის ალკკ მდივნები დახვდნენ, პურმარილით სავსე კალანჩხები და ღვინიანი ბოცები შემოდგეს ვაგონში. მერე, საქართველოს რომ გავცდით, მთელი მატარებელი ჩვენს ვაგონში იყრიდა თავს. კუპის კარი ღია გვქონდა და თუ ვინმე ჩაივლიდა, ჩაის ჭიქას ვაწოდებდით.

მიკეცავს მატარებელი რუსეთის ტრამალებს. ლურჯად შეღებილი კოპწია, რუსული ხატა, მართლაც რომ, ლამაზია. ჭიშკართან ცხენი აბია და ეზოში ფრთებს ატკაცუნებენ ბატები. მატარებლის გამოჩენისას ყვავები ხიდან ხეზე ინაცვლებენ, ჩხავილით გვეხმაურებიან.

პატარა სადგურების წინ სახელდახელო დახლები ჩანს.

გაჩერდება თუ არა მატარებელი, პიჟამოიანი მგზავრები დახლებს შეესევიან. ზოგჯერ ისე გაერთობიან ვაჭრობით, რომ დაძრულ მატარებელს დაქიჩმაჩებული მოსდევენ და კისრისტეხით აწყდებიან ვაგონებს.

ერთ გაჩერებაზე, სადგურ ტიხორეცკაიაში, მეც ჩავირბინე და მრგვალად მოხარშული დედალი, მთელი მათლაფა სოკო-მარინადი და სამლიტრიანი ქილით მჟავე კიტრი შევმატე ჩვენს სუფრას. გამიკვირდა, აქ ყველაფერი სამჯერ უფრო იაფი ღირს, ვიდრე თბილისში ან ქუთაისში.

ორი დღის ნაქეიფარ-ნაჟუჟუნევებმა შესივებულ ყელზე ძლივს მოვირგეთ კვართ-ჰალსტუხები და ცხრას აღარაფერი აკლდა, მატარებელმა კურსკის სადგურს რომ მიაკივლა.

ამდენი ურიკიანი მებარგე არსად მინახავს.

ყველანი ჩვენი ვაგონისკენ მოახრიგინებენ ურიკებს.

ნიაზ დიასამიძის ანეკდოტი მომაგონდა: ნიაზი მოსკოვში ჩავიდა, ვაგონის კიბეზე დგას და ყვირის: „ნასილჩიკ! ნასილჩიკ! იდიდტე ვსე სუდა!“ მტვირთავები ფიქრობენ, ალბათ ბევრი ბარგი აქვს ამ კაცსო და ნიაზის ვაგონთან ორმოცდაათზე მეტი „ნასილჩიკი“ შეგროვდა. ნიაზმა ერთი გადახედა მტვირთავებს და გამოაცხადა: პრივეტ ოტ გრუზინსკიხ ნასილჩიკოვ!“

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ხორაგეულობა გზაში საკმაოდ შემსუბუქდა, მაინც დაგვჭირდა ხუთი ურიკა, რათა ტაქსის გაჩერებამდე მიგვეტანა ბარგი.

სადგურზე არავინ დაგვხვედრია.

გურამმა გადარეკ-გადმორეკა და დააზუსტა, რომ ჩვენთვის ნომრები სასტუმრო „სპუტნიკშია“ დაჯავშნული.

მივმეტროვდით „სპუტნიკში“. ფართო ქუჩებით და ჩვეულებრივზე უფრო ჩქარი ნაბიჯით მომავალი მოქალაქეებით მოსკოვი გრანდიოზული ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებს.

„სპუტნიკში“ ჩვენ-ჩვენი ნომრების გასაღებები დაგვირიგეს, მე და გურამ ზედგინიძე ერთად ვართ 417-ე ნომერში.

აიტანეთ ბარგი და ახლავე ჩამობრუნდით. თერთმეტზე „ცენტრში“ უნდა ვიყოთ. ვისაც ძალიან გშიათ, იქ ბუფეტია და შეგიძლიათ ისაუზმოთო, გურამმა.

შიმშილით არც ერთს არ გვშია. ამ დილით ჯერ კიდევ ვაგონში დარჩენილი პურმარილი გეახელით და ბოლო მოხარშულ დედლებს ავახიეთ ბარკლები, მაგრამ დაღლილნი კი ძალიან ვართ.

დავაწყეთ ჩემოდნები ნომერში. ხელ-პირი დავიბანეთ და ჩამოვლიფტით ფოიეში.

ისევ მეტრო და მისი ჯანი. მეტროზე მოსახერხებელი ტრანსპორტი მოსკოვში არ არისო, გურამმა. თუ გეჩქარება, სწორედ მეტროთი უნდა წახვიდეო, რასაკვირველია, თუ ფული „ჯიბეს გიხევს“, ტაქსიც კარგია, მაგრამ მოსკოველი ტაქსისტები ჯიბიდან გავარდნილი ხალხია, თუ ჩამოსულობა-ხამობა შეგატყვეს, იმდენს გატარებენ, რომ ხელფასის ნახევარს დაგაყაჭიებენო.

„ცენტრში“ ორი ლექცია წაგვიკითხეს. ერთს ერქვა „ფინეთის რესპუბლიკის პოლიტიკურ-ეკონომიკური დახასიათება და მეორეს „საბჭოთა დელეგაციის წევრის უფლება-მოვალეობანი და ქცევის ნორმები“.

ორივე ლექცია ერთმა კაცმა წაგვიკითხა. მაღალი, მელოტი, თავზე მარჯვენა საფეთქლიდან მარცხნივ გადაფენილი ქერაფცუა თმა ლაპარაკის დროს ჩამოეშლებოდა და ხელით ისწორებდა.

ლურჯი კოსტიუმი ეცვა და თეთრ პერანგზე ჟღალი ფერის ნეილონის ჰალსტუხი ეკეთა. ჰალსტუხი პერანგზე მამლისგამოსახულებიანი სამაგრით იყო დამაგრებული.

ლაპარაკით კარგად, გასაგებად ლაპარაკობდა.

თვითონაც რომ არ ეთქვა, უბის წიგნაკები მოიმარჯვეთ და რასაც გეტყვით, ჩაიწერეთ, აუცილებლად გამოგადგებათო, მე მაინც მომარჯვებული მქონდა ბლოკნოტი და საწერკალამი.

ფინეთიო, გვითხრა საპარლამენტო რესპუბლიკაააო. იგი მე-12 საუკუნიდან მეცხრამეტე საუკუნემდე, შვიდასი წელი შვედეთის შემადგენლობაში შედიოდაო. 1809 წელს ფინეთი შვედი ხალხის გადაწყვეტილებით რუსეთს შეუერთდა. 1917 წელს რუსეთის იმპერია რომ დაინგრა, ფინელმა სეპარატისტებმა ფინეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადესო. 1940 წლის 13 მარტიდან ფინეთმა საბჭოთა კავშირთან

სამშვიდობო ხელშეკრულება გააფორმა და კაპიტალისტური წყობის ქვეყანა გახლავთ, მაგრამ ამის მიუხედავად, ჩვენი მეგობარი სახელმწიფოაო.

ლექტორს არ უთქვამს, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ არც 1809 წელს ჩამოშორებია ფინეთი შვედეთს ფინელი ხალხის ნებით. წაართვა რუსმა ფინეთი შვედეთს. „ყოვლისმცოდნე“ ლექტორმა ისიც დაგვიმალა, რომ 1939 წლის 30 ნოემბერს საბჭოთა ჯარები ფინეთში შეიჭრნენ და სისხლის კალო დაატრიალეს. სამთვიანი უთანასწორო, დაპყრობითი ომი ფინეთთან, მართალია, 1940 წლის 13 მარტის ხელშეკრულებით დამთავრდა, მაგრამ ამ ელვისებურმა ომმა იქეთ-აქეთ ათიათასობით ადამიანთა მსხვერპლი მოიტანა და ფინეთს საკმაოდ დიდი ტერიტორიაც წაგვარა რუსეთმა. დასავლეთის კოალიციამ დიდის ძალისხმევით გამოგლიჯა კბილებიდან საბჭოთა რუსეთს ფინეთი.

სამაგიეროდ, როგორ დავუკარგავ, სხვა რამ მართალი გვითხრა ფინეთზე ჩვენმა ლექტორ-პროპაგანდისტმა:

ფინეთშიო, ნესტიანი ჰავაა და ზამთარი თითქმის რვა თვეს გრძელდებაო, ბუნებრივი წიაღისეული რკინა, თუთია, ვერცხლი და სპილენძი მოეპოვებათო. რაც მთავარია, ფინეთი ხე-ტყით ძალიან მდიდარიაო. დიდი ქალაქებია ჰელსინკი (დედაქალაქი), ტამპერე, ტურკუ, ოულუ და ლაჰტიო. ქალაქებში ძირითადად საავეჯო წარმოებას, მსუბუქ მრეწველობას და რძის პროდუქტების (განსაკუთრებით ყველის) დამზადებას ეწევიანო. მძიმე მრეწველობა ჩანასახოვან მდგომარეობაში აქვთ. დაზგებს ჩვენ ვაწვდით, თვითმფრინავებს და მანქანებს კი ამერიკა და გერმანიაო. სოფლად ძირითადად მესაქონლეობას, მეთევზეობას და ნადირობას მისდევენო.

პირველ ლექციაზე გადაბმული მეორე ლექციაც არანაკლებ საინტერესო და „მკაცრად შემეცნებითი“ გახლდათ. გახსოვდეთ, ფინეთი კაპიტალისტური სამყაროს ნაწილია და ყოველი ფეხის ნაბიჯზე პროვოკაციაა მოსალოდნელიო. ყოვ-

ლის საშუალებით ეცდებიან თქვენს ცდუნებას, რათა მერე გაზეთებში საბჭოური აღზრდის სისტემა გააკრიტიკონო. ამიტომაც ორჭოფული, ზედმეტად თავისუფალი ლაილაისგან თავი შეიკავეთო. ნომრებში ყველგან ჩამწერია დამონტაჟებული და ნურც ერთმანეთში ილაპარაკებთ სისულელეებსო. რაც უნდა მოგეწონოთ, არ გაიკვირვოთ, ყველაფერი ჩვეულებრივად მიიღეთო. თქვენ ალბათ გაგაფრთხილეს, რომ ფინეთში მშრალი კანონია და ალკოჰოლური სასმელის მიღება მოქალაქეებს სასტიკად ეკრძალებათო. ამიტომაც თან მხოლოდ ერთი ბოთლი არყის ან კონიაკის წაღება შეგიძლიათ მხოლოდ პირადი მოხმარებისთვისო. თუ რამე კულტურულ ღონისძიებაზე წაგიყვანეს, როგორც არ უნდა მოგეწონოთ, აზრს ნუ გამოთქვამთ და მით უმეტეს, სანამ დამთავრდებოდეს, დარბაზიდან ნუ გამოხვალთო. მაღაზიაში თუ რამეს იყიდით, აუცილებლად ჩეკი გამოაწერინეთ. თუ ფულის გადაუხდელად შეძენილი ნივთით ხელში კარებისკენ თუნდაც ხუთ ნაბიჯს გადადგამთ, ეს უკვე ქურდობას ნიშნავს და ფინეთის ციხეში მოგიწევთ 5 წლით ჯდომაო. „დამავიწყდა“ და „შემეშალა, არ ვიცოდი“ იქ არ გაგივათო.

ვერ მოვითმინე (მე ხომ ენამასწარა ვარ) და ვკითხე: თქვენ არაყზე და კონიაკზე ბრძანეთ, გასაგებია, რომ არაყი ან კონიაკი მხოლოდ თითო ბოთლი უნდა წავიღოთ, ღვინოზე არაფერი გითქვამთ, ღვინო ხომ განუსაზღვრელი რაოდენობით შეიძლება-მეთქი.

ლექტორს ჰომერული ხარხარი აუტყდა. სულ დამავიწყდა, რომ თქვენ ქართველები ხართო. სამწუხაროდ, ღვინოც და არაყიც მხოლოდ თითო ბოთლი შეიძლებაო.

– ესე იგი, ერთი ბოთლი არაყი და ერთი ბოთლი ღვინო, სულ ორი ბოთლი-მეთქი?

არაო, სიცილისგან აცრემლებულმა მიპასუხა, მხოლოდ ერთ-ერთი მათგანიო.

მეორე შეკითხვაც მაქვს-მეთქი:

– ვთქვათ, ვზივართ სასტუმროში და ვსვამთ პირადი მოხმარებისთვის წაღებულ ერთ ბოთლ არაყს, ამ დროს თუ შემოგვესწრო წესიერი ფინელი, ხომ შეიძლება ნახევარი ჭიქა დავუსხათ და გავუმასპინძლდეთ-მეთქი.

ამაზე უფრო ხმამაღლა გაიცინა. ეცადეთ აფიშირების გარეშე, თქვენთვის დაისხათ და დალიოთ. არაა საჭირო იმ ერთ ჭიქა არაყზე ქვეყანა შეყაროთო, სერიოზულად ამიხსნა.

თან ცდილობდა ჩემს თვალებში ამოეკითხა დავცინოდი თუ არა, უცხოეთში საბჭოთა ტურისტის ქცევის წესს.

გურამ გაბუნიას, ჩანს, იუმორის დიდი გრძნობა აქვს. ჩემს ირონიას მაშინვე მიხვდა და სიცილს ძლივს იკავებს. სიცილის შეგუბებისგან ყელის ძარღვები დაჰბერვია.

გადმოიხარა და მითხრა:

„კარგი, რეზო, დაანებე თავი, კაცს თავისი გასაჭირი ჰყოფნისო“.

ჩვენი წარმატებით დამოძღვრის ორი საათი რომ დამთავრდა, სასტუმროში დავბრუნდით.

ერთი სული მაქვს შხაპი მივიღო და ორი დღის განმავლობაში ვაგონში აკრებილი მტვერი ჩამოვირეცხო.

ავედით მეოთხე სართულზე მე და გურამ ზედგინიძე.

სართულის მორიგე ჩვენი ნომრის გასაღებს არ გვაძლევს.

– 417! 417! – ჩავძახი და საშვს ვაწოდებ.

ვიცი, ვიცი, მშვიდად, აუღელვებლად გვპასუხობს. თქვენს ნომერში ელექტრობას ამოწმებენ და ცოტა ხანს შესვლა არ შეიძლებაო.

რამე საელექტრონო უწესრიგობა შენიშნეთ-მეთქი? ვეკითხები ისე, სიტყვის მასალად.

არაო, საერთოდ, ორ კვირაში ერთხელ ელექტრო და სახანძრო სამსახურები მოდიან და უსაფრთხოების მიზნით შენობას ამოწმებენო.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რაღა მაინცდამაინც ჩვენს ნომერში ამოწმებენ ელექტრობას და სახანძრო მოწყობილობას, რატომ სხვა ნომერში არ ამოწმებენ-მეთქი.

იცით რაო, ცოტა არ იყოს გამწყრალი თვალები შემომანათა, სხვა ნომრებში უკვე შეამოწმეს. აქ მოსკოვია, ჩემო კარგო, თბილისი არ არის. ეგ პრეტენზიები შეგიძლიათ თქვენი ჯგუფის ხელმძღვანელთან გამოთქვათ და, საერთოდ, რაც ნაკლებს ილაპარაკებთ, უკეთესიაო.

მორიგისთვის სხვა შეკითხვა არ მიმიცია.

როგორც მირჩია, ენას კბილი დავაჭირე.

დაახლოებით ერთი საათის მერე დერეფანში ჩქარი ნაბიჯით მომავალი ორი ჰალსტუხიანი ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა. ისინი მორიგის მაგიდას მოუახლოვდნენ, ჯერ ჩვენ შემოგვხედეს და მერე მორიგეს დაუგდეს – ვსეგო დობროვო!

– ნუ კაკ? ვსიო ვპარიადკე? – დაადევნა მორიგემ ლიფტისკენ მიმავალთ.

„ელექტრიკებს“ ცნობისმოყვარე მორიგისთვის არაფერი უპასუხნიათ.

შევედით ჩვენს ნომერში.

გურამი თავის ჩემოდანს ეცა. გახსნა და შემომღიმილა – გავუჩხრეკივართ, აბა, ერთი შენი ნახე.

მე რა წითელი კვერცხი ვიქნებოდი-მეთქი, მივუგე.

მართლაც, ჩემი გულდასმით ჩაწყობილ-ჩალაგებული ნივთები ჩემოდანში აბურდულ-დაბურდული დამხვდა. ერთი გაკვირვება ის გამიკვირდა, რომ ჩემი ჩემოდანი გასაღებით იყო დაკეტილი და ახლაც გასაღებით დაკეტილი დამხვდა. გასაღები კი ჯიბეში მედო.

ეს ამბავი რომ გურამს გავანდე, გაეცინა.

რა მიამიტი კაცი ხარო, ესენი ჩემოდანს კი არა, ოცდაშვიდციფრიან სეიფს აღებენო.

მეორე დღეს დილით მატარებლით გავემგზავრეთ ლენინგრადს და ლენინგრადიდან ჰელსინკის მატარებელზე გადავჯექით.

რისი დანახვაც ვაგონის სარკმლიდან შევძელი, ლენინგრადი მოსკოვივით ნელ-ნელა, სოფელ-სოფელ როდი იწყება. დამთავრდა რკინიგზის გაღმა-გამოღმა ჩამწკრივებული ტყე და ერთბაშად აღიმართა ჩვენს წინ ლენინგრადი (ყოფილი პეტერბურგი). მატარებელს მოსდევენ ულამაზესი ძველებური ორსართულიანი სასახლეები და ძეგლებით დახუნძლული ქუჩები. ნევის პროსპექტის ნახვა ამჯერად არ მეღირსა. ნეტავ, როგორია ახლა პეტრე პირველის, პუშკინის და გოგოლის „ნევსკი პრასპექტი“?

ფინეთის საზღვარს რომ მივუახლოვდით, ერთი საათი მაინც დაგვაყოვნეს საბაჟო შემოწმებაზე. ჯერ ჩვენი ჯარისკაცები ამოვიდნენ, პასპორტები ჩამოგვართვეს და გვთხოვეს, კუპეებიდან გამოვსულიყავით. მერე სათითაოდ გვიხმეს კუპეში და ჩვენ-ჩვენი ჩემოდნები გაგვახსნევინეს. თან გვეკითხებოდნენ, ხატები, უცხოური ვალუტა ან ოქრო-მარგალიტის რა ძვირფასეულობა მიგვქონდა. მე დაჟინებით ჩამეკითხნენ; ვიცნობდი თუ არა ფინეთში მცხოვრებ რომელიმე ქართველს. საერთოდ თუ ცხოვრობენ ქართველები ფინეთში, წარმოდგენა არა მაქვს-მეთქი, გულწრფელად მივუგე.

როგორც იქნა, დამთავრდა საბაჟო პროცედურები ჩვენი (საბჭოთა) მხრიდან და ლურჯსამხედროფორმიანი ფინელი მებაჟეები ამოვიდნენ. საბაჟო წესებს თუ იცნობთო, გვეკითხებოდნენ, მერე პასპორტის სურათს დახედავდნენ, ღიმილით შემოგვაჩერდებოდნენ, ვიზას ბეჭედს გაუტყაპუნებდნენ, საფეთქელთან ორი თითის მიტანით მოგვესალმებოდნენ, პასპორტს დაგვიბრუნებდნენ და მშვიდობიან მოგზაურობას გვისურვებდნენ.

რისი ჩხრეკა, რომელი ჩემოდნებში და ჯიბეებში ფათური... ფინელ მებაჟეებს ჩვენთვის მსგავი არაფერი უკადრებიათ. ჩანს, საბჭოთა მებაჟეების სიფხიზლის იმედი ჰქონდათ.

მაშ ასე, მატარებელი ფინეთის მიწაზე მიირწევა.

პირველი, რაც თვალში გეცემათ, არის მწვანე, ხასხასა

ბალახით დაფარული, კოხტა მინდვრები და მინდვრების გასწვრივ, ტყის გაყოლებაზე, ლურჯი ტბები. ტბა ფინეთში ყოველ ფეხის ნაბიჯზეა. მცირე ტბის შემოგარენი ყარყატებს, წეროებს და ბატებს გადაუთეთრებიათ. შედარებით დიდ ტბებზე ნიჩბიან ნავებზე წახრილი მეთევზეები ჩანან. ჩემთვის სრულიად უჩვეულო პეიზაჟია. მთები თითქმის არ არის. მოსახლეობაც მეჩხერზე-მეჩხერია. ამხელა გზა გამოვიარეთ და 10-15-კომლიანი სოფლები შორი-შორ ჩანან. ერთი სიტყვით, მწვანე მინდორი, ტბა, დაბურული ტყე და ძროხები... უზარმაზარი ჭრელი ძროხები.... ეს გახლავთ ფინეთის სანახების უმთავრესი ნიშანი.

კარგა შეღამებულზე ჩავედით ჰელსინკში.

სადგურზე ჩვენი გიდი დაგვხვდა. თეთრთმიანი, მაღალი, ცისფერთვალება, 25-30 წლის ქალი. მეო, მერიკე მქვიაო, დედით რუსი ვარ და მამით ფინელიო. ამიტომაც განსაკუთრებით მიყვარს ჩემი ხალხი როცა ჩამოდისო. „ჩემ ხალხში“ რატომ გვიგულისხმა ჩვენ – ქართველები, ვერ გავიგე. ეტყობა, იმ ინერციით, რომ საბჭოთა კავშირიდან ჩასულებს უცხოეთში ყველას რუსებს ეძახიან. ისე, როგორ დავუკარგავ, რუსულად უაქცენტოდ ლაპარაკობს და, როგორც ქალი, ძალიან მომხიბვლელია („სექსუალური“ კინაღამ წამომცდა).

ულამაზესია ღამის ჰელსინკი.

ჩვენი ქალაქების ერთ ფერში განათებას თვალმიჩვეულმა ზღაპრულ გარემოში ვიგრძენი თავი. რეკლამები ლურჯად, მწვანედ, თეთრად, ვერცხლისფრად, ვარდისფრად, წითლად ციმციმებენ.

სასტუმრო „ჰელსინკს“ მიადგა ჩვენი ავტობუსი.

მე და გურამი კვლავინდებურად ერთ ნომერში ვართ.

ნავახშმევს (უკვე თერთმეტს გადაშორებული იყო) ჩვენმა მერიკემ საკონფერენციო დარბაზში მიგვიწვია. დარბაზში როიალი იდგა. ჯერ თვითონ მიუჯდა როიალს და უცნობი

ფინელი კომპოზიტორის არც თუ ჰამოდმოსასმენი სიმფონიური პოემის ნაწყვეტი შემოგვთავაზა. მერე თავაზიანად გვკითხა, რომელიმე თქვენგანი ხომ არ დაუკრავსო. გურამ ზედგინიძეს ბევრი ხვეწნა არ დასჭირვებია, დიდებულად დაუკრა და იმღერა ორი ნეაპოლიტანური სიმღერა, ამას მოაყოლა „ჰიმნი“ ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიიდან. გიდი აღფრთოვანებას ვერ მალავდა. თქვენ, ალბათ, პროფესიონალი მუსიკოსი ბრძანდებითო. არაო, გურამმა, მე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი ვარო. უბრალოდ, ჩვენთან ყველა ქართველი მღერისო. აბა, რამე ქართული კლასიკური შეასრულეთო, დაგვიკვეთა მასპინძელმა და როცა გურამმა და მე „მხოლოდ შენ ერთს“ დავაგუგუნეთ, მერიკემ ორივენი გადაგვკოცნა და აღფრთოვანებულმა გვითხრა: „ნე ზრია ნაზივაიუტ გრუზიუ ჟემჩუჟინოი სავეტსკოგო საიუზა“.

შუაღამისას გიდმა ძილი ნებისა გვისურვა და დაგვემშვიდობა.

დილით ჰელსინკის ღრუბლიან ქუჩაზე ფეხით გავუყევით.

მგონი, ღამის ჰელსინკი უფრო ლამაზია.

სანამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში მივიდოდით, გზად ლია ლორთქიფანიძემ ყურადღება მიაქცია აბრას, რომელზეც ეწერა „ოკუპაციის მუზეუმი“. ხომ არ გამოვცდითო, თვალი ჩამიკრა და გიდს მიუბრუნდა, აი, „მუზეუმი“ აწერიაო. გიდი არც შეჩერებულა, ესაო ნაცისტების მუზეუმია, ფინელმა ვაიპატრიოტებმა რუსების გასაღიზიანებლად გახსნესო. ახლა ეს მუზეუმი დროებით დაკეტილია და მალე საერთოდ დაიხურება, რადგანაც რუსი და ფინელი ხალხის მეგობრობას ხელს არ უწყობსო.

„ოკუპაციის მუზეუმი“ ვერა, მაგრამ ჰელსინკის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი გულდასმით დავათვალიერეთ.

მე, უძველესი ქვეყნის წარმომადგენელი, ვარძიისა და „ვე-

ფხისტყაოსნის“ შემქმნელი ერის შვილი, გამაოცა ფინეთის წარსულმა. ამ ტერიტორიაზე ფინელები თურმე ჩვენს წელთაღრიცხვამდე ცხრა ათასი წლის წინათ დასახლებულან. ფინეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილია თურმე 3000 წლის წინათ შექმნილი თიხის ჭურჭლის ნიმუშები. მეცნიერებს დღემდე ვერ გაურკვევიათ, რა ენაზე ლაპარაკობდნენ ძველი ფინელები და როდიდან იყენებენ აქაური მცხოვრებნი უნგრულ-ფინურ ენას, რომელიც ინდოევროპულ ენათა მონათესავედ ითვლება.

ნასადილევს გიდმა გედების ტბა დაგვათვალიერებინა.

უზარმაზარ ტბაში დაცურავდნენ თეთრი გედები, იხვები, ბატები და თოლიები. ერთმანეთს ხელს როდი უშლიდნენ, მისრიალებდნენ თავიანთ გედურ, იხვურ, ბატურ და თოლიურ საქმეებზე.

სანამ გიდი ტბაზე გვიამბობდა, თეთრი გედები მოგვიახლოვდნენ და თითქოს გიდს უსმენენო, გარინდულიყვნენ. ულამაზეს თავ-კისერსაც არ ამოძრავებდნენ.

ფინეთი, 1966. გედების ტბა

ცხოველებისა და ფრინველებისადმი ჩემი გადარეული სიყვარულის გადამკიდემ ვეღარ მოვითმინე და ნაპირთან მივედი. გედებმა, თითქოს მიცვნესო, კისრები წაიგრძელეს და მომიახლოვდნენ. რაკი დარწმუნდნენ, რომ ხელში მათი სასუსნავი არ მეჭირა, ზურგი როდი შემაქციეს, ჩუმად, მშვიდად იწვნენ წყალზე და მათვალიერებდნენ.

საღამოსკენ მერიკემ „საიდუმლო საჩუქრად“ სექსფილმზე დაგვპატიჟა.

ჩვენი ქალებიდან სექსფილმზე ორიოდე გაბედული ქალბატონი წამოვიდა. დანარჩენებმა უარი თქვეს.

რომ გითხრათ, სექსფილმის ნახვა ფრიად მესიამოვნა-მეთქი, არ ვიქნები მართალი. რა თქმა უნდა, ხელოვნებასთან ამას საერთო არაფერი აქვს, მაგრამ მაინც ეგზოტიკური სანახაობაა და კაცმა ცხოვრებაში, რომელიმე ასაკში, ერთხელ მაინც უნდა ნახოს.

რა დამამახსოვრდა ათი დღის განმავლობაში ფინეთში ყოფნისას ყველაზე მეტად?

ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის გარდა – ფინური ყველის გრანდიოზული ქარხანა. ოცდახუთ სხვადასხვა ტექნიკურ პროცესს გადის რძე, რომ უგემრიელეს ფინურ ყველად იქცეს.

საოცარი სისუფთავე ქუჩებში და შენობათა არა მარტო არქიტექტორული მხარის მაღალი ხარისხი, არამედ ფერთა შეხამებაც. ყველა სახლი გამორჩეულად ფერწერულია. შეღებილია არა მყვირალა ფერებით, არამედ ნაცრისფრად, ფერფლისფრად და ღრუბლისფრად. ფანჯრები კი თეთრი საღებავითაა გამოყოფილი, რაც ქალაქს ერთიანი ანსამბლის იერს ანიჭებს ყველა შენობას თავის ულამაზესი სკვერი აქვს და აქა-იქ ძველი კათოლიკური ტაძრების გვერდით თვალს მოგტაცებთ მოდერნიზებული ტაძრები.

ტრამვაის ვატმანიდან დაწყებული, მოსწავლეებით დამთავრებული ყველას თავისი ფორმა, სპეცტანსაცმელი

აცვია. განსაკუთრებული თავაზიანობით პოლიციელები გამოირჩევიან. ისინი ორ-ორად „დასეირნობენ“ და ყველას უღიმიან.



ფინეთი, 1966. მოდერნიზებული ტაძარი.

მიუხედავად იმისა, რომ ფინეთში მშრალი კანონია და ალკოჰოლური სასმელები მაღაზიებში არ იყიდება (რესტორნებში დაშვებულია მხოლოდ უცხოელთათვის), ჰელსინკის ქუჩებში მაინც ხშირად შეხვდებით რწევით და ღიღინით მიმავალ მთვრალს.

საერთოდო, მითხრეს, ფინეთში არაყი ძალიან უყვართ და ქუჩაში მიმავალ მთვრალს მოწონებით და კეთილი შურითაც ამიტომ შესცქერიანო.

ჰელსინკის გარდა ვიყავით ტამპერესა და ლაჰტში, დავათვალიერეთ ხუთიოდე დიდი საწარმო, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო იარაღების, სამკერვალო და თევზის გადამამუშავებელი... ყველგან თვალშისაცემი გახლდათ ავტომატიზაცია. ყველაფერს ჭკვიანი მანქანა აკეთებს. ადამიანები მხოლოდ მეთვალყურის როლს ასრულებენ.

ტამპერეს პროფკავშირის ცენტრში დიდხანს დავყავით. პროფკავშირი იქ აქტიური, მოქმედი უწყებაა. ჩვენთან კი მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური გაერთიანებაა, რომელიც ოდენ საწევროებს კრებს და ათასში ერთხელ დასასვენებელი სახლის საგზურსაც გაიმეტებს. პროფკავშირი თავის წევრს არავის დააჩაგვრინებს. მას ხშირად მიმართავენ ფინელები სოციალური პრობლემების გადასაჭრელად.

წამოსვლის წინა დღეს, იქნებოდა ასე ათი საათი, ჩვენს კარებზე ვიღაცამ დააკაკუნა.

გურამმა გააღო.

კარებში შავკოსტიუმიანი, შლაპიანი, ხელჯოხიანი კაცი დგას.

ბოდიშს ვიხდი გვიან შეწუხებისთვის, მე სამედიცინო კოლეჯის ერთი რიგითი მასწავლებელი ვარ. სტუდენტებს გერმანულს ვასწავლი, თქვენთან საუბარი მსურს თუ შეიძლებაო.

რას ვეტყოდით.

სტუმარი ღვთისაა.

შლაპა სკამზე ჩამოკიდა, პიჯაკის ჯიბიდან ბოთლი ამოიღო და მაგიდაზე დადო. ბოთლს „პშენიჩნაია“ ეწერა. არაყს შოკოლადის ორი ფილაც მიუდგა გვერდით.

ამ საკმაოდ უცერემონიო საქციელისთვის არაერთგზის მოგვიხადა ბოდიში. არ გაგიკვირდეთ ჩემი საქციელიო, შემე-

ძლო რესტორანში დამეპატიჟნეთ, მაგრამ არ მინდა „მაყურებელთან“ პრობლემები შეგიქმნათო.

რუსულს, რომ იტყვიან, ამტვრევს.

„მაყურებელი“ რას ნიშნავს-მეთქი.

რასაკვირველია, ტურისტულ ჯგუფს ყოველთვის ახლავს ერთი მეთვალყურე კგბ-დან. მე მგონი, ეს ამბავი თქვენთვის ახალი არ უნდა იყოსო.

დუმილით და თავის დაქნევით დავუდასტურეთ, რომ ჩვენც, „რასაკვირველია“ რაღაც-რაღაცებში ვერკვეოდით.

მერე ჩვენმა საუბარმა ასეთი სახე მიიღო:

სტუმარი – მოგეწონათ ფინეთი?

მე – ძალიან.

სტუმარი – თქვენ ხომ ძალიან შეზღუდული პროგრამა გქონდათ.

გურამი – არც ისე შეზღუდული. სამ ქალაქში ვიყავით და ამ ქალაქში თითქმის ყველაფერი დავათვალიერეთ.

სტუმარი – გული რაზე დაგწყდათ?

მე – კითხვა ვერ გავიგე?

სტუმარი – რას ისურვებდით, რომ თქვენს ქვეყანაშიც ყოფილიყო?

მე – რა ვიცი... ჩვენ ფინეთს მუშტრის თვალით არ ვუყურებდით. შთაბეჭდილებები, რა თქმა უნდა, ბევრი გვაქვს. ჯერ შედარებისთვის არ მოგვიცლია.

სტუმარი – არ მოგეჩვენათ, რომ ფინეთთან შედარებით ძალიან ღარიბ ქვეყანაში ცხოვრობთ?

გურამი — მაგალითად? რას გულისხმობთ?

სტუმარი – თქვენთან ლუდიც კი თავისუფლად არ იშოვება, მაღაზიებში საღეჭი რეზინიც არ იყიდება, არ გაგიკვირდათ, რომ ამ ჩრდილოეთის ქვეყანაში ტროპიკული ქვეყნების ხილი – ანანასი და ბანანი თავზე საყრელადაა?

გურამი – ჰო, ეგ, რა თქმა უნდა, ცუდი არ არის.

სტუმარი – იყიდეთ რამე? თქვენთვის და ახლობელებისთვის?

მე – რა რამე?

სტუმარი – ტანსაცმელი ან ფეხსაცმელი. საბჭოთა კავშირში ჯინსი მარტო მოსკოვში – „გუმში“ იყიდება და იქაც იმხელა რიგებია, რომ თუ ფრთხილად არ იქნა, შეიძილება დაორსულდეს ქალი (იცინის).

გურამი – ტანსაცმლის საყიდლად არ ჩამოვსულვართ. თბილისშიც ვახერხებთ ტანსაცმლის შოვნას და როგორც ხედავთ, არც თუ ცუდად გვაცვია.

სტუმარი – ალბათ, სპეკულანტებისგან ყიდულობთ.

გურამი – არც უმაგისობაა.

სტუმარი – იცით თუ არა, რომ ფინეთში საერთოდ არ არსებობს სიტყვა „სპეკულანტი“ – გადამყიდველი.

ამაზე ჩვენ არაფერი ვუპასუხეთ. უხერხული სიჩუმე ჩამოწვა. სტუმარმა არაყი სამ ჭიქაში ჩამოასხა. ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოსო. დალია და ჭიქები გამოგვიწოდა. ჩვენც შევსვით „მშობლიური პშენიჩნაია“, როგორც სტუმარმა გვითხრა. მერე მოგვიბოდიშა.

სტუმარი – მაპატიეთ, რომ სოციალური თემით დავიწყე საუბარი. სხვა რამ მინდოდა მეთქვა. იმ „სხვა რამის“ გაგებას თქვენ, რასაკვირველია, ათ დღეში ვერ მოასწრებდით. ეს გახლავთ პიროვნების თავისუფლება. თქვენ ახალგაზრდა, პროგრესული ინტელიგენტები ხართ, მითხრეს, რომ უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორები ხართ და უკვე გეცოდინებათ, რას ნიშნავს თავისუფლება. ფინეთში არც ერთი პოლიტიკური პატიმარი არ გვყავს, საბჭოთა ციხეები კი სავსეა პოლიტიკური პატიმრებით.

მე – ნება მომეცით, არ დაგეთანხმოთ, იქნებ მთლად სავსე არ არის, იქნებ ერთი-ორი ცარიელი ადგილია დარჩენილი.

სტუმარი – თქვენ ირონიის ნიჭი გქონიათ (გაიღიმა), მე

კარგად მესმის თქვენი მდგომარეობა. არ მენდობით, მაგრამ აბა გულში ჩაიხედეთ. რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირში პოლიტიკური დანაშაულის გამო არ ასამართლებენ. სხვა საბაბს მოუძებნიან და თუ ვერ მოუძებნეს, ჭკუიდან შეშლიან და საგიჟეში განამწესებენ.

გურამი – ჩვენ პოლიტიკოსები არა ვართ, არ შეიძლება უფრო მარტივ თემებზე ვილაპარკოთ?

სტუმარი – მაპატიეთ, ჩემი დაწყევლილი ცნობისმოყვარეობა.

მე – ცნობისმოყვარეობა თუ პროფესია?

სტუმარი – თქვენ ორივენი ქართველები ხართ?

ორივემ თავი დავუქნიეთ.

სტუმარი – თქვენს შორის ერთ-ერთი ებრაელი ხომ არ არის?

მე – არა, ბატონო.

სტუმარი – არ გეჩვენებათ, რომ საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, დედამიწაზე არ არსებობს.

გურამი – არ გვეჩვენება.

სტუმარი – თქვენ რუსეთმა თითქმის ორასი წლის წინათ მოტყუებით დაგიპყროთ და სახელმწიფოებრიობა დაგაკარგვინათ. 1939 წელს ჩვენც იგივეს გვიპირებდა, მაგრამ ფეხი არ ჩაუვიდა, ყველანი როგორც ერთი, დავდექით და რუსი ღორები ფინეთში არ შემოვუშვით. მე ვიცი, რომ ქართველები თავისუფლებისმოყვარე ხალხი ხართ. რატომ ხართ ჩუმად. მსოფლიოს პატარა ერებმა გაიღვიძეს, თქვენ კი ხმას არ იღებთ.

გურამი – არ ფიქრობთ, რომ ცოტა არ იყოს, პათეტიკურად და პრავაკაციულად გველაპარაკებით?

მე – თავისუფლებისთვის ყველა ქართველი იბრძვის თავისებურად. მისი შესაძლებლობის ფარგლებში.

სტუმარი – სწორედ ეგ პასუხი მინდოდა თქვენგან მომესმინა. ნუ გეშინიათ, თქვენი სიტყვა წინ არ დაგხვდებათ. მე, როგორც ებრაელი, ფინეთის მოქალაქე, ვალდებული ვარ, ერთი წინადადება შემოგთავაზოთ: დარჩით ფინეთში. აქ ყოველგვარ პირობებს შეგიქმნით.

გურამი – ვთქვათ, დაგეთანხმეთ. მერე?

სტუმარი – უბრალოდ თავისუფალ ქვეყანაში იცხოვრებთ. თქვენგან სანაცვლოდ არავითარ სამსახურს არ მოვითხოვთ. თუ გნებავთ, ამაღამ აწონ-დაწონეთ ყველაფერი და ხვალ დილით დაგირეკავთ პასუხისთვის.

ფინეთი, 1966.
თითქმის ყველა შენობას თავისი ულამაზესი სკვერი აქვს.

მე – შეგიძლიათ არ დარეკოთ. ჩვენ უკვე ავწონ-დავწონეთ.

სტუმარი – უარი?

მე – რა თქმა უნდა.

სტუმარი (გურამს მიუბრუნდა) – თქვენ?

გურამი – ჩვენ ცოტა მეტი ვიცით, ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ. რომ შემოხვედით, უკვე ვიცოდით, რაც უნდა გეთქვათ.

სტუმარი – იქნებ უფრო დამაჯერებელი უარი გეთქვათ.

მე – მეტი დამაჯერებელი რაღა გნებავთ. ჩვენ ქართველები ვართ.

სტუმარი – (თითქოს გაეხარდაო) – ეგ მართლაც პასუხია და კარგი პასუხიც...

კარგად ბრძანდებოდეთო, ხელი ჩამოგვართვა, შლაპა დაიხურა და წავიდა.

ინგლისი – 1969

11 სექტემბერი

ლონდონის აეროპორტი. პასპორტსაც კი უგულოდ გვისინჯავენ. არავითარი ჩხრეკა, ვის დაეკარგე, ვინ გეძებს. სასტუმრო „ევროპა“, არცთუ ფეშენებელური.

ვიზიტი საელჩოში. საელჩოს პირველი მდივანი ანდრეი ჩერენცოვი კუზნეცოვზე გვესაუბრება. ცალ-ცალკე არ იაროთ, მაღაზიებში ნურაფერს მოიპარავთო. კომენდანტს ვკითხე ჩიკვაიძე, საელჩოს პირველი მდივანია ალექსანდრე ჩიკვაიძე – ოქრო ბიჭი, გამოვარდა, გადაგვეხვია.

მერე საშა ჩიკვაიძესთან ერთად სამსაათიანი სეირნობა ლონდონში. ზღაპარს ჰგავს. ღამდება. ეს ქალაქი კი არა მუზეუმია, გამოფენაა იმისა, რაც ადამიანის თვალსა და ხელს შეუქმნია დღემდე, აი ამ წუთამდე.

გოგონები! ულამაზესი ინგლისელი ლედი. თეთრი თმებით (გრძელი, სწორი თმა მკერდამდე წვდება, სახე ძლივს მოუჩანს). კაბა? ნუღარ იკითხავთ. ეს კაბა არ არის, წელს ქვემოთ ერთი მტკაველი არ იქნება. მოდის ფეხშიშველა მანქანებით დაბურულ ქუჩაზე. ლონდონის გრილ ასფალტზე ფრაკიან მამაკაცებსა და „ბიტლს“ ბიჭუნებს შორის. მოდის ნახევრადშიშველი (ნახევრად) ფეხშიშველი ულამაზესი ქალი (ერთი კი არა უამრავი) როგორი სანახაობა იქნება!

ჰაიდ პარკი – ლონდონის ცენტრალური პარკი. ხელმძღვანელი დებილი გვყავს, არაფრით არ გაიკვირვოთო (?!)

ალბერტ ჰოლი – საკონცერტო დარბაზი შვიდი ათასი კაცისათვის.

ოქსფორდ სტრიტი – სავაჭრო ქუჩა.

პიკადილის მოედანი. უამრავი ხალხი ირევა. ყველა თავის ფიქრებში გართული. რომ ეს მანქანები არა, ლონდონში ბუზის გაფრენას გაიგონებ. ადამიანები ერთმანეთს ჩურჩულით

ელაპარაკებიან. არავითარი ჟესტიკულაცია. ჰოლში ტელევიზორიც კი ჩურჩულებს.

ტრაფალგარის მოედანი. „!ოჰო“ სტრიპტიზების და ბოზების ქუჩა. ნახევრადშიშველი ანგელოზები, ზღაპრული ფეხები ბოლომდე მოუჩანთ. ელიან მუშტარს. ინგლისში თუ ფული გაქვს, სიცოცხლის მანძილზე ერთ წუთსაც არ მოგწყინდება.

ტრაფალგარის მოედანი – ადმირალ ნელსონის უმაღლესი ქანდაკება. რატომ ასე მაღლა? აქედან ზღვა მოჩანსო, გიდმა.

სიტიში დედოფალს შესვლის უფლება არ აქვს. დემოკრატია, ტრადიცია.

ლონდონ-ბრიჯი – უძველესი ხიდი. ამერიკამ იყიდა.

ვილჰელმის სახლი – მე-10 საუკუნის ციხე – ციხე კი არა ქალაქია. აქ დედოფლის ძვირფასეულობა ინახება.

მეზღვაურთა ეკლესია. დაღუპული გემების მაკეტებით. „დაღუპულ მეზღვაურს ხომ სხვა სამარე არა აქვს“ – ამბობს გიდი.

ტემზას სანაპირო. ელიზაბეტ I-ის თეატრი. შექსპირი აქ გამოდიოდა. ვატერლოოს ხიდი – ისტორია. ლონდონის მუნიციპალიტეტის შენობა ტემზის ნაპირას.

პარლამენტის მოედანი. პარლამენტის სახლი – ულამაზესი. 190 წლისაა. „ბიგ ბენ“ – მთავარი საათი. „დაუნინგ სტრიტ“ 20 – იქ ახლაც ზის ვილსონი. სინათლე ანთია. სამსართულიანი სადა სახლი, შავი აგურით ნაშენები.

საღამო.

კვლავ ჩიკვაიძემ წაგვიყვანა თავისი მანქანით. კუზნეცოვის ამბავი გვიამბო. ჩვენი სასტუმროდან გაქცეულა. ახალგაზრდების ბარი. ღრიანცელი. ტევა არ არის. არ ცეკვავენ ადგილი არ არის, დგანან და ერთმანეთს ჭიპებით ეხახუნებიან. არავითარი არევ-დარევა. ზრდილობა. ადგილი არ არის, მაგრამ იმასაც გითმობენ! ლუდი დავლიეთ. ჩვენს ზევით, თავზე, გვერდზე, წინ წყვილები. კოცნა. თმის სუნი, დამათრობელია. ჩემამდე მოდის. მაღალი ანგელოზები. დაღლილსახიანი ბიჭები. გამხდრები. გრძელი თმებით.

12 სექტემბერი

დილაა. 7 საათი. ინგლისელები სამსახურში მიიჩქარიან. შარვლები ქალებს, კაცებსაც. ღამის ბარიდან თვალამოღამებული ახალგაზრდები ბრუნდებიან. თითქოს ერთი კოცნა დარჩათ (გეგმით გათვალისწინებული) და შუა ქუჩაში ამთავრებენ.

მარქსის საფლავი – ჰაიგეთის სასაფლაო. წარწერა „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“ ფილოსოფოსები სხვადასხვაგვარად ხსნიდნენ სამყაროს, მთავარია შეცვალო იგი! ძველი სასაფლაოა. ჩვენს სასაფლაოებს წააგავს. რა გვინდოდა აქ? მძულს მარქსიზმი.

წმინდა პავლეს ტაძარი – კოლოსალური ნაგებობა. შიგნით სიგრძე 200 მეტრი იქნება. კედლის მხატვრობა არ არის, მაგრამ თვალში გვეცემა ზღაპრული ჩუქურთმები. ძალიან მაღალია. ტაძარში ისევ ფეხშიშველი გოგონები. თმები და სწორი, სუფთა, ლამაზი ბარკლები. ეს მოდა არ უნდა გადავარდეს. ინგლისში ზედ ტაძრის წინ ჩიტებივით ჩამომსხდარი „ჰიპები“ ძალიან უხდება ტაძარს. ჩემზე არცერთ ტაძარს არ უმოქმედნია არასოდეს ასეთი გრანდიოზულობით. სვეტიცხოველი სხვაა. სვეტიცხოველი ჩემი სულია, ჩემი სისხლი და ხორცი და ამიტომ არ ამოდის ჩემი გულიდან.

მე-10 საუკუნის სამეფო ციხე-ქალაქი მეფის სასახლით, ციხით. მის შემოვლას ჩქარი ნაბიჯით ერთი საათი უნდა.

საღამო.

ვნახე ფილმი „პირველი და უპირველესი“ მელოდრამა სიყვარულზე. მამაკაცი, ცოლი, 17 წლის საყვარელი, გაორება, გაშიშვლებული სექსუალიზმი, საბოლოოდ არაფერი.

ღამე. ლონდონის ზღაპრული ღამე. რეკლამები, რეკლამების ილუმინატორების თვალისმომჭრელი შუქი. გიდი მომყვება გვერდით. ინგლისური სად ისწავლეთო? ეს თუ სწავლაა, სკოლაში მეთქი.

13 სექტემბერი

საუზმის შემდეგ პარლამენტის შენობასთან და სააბატოსთან ვართ. ჩუქურთმების ზღაპრული სიმრავლე. პარლამენტის შენობაში ინგლისში გამოსული ყველა კანონი ინახება. ინგლისის დემოკრატია 500 წლისაა, თქვენი კი მხოლოდ 50-ის უყვართ თქმა ინგლისელებს.

პარლამენტის ყველა სხდომის სტენოგრამა გამოკრულია კედელზე, ვისი სიტყვაც გინდა წაიკითხე. პარლამენტმა თუ არ მოიწვია, მეფეს შენობაში შესვლის უფლება არა აქვს.

ლონდონი. ყვავი ტაუერთან.

ჩემბერლენი. სკამი სადაც იჯდა ჩერჩილი. აქ იდგა ჩერჩილის კუბო. იგი პარლამენტის სასახლიდან გამოასვენეს. აქ ხდება მთავრობის წევრთა მიღება. შარშანწინ აქ მიიღო ვილსონმა კოსიგინი.

დიდი სააბატო ტაძარი. ვესტმინსტერის სააბატო. აქ დასაფლავებულია ლორდი ბაირონი, ტომას ელიოტი და სხვა პოეტები. პოეტები დაკრძალული ტაძარში. კარგია!

სადილად ქალაქ ვინძორში წაგვიყვანეს. 30 კილომეტრია ლონდონიდან. შექსპირის „ვინძორელი ჯამბაზები“ გამახსენდა.

14 სექტემბერი

ლივერპულში მივემგზავრებით მატარებლით. ქალაქგარეთ სტუდენტთა სასტუმრო ფეშენებელური. ირგვლივ ფეხბურთის და ჩოგბურთის უთვალავი სტადიონია. ჩვენ თუ გვათამაშებენ მეთქი, არაო, ეს საკუთარი მოედნებია, აქაური კლუბის წევრი უნდა იყოთ და საწევროს იხდიდეთო.

ოთახებში ცალ-ცალკე მოგვათავსეს. დიდი სანავსადგურო გემია. ცნობილი თურმე გარდა სხვა რამეებისა გარყვნილებითაც. ნავსდგურთან ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ ულამაზესი გოგოები. გიდმა ისინი მუშტარს ელიანო. ერთ ფუნტად თუ გინდა საფლავში ჩაგყვებიანო. მაგრამ საშიშია, ისინი ყოველგვარ ვენერიულ ავადმოყოფობას ავრცელებენო. ღმერთო გვისხენი ცდუნებისგან! ქალაქის მუნიციპალიტეტი. კეთილმოწყობის სამმართველო. მთავარი არქიტექტორი გვღებულობს.

ლივერპული ერთ-ერთი ყველაზე დიდი პორტია დასავლეთ ინგლისში. ქალაქის ცენტრი გადატვირთულია და მთელი ქალაქის რეკონსტრუქციას ვახდენთო. დაწვრილებით გაგვაცნეს ქალაქის გენერალური გეგმა. ერთმა სულელმა რუსმა თავისი აზრიც კი გამოთქვა, კარგია, მომწონსო. ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს ინგლისელებმა და გაეცინათ.

სერ არნოლდი მოგვმართავს, ყავით გაგიმასპინძლდებითო. ვის უნდა ყავა ხელი აწიეთო. ყველამ ჩვენს დებილ

ხელმძღვანელს შეხედა. უხერხული სიჩუმე ჩამოწვა. არ იციან, რა ქნან. მე ავწიე ხელი – „ოჰო, კარგია ერთი ყავა“ – თქვა მასპინძელმა. ჩვენაო, ადგა ხელმძღვანელი, ახლახან ვისაუზმეთ და არ გვინდა ყავაო. სერ არნოლდი შეწუხდა. მე რომ ყავა მომიტანეს და სმა დავიწყე, ეტყობა ყველას ნერწყვი მოადგა. ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს, მერე ადგა ხელმძღვანელი და ამბობს რეზოს სოლიდარობის ხათრით ყველას მოგვიტანეთ ყავაო. ინგლისელები დაწყდნენ სიცილით. ერთი სიკვდილი გავათავე. შუბლზე ცივი ოფლი წამომივიდა და რუსულად შევიგინე. ჩემს გვერდით მჯდომმა რუსმა ხელი მომიჭირა (კარგი, ბიჭო) გაჩერდი, თუ ძმა ხარ, თავისი უბედურებაც ეყოფათო.

ლივერპულში რეკონსტრუქციის შემდეგ ცალკე უნდა იყოს საცხოვრებელი ქალაქი. უამრავი აუზი, უამრავი სტადიონი, ინგლისი სპორტით ცოცხლობს. რამდენ ხანში შეასრულებთ ამ გენერალურ გეგმას მეთქი. 8 წელი უნდაო. მე ვიხუმრე ჩვენთან ხუთწლედს სამ წელიწადში ვასრულებთ, ჩვენი დელეგაციის ყველა წევრის თხოვნაა, იქნებ როგორმე შვიდ წელიწადში მოასწროთ მეთქი. გაიცინეს, ვეცდებითო. დელეგაციის ხელმძღვანელს კაპლი იუმორის არა აქვს. მოვიდა და ყურში მეუბნება – „что ж ты такие глупые вопросы задаёшь?“ მე გამეცინა.

ვისადილეთ ჩინურ რესტორანში. მერე დავათვალიერეთ ლივერპულის ეთნოგრაფიული მუზეუმი და დიდი აკვარიუმი.

16 სექტემბერი

ავტობუსში რადიომ გამოაცხადა: ახლა მოისმინეთ „რუსეთის ამბები“. გიდმა ჩუმად გადაულაპარაკა შოფერს. რადიო გამორთეს.

ვართ უზარმაზარ საკონდიტრო ქარხანაში. ათასგვარი კამფეტი, შოკოლადი ბისკვიტი და „პეჩენია“ (ნამცხვარი) კეთდება“ ჯერ სანამ დაგვათვალიერებინებდნენ, მოგვიტანეს ყავა და ამ ქარხნის ნამცხვარი ათასგვარი. ჩემს გვერდით მჯდომ ტურისტს ვეუბნები; ეს ნამცხვარი სულ შევჭამოთ, თორემ ერთ-ერთში რადიოჩამწერია და ჩვენს ლაპარაკს ყველაფერს იწერს მეთქი. ორმა დამიჯერა. მივყევით და ვჭამეთ. ხელმძღვანელს ვეკითხები, სამი კოვზი შაქრის ჩაყრა თუ შეიძლება მეთქი, მომიბრუნდა და სერიოზულად მიხსნის : შეხედე სხვებს და რამდენიც სხვამ ჩაყაროს, შენც იმდენი ჩაყარეო. ერთი გაცინება ყველაფერს მირჩევნია, მაგრამ პატრონი არ მყავს.

შევედით ქარხანაში. ყოველ ფეხის ნაბიჯზე შოკოლადს და ბისკვიტს გვაწოდებენ. უარის თქმა მრცხვენია და ვჭამ. ყელში ამომივიდა, მგონი ჩემს ცხოვრებაში აღარ შევჭამ შოკოლადს, ხომ იცი ჩემი ამბავი. მე ვთქვი მერე სანანებლად არ დამირჩეს მეთქი, თანაც ისეთი სიყვარულით გვაწოდებენ, რომ უარს ვერ ეტყვი. მოსკოვში გაგვაფრთხილეს ტექნოლოგიაზე შეკითხვები არ მისცეთ, სულერთია მაინც არ გიპასუხებენო, იქ ყველაფერი ფული ღირსო. იმ კაცმა (დირექტორის მოადგილემ) დაწვრილებით აგვიხსნა ყველაფერი. მერე ქარხნის სქემა და მთელი ტექნოლოგიური პროცესის ნახაზი სათითაოდ ყველას ჩამოგვირიგა საჩუქრად თანაც ამას დაუმატა ერთი ყუთი შოკოლადი. მაშინვე ყველამ ყუთებს დახედა და კითხვა დაიწყეს; რა ღირსო, მაშინ მე ლოზუნგი წამოვისროლე: „ნე სმეი პროდატ პადარკი“ სიცილით დაიხოცნენ.

საღამოს ლივერპულის დიდ სიმფონიურ კონცერტზე წაგვიყვანეს. პირველ ნომრად ბრამსის „აკადემიური ფესტივალის უვერტიურა“ შესრულდა. შესვენებაზე ერთ ჩვენს მებუფეტე კომკავშირელ აქტივისტს ვეკითხები: როგორ მოგეწონა მეთქი. „ნიჩევო სებე არკესტრ. ნო ეტუ პერვუიუ სიმფონიუ კანეჩნო მოჟნო ბილო სოკრატიტ.“ გული შემიწუხდა. სანამ თეატრში

მივიდოდით ყველამ ერთხმად უთხრა გიდს (კარგი ბიჭია, რობინი ჰქვია. ნამდვილი ჯენტლმენია) სიმფონიებზე ვგიჟდებითო. ახლა თეატრში ვარ. მე კარგად მესმის სიმფონია და ყურადღებით ვუსმენ. ჩვენები ზოგი ამთქნარებს, ზოგი კეფას იფხანს, ზოგი მეზობელს ესაუბრება და ზოგს უბრალოდ სძინავს. გიდი იშმუშნება „ვაი თქვენს პატრონს უბედურს“, ამბობს ალბათ გულში. შესვენებაზე გიდმა ჩვენი ყურადღება მიაქცია თეატრის ჭერზე დაკიდებულ დიდ ვარსკვლავს. ესაო, სპეციალურად თქვენთვის დაკიდესო – გვითხრა ირონიულდ. ზოგმა მართლა დაიჯერა და სერიოზული სახე მიიღო. რა იციან რომ ეს ხუთქიმიანი ვარსკვლავი ამ დარბაზში 183 წლის წინ დაკიდეს.

17 სექტემბერი

დავათვალიერეთ უზარმაზარი ტაძარი. მეგონა მე-12 საუკუნის აქეთ არ იქნებოდა აშენებული, გიდი გვეუბნება 40 წლისაა და კიდევ არ დაგვიმთავრებიაო. ეს ექსპერიმენტალური შენობაა. გვინდოდა გამოგვეცადა ამ ტექნიკის პიროებებში შევძლებდით (და რამდენ ხანში შევძლებდით) თუ არა ძველებური ტაძრის აგებასო. რომ შეხედავ, სვეტიცხოველს მოგაგონებს. ოღონდ უფრო დიდია. გიდი გვიხსნის – მიუხედავად კოლოსალური ტექნიკისა, მაინც ვერ ვაშენებთ ისე სწრაფად, როგორც ამ ათასი წლის წინათ აშენებდნენო.

მერე დავათვალიერეთ უახლესი ტაძარი მოდერნისტულ სტილში აგებული. ორღანი უკრავდა, აკუსტიკა ძლიერი. ვესტუმრეთ ლივერპულის უნივერსიტეტს. შეგვეგება სტუდენტთა ახალგაზრდული დეპარტამენტის თავმჯდომარე. გვკითხა სხვათაშორის; თქვენთან რა უფლებით სარგებლობს ახალგაზრდული ორგანიზაციაო, ადგა ერთი კრეტინი და ეუბნება ჩვენთან სტუდენტებს თუ არ მოსწონთ რექტორი ან პრორექტორი იმ წუთში შეუძლიათ მისი გაგდებაო. გაუკვირდა, მერე

ირონიულად გადაულაპარაკეს ერთმანეთს და თქვეს, „ყოჩაღ, თქვენ შესანიშნავი, ძლიერი ორგანიზაცია გქონიათო. აი, ჩვენ მაგალითად რექტორის მოხსნა არაფრით არ შეგვიძლიაო. ჩვენ შეგვიძლია საკითხი დავაყენოთ, ვინმე დავარწმუნოთ, მაგრამ რაც შეეხება უნივერსიტეტიდან გაგდებას, ეს არ ხელგვეწიფებისო. აშკარად დაგვცინოდნენ. სისხლი ტვინში ამივარდა, ავდექი და ვთქვი: ჩვენი ამხანაგი ტყუილს ამბობს მეთქი. ჩვენთან სტუდენტებს არ შეუძლიათ რექტორის გამოცვლა მეთქი და საერთოდ არა მგონია რომ ჩვენი ახალგაზრდული ორგანიზაცია უფრო ძალმოსილი იყოს ვიდრე ინგლისშია მეთქი.

დამთავრდა შეხვედრა თუ არა, მომცვივდნენ და კინაღამ დამახრჩვეს; შენ შეგვარცხვინეო, შენ საბჭოთა ქვეყნის პატრიოტი არ ყოფილხარო. მე ვუთხარი მე სიმართლის პატრიოტი ვარ მეთქი. მიმიფურთხებია თქვენი ტრაბახისთვის მეთქი, მე ჯაშუშად და პროპაგანდისტად არ გამოვუგზავნივართ, ტურისტად გამომგზავნეს მეთქი.

საღამოს ერთმა მშვენიერმა ოჯახმა, არქიტექტორმა თერთმეტივე შინ მიგვიწვია. ძვირფასად მორთული ინგლისური კოტეჯი. ის კაცი, მთელი მისი ოჯახი გაოცებული იყო. ხელს გვკიდებდნენ, გვსინჯავდნენ, „უცნაურ“ შეკითხვებს გვაძლევდნენ. როგორ გამოგიშვეს საბჭოთა კავშირიდანო.

18 სექტემბერი

დავათვალიერეთ კულინარიული სკოლები. დირექტორმა მიგვიღო, დიდებული სადილი გაგვიმართა. 15-16 წლის გოგონები თავს გვევლებოდნენ. მერე გაირკვა, ისინი თურმე გამოცდას აბარებდნენ. საოფიციანტო ფაკულტეტის დღის დასწრებული სტუდენტები იყვნენ. თითოს 33 ნაირი კერძი და 33 ჩანგალი მოგვიტანეს. გამოცდა ყველამ ჩააბარა. მხ-

ოლოდ ერთ პატარა ლამაზ გოგოს, სალათას რომ მაწოდებდა ცოტა დაეღვარა. შენიშვნა მისცეს. უფრო აუკანკალდა ხელი, მე წავეხმარე და შეფს ვთხოვე ამაში ნიშანს ნუ დაუკლებთ მეთქი.

ქალაქის მერმა ბატონმა მაიერმა მიგვიღო მეუღლითურთ. დიდი სიყვარულით მოგვიკითხა, დაინტერესდა რა მოგვწონს ინგლისში. შეწუხდა რომ დრო არა აქვს ყოველდღე იყოს ჩვენთან. ლივერპული დიდი ქალაქია, დღეში 13 საათს ვმუშაობო. მიღება დიდხანს გაგრძელდა. მერი ხომ არ გვეტყოდა წადითო. არა და ჩვენი ხელმძღვანელი ვერ ხვდება რომ დაემშვიდობოს. მერი და მისი მეუღლე ფეხზე დგანან. ვატყობ დაიღალნენ. ძალით იღიმებიან. ადგა ერთი „შეფ-მზარეული“ და მერს ეკითხება, რომელი ფეხბურთის გუნდის გულშემატკივარი ხართ. მერმა გაუღიმა, ფეხბურთისთვის არ მცალიაო. ავდექი და ვთქვი: ამხანაგებო უხერხულია ამდენ ხანს მერის მოცდენა. ჩვენთან ბუხრაშვილიც კი არასოდეს ღებულობს სხვა ქვეყნის ტურისტს. ამ კაცმა კი მიგვიღო და თავზე ნუ დავაჯდებით მეთქი. როგორც იქნა, მიხვდნენ რომ ვიზიტი დამთავრებული იყო.

საღამოს თავისუფალი დრო გვქონდა. წადი სადაც გინდა, აკეთე რაც გინდა, ყურადღებას არავინ გვაქცევს. ვახშმის შემდეგ ოჯახებში ჩამოგვარიგეს. ერთი ინგლისელი მუშის ოჯახში მოვხვდი. საკუთარი მანქანა და სახლი აქვს. 9 ოთახიანი, ორსართულიანი. მშენებლად ვმუშაობო. დიდხანს ვისაუბრეთ, თარჯიმანი არ გამომაყოლეს, შენ ცოტა რაღაცას მაინც გაიგებო. სამი საათი ველაპარაკე იმ ოჯახს ინგლისურად და მე თვითონ მიკვირდა. რაც მოვინდომე თითქმის ყველაფერი გავაგებინე. ბოლოს იმდენად გავიტეხე ენა, რომ უკვე თავისუფლად ვლაპარაკობდი. (ვაწვებოდი, როგორმე ქართული აქცენტი არ მქონოდა) მასპინძელი ყოველ წუთში მეუბნებოდა; რა მშვენივრად ლაპარაკობთო ინგლისურად. ალბათ მამხნევებდა. საღამოს ვიღაც უცხომ ექვსი

კაცი ბარში წაგვიყვანა. ლუდი გვასვა. რუსები ძალიან მიყვარსო.

ოჯახში ყოფნისას მასპინძელი ხშირად გვეკითხებოდა, გვაქვს თუ არა ტელევიზორი, რადიო. შეგვიძლია თუ არა, უსაშვებოდ ერთი ქალაქიდან მეორეში გადასვლა. შეგვიძლია თუ არა, გაზეთებში გამოვთქვათ ჩვენი პოლიტიკური შეხედულებანი. რას ვფიქრობთ ჩეხოსლოვაკიის საკითხზე და ა.შ.

ჩვენ, რა თქმა უნდა ვპასუხობდით, როგორც დაგვარიგეს. სანამ უნდა ვატყუოთ მსოფლიო? თუმცა ყველამ ყველაფერი იცის...

19 სექტემბერი

ლივერპულის კამფეტების ქარხანაში ვართ. თეთრი სუფთა ხალათები ჩაგვაცვეს და ქუდები დაგვახურეს. გავლამაზდით. საამქროში ერთი რუსი მიუახლოვდა მუშას და ჰკითხა; „как вам работается?“ ვერც იმ მუშამ და ვერც თარჯიმანმა ვერ გაიგო, რა სურდა ამ ჭკუის კოლოფს.

22 სექტემბერი

ჩვენ აქ შუადღით ჩამოვედით. სამრეწველო ქალაქი. ორსამსართულიანი სახლებით. სასტუმროს თანამშრომელმა ახალგაზრდა ქალმა თავისი მანქანით 4 კაცი ფეხბურთზე წაგვიყვანა. მანჩესტერის და ბირმინჰემის გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს. აი სანახაობა ეს იყო...

მე ვიცოდი ინგლისელების სიდინჯის და სიდარბაისლის შესახებ, ფეხბურთის მაყურებლებმა ერთბაშად გამიქარწყლეს ჩემი წარმოდგენა. ისინი სტადიონზე მოდიან დილით, საყვირებით, თვითნაკეთი მაშხალებით და ყველაფრით რითაც

კი შეიძლება ხმაურის ატეხვა. სტადიონზე ერთი ღრიანცელი სუფევს. სიმღერა, ტაში, დოლი, ღრიალი, გინება, ქება ერთმანეთშია არეული. აქტიურობენ ჯინსიანი გოგონები (ლამაზი ჭიპები რომ მოუჩანთ). ისინი გაჰყვირიან საოცრად ნაზი და სასიამოვნო ხმით. სიგარეტს ხელიდან გტაცებენ (ნაცნობს თუ უცნობს) და პირში იჩრიან, ვითომ ძალიან ღელავენ. ეს ყველაფერი მშვენიერი სანახავია.

ბურთის გატანის შემდეგ ორმოცდაათამდე კაცი გავარდა მოედანზე და 3 წუთის განმავლობაში ეხვეოდნენ ბურთის გამტანს. პოლიციას ხმა არ ამოუღია. მერე დამშვიდნენ და ყველანი თავ-თავის ადგილს დაუბრუნდნენ. თამაში არც ისე საინტერესო, ძალისმიერი იყო. რომ დამთავრდა თითქმის მთელი სტადიონი მოედანზე შევარდა. გამარჯვებულებს ჰაერში ისვრიან, დამარცხებულებმა კი ძლივს შეასწრეს გვირაბში თავიანთ გაბრაზებულ გულშემატკივრებს.

საღამოს კინოში ვიყავით. ვნახეთ ორსერიანი ფილმი „ბრიტანეთის ბრძოლა“. სამამულო ომზე. გაუთავებელი სანახაობითი ფილმი, თვითმფრინავების ჩამოგდებაზე. ფილმი რომ დამთავრდა რობინს (ჩვენს გიდს) ვუთხარი რომ იგი სუსტი ფილმია, ამ და ამ მიზეზების გამო, არ დამეთანხმა. მითხრა რომ ეს ყველაფერი მე საბჭოთა ესთეტიკის გავლენით დავინახე, რომ ფილმი ბრწყინვალეა და იგი მთელს ინგლისში მალე უპოპულარესი ფილმი გახდებაო.

საღამოს ინგლისის ახალგაზრდა მუშებს შევხვდით. მომეჩვენა რომ მუშები გაუნათლებლები იყვნენ. თვით შექსპირიც კი წაკითხული არ ჰქონდათ. ატეხეს ღრიალის მაგვარი სიმღერა. ყვირიან გაუთავებლად. ერთ ხმაზე, არავითარი სმენა, არავითარი მუსიკალური მელოდია, ცდილობენ სიტყვები თქვან გამოთქმით და ამით, ეტყობა, დიდ სიამოვნებას პოულობენ. ვსვით ლუდი და დიდი მეგობრობით დავემშვიდობეთ. კარგია, მე მომწონს მუშური გულღიაობა, მაგრამ ფამილიარობას და ღრიანცელს ვერ ვიტან.

23 სექტემბერი

ისევ ლონდონში ვართ.

გზაში ერთი დიდი შოკოლადის ქარხანა დავათვალიერეთ; ყელში ამოვიდა შოკოლადი. ლონდონში უკვე აღარ დავიკარგებით. საკუთარი ქალაქივითაა.

დილით ვესტუმრეთ „ტრეიდ-უნიონთა“ საზოგადოებას (პროფკავშირებს). ორსაათიანი ლექცია გვიკითხეს ინგლისის პროფკავშირის უპირატესობაზე საბჭოთა პროფკავშირის მიმართ.

სადილის შემდეგ რას ვაკეთებთ მეთქი, ვკითხე დელეგაციის ხელმძღვანელს. სადილის შემდეგ პურის ქარხანაში მივდივართო. მე ვუთხარი, ხომ არ შეიშალეთ, ერთი დღე დაგვრჩა, ბრიტანეთის მუზეუმი არ დაგვითვალიერებია და „ხლებზავოდი“ რად გვინდა მეთქი, დაფიქრდა. ერთადერთი რაზეც დამეთანხმა ეგ იყო. შევცვალეთ პროგრამა და „ხლებზავოდის“ ნაცვლად ბრიტანეთის მუზეუმში მივდივართ.

რობინი მოდის ჩემთან, გაშლილი გაზეთი მოაქვს და მეუბნება თქვენ უტყუარი გემოვნება გქონიათო. რა იცით მეთქი, რა ვიცი და აგერ გაზეთში რეცენზიაა დაბეჭდილი ფილმზე „ინგლისი ომში“, რომელიც შენ გუშინ გააკრიტიკეო. საოცარია რეცენზენტს ზუსტად ის შენიშვნები აქვს გამოთქმული რაც შენ გამოთქვიო. მე ვუთხარი, იქნებ ორივე ვცდებით და იქნებ შენ მართალი ხარ მეთქი. არაო, მითხრა ეს კარგი ჟურნალისტია და მე მისი მჯერაო, ასე რომ ჩემი გუშინდელი სიტყვები უკან მიმაქვსო. აწი ყველაფერს დაგიჯერებთო. მესიამოვნა, მაგრამ არ შევიმჩნიე.

ინგლისელებმა ხშირად იციან კითხვა, ხელის დასაბანი ოთახი ხომ არ გაინტერესებთ? ეს იმას ნიშნავს, რომ ტუალეტის ოთახი (საპირფარეშო) ხომ არ გაინტერესებთო, ასეთი

შეკითხვით მოგვმართა ქალაქის მთავარმა არქიტექტორმა ლივერპულში. ჩვენმა ხელმძღვანელმა არ იცოდა, რას ნიშნავდა „ხელების დაბანა“ ადგა და სერიოზული სახით თქვა: „ჩვენ არ მოგვწონს რომ ასე ხშირად გვახსენებენ ხელის დაბანას, ჩვენ საბჭოთა ხალხი ვართ, ხელები სუფთა გვაქვს და თუ დაგვესვრება, როცა საჭიროა, თვითონ დავიბანთო.“ როცა არქიტექტორს ეს გადაუთარგმნეს, სირცხვილისგან გაწითლდა; დიდ ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ინგლისში ეს დიდ ყურადღებად და ზრდილობად ითვლებაო. რუსული „ხომ არ გეფსმებას“ ნაცვლად ჩვენ ვამბობთ, ხელის დაბანა ხომ არ გინდათო.

ყველას ვეკითხები „ჰიპების“ შესახებ. როგორ შეიძლება ასეთი სიბინძურე და სანახაობითი სექსუალიზმი. მე აქ არ შემხვედრია კაცი რომელიც „ჰიპების“ მოქმედებას ამართლებდეს.

ინგლისში მუშები და ინჟინრები (ტექნიკური ინტელიგენცია) სხვადასხვა პროფკავშირს შეადგენენ. ინგლისელებს ძალიან არ უყვართ დილეტანტებთან და უვიცებთან კამათი. ამიტომ არჩევენ პროფესიონალურ კონტაქტებს, კლუბებს, თანამოაზრეთა აქტივებს, ვიდრე შემთხვევით პიროვნებათა ბაზრულ, ტოტალურ გაერთიანებას, როგორც ამას ადგილი აქვს ჩვენს „დიად“ ქვეყანაში. პროფკავშირის საწევროს ყველანი ერთნაირად 3 შილინგს იხდიან, მიუხედავად ხელფასისა.

ბრიტანეთის მუზეუმი განსაცვიფრებელია. იგი დედამიწაზე ყველაზე დიდი მუზეუმია. აქ ყველაფერია: ანტიკური ქანდაკებებიც და მუმიებიც, ქართული ხატიც ვნახე. გიდი მეუბნება სომხურიაო. კინაღამ გავგიჟდი. აფსუს, მხოლოდ 2 საათი მოგვცეს ბრიტანეთის მუზეუმის დასათვალიერებლად. 2 საათში 2 დარბაზის გულდასმით დათვალიერებასაც ვერ მოასწრებ. არადა რამდენი დრო დავხარჯეთ სულელური შეხვედრებისთვის მუშათა კლასთან და პროფკავშირის წევრებთან.

მაინც ბედნიერი ვარ, რომ 29 წლის ქართველი მწერალი საბჭოთა სატუსაღოდან გამომიშვეს და ინგლისი მაჩვენეს.

ხვალ მოსკოვს მივემგზავრებით. ჩემოდნები გულდასმით გადაამოწმეთო, გიდმა, ვინმემ შემთხვევით პორნოგრაფიული ლიტერატურა ხომ არ ჩაგიდოთო. გადავამოწმე, არ ჩაუდვიათ. გადავრჩი.

26 ნოემბერი

თბილისის მატარებელმა დაიგვიანა. 1 საათზე ჩამოვედით მოსკოვში. კურსკის სადგურზე შუქრი აბაკელია დაგვხვდა. ენგურჰესის გვირაბგამყვანი ბრიგადის ხელმძღვანელი. უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მკვეთრად გამოხატული მეგრული აქცენტით. კარგი ბიჭი ჩანს. ჩვენს დელეგაციაში 10 კაცია. სამი გოგონა: მანანა ზერაკიძე, ლალი ნიშნიანიძე, ნათელა სტურუა. ვაჟები: ჯიმშერ მაისურაძე (კიბერნეტიკოსია, კომკავშირის პრემიის ლაურეატი, ადრეც ვიცნობდი) გია გელაშვილი, თენგიზ გაბელია, ირაკლი ზედგენიძე, რუსი სერგეი, შუქრი და მე. სადგურიდან პირდაპირ „სპუტნიკში“ გავეშურეთ, იქ ლიტველთა ჯგუფი შემოგვიერთეს. ლიტველთა ჯგუფში ერთი ჩემი კოლეგაა, ვიტაუტას მარცინკიავიჩუსი, ახალგაზრდული ჟურნალის რედაქტორი. პოეტია, სიმღერებსაც წერს. მუხრან მაჭავარიანთან გავიცანი მგონი.

მივდექ-მოვდექი, მაგრამ სასტუმროსი ვერაფერი გავახერხეთ. როგორ არ მინდოდა ამერიკაში წასვლის წინ ორი ღამე „ალტაიში’ გამეთია. ჩემთვის კიდევ ვიშოვიდი ღამისგასათევს ცენტრში, მაგრამ არ მინდა ჯგუფს მოვწყდე. წესიერი, მხიარული ახალგაზრდები არიან.

იმ ღამეს სასტუმროდან არ გავსულვართ. ცენტრში გასვლას ვაპირებდით, მაგრამ სიშორემ და უკან დაბრუნების სიძნელემ დაგვაშლევინა, დავთვერით და დავწექით. გაბელია ხვრინავს. ნომერში ოთხნი ვართ.

27 ნოემბერი

ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელია ვალერი ნიკოლაევიჩ განიჩევი. „მოლოდაია გვარდიას“ დირექტორი. სერიოზული ამხანაგი ჩანს.

„სპუტნიკში“ ლექციებს გვიკითხავენ. გვამზადებენ. რვა ლექტორს მოვუსმინეთ. ახალი თითქმის არავის არაფერი უთქვამს. ასეთი საუბრები მე იმიტომ მეჩვენება უინტერესოდ, რომ საზღვარგარეთ ბევრჯერ ვყოფილვარ და მრავალჯერ გამივლია ეს გაკვეთილები. ვინც კაპიტალისტურ ქვეყანაში არის ნამყოფი, ჩემი ფიქრით „ლექციებიდან“ უნდა ათავისუფლებდნენ.

ამერიკის ნახვა ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო. მეშინია ცეკას კომისიის ტალღა მოსკოვში არ მომწვდეს. ნოდარ კიკვაძიდან ასეთ სისულელეს არ ველოდი. გული ძალიან მატკინეს. ცეკას მდივანი ვიქტორია სირაძე რომ არ ჩარეულიყო, კომისიამ ფაქტიურად უარი მითხრა! მოტივი? საზღვარგარეთ ხშირად დადიხართო! უკანასკნელად 1970 წელს ვიყავი. საქმე სხვა რამეშია, არაფერი მესმის...

6 საათზე საზღვარგერეთული პასპორტები დაგვირიგეს. ეტყობა წავალ.

„მოსკოვში“ მე, შუქრიმ და ჯიმშერმა ვივახშმეთ. ლუდი ვსვით.

28 ნოემბერი

1 საათზე „შერემეტევოზე“ ვართ. საბაჟოს ანკეტები შევავსეთ. ამ დილით შხაპის შემდეგ მოსკოვის ყინვაში სასადილომდე ფეხით ვიარე და ეტყობა გავცივდი. რაღაც უქეიფოდ ვარ.

საბაჟოს გასასვლელში „ავტომატები“ დაუყენებიათ. სახ-

ალისო სანახაობაა. ავტომატში უნდა გაიარო, ვისაც „რაიმე ისეთი“ მიაქვს, ზარი აწკრიალდება. ოთხჯერ გაატარეს ერთი ქალი, ამოუქექეს ჯიბეები, გახადეს პალტო, ზარმა კიდევ დარეკა. აქვე პატარა ოთახში შეიყვანეს. ალბათ უფრო გულმოდგინედ უნდა გაჩხრიკონ. ჩვენი რიგიც მოვიდა. ხელმძღვანელსაც აკადრეს ავტომატში გასვლა. ზარმა დაიწკრიალა. ბოდიშის მოხდით ამოუბრუნეს ჯიბეები, ჩემი გასვლისას ზარი სდუმდა. მაინც ვერ გავიგე, რა ნივთებზე ფხიზლობდა ავტომატი.

„ილ-62-ში„ მოვთავსდით. უზარმაზარი თვითმფრინავია. ჩვენთან ერთად ამერიკელები და საბჭოთა მინისტრები (?) მგზავრობენ. მედეა ჩახავას მოვკარი თვალი. საბჭოთა კავშირ-ამერიკის მეგობრობის საზოგადოების წევრი ვარო. გვერდით საგარეო ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენელი მიზის, საუბარი გავაბით. ხშირად მიხდება მივლინებით აშშ-ში ჩასვლაო. ჩვენს სავაჭრო ურთიერთობას დიდი მომავალი აქვსო. სხვათაშორის მითხრა 10 საათის შემდეგ ნიუ-ორკი ნაკლებად განათებულია, ქუჩაში არ გახვიდეო. ბანდიტობის და ძარცვის საშიშროებაოო. ჩვენი თვითმფრინავი არც თუ მაინცდამაინც ფეშენებელურია. ვცდილობ დავიძინო. ამაოდ. ლონდონში დავჯექით. ერთ საათს მოგვიწევს დარჩენა. ნაცნობი აეროპორტის ნახვამ გამახარა. შუქრის ერთი ამერიკელი გადაეკიდა, დეპუტატის ნიშანი მაჩუქეო. შუქრი დგას და იცინის. მერე იმ ამერიკელმა ფული ამოიღო და შესთავაზა რამდენსაც გინდა მოგცემო. სამკერდე ნიშნების კოლექციას ვაგროვებ და ეს ნიშანი არ მაქვსო. მეტი გზა არ არის, შუქრის უნდა ვუშველო. ჩემი ინგლისურით შევეცადე ამეხსნა რომ ეს მთავრობის წევრობის ნიშანია და არა უბრალო „ზნაჩოკი“. (თუმცა თვითონაც, მე ვფიქრობ, მშვენივრად იცოდა რა ნიშანსაც იხვეწებოდა). უკმაყოფილოდ ამათვალიერა და გაგვეცალა. შუქრის ვუთხარი მოიხსენი და შეინახე მეთქი. დამიჯერა.

ისევ მოსაწყენი ხმაური თვითმფრინავში. თავი ვერაფრით გავირთე. 12 საათი ჰაერში ხუმრობა არ არის. მოსკოვის დროით ღამის სამის ნახევარზე ნიუ-იორკის ცაზე ვართ. ილუმინატორებს მივცვივდით. დიდებულად განათებული უზარმაზარი ქალაქია. მეტს ვერაფერს ვარჩევ. ცათამბჯენები აქედან არა ჩანს. ნიუ-იორკმა არ მიგვიღო. თვითმფრინავმა ისევ მაღლა აიწია. კოკისპირულად წვიმს. სტიუარდესები სერიოზული სახეებით სათითაოდ გაიკრიფნენ სალონიდან და პილოტთა კაბინაში გაუჩინარდნენ. თვითმფრინავში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ყველამ შეწყვიტა მხიარული მასლაათი. „ნიუ-იორკმა არ მიგვიღო.“ ცუდია. ჩემს გვერდით მჯდომ რუსს დანა პირს არ უხსნის. სრულებითაც არ შემშინებია. აქ ჩემზე არაფერი არ არის დამოკიდებული. მე ვერაფერს შევცვლი. თვითმფრინავმა ერთხანს იფრინა და ისევ ნიუ-იორკს დაადგა. ვეშვებით. სადაცაა მიწას უნდა შევეხოთ. ვერ დასვა კარგად. პირდაპირ „დააგდო“ თვითმფრინავი. ყველამ შვებით ამოისუნთქა. „ნიუ-ორკში ვართ“. აეროპორტში ჩვენი თანამგზავრი ამერიკელების ტვირთი 5 წუთში ამოყარა „კონვეიერმა“. ჩვენ კი ნახევარ საათს მაინც გვალოდინეს. ალბათ ამერიკის საბაჟოს თავისი საზრუნავი აქვს. ამერიკელი მებაჟე მეკითხება, რა პროფესიის ვარ და რა მიზნით ჩამოვედი. მასწავლებელი ვარ მეთქი, ტურისტი. „ოკეი“ – თქვა და ჩემს საბუთებს ბეჭდის ბათქუნი აუყენა. საბაჟოში ამერიკელმა მასპინძლებმა გულდასმით გაგვსინჯეს. ყოველგვარი ავტომატის გარეშე, ჩემოდნები გაგვახსნევინეს. თან ბოდიშს გვიხდიდნენ; მხოლოდ ნარკოტიკების შემოტანის წინააღმდეგი ვართო. წესი წესია. ჩვენს ხელმძღვანელს ჩემოდანი ხომ პირწმინდად გაუსინჯეს. ჯიბეებიც ამოაღებინეს. ბევრიც რომ ამტკიცო, მე ხელმძღვანელი ვარ და დელეგაციას პატიოსნების მაგალითს ვაძლევო, ამიტომ ამათ თვალში ნუ მამცირებთო, საბაჟოს მოხელეები არ დაგიდევენ. მათთვის ყველაფერი სულერთია.

ძველი ნაცნობებივით ღიმილით და ყვავილებით დაგხვდა ახალგაზრდა ქალი-ვაჟი. გაგვეცნენ თქვენი გიდები ვიქნებითო. როცა გაარკვიეს ყველანი ვართ თუ არა გასასვლელისკენ მიგვითითეს, იმ ავტობუსში ჩავსხდებით და სასტუმროში წავალთო.

დავწინაურდი. ორი ჩემოდანი მომაქვს. კარებს მივუახლოვდი და გასაღებად ერთ ხელის გათავისუფლება დავაპირე თუ არა კარი გაიღო; მეორე კარს მივუახლოვდი მეორეც გაიღო. ავტომატურად იღება კარი, როგორც კი ერთ მეტრზე მიუახლოვდები. გარეთ კოკისპირულად წვიმს. კარგი ავტობუსია. ყველაფერს მუშტრის თვალით ვათვალიერებ. აეროპორტში საოცარი წესრიგი, სიმდიდრე და სისუფთავე იგრძნობა. გრძელი დერეფნით გავდივართ, აეროპორტი ულამაზესია. ესეც ამერიკა.

ქალაქისაკენ! ავტომანქანების ფეიერვერკი. ერთსართულიანი სახლები. რაც ნიუ-იორკს ვუახლოვდებით სართულები იმატებს და აი: ცათამბჯენები.

ეს ცენტრია? – ვეკითხები გიდს, თავს მიქნევს. ავტობუსიდან გადმოვედი. პირველივე მაღალ, შენობის სართულების დათვლა დავიწყე, სამოცს რომ ავცდი თვალი ამიჭრელდა. სასტუმროში გვიხმეს. ჩემოდნები დააწყვეთ და სავახშმოდ ჩამოდითო. მე, შუქრი და ჯიმშერი ერთად ვართ. მეათე სართულზე ვცხოვრობთ. დაღლილობამ გამიარა. დავეშვით ლიფტით. პირველ სართულზე რომ აღმოვჩნდით, იქედან კიდევ ხუთი სართული ფეხით ჩამოვიარეთ. აქ თურმე პირველი სართული მეექვსედან იწყება. ამიტომაც ეტყობა ლიფტზე (თუ ქვემოთ ჩასვლა გინდა) რომელიღაც ღილაკს უნდა დააჭირო თითი. ნიუ-იორკის დროით ათი საათია. გიდი დაბეჯითებით გვთხოვს ქუჩაში არ გავიდეთ, სეირნობას მოვასწრებთო. ავდივართ და ვწვებით. ნომერში ტელევიზორია. თორმეტივე პროგრამა მოვსინჯეთ. ბოლოს ყველაზე „მსუბუქ“ პროგრამაზე შევჩერდით. დიდხანს არ

დაგვეძინა. დილის ოთხ საათზე გაგვეღვიძა. რა ვქნათ რვის ნახევრამდე? ტელევიზორს ვეცი. თურმე ღამის პროგრამაც არსებობს. განგსტერებზე, ძალადობაზე, გარყვნილებაზე, სექსზეა გადმოცემები. პოლიციის შეფი გამოდის და თავის სიტყვაში კინოკადრებს იყენებს დანაშაულებათა შესახებ. საინტერესოა.

რვის ნახევარზე ქვევით ვართ. დღის სინათლეზე ნიუ-იორკი. ქუჩაში ხმაური არ ისმის. ავტობუსში ვსხდებით და ვაშინგტონში მივდივართ. დაიძრა თუ არა ჩვენი ავტობუსი, უცებ სირენების კივილი გაისმა. რამდენიმე პოლიციის მანქანამ ჩაგვიქროლა. ნუ გეშინია ნიუ-იორკში ეს ჩვეულებრივი ამბავიაო, იღიმება გიდი. გიდს ტომასი ჰქვია.

აშშ. შუაში რევაზ მიშველაძე

გზა დიდებულია! ტრასა – ნიუ-იორკი-ვაშინგტონი. ბუნება არც თუ საინტერესო. „მოტელები“, ქარხნები, კემპინგები, ფერმები, ვილები – ყველგან. მიწა მოყვითალო-მორუხო მაინცდამაინც ნოყიერი არ უნდა იყოს.

ვაშინგტონი. ყოველი ფეხის ნაბიჯზე ზანგები. თეთრი იშვიათი სანახაობა გახდა. 4-5 სართულიანი სახლები, ევროპული ტიპის ქალაქი. ცენტრი ქუთაისის ცენტრს ჩამოჰგავს. თეთრი სახლი! – დაიძახა გიდმა. მე ერმიტაჟი მინახავს, კრემლი, ლუვრი, ვერსალი, ბურბონების სასახლე, ინგლისის დედოფლის რეზიდენცია. ეს არის თეთრი სახლი! ეს ორსამსართულიანი ძველებური სტილის თეთრი შენობა, რომლის თავზეც ამერიკის შეერთებული შტატების დროშა ფრიალებს. აქ ცხოვრობს ნიქსონი? ეს არის აშშ-ს დედაქალაქი? ყველაფერი უბრალოდ, სიდიდით პატარად მეჩვენება. ვვახშმობთ და ვწვებით.

29 ნოემბერი

დილიდან ცუდად ვარ.

მაინც ავდექი.

დავათვალიერეთ კაპიტოლიუმის შენობა. დიდებულია. სენატის სხდომაზე შევედით. ჩუმად ფეხაკრეფით, სენატორი ედუარდ კენედი ჩემგან ორი ფეხის ნაბიჯზე დგას. მაღალია, წითური, ძალიან ჩამოჰგავს თავის განსვენებულ ძმას – ჯონს. საოცარი ოჯახი აქვთ. გარეთ გამოსვლისას ვგრძნობ, რომ შუბლზე ცივი ოფლი მასხამს. ავად ვარ. გიდი სასტუმრომდე მაცილებს. სურდოს წამლებს ყიდულობს გზაში და ლიმონის და ფორთოხლის წვენს.

ვწევარ ახლა ნომერში. დღეს უნდა ვიწვე. არ გამირთულდეს. იღბალი არ გინდა? დღევანდელ პროგრამას ჩამოვრჩი. იქნებ ოფლი მოვიდინო. ზანგის ქალი შემოვიდა და ოთახი დაალაგა. „სერ ხომ არაფერს მიბრძანებთ?“ არა მეთქი. გუშინ

საღამოს ჩვენს საელჩოში მიგვიღეს. საელჩოს მდივანი თავს აქნევდა, ნიქსონის წინააღმდეგ მთელი კამპანია გაიშალა. არ ვიცით, თავს რითი დაიძვრენსო. ვაშინგტონში 70 პროცენტი ზანგები ცხოვრობენ, შეიძლება ქუჩაში ხანდახან თუნდაც იმიტომ გცემონ, რომ თეთრები ხართო. თუ რაიმე ინციდენტი შეგემთხვათ ჩვენთან დარეკეთო.

30 ნოემბერი

ავად ვარ.

ავდექი ცოტა გავიარე, მაგრამ ვგრძნობ ვერ შევძლებ. ცივი ოფლი მასხამს. გიდმაც შემატყო ფერზე. თუ ცუდად ხართ დაბრუნდით ნომერში და დაწექითო.

აფსუს!

მაცივებს, ტელევიზორი ჩავრთე. საქმე ის იქნება, თუ ჩავწექი. თხუთმეტ წუთში გიდმა სამი-ოთხი თავი გრიპის წამალი, ფორთოხალი და ლიმონის წვენი მომიტანა.

სურდოს ვერც ამერიკული წამლები არჩენს, მაგრამ ეს ერთი უფრო საიმედოაო.

დავლიე. ორ საათში სიცხემ უეცრად დაიკლო. ხელები და ფეხები გამიცივდა. ცოტა შემეშინდა. სუნთქვა მიჭირს. ტომასი (გიდი) მეუბნება წამალმა იმოქმედაო. როცა შემატყო რომ გული ცუდად მაქვს, საელჩოში დარეკა! საელჩოს რუს ექიმს ელაპარაკა, თქვენი მოქალაქე ავად არის და მობრძანდით, ინახულეთო. ექიმმა ჩემთან ლაპარაკი მოინდომა. როცა ვუთხარი ქართველი ვარ მეთქი, მითხრა, დღეს არ მცალია, ხვალ მოგაკითხავო.

კოშმარული ღამე მქონდა. თვალი არ მომიხუჭავს. საშინელ წელის ტკივილს ვგრძნობ. წელი არასოდეს მტკენია, თირკმლები არ იყოს.

გუშინ ქუჩაში ქართველი კაცი შეგვხდა, ვლადიმერ ბაბიშვილი. მე მგონი გვარი გადაკეთებული აქვს. გააჩერა მანქანა

და ქართულად დაგვიძახა. გვერდით ქალი ეჯდა. ესეც ქართველი ჯაფარიძეაო. რა მოხელე ხალხი ხართო. უბრალო, გახუნებული მოსასხამი ეცვა. რევაზ თაბუკაშვილს თუ იცნობო. მერე მე ვკითხე, რამდენი ხანია აქ ცხოვრობთ მეთქი; ომის შემდეგო. ტყვედ ნამყოფია. მინდა ტურისტად საქართველოში ჩამოსვლა, მაგრამ ფული არა მაქვსო. რა საქმიანობას ეწევით მეთქი, შერცხვა თქმად არ ღირსო. ჩვენც აღარ დავეკითხეთ. შუქრის ტელეფონის ნომერი მისცა. შუაღამისას დავურეკეთ, მაგრამ სახლში არ იყო. ნეტავ ვინ არის, რას წარმოადენს, ენა დაება, რომ დაგვინახა. მანდილოსანი ჯაფარიძე ნეტავ ცოლი იყო მისი?

1 დეკემბერი

ექიმი იყო. გულდასმით გამსინჯა. ანთება არა გაქვს, მაგრამ გაცივებული მაგრად ხარო. 3 დღე მაინც უნდა იწვეო.

3 დღე! ვაშინგტონში. დღეს ოფლს მოვიდენ და ხვალ კარგად ვიქნები. ყველანი წავიდნენ, ვწევარ და ტელევიზორს ვუყურებ. ძალიან საინტერესო მულტფილმებია ბავშვებისთვის.

ზანგის მოახლე ქალი ნომრის დასალაგებლად შემოვიდა. ყოველდღე ცვლიან თეთრეულს. თეთრეული აბრეშუმივითაა, გარეცხილია საოცრად.

წასაკითხი არაფერი მაქვს. ჩემს ნოველებს ვკითხულობ. ზოგი მართლა მომეწონა. მთელი დღე ტელევიზორს ვუყურებ, მოწყენა წუთითაც არ მიგრძვნია. ძალიან საინტერესო გადაცემებია.

2 დეკემბერი

ღამით ოფლი მქონდა. ამ დილით არა მიშავს. რადაც უნდა დამიჯდეს, უნდა ავდგე.

ის ის იყო ჰოლში ჩასვლას ვაპირებდით. რომ ჩემს ნომერს ვლადიმერ ბაბიშვილი მოადგა. სიმართლე გითხრათ მესიამოვნა. კარგა ორი-სამი საათი ვისაუბრეთ. ღარიბი კაცი ჩანს, დიდი განათლების არ უნდა იყოს. მაინტერესებს ყველაფერი რაც მას შეეხება.

ქალაქგარეთ ნაქირავებში ცხოვრობს. ტელევიზორების შემკეთებელი ვარო. მერე გვითხრა ახლა მთარგმნელობით მუშაობას ვეწევიო. ჩემი ქართული გამომადგაო. რა აზრისა ხართ, ამერიკის ხმის ქართულ გადაცემებზეო. მე ვუთხარი, რომ ძალიან გლეხურ დონეზე არის მეთქი. გაეცინა, გეთანხმებიო.

ფოთელი ყოფილა. გვარი გადაკეთებული მაქვსო. სინამდვილეში ღვარწკაია (თუ ღურწკაია) ვარ, ტყვედ ნამყოფი. ადრე მეშინოდა და გვარიც ამიტომ გამოვიცვალეო. ვკითხე რატომ არ დაბრუნდებით მეთქი, მითუმეტეს რომ მარტოხელა კაცი ხართ. ფოთში და-ძმა მყავსო. ვერ გავძლებო. მე თავისუფალ ცხოვრებას მივეჩვიე. თქვენთან კი ერთი ქალაქიდან მეორეში ვერ გადახვალ, თუ მილიციის ნებართვა არ გაქვსო. ვეცადე დამერწმუნებინა, რომ ასე არ არის. უბედური კაცია. სამშობლოს სიყვარულიც გაუცხოვებულა მისთვის. მე ქართული წარმოშობის ამერიკელი ვარო. ჩემს პასპორტში ამერიკელი წერიაო. ღმერთმა ხელი მოუმართოს. ვაშინგტონში თხუთმეტამდე ქართული ოჯახიაო. ერთმანეთს იშვიათად ვხვდებითო. ქართულ გაზეთებს – „კომუნისტს“, „ლელოს“, „სამშობლოს“ ვიწერთ საბჭოთა საკონსულოდანო. სადილს მე თვითონ ვიმზადებო. სასმელს არ მიეკარა. კუჭი გაფუჭებული მაქვსო. ტურისტად წამოვიდოდი საქართველოში, მაგრამ ძალიან ძვირი ჯდებაო, საცხოვრებლად კი არავითარ შემთხვევაშიო.

დავემშვიდობეთ. ხომ არაფერს დამაბარებთ მეთქი თქვენს დასთან. არაო, წერილი სწორედ ახლახანს მივწერეო. ცოტა არ იყოს ცივად დამემშვიდობა. ერთი ბოთლი კონიაკი და

ქართული სიგარეტები ვაჩუქე. რევაზ გამყრელიძეც ახსენა ერთხელ.

თეთრ სახლში ვართ. შაბათ-კვირას ნიქსონი ქალაქგარეთ გადის. შაბათ-კვირას საერთოდ მთელი ვაშინგტონი ცარიელია. მაგრამ დღეს ნიქსონი თეთრ სახლშია. როგორ პრეზიდენტის იქ ყოფნის დროს ტურისტებს უშვებენ მეთქი? ვკითხე გიდს. გაეცინა, რა მოხდაო. დავათვალიერეთ მისაღები, სასტუმრო, სხდომათა, სასადილო ოთახები. თეთრ სახლში ორმოცდაათამდე ოთახი იქნება. იქ ცხოვრობენ მხოლოდ პრეზიდენტი და მისი მეუღლე. სივიწროვის გამო თანაშემწეები ორ-ორად ან სამ-სამად სხედან. ნიქსონს ბევრი თანაშემწე ჰყავს. 3-4 პირადი მდივანი და დაცვა. ეს უკანასკნელი ჩვენ საკმაოდ შემცირებულად მოგვეჩვენა. თეთრი სახლის ეზოს ჭიშკართან ორი პოლიციელი მორიგეობს და ეზოშიც ამდენივე გადაცმული აგენტი დადის. კენედის ისტორია რომ ვიცით, ვფიქრობთ ცოტაა.

მეორე სართულზე ავდივართ. ნიქსონი ჩვენს გვერდით ოთახში ზის. სულ რამდენიმე ნაბიჯი გვაშორებს მისგან. ერთადერთ წინააღმდეგობას მდივანი ქალი წარმოადგენს. შეგიძლია პირდაპირ შეაღო კარი და შეხვიდე. საერთოდ პრეზიდენტთან მოხვედრა როგორ ხდება მეთქი, ვკითხე გიდს. დაურეკავ, როგორც მდივანი ქალი ან თანაშემწე გიპასუხებთ, ეტყვით რა საკითხზე გინდათ მისი ნახვა და ვინ ხართ. გთხოვენ ყურმილი არ დაკიდოთ. ცოტა ხანში ან თვითონ ნიქსონს შეგაერთებენ, ან მიღების დროს დაგინიშნავენ ან ბოდიშის მოხდით იტყვიან ამ საკითხში პრეზიდენტი კომპეტენტური არ არისო და ამა და ამ კაცს მიმართეთო.

თეთრი სახლიდან ამერიკის პირველი პრეზიდენტის ვაშინგტონის სახლისკენ გავემართეთ. იგი ძველ ვაშინგტონშია, ქალაქიდან ცოტა მოშორებით. ვათვალიერებთ პრეზიდენტის, მისი მეუღლის, სამუშაო და საწოლ ოთახებს, სამზარეულოს. ძველი ვაშინგტონი უფრო მომწონს, ვიდრე ახალი.

საღამოს ვაშინგტონის პოლიციის შეფმა მიგვიპატიჟა. ერთად ოცდახუთი კაცი ვესტუმრეთ. ვისკით და გემრიელი ვახშმით გაგვიმასპინძლდა. ვახშამი პატარა მრგვალ მაგიდაზე იყო გაშლილი. თეფშზე უნდა გადმოგეღო რაც გსურდა და ფეხზე უნდა გეჭამა. დავიღალე. ერთ ხანშიშესულ მანდილოსანს ვესაუბრე ლიტერატურაზე. ბოლოს სრულიად უადგილოდ ჩაილაპარაკა ნიქსონი მძულსო. რატომ მეთქი, გულწრფელი კაცი არ არისო, პოლიტიკა არ ესმისო, ამერიკას დაღუპავსო, ხომ არ შეიძლება კონკრეტული მაგალითებით გაამყაროთ თქვენი აზრი ნიქსონზე მეთქი. კონკრეტულს ვერაფერს ამბობს. ტელევიზორი ჩართეს, ენერგო-კრიზისი, ასეთი გადმოცემა მიდიოდა. რომელიღაც ბიზნესმენი გამოთქვამდა საშიშროებას, რომ ბენზინის მარაგი იწურება. არაბეთმა უარი უთხრა ამერიკას ბენზინის მოყიდვაზე. ამასწინათ ტელევიზიით გადასცეს პრეზიდენტის პირადი თხოვნა, რათა მთელს ამერიკაში 80 კმ არ გადააჭარბონო. ბენზინი ნაკლები იწვის, თანაც 1 დეკემბრიდან კვირაობით ბენზინი აღარ გაიყიდება.

11 საათზე ვბრუნდებით სასტუმროში.

ხვალ ჩიკაგოში მივფრინავთ.

3 დეკემბერი

ვაშინგტონის აეროპორტში ვართ.

ჩიკაგოში გაფრენის წინ, ავტომატურ „პროჟექტორში“ გაგვატარეს და ყველანი გულდასმით გაგვჩხრიკეს. ჩვენს გაკვირვებაზე გიდმა გვიპასუხა. ეს ორი წელია სენატმა მიიღო კანონი, რომ თვითმფრინავის ყველა მგზავრი სადაც არ უნდა მიდიოდეს იგი, გულდასმით უნდა გაიჩხრიკოს და ჩამოერთვას ცეცხლსასროლი იარაღი ან ბომბი, რადგანაც ხშირად ჰქონდა ადგილი თვითმფრინავების გატაცების შემთხვევებსო.

შესანიშნავი თვითმფრინავია. სტიუარდესებმა გულდასმით აგვიხსნეს თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ავარიის შემთხვევაში. ჩემს სავარძელთანაა სწორედ სათადარიგო კარები. თუ ძრავებმა მუშაობა შეწყვიტეს უნდა გავაღო და გადავხტე, რადგანაც ასე გადარჩენის ნახევარი პროცენტი შანსი მაინც არის. კარგი შეღავათია.

საათნახევარში ჩიკაგოში ვართ. ტიპიური ამერიკული ქალაქი. ცათამბჯენები. ორსართულიანი ქუჩები. ქვევით მანქანები, ზევით ტრამვაი, მატარებელი. ენით აუწერელი სიმდიდრე. ხალხმრავლობა. უმრავლესობა აქაც ზანგებია.

ქალაქის დეპარტამენტში მიგვიღეს. დავათვალიერეთ გამოთვლითი ცენტრი, უსაფრთხოების და ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური, თუ ქალაქში რომელიმე სახლი ავარიულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ავტომატი მაშინვე სიგნალს იძლევა, ხოლო გამომთვლელი მანქანა ხუთ წუთში ადგენს თუ რა თანხის ზარალია მიყენებული და რა რემონტია ჩასატარებელი. ჩიკაგოში უმაღლეს დონეზეა სახანძრო სამსახურიც. ავტომატის და ტელეფონის საშუალებით ერთ წამში დგინდება რა ხანძარია და სად! ყოველდღიურად ქალაქში 150-200 ხანძრის შემთხვევაა. ასე რომ ჩიკაგოელ მეხანძრეებს სამუშაო აქვთ.

საღამოს ჩვენმა მასპინძლებმა, ჩვენით დაინტერესებულ ამერიკელ მოქალაქეებთან შეხვედრა მოგვიწყეს. საათნახევრის განმავლობაში ვუმტკიცებთ ახალგაზრდა ამერიკელ ცოლ-ქმარს, რომ ისრაელი თავს კი არ იცავს (როგორც მათ სჯეროდათ) არამედ ცეცხლს უშენს გაერთიანებული არაბეთის ტერიტორიასა და სხვისი მიწების დატაცებას ცდილობს. თქვენაო მითხრა, არასწორი ინფორმაციებით დაბრმავებული ხართო, ისრაელი დაკავებულ ტერიტორიებს იმიტომ არ უბრუნებს არაბეთს, რომ ამ უკანასკნელთან უშუალო მეზობლობა არ სურს რათა თელავივს ცეცხლი არ

მიწვდესო. მგონი იგი მართალი იყო. ჩვენი პრესა ხომ სიმართლეს არ გეტყვის.

გვიან ღამემდე დავდივართ ჩიკაგოს ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე. მდიდარი ვიტრინები, ფილმების შემაძრწუნებელი რეკლამები, ნარკომანები. საშოვარზე გამოსული ზანგი ღატაკები. თვალისმომჭრელი რეკლამები. მალე საახალწლო არდადეგები დაიწყება და ქალაქს ზღაპრულად რთავენ.

4 დეკემბერი

დილით ავტობუსით „ამერიკან ჯენერალ მოტორსის“ კომპანიის ჩიკაგოს ავტოქარხანაში წაგვიყვანეს. აქ მზადდება თანამედროვე ამერიკის ერთ-ერთი სახელგანთქმული მანქანა „მატადორი“. წუთში ორი მანქანა გამოდის. უჟანგავი თუნუქი. სისუფთავე. საოცარი ავტომატიკა.

შუადღისას ჩიკაგოს სამხატვრო გალერეა დავათვალიერეთ. ამ ტერიტორიაზე ნაპოვნი მაიას ტომის და ძველ ინდიელთა პერიოდის ნივთები და სკულპტურები. ამერიკას წარსული არა აქვს. იმპრესიონისტთა ნამუშევრები, მოდილიანის, გოგენის და პიკასოს ორიგინალები....

საღამოს ლიტველმა მეგობრებმა ლიტველ ემიგრანტთა შეხვედრაზე წაგვიყვანეს. დაუვიწყარია. დიდი კლუბი პროგრესულ ემიგრანტთა. ოთხმოცმიტანებული მოხუცები. სიცივე თეატრში. მიტოვებული სცენა. ერთმანეთი ხელით მოჰყავთ. სიღარიბე. სევდა. ძალიან იმოქმედა ჩემზე. შენარჩუნებული აქვთ ლიტვური სიმღერები და ცეკვები. ემიგრაცია კვდება. ჩვენი შვილები ამერიკელებად იწერებიანო. კლუბში აღარ მოდიანო. მართლაც სულ მოხუცები იყვნენ, სცემენ გაზეთს „ვილნო“ (ტალღა) დაგვათვალიერებინეს ტიპოგრაფია. სიტყვა ვთქვი. გამოგვაცილეს მოხუცებმა. საშინელებაა.

5 დეკემბერი

დილით წაგვიყვანეს ამერიკის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა მუზეუმში. უზარმაზარი გამოფენა მოწყობილია მასობრივი გასართობისა და ზოგჯერ თამაშობების ფორმით. რომ უფრო მეტი შემეცნებითი ღირებულება ჰქონდეს. აჩვენებენ ფილმებს. მოწყობილია ფეიერვერკი. სტერეოფილმები. ვიდეოტელეფონი. მუზეუმი ძველი ქალაქის ქუჩებით. უამრავი დამთვალიერებელია. ბავშვები შეიძლება დატოვოთ სპეციალურ დარბაზებში, სადაც ისინი არაჩვეულებრივად გაერთობიან.

მერე ავტობუსით დაგვათვალიერებინეს ჩიკაგო.

ცათამბჯენები.

ასი, ასხუთი სართული.

მანქანა ზოგ სახლში მეორმოცე სართულზე ადის. მიწისქვეშა და მიწისზედა ავტოსადგომები.

დაწესებულებაში ყველა პერანგით ზის.

საღამოს თავის სახლში მიღება მოგვიწყო ჩიკაგოს ცნობილმა ადვოკატმა მისტერ კლერკმა. ფეშენებელური 7-ოთახიანი ბინა 88-ე სართულზე. კარი ინდიელმა მოსამსახურე გოგონამ გაგვიღო. ათასგვარი სასმელები – ჯინი, ვისკი, ლუდი. არ მომწონს მხოლოდ, რომ ყველაფერში ყინულს ჰყრიან. სისუფთავე ზღაპრული. სამი აბაზანა აქვს. დაბალჭერიანი ბინა. სახლს მინის დიდი კედლები აქვს. ფანჯარა არა აქვს. დავინტერესდი. აქ თურმე არ არსებობს ცნება, ფანჯრის გაღება და განიავება. თხუთმეტი წელია ამ ბინაში ვცხოვრობ და ფანჯარა ჯერ არ გამიღიაო. ორმოცდაათი კაცი ერთ ოთახში ვართ, ვეწევით, სრულებით არაფერი იგრძნობა. არც სიცხე, არც სიცივე. კონდენსირებული ჰაერის სიკეთე. ზამთარ-ზაფხულ ბინაში ერთი და იგივე ტემპერატურაა.

ჩემი ყურადღება მიიქცია სურათმა კედელზე. მისტერ კლერკი და ჯონ კენედი. ისინი ხელს ართმევენ ერთმანეთს

და უღიმიან. ვკითხე. ისინი ახლო მეგობრები ყოფილან. ჯონი ჩამოვიდა ჩემთან ჩიკაგოში და გამანდო, პრეზიდენტობა მინდა და რას იტყვიო. მოვუწონე. გაიშალა საარჩევნო კამპანია. კენედის დღე და ღამე არ ეძინა. ტელევიზია, რადიო, გაზეთები, სიტყვით გამოსვლა, ამომრჩევლების მოსყიდვა, ამას დიდი ფული სჭირდებოდა. რაც შემეძლო ვეხმარებოდი. ფულიც ბევრი გავიღე. შევაგროვე დიდძალი თანხა ჩიკაგოს იურისტთა შორის. მერეც არაერთხელ შევხვდი. ჩიკაგოში ჩამოვიდოდა თუ არა სასტუმროდან პირველს მე მირეკავდა. დიდი პიროვნება იყო, ცრემლმორევით თქვა.

6 დეკემბერი

ჩიკაგოდან პატარა საუნივერსიტეტო ქალაქში – ობერლინში ჩავფრინდით. ჩიკაგოს შემდეგ უეცრად აღმოვჩნდით არაჩვეულებრივად წყნარ და მშვიდ გარემოცვაში. სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში მიგვიღეს. ეს არის ცალკე მდგომი სახლი, სადაც თითო ოთახში ცალ-ცალკე 19 სტუდენტი ცხოვრობს. ლამაზი, ქერა, სწორთმიანი გოგონები. საღამოს საციგურაო მოედანზე წაგვიყვანეს. პირველად შევდექი ციგურებზე.

მომათავსეს პროფესორის, სომეხ რან ასუნის ბინაში. კარგი ხალხია, ცოლ-ქმარი ახალგაზრდა. ასუნი მარქსისტია. მაჩვენა თავისი წიგნი ბაქოს კომუნაზე. დიდხანს ვისაუბრეთ. შარშანწინ თბილისში ყოფილა. ჯონდი მეტრეველი და კაკო სურგულაძე მიხსენა. გვიან ღამემდე ვისაუბრეთ. ქართული წიგნები აქვს. საქართველო ძალიან უყვარს.

7 დეკემბერი

კოლეჯს და უნივერსიტეტს ვათვალიერებთ, ამერიკული სწავლების სისტემა. კოლეჯი. ორგვარი დიპლომი. უმაღლეს-

ში შესასვლელი და არშესასვლელი. გაკვეთილები. თვალსაჩინოება. სტუდენტთა და პროფესორთა ურთიერთობა. ერთმა სტუდენტმა გოგონამ კოლეჯის დირექტორს თითით მოუხმო. ყოფაქცევა. რაც შეიძლება თავისუფალი. ჯინსებით პირდაპირ იატაკზე სხდებიან. თავისუფალი ქცევა. საერთო საცხოვრებელში ხშირად ერთად ცხოვრობენ. არავითარი შეზღუდვა. აქვთ საგნები, რომელსაც როცა უნდათ მაშინ ჩააბარებენ ოთხი წლის განმავლობაში. არავითარი გამორიცხვა ან კურსზე დატოვება. ქალიშვილობაზე ლაპარაკი სასაცილოა. შედეგი? ყოველდღე სპეციალურ ტაბლეტებს ყლაპავენ. გავრცელებულია ნარკომანია და ალკოჰოლიზმი. ამ ქალაქში ალკოჰოლი აკრძალულია, ნარკომანია არა. თუუ ძალიან გადააჭარბა, აფრთხილებენ. თავად უნივერსიტეტის პროფესორის შვილი მიშა (ცოლ-ქმარი პროფესორი) საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს, ასე მირჩევნიაო. დამოუკიდებელ ცხოვრებას ეჩვევიან. ნიჭიერი სტუდენტები არიან. რაც ყველაზე მეტად მომეწონა; თვითონ მუშაობენ დღიურ სამუშაოზე, ბავშვებთან რჩებიან, გაკვეთილებს ატარებენ, სტუდენტთა სასადილოში მუშაობენ. ჭამა-სმა უფასო აქვთ, სწავლისთვის გადახდილი ფულიდან. ლექცია 50 წუთი. რა საგანსაც უნდათ, იმას ისმენენ. მოითხოვენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან ესა და ეს საგანი დაუმატონ ან გაუგრძელონ. ნიშნები – ბალები ეწერებათ. კათედრის მაგივრად დეპარტამენტი არსებობს. ვინც კარგ ქულებზე დაამთავრებს, უფლება ეძლევა ჩააბაროს ასპირანტურაში. არ არსებობს მისაღები გამოცდები. როცა ამთავრებ კოლეჯს, უმთავრესი ყურადღება ექცევა იმ გარემოებას, როგორი დახასიათება გაქვს და რა ნიშნები. ასე რომ უნივერსიტეტში ჩაბარება ფაქტიურად სკოლაში ხდება. მერე შეგიძლია სხვადასხვა უნივერსიტეტში გააგზავნო განცხადება, შენი საბუთების ასლები. შეიძლება ერთდროულად ათ უნივერსიტეტში ჩაგრიცხონ. სამუშაოს პრობლემა არ არსებობს. ვისაც უნდა, ყველა იმუშავებს.

მანქანა განვადებით იყიდება. პირველად შეგაქვს ღირებულების 20 პროცენტი და სამუშაოს ცნობა. პროფესორს ეძახის თავის თავს ყველა. პროფესორს ზოგს ერთი წიგნი არ აქვს გამოცემული. მიგვიღეს ცოლ-ქმარმა პროფესორებმა. გულითადად ვისაუბრეთ. ჰუმანისტი, მშვიდობისმოყვარე ხალხია.

დღეს დავათვალიერეთ ვაშლის წვენის ქარხანა და სამედიცინო ხელსაწყოთა ფაბრიკა. სისხლის და შარდის უზუსტეს ანალიზს აკეთებენ 3 წუთში (ჩვენთან მეორე დღის 4 საათზე გიბარებენ).

8 დეკემბერი

დავათვალიერეთ დიდი სპორტული კომპლექსი. უფასოა. არც სტუდბილეთი. არც სია, არც ფული. ყველას შეუძლია მოვიდეს და ივარჯიშოს, ათასნაირი დარბაზი. ვივარჯიშეთ. ფინური აბანო და მერე დუში დიდებულია.

დავემშვიდობეთ მასპინძლებს. 6 საათზე ნიუ-იორკში მივფრინავთ.

საღამოს ბროდვეიზე გავიარეთ. განათება. ბროდვეის სიგრძე 36 კილომეტრია. ყველაზე გრძელი ქუჩა მსოფლიოში.

9 დეკემბერი

ექსკურსია ნიუ-იორკში.

წვიმა.

ქალაქელები წვიმაში სახეგანათებულნი დადიან. დღეს შეიძლება სუნთქვა. გიდი გვეუბნება, ჩვენ ახლა „პიდარასტების“ უბანში მივდივართო. სახელმწიფოს მიერ დაშვებულია მამაკაცთა შორის ქორწინებაც. თავიანთი კლუბები აქვთ. გაზეთებს უშვებენ. ტელევიზიაში სპეციალური გა-

დაცემაც აქვთ. არ მალავენ. განცხადებებში პირდაპირ ხაზს უსვამენ. საშინელება იყო. მოსმენაც კი საზიზღრობაა. არ მომწონს ასეთი „დემოკრატია“.

10 დეკემბერი

მსოფლიოს სავაჭრო ცენტრი.

110-სართულიანი. 412 მეტრი. ყველაზე დიდი შენობაა მსოფლიოში სიმაღლით.

გენიალურადაა გაკეთებული.

11 დეკემბერი

თავისუფლების ქანდაკება. 200 მეტრიანია. კუნძულზე. ხელში ჩირაღდანი უჭირავს. ჩირაღდანზე ლიფტი ადის. კატერით მივდივართ იქამდე. ნიუ-იორკი სულ სხვა ქალაქია. არცერთ ქალაქს არ ჰგავს. ცათამბჯენების ტყე.

კინოფილმი. რობოტები და კოვბოები. სისულელე.

მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი შენობის „ემპაიერ სტეიტ ბილდინგის“ სახურავზე ავედით. უსწრაფესი ლიფტი. 102 სართულიდან გადავყურებთ ნიუ-იორკს.

საღამოს გამოსათხოვარი ვახშამი. ვითამადე, რაც შემეძლო. ებრაელების ქუჩაზე გავედით. ორი ქართველი ებრაელი შეგვხვდა. ისინკა მოშიაშვილი და დავით იაკობაშვილი. ისრაელიდან ვართო ჩამოსული. ქუთაისლები ვართო, ვვაჭრობთ იქაც. რა ვქნათ აბა სხვა ხელობა ჩვენ არ გვაქვსო. იტირეს. საქართველო ძალიან მოგვენატრაო.

12 დეკემბერი

შევხვდი პოეტ მაიკლ ბენედიქტს. 10 წიგნის ავტორია, თან კოლუმბიის უნივერსიტეტში ასწავლის. ამერიკაში ახლა ძალიან ძნელია გახდე პოპულარული პოეტი. პოლიტიკის გარეშე ვდგავართ. მწერლებს არ გვაინტერესებს რა ხდება ირგვლივო. თანამედროვე ამერიკული პოემა არ არსებობს. არის თუ არა, რაიმე სამწერლო ორგანიზაცია? – ვკითხე, არის მაგრამ ძნელია გახდე წევრიო. უმეტესად იწერება ლექსები პროზად. ძნელია პროფესიონალმა მწერალმა თავი ირჩინოს. საერთოდ, ამერიკაში, დოკუმენტურ და დეტექტიურ ლიტერატურას კითხულობენ, სხვა წიგნების ტირაჟი ცოტაა, არ იყიდება და იმიტომ.

ინდოეთი – ეგვიპტე – 1979

23 იანვარი

დელის აეროპორტზე დილაადრიან დავეშვით. ინდოეთი ჩემი ბავშვობის ოცნება იყო.

პირველი შეგრძნება რაც საბაჟოდან გამოსვლისას გამიჩნდა. ინდოეთი არცერთ აქამდე ჩემს მიერ ნანახ ქვეყანას არა ჰგავს.

ინდოელი დაბალი ტანის, წვრილთავა, გამხდარი, საოცრად ნაღვლიანი თვალებით.

აეროპორტიდან სასტუმრო „ხანჟიტამდე“, სადაც დავბინავდით, საკმაოდ შორია, ევროპული ტიპის სასტუმროა, ქალაქის ცენტრში გვხვდება მხოლოდ. ველისიპედზე ამხედრებული ინდოეთი, ძველი, ულამაზო, მსუბუქი მანქანები (იშვიათად) და მოტოციკლეტ-რიქშები.

პირველ ღამეს ვათევთ დელიში მე და ჩემი მეუღლე, მიუხედავად სამი ღამის უძილობისა, ძილი მაინც არ მეკარება. დღეს დავათვალიერეთ მეჩეთი. ფეხზე გავიხადეთ და ჭუჭყიან ქვაფენილზე დიდხანს ვიარეთ. ჩემი გონებიდან არ ამოვა ქუჩაში უპატრონოდ დაყრილი მილიონი კაცი.

ვირტუოზული მანუფაქტურა.

მყიდველი არ არის.

მათხოვრები, კეთროვნები.

საკმარისი გახდა პატარა მათხოვარისთვის ერთი რუპია გადამეგდო, რომ მთელი დუნია დამესია. გამოწვდილი ხელები, მუდარით სავსე თვალები. მუცელზე ხელმიდებული პატარა კაცი – ვკვდები, მშია! სამი მათხოვარი ბავშვი კარგა ხანს ფეხდაფეხ მოსდევდა ჩვენს ავტობუსს.

ენით აუწერელი სიბინძურე.

ქუჩაში ყველას თვალწინ, ყველას დასანახად მოშარდვა ჩვეულებრივ საქმედაა მიჩნეული. მეჩეთში პატარა ჭუჭყიან აუზში ხელ-ფეხს იბანენ და მერე დიდი მოწიწებითვე, სვამენ წყალს იმავე აუზიდან.



ინდოეთი. ღია ტუალეტი ქუჩაში

„კრასნი ფორტი“. ინდოელ მეფეთა რეზიდენცია. ულამაზესი არქიტექტურა. ხალხის სიყვარული პოეზიისადმი. რა ყურადღებით უსმენენ ლექსებს. შარტრის კრემაციის ადგილი. ჯავაჰარლალ ნერუს კრემაციის ადგილი. მაჰათმა განდის (პირველი პრეზიდენტის) კრემაციის ადგილი.

ჩემს წარმოდგენაში დელი (დელი და მთელი ინდოეთი) ეს არის მოკრიალებული ლურჯი ცა, მწვანე მდელოებზე ჯგუფ-ჯგუფად მდუმარედ დაყუნცული ინდოელები და ხელგაწვდილი მათხოვრები.

საღამოს პროფესორმა ნატალია მიხაილოვნა კაზანოვამ წამიყვანა კრიშნასადმი მიძღვნილ წარმოდგენაზე „რაელილა“. 13-14 წლის ბიჭები გოგონების როლს თამაშობენ. წარმოდგე-

ნა რომ დამთავრდა, მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა, სცენის კიბესთან რიგი გაიმართა, ფეხზე იხდიან, ადიან სცენაზე ფეხშიშველნი (მიუხედავად წოდებისა და მდგომარეობისა) და ფეხზე ჰკოცნიან იმ პოეტს თუ მსახიობს, ვისი გამოსვლაც მოეწონათ. თანაც მის სახელზე დასტებად თეფშზე ფულს აწყობენ.

ხელოვანის სიყვარულის გამოხატვის უფრო ლამაზი ფორმა მე არ მინახავს.

ინდოეთი

24 იანვარი

დილით ბირლას ტაძარი დავათვალიერეთ. კრიშნას საოდიდებლად აგებული გრანდიოზული ნაგებობა.

საფდარჯანდის მავზოლეუმი. გასაგიჟებელი ჩუქურთმები.

მთელი საათი ფეხშიშველი გვატარებდნენ თეთრი მარმარილოს იატაკზე. ტაძარში იდეალური სისუფთავეა. განუწყვეტლივ ისმის მორწმუნეთა სიმღერა.

ახალი დელი.

რამოდენა კონტრასტია ძველთან შედარებით. მდიდრული ვილები. სკოლებში ყველგან ფორმა აუცილებელია.

კუტეს მინარეთი 1199 წელს აგებული კოშკი. 72 მეტრი სიმაღლისა. ძალიან ლამაზია.

საღამოს ნატალია მიხაილოვნამ წამიყვანა პროფესორ მუკერჯის ბინაზე. ძალიან საინტერესო იყო. შესანიშნავი საზოგადოება. ბულგარეთის ელჩი, დელის უნივერსიტეტის პრორექტორი, გერმანელი გამომცემელი. თეფშზე გიდებს საჭმელს, ჩამოატარებს თვითონ მასპინძელი.

2-დან 6-მდე მოსაწყენი საათები გვქონდა ტიბეტის სავაჭრო ქუჩაზე. პროფესორ მუკერჯის სახლში სტუმრები თავს ლაღად გრძნობდნენ. თითო მათგანი ხუთ ენაზე მაინც ლაპარაკობდა. მე ჩემი დამტვრეული ინგლისურით მაინც-დამაინც ვერ ვბრწყინავდი. ბოლოს დელის უნივერსიტეტის პრორექტორმა მკითხა ინგლისურის, ქართულის და რუსულის გარდა, კიდევ რა ენები იცითო. მე პასუხად მოვუყევი ერთი კახური ანეკდოტი. კახელს უცხოელი სამ სხვადასხვა ენაზე დაელაპარაკა და მაინც ვერაფერი გააგებინა. ბოლოს ცოლმა უთხრა, ხომ გითხარი კაცო, ერთი უცხო ენა მაინც გესწავლა, გამოგადგებოდაო. მან ხომ ბევრი ენა იცის, განა მას კი ძალიან გამოადგაო – მიუგო კახელმა.

ჩვენი ხელმძღვანელი ნუგზარ ოდიშვილი, ცუდი ბიჭი არ ჩანს. საქმიანი, სერიოზული კაცია. არ მწყენია როცა მითხრა, მარტო ვერ გაგიშვებ, ორგანოს წარმომადგენელი უნდა გაგაყოლო, რა ვიცი სად მიდიხარო.

პროფესორ მუკერჯის წინადადება მივეცი, ერთი თავისი ასპირანტი თბილისში გამოგზავნოს ქართულ-ინდურ ენათა მსგავსების შესასწავლად.

ჩემი წიგნის თარგმანის სურვილი გამოთქვა.

25 იანვარი

დავათვალიერეთ თანამედროვე ხელოვნების გამოფენა.

ინდოეთის ულტრათანამედროვე ფერწერა, გრაფიკა, გრავიურა, ჭედური ხელოვნება. გასაოცარი კონტრასტია – მილიონი წლის ინდოელ მხატვარს, რომელსაც ათასწლეულთა მიღმა განსაცვრიფებელი ტაძრები, ფრესკები და სკულპტურები შეუქმნია, გადაუწყვეტია „თანამედროვე“ მხატვრად ქცევა. პარიზში პიკასოსა და სხვა ხელოვნების ავანტიურისტებიდან გაკვეთილები მიუღია და კუბისტ-იმპერსიონისტ-იმაჟინისტთა ცუდი იმიტაციით ჯღაბნა დაუწყია. „ვირის კუდით“ ნახატიც ბევრი ვნახეთ.



ინდოეთი

ერთ-ერთ ნახატზე გიდი გვიყვებოდა აქ ესა და ეს ამბავია გამოხატულიო, ჩვენ პირდაღებულნი შევცქეროდით. ის

კი დაჟინებით და სერიოზულად გვიმტკიცებდა ეს ამას ნიშნავს, ეს კი ამასო. მერე, სხვა ნახატზე გადავიდა, წარწერა წაიკითხა და ბოდიში მოგვიხადა: რაც გითხარით, ამ ნახატზე კი არა, აი ამ ნახატზეაო. მოდი და ამის შემდეგ გჯეროდეს უაზრო, „აბსტრაქტული ხელოვნების“.

უგემოვნო, სუსტი, დაბალი დონის გამოფენაა.

ჩვენმა გიდმა სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში არ შეგვახედა – ტექნიკურად დაბალ დონეზეა მოწყობილი და მთავრობამ აგვიკრძალაო.

შუადღისას, რომელიღაც ამერიკული, კოვბოური, სულელური ფილმი ვნახეთ. ბოლომდე არ დავრჩენილვართ, ინდოეთში ამერიკულ, კოვბოურ ფილმზე კაცი გაცდება? მითუმეტეს, რომ მხოლოდ ორიოდე დღით ვართ ჩამოსულნი.

საქმიანი, მდიდრული დელის ქალები განსაკუთრებით ლამაზები არიან.

ქუჩაში სახელოსნოები. ოსტატები სხედან და განსაცვიფრებელი რაოდენობით აკეთებენ სამაჯურებს, ძვირფასთვლიან ბეჭდებს, სამკაულებს, სათამაშოებს, სპილოს ძვლისა და ძვირფასი ხისგან გამოთლილ სუვენირებს და ყოველივე ამას ჩალის ფასად – ჩალა რა ოხრად უნდათ, ლუკმა-პურის ფასად ჰყიდიან.

ხალხური ხელოვნება უმაღლეს დონეზეა.

საღამოთი საქორწილო ცერემონიალს დავესწარით. ქორწილი ასეთია: ცალკე ოთახში ფეხზე ისადილებენ. მერე გამოდიან საქორწინო დარბაზში. დარბაზის კარებში მწვანე ფოთოლში გახვეულ ერთ ლუკმას მოგაწვდიან. სავალდებულოა – ყველამ უნდა ჭამოს. ამ ერთ ლუკმაში შედის ათასწლეულით ნასწავლი დაახლოებით ოცდაათი სხვადასხვა სახის ბალახი-წამალი. მეც მომაწოდეს. დავღეჭე თუ არა, პირი გამევსო მოტკბო-მომლაშო გემოთი, რაც მთელი სამი საათის მანძილზე არ გამინელდა. თანაც გუნება გამიხალისდა.

ამიხსნეს ეს არისო ძველი, ტრადიციული „ინდური ლუკმა“,

კუჭის, ღრძილების, სასუნთქი გზების და „ტონუსის ასაწევი“ წამალი. თურმე ცოტა ჰაშიშსაც შეიცავს.

ქორწილში ყველა წვეული სათითაოდ უახლოვდება ნეფე-დედოფალს და ლოცავს მოკლე სიტყვით, მერე საჩუქარს მი-ართმევს. ქორწილი თურმე ზოგჯერ სამ დღესაც გრძელდება.

ნეტავ საიდან იცოდა ინდოეთი რუსთაველმა? ანდა რა-ტომ იყო ტარიელი მაინცდამაინც ინდოელი?

სვეტამ ჩვენი წილი „რუპიები“ ისე კარგად „გაანაწილა“, რომ მგონი ჭეშმარიტად ინდური სუვენირების გარეშე ვრჩებით.

რა უნდა იყიდო? შენი კაპიკები რას უნდა გაწვდეს. მე, ჩემდა თავად, მათხოვრებს (მათხოვრობის ოსტატობა უმაღ-ლეს დონეზეა) დავურიგებდი რუპიებს და დავისვენებდი.

26 იანვარი

აგრა – ინდოეთის ძველი დედაქალაქისკენ მივფრინავთ.

ჩიტისხელა პილოტები რომ ამოვიდნენ თვითმფრინავში, ცოტა არ იყოს შევშინდი, ამათ იმედზე ყოფნა ძნელია მეთქი, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა.

ფრენის წესები ყველგან ერთნაირია, ყველგან ამოწმებენ. გულდასმით გაგვჩხრიკეს პოლიციელებმა თვითმფრინავში ჩასხდომის წინ.

სასტუმრო „კლარკ შირაზის“ ეზოშივე შეგვეგება ეგზოტი-კური ინდოეთი. ქუჩის პირას კოცონი დაენთოთ და ფაკირი ცეცხლის ალში გადი-გამოდიოდა. ორ ინდოელს უზარმაზარი პითონი შემოხვია ტანზე და მნახველს უხმობდა. მესამე კი სალამურს უკრავდა და სალამურის ხმაზე გაქვავებულ გვ-ელს თვალებში შეჰყურებდა.

სასტუმროს ეზოში ლამაზად მორთული სპილო დაჰყავ-დათ და ტურისტებს თითო რუპიის ფასად სპილოთი გასეირ-ნებას სთავაზობდნენ.

ტაჯმაჰალის მავზოლეუმი. მსოფლიოს საოცრება.

თეთრი, უბრწყინვალესი მარმარილოსგან აგებული დიდე-ბული ძეგლი ხელოვნებისა.

რა სიმეტრიაა, რა ჰაეროვნება, რა სილამაზე.

შემდეგ „აგრის ფორტს“, ციხესიმაგრეს ვესტუმრეთ.

რა ხელმა ააგო.

ციხე-ქალაქი შაჰის სასახლით. შაჰის საძინებელი ოთახი. ძვირფასი ქვებით მოოჭვილი მარმარილოს კედლები.

შადრევნები.



ინდოეთი. ტაჯმაჰალი

ტურისტები თურმე დღეს დანებით ჩიჩქნიან კედლებს ძვირფასი ქვების (ლალი, ფირუზი) ამოსაცლელად.

დავიღალე. ამდენი შთაბეჭდილების მიღება ერთ დღეს, ასე ერთბაშად, არ შეიძლება.

საღამოს ქალაქში გასეირნება დავაპირე, მაგრამ უკანვე დავბრუნდით. აქ ხალხი თითქმის არ სეირნობს და არც შენ მოგცემენ სეირნობის უფლებას.

ხან რიქშა-ველოსიპედმა გვსდია მე და სვეტას იაფად წაგიყვანთო, ხან ჩალმიანი ინდოელი აგვედევნა, საპონი ან დუხი მომეცითო, ბოლოს პატარა მათხოვარმა სული ამოგვართვა.

გუნება გაგვიფუჭდა და სასტუმროში დავბრუნდით.

27 იანვარი

მთელმა მსოფლიომ უნდა იზრუნოს იმისათვის, რათა ინდოეთი დიდ ნაკრძალად გამოცხადდეს. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ადამიანის შესაძლებლობათა ზეიმია. ინდოეთმა არ უნდა განავითაროს მძიმე მრეწველობა, ინდოეთმა არ უნდა დანისლოს მისი კრიალა ცა ფაბრიკა-ქარხნების ბოლით.

ინდოეთი ტურიზმით ირჩენს თავს. არაერთი ქვეყანა მომივლია, მაგრამ რა ისტორიული ძეგლებიც ვნახე, ყველგან ვგრძნობდი ზღვარს ისტორიულსა და დღევანდელს შორის. ვგრძნობდი, რომ მკვდარ სასახლეებს ვათვალიერებდი. ტაძრებს შორის სხვა ადამიანები დააბიჯებდნენ და ყოველთვის მიჭირდა კოსტუმიანი კაცის და ათასი წლის ტაძრის ერთმანეთთან დაკავშირება.

მგონი მხოლოდ ინდოეთში ეს ზღვარი გამქრალია, ინდოელთათვის დრო შეჩერებულია. შუა საუკუნეთა ზღაპრულ სრა-სასახლეთა შორის ისევ შუა საუკუნეების ადამიანები დააბიჯებენ. იგივე მორწმუნენი, იგივე ფეხშიშველა მონები, მათხოვრები და სარიში გახვეული ულამაზესი ქალები.

რა ჰაეროვანია, რა ქალური, რა ლამაზია ინდოელი ქალის სამოსი. სარი ქალს განსაცვიფრებელ კდემამოსილებას ანიჭებს.

დღეს სიკრის სასახლე დავათვალიერეთ. ენით აუწერელი მშვენიერება. აბრეშუმივით დამორჩილებული მარმარილო. გზად სოფლები გავიარეთ. სიბინძურე, პრიმიტიული დამუშავება მიწის. სადმე თუ არსებობს ტრაქტორი და კომბაინი ვერ წარმოიდგენ.

ბრინჯი, შაქრის ლერწამი, ბანანი, ანანასი, ციტრუსები, ფეიჰოია.

კამეჩები...

ფუნას ჭადის ფორმას აძლევენ, ახმობენ და ზამთარში შეშად იყენებენ.

ვაზი არსად მინახავს.

სკოლაში შევიარეთ. სწავლება 4 წლიდან იწყება, „ნული კლასი“. მე-6 კლასამდე ქალ-ვაჟები ერთად სწავლობენ. მერე ცალ-ცალკე. მე-6 კლასამდე სწავლის ქირაა საჭირო, მერე აღარ. სწავლის ხანგრძლივობა ათი წელია. არავითარი კაბინეტ-ლაბორატორიები. გაკვეთილებს ხშირად სკოლის ეზოში, ბალახზე ატარებენ. მასწავლებლის ხელფასი დაბალია, საშუალოდ 500 რუპია.

ინდოეთი. სკოლა

სადილის შემდეგ სპილოთი ვისეირნე. ჩემს მეტმა ჩვენი ჯგუფიდან ვერავინ „გარისკა“ სპილოზე შეჯდომა. სადილის შემდეგ ინდოელმა ილუზიონისტმა ფოკუსები გვიჩვენა.

საერთოდ აქ ხელის სისწრაფე, ფოკუსის, ილუზიონისტის ხელოვნება მაღალ დონეზეა.

მე ვიხუმრე, საბჭოთა ხალხს „ფოკუსით“ ვერ გაგვაკვირვებთ მეთქი. ფოკუსი ჩვენ რომ ვაკეთებთ სწორედ ის არის მეთქი. აბა ეს ინდოელები თუ შეძლებენ 90 მანეთი ხელფასით ცოლ-შვილის რჩენას, როგორც ამას ჩვენში ბევრი ახერხებს მეთქი.

ღარიბი ინდოელის საცხოვრებელი, მიწური, არავითარი ლეიბ-საბანი.

28 იანვარი

მთელი დღე აგრაში „თავისუფალი“ გვქონდა. გასაოცრად მიყვარს ცოცხალი ქალაქი. ქალაქში ფეხით სიარული. გამვლელ-გამომვლელთა თვალიერება. ყველაზე მეტად და უკეთესად მაშინ აღიქვამ ქვეყანას, როცა უბის წიგნაკმომარჯვებული გიდს კი არ დასდევ წინ და უკან, არამედ მარტო მიაბიჯებ ქუჩაში.

რამდენი რამ იტაცებს თვალსა და გონებას.

საათობით ვუცქერი ქვისმთლელებს, ჩუქურთმისმჭრელებს, მქსოველებს. ქუჩაში აქეთ-იქეთ ჩამწკრივებულ პაწაწკინტელა სახელოსნოებში მაიმუნებივით ჩაცუცქული ინდოელები სასწაულს ახდენენ.

ჩემს თვალწინ ზუსტად ხუთ წუთში გამოთალა ხისაგან ოსტატმა სპილო. ყოველივე ჩარხისა და ტექნიკის დაუხმარებლად – ჯაყვით.

წაღმა-უკუღმა ვარიგებთ ფანქრებს და ამით ვიგერიებთ მათხოვრებს, რომლებიც იმდენად კადნიერდებიან რომ გზას გვიღობავენ, ხელს გვკიდებენ და ცოტა არ იყოს კატეგორიულად მოითხოვენ „მოწყალებას“. რა აქვთ ამდენი საწერი?

მშიერმა, გაძვალტყავებულმა რიქშა-ველოსიპედმა თითო რუპიად მთელი ქალაქი შემოგვატარა.

მაღაზიას რომ მიუახლოვდები სამი-ოთხი ინდოელი გამოვარდება და გემუდარება ჩემთან შემოდიო. როცა აუხსნი, რომ შენ ფული არა გაქვს და მხოლოდ ქალაქის დათვალიერება გინდა, უკან როდი იხევს. ნურაფერს იყიდით, ისე შემოიხედეთ, დაათვალიერეთო. როცა შეგიტყუებს ათასნაირ საქონელს დაგაყრის და სანამ რაიმეს არ გაგასაღებინებს არ მოგეშვება. თუ ფული არ გაქვს, რაიმეში გაგიცვლიო გეხვეწება, შენს გამონაცვალ წინდებსაც კი არ ითაკილებს, თუ გასაცვლელად შეელევი!

ინდოეთი. საროსკიპო

დიდხანს ვერთობოდი ჩვენი სასტუმროს სპილოთი. როგორ არის დაბეჩავებული ეს საცოდავი. ეს ამოდენა გიგანტი მთელი დღე დგას და ტურისტებს „ემსახურება“. მარტო ერთხელ გაიღვიძა მასში მხეცმა. თურმე ავტობუსს ვერ იტანს. შემოვიდა თუ არა ეზოში ავტობუსი, ერთი კი დაიყმუვლა, ორ ფეხზე დადგა და იერიშზე წამოვიდა. ძლივს დააკავეს თორემ ავტობუსს კარგ დღეს არ დააყრიდა.

საღამოს ცხრა საათზე ჯაიპურში ჩამოვფრინდით და სასტუმრო „ამერში“ დავბინავდით. ორმა ქალმა ჩვენს მეზობელ ოთახში შესვლისთანავე საწოლზე ხვლიკები შენიშნა და ისეთი კივილი მორთეს, რომ მთელი სასტუმრო ფეხზე დადგა.

ხვალ ჯაპურს დავათვალიერებთ.

29 იანვარი

ჯაიპური – ინდოეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი.

ინდოეთში პირველად ვნახეთ მთები.

ჯაიპური წითელ ქალაქს ნიშნავს, მართლაც მთელი ქალაქი აგებულია წითელი ინდური ტუფისგან და ქალაქს რომ ერთიანი იერი ჰქონდეს, ის სახლებიც კი სხვა მასალისგან რომლებიცაა აგებული – შეღებილია წითლად.

შუსაუკუნური აღმოსავლური ტიპიური ქალაქი. სავსეა ხალხით, ყაყანით, სიღარიბით და სიბინძურით.

ჯაიპურს ირგვლივ ულამაზესი მთები აკრავს. ქართველ კაცს შორიდან იგი სიღნაღს მოაგონებს.

ამბერის სასახლისკენ გვიჭირავს გეზი.

ქალაქს რომ გავცდით, ერთბაშად თითქოს მთელი ათასი წლით უკან დავიხიეთ. ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვხვდება მიტოვებული უზარმაზარი სასახლეები. ამ დახავსებულ პალატებში რა თქმა უნდა აღარავინ ცხოვრობს, სახელმწიფოსაც დაავიწყდა ისინი, რადგანაც ამ „უბრალო“ ძეგლებისთვის კი არა ამბერის სასახლის შენახვისთვისაც არა გვაქვს თანხაო – ამბობს გიდი.

არა და „უბრალოდ“ ნათლავს გიდი მე-16, მე-17 საუკუნეებში აგებულ უაღრესად ორიგინალურ და მონუმენტურ სრა-სასახლეებს.

ამბერის კომპლექსს მართლაც ვერაფერი შეედრება. ასე მასშტაბური და გრანდიოზული თვით ცნობილი ტაჯ-მაჰალიც არ არის.

წარმოიდგინეთ დაახლოებით ათი კილომეტრის მანძილზე გაშლილი ამ ათასხუთასი წლის წინათ აშენებული ულამაზესი ქალაქი – მაჰარაჯათა მუდმივი რეზიდენცია. მაჰარაჯას საწოლი ოთახი. პალატები მისი ათასხუთასი ცოლისთვის.

თითოეული ცოლის ოთახი ერთმანეთისგან ისეა იზოლირებული, რომ სხვანი ვერ დაინახავდნენ საჭურისს როგორ მოჰყავდა მბრძანებლის საწოლისკენ რომელიმე ცოლი.

შადრევნები.

თეატრონი და საცეკვაო მოედანი.

სადაფითა და ლალით მოოჭვილი თეთრი მარმარილოს კედლები.

რომელ ერთ სასახლეს ნახავ, რომელ ერთ დარბაზში შეიხედავ. რის ნახვას მოასწრებ.

არსად, არცერთ ისტორიულ ძეგლზე ინდოეთში მცირე წარწერაც არ მინახავს უტიფარი მნახველის ხელით მიწერილი. ჩვენ რა ღმერთი გაგვიწყრა?

ინდოეთი

სადილის შემდეგ მაჰარაჯას მუზეუმ-სასახლე დავათვალიერეთ ჯაიპურში. მაჰარაჯა ამავე დროს დიდი მეცნიერი და პოეტიც ყოფილა. დაახლოებით ერთ ჰექტარზე, ღია ცის ქვეშ, იმ დროისათვის უბრწყინვალესი ობსერვატორია მოუწყვია. მზის საათი, კალენდარი, გეომეტრიული სხეულები, ვარსკვლავთა სათვალთვალო კოშკი.

ნუთუ ამ ინდოელის გონება ახდენდა ასეთ სასწაულებს? ნუთუ ამ ინდოელის წინაპარი აზროვნებდა ასე მეფურად და პოეტურად, ნუთუ ამ ინდოელს ჰქონდა ასე დახვეწილი გემოვნება?

უყურებ შენს ირგვლივ შეჯარულ, ხელგამოწვდილ, პირდაუბანელ, სარშემოხვეულ ინდოელებს და ვერ დაგიჯერებია – ნუთუ ამ ხალხმა ააშენა ეს ყველაფერი და გამოცანად დაუტოვა კაცობრიობას?

ამბერის სასახლემდე სპილოებზე ამხედრებულნი ავედით.

სპილო – ინდოეთის სიმბოლო. კეთილი და საწყალი სპილო.

მაჰარაჯათა სასახლეების ქონგურებზე მაიმუნები ემანჭებიან ტურისტებს ერთი ბეწო შოკოლადის მისაღებად.

ბედის ირონიაა?

როცა საღამოობით ტურისტთა ფეხის ხმა მიწყდება და მოხელე-ინდოელებიც სახლებს მიაშურებენ, მაჰარაჯათა სრა-სასახლეებში მაიმუნები „დაბრძანდებიან“.

30 იანვარი

ბომბეი.

ინდოეთის (და მსოფლიოს) ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი.

სახელგანთქმული ნავსადგური.

ინდოეთის ოკეანის ნაპირებზე ორმოც კილომეტრზე გაჭიმულა. თვითმფრინავიდან კუნძულებზე გაშენებული

გვეგონა. აგვიხსნეს თქვენ რომ წყალი გგონიათ, ჭაობიაო. თვით შუა ქალაქში ჯერ კიდევ ბლომადაა ამოუშრობი ჭაობები (თავისი კოღოებით, ციებ-ცხელებითა და სხვა სიკეთით). სადაც მშენებლობა არ ხერხდება და ამიტომაც ბლომად შეხვდებით ბომბეიში „მიწებსო“.

სასტუმრო ჰორიზონში დავბინავდით. „ჰორიზონი“ ზედ ზღვის ნაპირზეა. ჩემი ფანჯრიდან ინდოეთის ოკეანე მოჩანს.

ნასადილევს ქუჩებს მოვედეთ. ვიწრო ქუჩები. ქოხმახებთან ძვირფასი ვილები. საშუალო შესაძლებლობის ხალხის საცხოვრებელი არ ჩანს. მე ერთნაირად მძულს მათხოვარიც და მდიდარიც (ჰარამი შრომით გამდიდრებულზე მოგახსენებთ). პირველი უნიათო, მშიშარა და ზარმაცია. მეორე ფულის ყულაბას გამოდევნებული და ოქროთი გონებადანისლული. მაგრამ სად ცხოვრობს იგი, ინდოეთის პატიოსანი მოქალაქე? ბომბეის ქუჩებში მათ კვალს ვერ იპოვით.

ქუჩამ რომ დამღალა, ზღვას მივაშურე. ინდოეთის მზის გულზე ვწევარ. პლაჟზეც საინტერესო სანახაობა ვიხილეთ. საოჯახო ცირკი. შავი ინდოლები (რატომღაც უფრო შავები, ვიდრე ჩვეულებრივ არიან) მოცვივდნენ დოლ-ბარაბანის გრგვინვით და დაიწყეს საცირკო ტრიუკების შესრულება. დედები, ბავშვები, მოხუცები, ახალგაზრდები – ყველა ასრულებს თითო საცირკო ნომერს და მერე ყველანი ხელგამოწვდილნი გთხოვენ გასამრჯელოს. შენ არ მოგიწვევია? მერე რა, წარმოდგენას ხომ უყურებდი, ახლა ვალდებული ხარ დაეხმარო.

მაღაზიები სავსეა, მაგრამ მყიდველი არ ჩანს. განა მოთხოვნილება არ არის, უბრალოდ ფული არა აქვთ და არათუ ფული არა აქვთ, ფულის შესანახი ჯიბეც არა აქვთ. ორმეტრიან ქსოვილს შემოიხვევს ტანზე და ჰაიდა, რა საბუთი, რა პარტბილეთი, არაფერი მათ არ სჭირდებათ.

31 იანვარი

ბომბეის გრძელი დღე.

დიდი ევროპული ტიპის ქალაქი. გარშემორტყმული ღარიბთა ქოხებით. სამრეცხაოები ღია ცის ქვეშ. ამ შრომატევად და მძიმე სამუშაოს ინდოეთში (სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით) ძირითადად მამაკაცები ასრულებენ.

ზარათუსტრას სამლოცველო.

შემაზრზენი წესი ცხედრის გაპატიოსნებისა. მაღლა ანიშზე დაასვენებენ, რათა სვავებმა შეჭამონ.

ბომბეის აკვარიუმი.

ბომბეის დაკიდებული ბაღები.

შუადღის შემდეგ ისევ ინდოეთის ოკეანეში ბანაობა.

საღამოს ბომბეის ერთ ქრისტიანულ ეკლესიაში დაკრძალვას შევესწარით. დაკრძალვა სასაფლოზე – კუბოთი, რაც იშვიათია სხვა ტომისა და რწმენის ინდოელთათვის (ძირითადად კრემაციას ახდენენ). ცხედრის დამარხვის შემდეგ მიცვალებული ჭირისუფლებთან დიდი რიგი გაიმართა. ამხნევებენ, ხელს ართმევენ, ანუგეშებენ.

ეკონომიკური დახმარება?

ავადმყოფობას გაიგებენ თუ არა, ნათესავები, ახლობლები და მეგობრები ავადმყოფის სახლს არ შორდებიან, შეუკრებენ ფულს, მიაქვთ სურსათი, პროდუქტები. რაც უფრო მძიმედაა ავადმყოფი, მით მეტი ინტენსივობით ეხმარებიან. ასე რომ, გარდაცვალების შემდეგ, მის ოჯახს უკვე დაუგროვდა გარკვეული თანხა დასაფლავების ხარჯებისთვის.

განა ეს უფრო ქმედითი და სწორი დახმარება არ არის, ვიდრე გარდაცვალების შემდეგ (მოლასი და ფლავის არ იყოს) 100-100 მანეთის შეგროვება, როგორც ეს ზუგდიდში და სხვა ქალაქებში იციან?

საფლავის მიწა უფასოა, მაგრამ ინდოელი ქრისტიანები თურმე საფლავის გაფორმებაზე თავს არ იწუხებენ, ხის ან რკინის ჯვარს დაასობენ და მორჩა.

1 თებერვალი

დღეს ბომბეის მახლობელ კუნძულზე კატარღით წაგვიყვანეს ე.წ. „სპილოების გამოქვაბულის“ დასათვალიერებლად.

„სპილოს გამოქვაბული“ რომ გვითხრეს, მე სიმართლე გითხრათ, მეგონა რომ სპილოების ნაკრძალში მივყავდით. სპილო თვალით არ გვინახავს. ეს სახელი ძველითგანვე შეურქმევიათ, ერთ დროს სპილოებით მდიდარი ამ კუნძულისთვის.

ვნახეთ მიწისქვეშა ტაძარი, რომლის მსგავსი რამ არსად მინახავს – მას სხვანაირად „შივას ტაძარი“ ჰქვია. გამოქვაბული სავსეა შივას ექვსმეტრიანი ქანდაკებებით და შივასთან დაკავშირებული სიუჟეტების ბარელიეფებით.

მაიმუნები ფეხებში გვედებიან. აქ იმდენი მაიმუნია რომ კუნძულს, ჩემი საქმე რომ იყოს, მაიმუნების კუნძულს დავარქმევდიო, იხუმრა გიდმა.

სადილის შემდეგ ისევ ბომბეის ქუჩებში ვართ. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეგზოტიკა. სრულიად უჩვეულო საუბრის მანერა, ჟესტით და მიმიკით საუბარი. ქალებს უჩვეულოდ წვრილი ხმა აქვთ, კაცებს გამოკვეთილად ბოხი.

რაჯ-კაპური – ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კაცია ინდოეთში. იქნებ მის სტუდიაში მივიდეთ, ათიოდე წუთი დაგვითმოს, დავათვალიეროთ, ვკითხოთ რაზე მუშაობს მეთქი, ჩამოვურაკრაკე აქაურ გიდს, მაგრამ წამიყრუა. ცოტა ხნის შემდეგ მითხრა: ამ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში რაჯ-კაპური საბჭოთა ტურისტებს მხოლოდ ერთხელ შეხვდა, თავს არიდებსო.

რატომ შემოგვწყრა ეს დიდი მსახიობი და რეჟისორი? ვინ იცის.

საღამოს ახლა უკვე მეორე ქორწილს შევესწარით ინდოე-

თის მიწაზე. ცეკვაც მომიწია. აქაც ისეთივე ქორწილი დელიში რომ ვიხილეთ.

2 თებერვალი

ისევ ბომბეი.

მთელი დღე ზღვაზე გავატარეთ.

ოკეანე ღრმად და მძიმედ სუნთქავს. ზღვის მიმოქცევა 30-40 მეტრამდე აღწევს. ამიტომ ბომბეის უზარმაზარი პლაჟი აქვს. სიგანით დაახლოებით 100-120 მეტრი.

ოკეანის წყალი მღვრიე და ჭუჭყიანია, თანაც გულისამრევად მარილიანი.

ინდოეთი. ბომბეი

3 თებერვალი

ექვსსაათნახევარი იფრინა ჩვენმა თვითმფრინავმა ოკეანის თავზე და დილის ცხრა საათიც არ იქნებოდა კაიროში რომ ჩამოგვიყვანა.

პირველი შთაბეჭდილება, ეგვიპტელი არაბები მაღალი, ვაჟკაცური გარეგნობისანი არიან. ქალები უმეტესწილად მსუქნები. ქუჩები დელი-ბომბეისთან შედარებით გაცილებით სუფთაა.

საბაჟოს მოხელეები ჩვენს ჩემოდნებში დიდხანს და გააფთრებით ეძებდნენ რაღაცას.

სასტუმრო „ქაიროსი“ – ფეშენებელურობით ვერ დაიკვეხნის.



ეგვიპტე

ქრისტიანული ეკლესია. წმინდა სერგის ტაძარი. მე-6 საუკუნისა. მარიამ ღვთისმშობლისა და ქრისტეს დამალვის ადგილი.

სინაგოგა.

უიშვიათესი ხელნაწერები.

მუჰამედ ალი ფაშას მეჩეთი – გრანდიოზული ნაგებობა.

საღამოს პირამიდებთან დაკავშირებულ ლიტერატურულ-დრამატულ კომპოზიციას დავესწარი.

პირველად მეგონა დეკორაციებს შევცქეროდი თეატრში. თურმე ნამდვილი პირამიდების წინ ვიჯექი.

სასწაულია პირამიდა თავისი გრანდიოზულობით და იდუმალებით.

4 თებერვალი

დილით ჩვენი საკონსულოს სტუმრები ვართ.

საკონსულოს თანამშრომელი გვიამბობს იმის შესახებ, თუ როგორ აიწია ფასებმა ამ ბოლო დროს ეგვიპტეში (ბენზინი, საკვები, ოქრო).

უბინაობის მსოფლიო პრობლემა. ეგვიპტეს ეხმარება დოლარით ამერიკა და ინგლისი. აეროპორტიდან ორ კილომეტრში არის მუსლიმანთა სასაფლაო. ამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში უბინაო ხალხმა დაიწყო სასაფლაოს ოკუპირება. ცოცხლებმა გამოდევნეს მკვდრები საფლავებიდან. მუსლიმანთა სასაფლაოზე ქირაობენ ოთახებს, აკეთებენ ტრადიციულად. ასე რომ ამგვარი ოთახი-სასაფლაო უბინაოსთვის საცხოვრებლად ფრიად მოსახერხებელია.

სადათი ისრაელთან დამარცხებას და ქვეყნის ეკონომიურ სიდუხჭირეს საბჭოთა კავშირს აბრალებს.

ექსკურსია ქალაქში.

კაიროში 5 უნივერსიტეტია.

ხეოფსის, ხეფრინის და მიქემირონის პირამიდები!

ეგვიპტე

სულ 83 პირამიდაა ეგვიპტეში. მარტო ერთი სარკოფაგია მიწის ქვეშ. ორი შესასვლელი აქვს. ნამდვილი შესასვლელი და ყალბი.

უცემენტოდ და უდუღაბოდ. 2700 წელი ჩვენს ერამდე. 137 მეტრი სიმაღლე აქვს ხეოფსისს. 20 წელი აშენებდნენ. საფრანგეთს ორჯერ შემოწვდებოდა კედელი რითაც ეს პირამიდაა აშენებული. 4000 წლისაა. ტყუილია რომ თითქოს მონებს აეშენებინოთ. 2 – ოთახია. ერთი ხეოფსისთვის და მეორე ცოლისთვის.

136 მეტრი ხეფრინის პირამიდა ალებასტრით იყო დაფარული.

ძველი ეგვიპტელები ალბათ იყვნენ მექსიკიდან, რადგანაც იქაცაა აშენებული პირამიდებიო, თქვა გიდმა.

ფარაონ ჰეფრინის სფინქსი სიმაღლე – 20, სიგრძე – 55 მეტრი. შამპილიონმა გახსნა იეროგლიფების საიდუმლო.

ნაპოლეონმა ააფეთქა სფინქსის ქანდაკება. მოტეხა ცხვირი.

რატომ? რა უნდოდა?

მემფისი, საჰარა.

რამზეს მეორის უზარმაზარი ქანდაკება. 55 ცოლი ჰყავდა და 225 – შვილი.

ჯუსერის პირამიდა. 60 მეტრი – ყველასგან განსხვავებული. ფარაონ ჯუსერის აკლდამა მიწისქვეშაა. იგი ერთადერთია ეგვიპტის 83 პირამიდიდან, რომლის გაძარცვაც ვერ მოასწრეს (თუ ვერ მოახერხეს) ქურდებმა.

გიდი ამბობს, არსებობს ვერსია, რომ შეიძლება პირამიდები არამიწიერი, ციური, კოსმიური ადამიანების აშენებული იყოსო, რადგანაც მეცნიერთათვის დღესაც გამოცანად არის ქცეული პირამიდების აგების საიდუმლოება: რა ტექნიკით ხეთქავდნენ ამოდენა ლოდებს, როგორ აჰქონდათ მაღლა. რა ხელსაწყოებით იცავდნენ პროპორციებს ასე ზუსტად.

ეგვიპტე

ლაბირინთით ჩავედით ჰეფრინის პირამიდის ცენტრში. ფარაონის აკლდამა. 4 ათასი წლის წინათ ჩაასვენეს ამ აკლდამაში ფარაონი და განსვენებულის „გამპატიოსნებელთაგან“ გარეთ გამოსვლისას ყველამ თავი მოიკლა, რომ პირამიდის საიდუმლო არავისთან წამოცდენოდათ.

დღეს იყო, ალბათ, ყველაზე დიდი დღე ჩემს ცხოვრებაში.

ასეთი შთაბეჭდილება ჩემზე არასოდეს არაფერს მოუხდენია.

დედამიწის ნომერ პირველი საოცრება – უზარმაზარი ხელოვნური მთები – პირამიდები. რა პატარანი და უსუსურნი ჩანდნენ ადამიანები მის გვერდით.

4 საათზე ალექსანდრიისაკენ მივდივართ ავტობუსით. ასფალტიანი გზა უსიცოცხლო უდაბნოში მიიკლაკნება.

კვლავ პირამიდები და ჰეფრინის სფინქსი, რამზესის ქანდაკება მიდგას თვალწინ.

პირამიდა თითქოს გულზე მაწევს და ამოსუნთქვის საშუალებას არ მაძლევს.

ლოდების ჩამოხეთქვის ერთი ხერხი ალბათ ასეთი იყოვო: კლდეში ხვრელს გააკეთებდნენ და ხეს ჩაასობდნენ. ნელნელა ხეს წყალს ასხამდნენ. ხე იჟღინთებოდა და ქვას ხეთქავდა. ქვების ტრანსპორტირების ხერხები ცნობილი არ არის. ნილოსით? ხეებზე დაგორებით? მაღლა ატანა? ყოველ საფეხურს მიწით ფარავდნენ და ასე მიიწევდნენ მაღლა. მხოლოდ ქვის წყობა. არსად არ არის დუღაბი!

5 თებერვალი

სასტუმრო „მეტროპოლი“.

ალექსანდრია. 2,5 მილიონი კაცი ცხოვრობს. აფრიკის ყველაზე დიდი ნავსადგური. 331 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ალექსანდრე მაკედონელმა დაარსა ეს ქალაქი.

ყოველ 22 წამში ბავშვი იბადება. ყოველ 66-ში კვდება

1 კაცი. ალექსანდრიის კატაკომბები. დასაფლავების კულტი ეგვიპტეში. ქვის აბანოები – მერე კუბოდ იყენებდნენ.

მიწისქვეშა მთელი ქალაქია მიცვალებულთა განსასვენებლად.

მკვდარი ყველა თანასწორია.

ყველას თანაბარი აკლდამა აქვს.

პომპეუსის სვეტი.

სერაფიტის სფინქსი.

1845 წელს იტალიელმა არქეოლოგმა ბოტომ წაიკითხა წარწერები.

აღმოჩნდა რომ ეს სვეტი აგებული იყო 235 წელს ჩვენი წელთაღრიცხვით ბერძენი იმპერატორის დიოკლეტიანეს პატივსაცემად.

ბერძენმა იმპერატორმა ალყა შემორტყმულ ქალაქს საჭმელი გაუგზავნა. მტერი ალყას არტყამს ქალაქს (8 თვე) და მოსახლეობას საკვებს უგზავნის.

სიმაღლე არის 26 მეტრი. გარშემოწერილობა 2,5 მეტრი. ეს სფინქსი არის ჩვენს წელთაღრიცხვამდე 20 საუკუნის წინათ გაკეთებული.

ალექსანდრია ულამაზესი საკურორტო ქალაქია.

მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოდიან აფრიკის ამ „ლურჯი მარგალიტის“ პლაჟებზე სანებივროდ.

საკურორტო ქალაქისთვის დამახასიათებელი ღამის ბარები და საეჭვო კლუბები.

მსოფლიოს შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთი ალექსანდრიის შუქურა მიწისძვრამ იავარქმნა. მისი ნარჩენებიდან უშნო თურქული ციხეა აგებული ზღვის პირას.

ალექსანდრე მაკედონელის ქალაქი ძვირფასად ინახავს თავისი დამაარსებლის ხსოვნას.

ეგვიპტეში სახელმწიფო ცდილობს გამრავლების სწრაფი ტემპის ნორმალიზებას. იგი უფასოდ აძლევს ქალებს შობადობის საწინააღმდეგო საშუალებებს. ეგვიპტეს გამრავლების

ტემპით მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. ინტელიგენტთა ოჯახები თანხმდებიან გამრავლების საწინააღმდეგო საშუალებათა მიღებაზე, ხოლო დაბალი ფენა უარს ამბობს. ფელიპები (გლეხები) თვლიან, რომ ალაჰს რამდენიც სურს იმდენი უნდა გაჩნდეს. ეგვიპტეში თვითეულ ოჯახში საშუალოდ 6 ბავშვია.

ანეგდოტი. ქალი რომ აბებს ყლაპავდა და მაინც ორსულდება. ბავშვი დაიბადა და მუჭში აბები ეჭირა.

6 თებერვალი

დილით ალექსანდრიის ნავსადგური დავათვალიერეთ და შუადღისას კაიროსაკენ წავედით.

ისევ უსიცოცხლო უდაბნო.

უდაბნოს ჰკვეთს ადამიანის არსებობის ერთადერთი ნიშანი მაღალი ძაბვის ბოძები.

ეს ბოძები და გრანდიოზული ასუანის კაშხალი ჩვენ ვაჩუქეთ ეგვიპტეს.

კაირო და თითქმის მთელი ეგვიპტე რუსი კაცის შექმნილი ელექტროენერგიით საზრდოობს.

სანაცვლოდ სადათმა ბრანწი გვიჩვენა და ხმელთაშუა ზღვის კარები უსირცხვილოდ მიგვიხურა.

უმადურობაც ამას ჰქვია.

7 თებერვალი

ეგვიპტის ნაციონალური მუზეუმი. გიდი გვიამბობს, რომ ძველეგვიპტელთა ცხოვრება იდუმალებითაა მოცული.

უამრავი საიდუმლო ამოხსნილი არ არის.

დაბალზამების წესი.

საღებავის შეზავების წესი.

ეგვიპტე

კარგი, ადამიანის დაბალზამება შეძლეს, როგორ შეძლეს ტანსაცმლის ან ტუტანხამონის მუმიაზე დაწყობილი ყვავილების ისე შენახვა, თითქოს ხუთი ათასი წლის წინათ კი არა გუშინ იყოს მოწყვეტილი!

ხომ განუმეორებელია ანტიკური ქანდაკებანი, მაგრამ მე ვფიქრობ ანტიკურ სკულპტურაში უფრო ნატურალიზმთან დაახლოვების, ზედმიწევნითი რეალურობის პრეტენზია იგრძნობა, მაშინ როცა ძველეგვიპტური ქანდაკება უფრო სტილიზებისაკენ ისწრაფვის. მასში უფრო მეტი ხელოვნებაა, მეტი პოეზია.

კომპოზიციის რა დახვეწილი გრძნობა, რაოდენი დინამიურობა და სისადავე იგრძნობა 4-5 ათასი წლის წინანდელი ეგვიპტელის ნაქანდაკევში.

მუმიების დარბაზი.

მინის ხუფის ქვეშ ერთმანეთის გვერდით წვანან ჩირადქცეული ფარაონები.

„სარკოფაგიდან დგება მუმია“ – ზარივით ჩამესმის, გალაქტიონის ლექსი.

საწყალ გალაქტიონს მუმია ალბათ არც უნახავს.

ხუთი ათასი წლის წინათ გარდაიცვალა ეს რამზეს მეორე.

ერთი კვირის მკვდარივითაა.

შენარჩუნებულნი აქვთ თმები, კბილები, სახის კანი, ფეხის ფრჩხილები...

სად წავიდნენ ის „მეგვიპტელნი“.

რატომ ჩაიტანეს მიწაში ამდენი მონაპოვარი ადამიანის გონებისა.

დაბალზამების წესს ხომ ისინი საუკუნეების განმავლობაში იმუშავებდნენ. რად გაუწყრნენ ასე შთამომავლობას?

– თანამედროვე არაბები იმ ძველ ეგვიპტელთა უშუალო მემკვიდრენი არიან?



ეგვიპტე

გიდს არ ესიამოვნა ეს შეკითხვა. რასაკვირველია, იგი განათლებული ბიჭია და მშვენივრად გრძნობს რომ დღევანდელ ეგვიპტეს თავის ლიტერატურით, სახვითი ხელოვნებით, არქიტექტურით, მუსიკით საერთო არაფერი აქვს ფარაონების ეგვიპტესთან.

ამიტომაც პირდაპირ პასუხს გაურბის. მიკიბულ-მოკიბულად მესაუბრება. ესაო, მთელი მსოფლიოს წარსულიაო, მთელი კაცობრიობის ისტორიააო. აქ დაირწაო ცივილიზაციის აკვანი. ამიტომაც რა მნიშვნელობა აქვსო ვინ იყვნენ ის „მეგვიპტელნი“ ისინი ჩვენიც, თქვენიც და საერთოდ ყველას წინაპრები არიანო.

ტუტანხამონის აკლდამა.

9 წლისა დაქორწინდა და 17 წლის იყო რომ მოკლეს (თავი აქვს მუმიას გატეხილი).

მისი პირამიდა გაუძარცვავი დარჩა.

ოთხი ერთმანეთში ჩადგმული ოქროს ყუთი.

მერე ორი ერთმანეთში ჩადგმული ოქროს სარკოფაგი ძვირფასი თვლებით მოოჭვილი და ბოლოს ტუტანხამონის მუმია. ყველაზე კარგად შენახული ყველა მუმიათა შორის.

აქ კი ნამდვილადაა დამარცხებული სიკვდილი.

კაიროს მუზეუმიდან გიდმა თითქმის სათითაოდ, ძალით გამოგვიყვანა. ისეთი გრძნობა მქონდა რომ თითქოს ამ სამი საათის განმავლობაში ვერაფრის ნახვა ვერ მოვასწარი.

კაიროში უსიამოვნო, ცივი წვიმა წვიმს.

ამ საღამოს მოსკოვში მივფრინავთ. რა დასამალია ზოგი ჩვენი დელეგაციის წევრი გარდა ღირსშესანიშნაობათა დათვალიერებისა, ცოტა არ იყოს, ვაჭრობითაც იყო გართული. ვერც დაძრახავდი. რა იყო ეს ვაჭრობა მოსკოვიდან წამოღებულ ფოტოფირებს, ოდეკალონებს და კონიაკს (მხოლოდ 3 ლიტრის წამოღების უფლება გვქონდა) ან ინდურ და ეგვიპტურ ეგზოტიკურ ნივთებს პირდაპირ ცვლიდნენ

ან ჰყიდდნენ და იმ ფულით ახლობლებისთვის სუვენირებს ყიდულობდნენ.

საბაჟოს ურცხვი მოხელეები დაგეშილები იყვნენ ტურისტების მოკრძალებულ „კონტრაბანდის“ წართმევაზე. არაერთი ჩვენი „კოლეგა-ტურისტი“ გაამწარეს. ამ თემაზე მოგზაურობის დროს სახუმარო ლექსებს ვწერდი და უკან დაბრუნებისას თვითმფრინავში ვკითხულობდი. გულიანად იცინოდნენ, იქნებ თქვენც გაგეღიმოთ:

კაიროს ლექსი

მოხელეები ღიმილით
დაგვხვდნენ კაიროს ჭიშკართან,
ბოლოსკენ მივხვდით რბეულნი
ეს ღიმი რასაც ნიშნავდა.
დადის და დარდობს ნუგზარი,
– რად არ ვიცითო მოზომვა.
აქ მოგვითავეს არაბთა
რაც ვერ დაგვაკლო მოსკოვმა.
... ჯერ ერთი გახსნეს, ნანულიმ
რაღა სულ ზევით შემოდვა,
ყრუ სინანულით დავყურებთ
ყველა ნანულის ჩემოდანს.
ზოგს აღტაცება აღმოხდა
ზოგმა – ნუ ვიზამთ ნამეტანს,
თუმცაღა რეკორდს ნანულის
თვითონვე გადაამეტა.
ბრძანეს: დახსენით ჩანთები,
გაწყრნენ, თვით დათოც იფრინეს,
და წართმეული ფირებით
ყუთები დააპიპინეს.

რაც ჩვენგან ფირი წავიდა
(მსგავსი მიუშვი მსგავსებთან)
ერთ პირამიდას თავიდან
ბოლომდე ამოავსებდა.
– ნუ სტირი – ამბობს ზემფირა,
მზიას ჩემოდანს ულაგებს,
სხვამ რა თქვას, შალვა ბატონი
მეორედ განაკულაკეს.
დათო, კოტიკო, მურმანი
ჰგვანან ნაცემს და ნაციებს
ცრემლმორეულნი დასცქერენ
გაქურდულ „დისერტაციებს„.
გადი-გამოდის რევაზი
ქუთაისური ჩანთითა,
„მისტერ მოგვეშვი„ თითს უქნევს
საბაჟოს კრეტინ კაპიტანს.
„ბოკუჩავასთან ვუჩივლოთ„
ვიღაც გაჰკივის ამასა,
და ერთადერთი თამრიკო
ოხრავს ნაზად და ლამაზად.
– არ დაეზარდოთ შვილები,
არ გაუდიდდეთ ხანია. –
თვის გადარჩენილ საქონელს
ბოჭავს და ფუთავს მანია.
-არ გაგვაფრთხილეს! ნათელამ
მე ვუძრახოო სხვასა ვით,
რომ ეთქვათ; მაშინ მეც ას ფირს
დავჯერდებოდი სხვასავით.
თვითონ საქრთამოდ მოსულმა
(ძალა ხელში აქვს, რად არა)
ჩვენმა პუჭურა კონსულმა

კონტრაბანდისტებს გვადარა.
გაფიცებ, ალექსანდრიავ,
მაკედონელის მტვერსაო,
მოგვეშვი, რაც ჩვენ დაგვმართეს,
მტერი არ უზამს მტერსაო.
ცივ ავტობუსში ოცდაათს
სძინავს ვაჭრად და სირაჯად,
ძილში ინდოეთს ხედავენ
ძვირფას ზღაპრად და მირაჟად.
ათფუნტიმედად დარჩენილს
ცრემლი მიშრება თვალშია,
შავი და ავი ფიქრები
მიმდი-მომდიან თავშია.
გიდი მამშვიდებს, მაწყნარებს
კატაკომბების ხვრელითა,
ეჰ, რა მეკატაკომბება
„ლუსტრა„ მეცლება ხელიდან.

წყევლა

ვერ მოთოკოს ვინაც თავი
ჩენჩაობა ისევ იწყოს
ვინაც რეზო მიშველაძის
სამი მცნება დაივიწყოს.
ბომბეიში თვით სინდისს და
ქართველობას აუმხედრდეს;
საჩვენებლად ყველას თვალწინ
შალვას კლიზმა გაუკეთდეს.

* * *

ყველა მისთვის ჩირთი-ფირთობს,
ყველა ცალკე იჩენჩება,
ნიავს მოაქვს მოძახილი:
„რასაც დავლევ, ის შემრჩება“.

* * *

შეიქმნა დიდი ვაჭრობა,
როგორც ვაჭრობის წესია,
აქ ჩნდება (ვით აბანოში)
ვინ ვისზე უკეთესია.
მე ადეკალონს გაჩუქებ,
გულით ვაკეთებ ამასო,
სანაცვლოდ შენგან ვიჩუქებ
ბეჭედს და თორმეტ კაბასო.
დეზადორს ვერ დაგიმატებ
შენ ნუ გგონივარ გლახაო,
ეგრე არ არი თაყაო,
შენ რომ მამული გაჰყაო.
გარეთ კოტიკო დახვდება
სიტყვას აჩუქებს ამოსა
გულს ნუ დაიწყვეტ, დობილო
რას ვიქმთ, მჭამელმა ჭამოსა.

* * *

ვემშვიდობები ჯაიპურს
ჩავდექ ბომბეის კვალსაო,
ცრემლმორეული დავყურებ
ყელმარგალიტის თვალსაო.
ჩენჩობის ერთი საათი
ვაჭრისთვის ერთი ყლუპია.

არც ჩენჩი გამომივიდა
ვერც გადავღუნე რუპია,
ჩანთას იხუტებს მატრონა,
ლამარა კბილებს ილესავს,
ციდან ბომბეის დავცქერი,
ვით გადარჩენილ იმედსა.

საბერძნეთი – კვიპროსი – იტალია

17.12.1976 – 02.01.1977

17 დეკემბერი

მოსკოვიდან სამსაათნახევრიანი ფრენის შემდეგ დავეშვით კვიპროსის ქალაქ ლარანაკას აეროპორტზე. დელეგაცია ძირითადად ქართველი მწერლებისგან შედგება : მედეა კახიძე, ლადო მრელაშვილი, ემზარ კვიტაიშვილი, მე...

პატარა აეროპორტია. მეგონა თვითმფრინავი მიწაზე დაეშვა. დიდხანს მიფრინავდა „ტუ-154“ თითქმის ზღვის ზედაპირზე და როგორც კი ხმელეთი გამოჩნდა მაშინვე დაეშვა.

საბაჟოში ვაშლის შემოტანა არ შეიძლებაო, ლადოს ჩანთაში ათიოდე ვაშლი ედო. რა მეტი გზა გვქონდა, იქვე საბაჟოში შევჭამეთ სახელდახელოდ (ხომ არ გადავყრიდით).

კვიპროსის რესპუბლიკისთვის საკმაოდ ტრაგიკულ დროს ჩამოვსულვართ. კვიპროსის ნახევარი თურქეთს უპყრია, შემოგვჩივლა გიდმა. თითქოს ერთადერთ ხსნას ჩვენში ხედავდა.

ჩვენ ჩვენი გასაჭირიც ყელამდე გვაქვს.

მოსკოვში 15 გრადუსი ყინვა იყო, აქ კი ისე თბილა, როგორც ჩვენში ადრეულ შემოდგომაზე.

ავტობუსით ნიქოზიისკენ მივდივართ. გზაზე ულამაზესი კოტეჯები და მიტოვებული, დანგრეული ქოხები გარეკილი თურქების.

მთაგორიანი ქვეყანაა, პირწმინდად გადატრუსული. მცენარეული საფარი არ ჩანს. მარტო სახლების წინ ვხედავ ოქროსფერი ნაყოფით დახუნძლულ მანდარინის და ფორთოხლის ბუჩქებს. სახლები ძირითადად ერთსართულიანი.

ნიქოზია ისეთი მშვიდი და წყნარი ქალაქია, თითქოს სამიოდე კილომეტრზე ქალაქიდან დამპყრობელი თურქთა ჯარი არ იდგეს ქალაქისაკენ დამიზნებული ქვემეხებით.

ევროპული დამღლელი სადილი პირველსა და მეორე კერძს შორის საათნახევრიანი შესვენებებით. ჩამოსვლისთანავე მაგიდას მივუჯექით, გეგონება სუფრასთან დასაჯდომად ჩამოვსულიყავით ამ სიშორეზე.

მასპინძელი ფირმის წარმომადგენელმა იხუმრა, მე ვიცი ქართველები მჭამელი ხალხია და შევეცდები თავი არ შევირცხვინოო.

სადილის შემდეგ ქალაქს ვათვალიერებთ. მაღაზიები სავსე ინგლისური, ამერიკული, იტალიური ნაწარმით. ჩვენი „ლადას“ მაღაზიასაც ჩავუარეთ. გვითხრეს საბჭოთა „ჟიგული“ იაფია და კარგადაც იყიდებაო.

ხალხი საგაზაფხულოდაა გამოწყობილი.

საღამოს საბჭოთა კავშირისა და კვიპროსის მეგობრობის საზოგადოებაში მიღება გვქონდა. თავაზიანად მიგვიღეს. სასარგებლო დაწესებულებაა. თაროებზე ტურისტულ ცნობარს – „საქართველო“ მოვკარი თვალი. რუსეთზე და უკრაინაზე ბევრი რამ იციან, ქართულ კულტურაზე ძალიან ცოტა. ჯერჯერობით საქართველოს იმით ვიცნობთ, რომ ამასწინათ ჭიათურის ცეკვის ანსამბლი იყო გასტროლებზე და კობა გურულის ნამუშევრების გამოფენა მოვაწყვეთ საზოგადოების შენობაშიო.

ჯერჯერობით აქ არცერთი ქართული წიგნი არ გამოსულა. კვიპროსელ ბერძნებს რუსთაველის სახელიც არ გაუგიათ.

საღამოს ისევ გრძელი, დამღლელი ვახშამი. ღვინოს (მწკლარტე, ბერძნული, იაფი) უზომოდ გვაძლევენ.

ღამით ფეხით გავიარეთ. ქალაქი ცხრა საათის შემდეგ ჩამკვდარია. ფანჯრები ჩამქრალი, ქუჩაში კაცის ჭაჭანება არ არის.

18 დეკემბერი

დილით დავათვალიერეთ ნიქოზიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ვნახე მეექვსე ათასწლეულის სამარხი. ასეთი ტიპის სამარხი მსოფლიოში სამია თურმე. საბერძნეთში, საქართველოში (მარნეული) და აქ კვიპროსზე. გასაოცარია. ჯერ ხმამაღლა ვერ უთქვამს ჩვენს მეცნიერებს, თორემ არსებობს რაღაც ერთი კულტურული ხაზი, რომელიც ჩვენ განუყრელად გვაკავშირებს ანტიკურ (და უფრო ადრინდელ) კულტურასთან. ოთარ ჯაფარიძემ გამოთქვა ეს აზრი ამასწინათ საკმაოდ საბუთიანად.

განსაცვიფრებელია კვიპროსელ ბერძენთა ქანდაკებები. პრიმიტიულიდან დაწყებული კლასიკურ ხელოვნებამდე, უზარმაზარი ხელოვნება.

ჩვენ გვაქვს ორნამენტთა გენიალური კულტურა, მაგრამ ქართული ქანდაკების ტრადიცია არ არსებობს.

რატომ არ იყო საქართველოში ქანდაკება? რა ფასი ექნებოდა ახლა ჩვენივე თამარის, რუსთაველის, დავით აღმაშენებლის ქანდაკებებს?

სარგის ცაიშვილი ბრძანებს: ქრისტიანობამ გაანადგურა წარმართულ დროთა ქანდაკებებიო, რაღაც არ მჯერა.

სადილის შემდეგ დავათვალიერეთ ნიქოზიის ეთნოგრაფიული მუზეუმი. მოხუცი ქალები მუზეუმში ახლაც უსხედან უძველეს საქსოვ დაზგებს და ტურისტებისთვის გასაყიდად იქვე ქსოვენ.

საინტერესოა. თან ათვალიერებ, როგორ ქსოვენ, თან სამახსოვროდ იძენ ეროვნულ ნაწარმს. ჩვენთანაც რომ მოიფიქრებდნენ ასეთ რამეს, ცუდი როდია.

მერე დავათვალიერეთ კვიპროსის პრეზიდენტის მაკარიოსის სახლი. სადაც იგი ამჟამად ცხოვრობს და მუშაობს. ორსართულიანი საკმაოდ ლამაზი ნაგებობაა. იქვე გვერდით არის სპეციალურად მაკარიოსისათვის სალოცავი. ალბათ ერთ-ერთი ლოცვის დროს გამოეპარა მხედველობიდან თურქების შემოჭრა.

კვიპროსელები ძლიერ განიცდიან ორი წლის წინათ მომხდარ ტრაგედიას. ყველგან ავტობუსის ფანჯრებზე, ქუჩებში, რესტორნებში გაკრულია პლაკატი: კვიპროსი თეთრად, ჩრდილოეთი სისხლისფრად დაწინწკლული (თურქეთის მიტაცებული ტერიტორია) წარწერა: „არ დავივიწყებთ“.

საერთოდ კვიპროსზე ეროვნული სულის გამოღვიძება ძალიან იგრძნობა.

საღამოს ვახშმის შემდეგ ვნახეთ ნახევრადსექსუალური ფილმი – „როგორი სიყვარული სჭირდება ქალს“. ზოგი საკმაოდ სასარგებლო რჩევაა ახალგაზრდებისთვის, ახალდაქორწინებულებისთვის.

19 დეკემბერი

დილის რვა საათზე ავტობუსში ვსხდებით და მივემართებით ქალაქ ლისამოლისაკენ. მთელი კვიპროსის კუნძული უნდა გადავსეროთ. ავტობუსში განსაკუთრებით გიგლა ფირცხალავა მხიარულობს.

ბუნება მკაცრი, მთაგორიანი. გზა არცთუ მაინცდამაინც სახარბიელო. მთებში მე-11 საუკუნის ეკლესია დავათვალიერეთ. საინტერესო ფრესკებია.

ყველა ერის მხატვარი თავისი ხალხის მსგავს ღმერთებს ხატავს. ჩვენ ბერძნებს ძალიან ვგავართ და გაოცებული დავრჩი ჩვენი ფრესკების მსგავსებითაც. კედლებიდან მიყურებდნენ ქართველი ქრისტე, ქართველი ღვთისმშობელი, ქართველი მოციქულები.

კვიპროსელი ბერძნებიო, ამბობენ, ჩრდილოელ ბერძნებზე უფრო შავები (გასაგები მიზეზის გამო) და უფრო პატარები (ტანით) არიანო. მართლაც მესამე დღეა აქა ვართ და ქუჩაში ერთი მოსული ვაჟკაცი არ დამინახავს.

ოქრო და ლადო დევებივით ჩანან. მთიელები გზაზე ჩურ-ჩხელას ყიდდნენ.

დავბინავდით სასტუმრო „ასტირში“. საკმაოდ ფეშენებ-ელური ნომრებია.

სადილის შემდეგ თავისუფლები ვართ. ადრიატიკის ზღვის ნაპირას დავხეტიალობთ. ლისამოლი პატარა საკურორტო ქა-ლაქია კვიპროსის სამხრეთ ნაწილში. ვიწრო ქუჩები. ღამის ბარები. პორნოგრაფიული კლუბები. ყველაფერი რაც გასარ-თობ ადგილს სჭირდება.

საღამოს ტელევიზორს მივუჯექით. ბერძნულ ენაზე რომელიღაც ინგლისურ კომედიას ვუცქერით. ეტყობა კარ-გია, რადგანაც თვითონ მსახიობები კვდებიან სიცილით.

ჩვენ ბერძნული არ ვიცით და სერიოზული სახეებით მივ-ჩერებივართ ეკრანს.

რამდენიმე ტურისტს ჩაეძინა.

20 დეკემბერი

დილით ლისამოლის ღვინის ქარხანას ვესტუმრეთ. ქა-რხანა უზარმაზარია. ფირმა „კეოს“ ეკუთვნის. უშვებს მრა-ვალგვარ ღვინოს, კონიაკს, („ბრენდის“) და ლუდსაც. ყველა საამქროში თავაზიანად გვიმასპინძლდებიან ღვინით.

ასე რომ „დეგუსტაციაში“ რამდენიმე კაცი ისე ჩაგვათვრა ხელში, რომ თვითონ არც კი გაუგია.

ქარხნის დირექტორმა ჩვენი დელეგაციიდან 4-5 (შე-დარებით სოლიდური) კაცი აგვარჩია და თავის კაბინეტში მიგვიპატიჟა. დაგვალევინა ასი წლის ღვინო. მერე გვიამბო იმის შესახებ, რომ კვიპროსში დაახლოებით 23 ჯიშის ვაზია და მათი ღვინოები მსოფლიოში ცნობილია.

ლადომ უთხრა, რომ საქართველოში ხუთასამდე ჯიშის ვაზია და მარტო ჩემს სოფელში იყალთოში, ჩემს საკარმიდა-

მო ნაკვეთში თვრამეტი სხვადასხვა ჯიშის ყურძენი მოდისო. მასპინძელმა გაოცებისგან პირი გააღო, მაგრამ მალე დამშვიდ-და (როგორც ჩანს ტურისტის ნათქვამი ხუმრობად მიიჩნია.)

ნატურალურ ღვინოს რომ ვეძახით ჩვენ (ყურძნის წვენს) ასე-თი თითქმის დეფიციტია კვიპროსზე. ყველა ღვინო დამუშავე-ბულია. დამატებულ-გამოკლებული აქვს სხვადასხვა რამ.

ერთი რამ მიკვირს, ჩვენ თითქმის ნახევარი კვიპროსი გავიარეთ და მე ვერსად ვერ ვნახე ვენახი, ვერც ხეხილის ბაღი ან რაიმე პლანტაცია. ვერ ვნახე ჩვენებურად კოხტად მოვლილ-დამუშავებული ეზო. ეზოების კულტურა ეტყობა აქ არ არის.

ახლა ჩვენში სოფლელ კაცს მოცლა არა აქვს, ათასი საქმეა - ვენახი, ყანა, ჩაი.

აქ მომუშავე კაცი ვერ ვნახე. გზისპირას ბარებში სხედან და დილიდან საღამომდე ლუდს ან ღვინოს სვამენ.

ლისამოლში ძალიან ვიწრო ქუჩებია. მანქანის ბოლში სუნთქვა არ ხერხდება.

21 დეკემბერი

ერთი ყველაზე კარგი დღე იყო აქ ყოფნის განმავლობაში. ლიმასოლიდან ორი საათი გზაა პათოსამდე. სხვათაშორის „პათოსი“ არა, მაგრამ ლარნაკი კი ქართული სიტყვა მეგონა.

პათოსი პატარა დაბის ტიპი ქალაქია. უძველესი. ვნახ-ეთ პათოსის ციხე-სიმაგრე. მე ასეთი გრანდიოზული ციხე არ მინახავს. კედლის სისქე დაახლოებით 4 მეტრს უდრიდა. ციხე-სიმაგრის ირგვლივ ციტრუსების მაღაზიებია.

ისტორიულ ძეგლთა პატიოსან ფირმას უზრუნია იმისათ-ვის, რათა დამთვალიერებლებს მანდარინით და ფორთოხ-ლით უფასოდ გაუმასპინძლდნენ. კარგი ჩვეულებაა.

კაშკაშა მზეა. ისეთი რომ ამ შუა ზამთარში პერანგშიც

კი მცხელა. შესანიშნავ ადგილას ვიბანავეთ. ხმელთაშუა ზღვაში. აფროდიტას დაბადების ადგილას. ზღაპრული სანახაობაა. ზღვაში აღმართული დიდი ლოდები.

გზას განვაგრძობთ. პათოსს ვუახლოვდებით. უძველესი ქალაქის ნანგრევები. ჩვენს ერამდე მე-10, მე-5 საუკუნისა. განთქმული ბერძნული თეატრი. ყველაფერი იავარქმნილა. ოდესღაც უზარმაზარ სასახლეთა ნაშთები. აქა-იქ სვეტებიღა შემორჩენილა. ისინი კვლავ ჯიუტად დგანან და დროს ებრძვიან. სხვა ყველაფერი დაუსრავს და დაუქცევია ჟამს.

განსაცვიფრებელი მოზაიკა. ქვაში გამოკვეთილი ქალაქი. ძალიან ჰგავს ვარძიას.

სპეციალისტები ამბობენ რომ ეს (პათოსი) უნიკალური ისტორიული ძეგლია.

უკან რომ ვბრუნდებოდით მე და ემზარ კვიტაიშვილმა კვიპროსის თემაზე ვისაუბრეთ. ემზარი ამბობს, რომ კვიპროსს დიდი უბედურება სჭირს. წარმოიდგინე მდგომარეობა ხალხისა, რომლის სახელმწიფო შუაზეა გაჩეხილი.

მე ვამტკიცებდი, რომ ვერცერთი ხელისუფალი ვერ გააკეთებდა კვიპროსისთვის ისეთ კარგ საქმეს, რაც 1974 წელს თურქებმა გააკეთეს მეთქი. კერძოდ. 400 წელი ბატონობდნენ თურქები აქ. მოხდა აღრევა. ბერძნები დაჩიავდნენ. უცხო თესლმა თავისი გაიტანა. მოისპო დიდი კულტურული ტრადიციები. დარჩა მხოლოდ ნაშთები ძველი დიდებისა.

ახლა რა მოხდა? ერთბაშად დაიწმინდა ამოდენა კუნძული თურქებისგან.

გზებზე ვხედავდით კარვებს, რომელშიც ჩრდილოეთიდან (თურქეთის ნაწილი) გამოქცეული ბერძნები ცხოვრობდნენ. ახლა უკვე აღარ არის შერწყმის და გადაჯიშების საფრთხე.

ახლა უკვე იცი, რომ მტერი ერთადაა თავმოყრილი. მთელს ბერძნულ კვიპროსზე ახლა არცერთი თურქი არ ცხოვრობს. გაიზრდება, მოღონიერდება და როცა იქნება გარეკავს თურქს.

თურქები ალბათ ვერც კი ხვდებიან, თუ რა კარგი სამსახური გაუწიეს ბერძნების ეროვნულ გასუფთავებას.

ვერავითარი მშვიდობიანი ფორმით ამ საქმეს ვერ გააკეთებდი.

22 დეკემბერი

ლარნაკიდან საათნახევრიანი ფრენის შემდეგ ათენში ვართ.

ელადა!

კლასიკური ხელოვნების აკვანი.

ავტობუსით აეროპორტიდან სასტუმრო „სტადიონამდე“ რაც ვნახე, ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა: თანამედროვე ათენი ვერაფრით გაგაოცებთ (როგორ ვუწოდო „ათინა“?, ალბათ ასე უფრო სწორია), განსაცვიფრებელი აქ ნანგრევებია. ნანგრევები ყოველ ფეხის ნაბიჯზე.

ხელოვნებაში ჩემსავით ოდანვგარკვეულ კაცსაც კი არ გაუჭირდება იცნოს აკროპოლისი, პართენონი, ზევსის სასახლის 15 ზღაპრული სვეტი.

არავითარი გიდი აქ არ გვჭირდება მეთქი და მე, ემზარი, ლადო, მედეა, სოფიკო და ოქრო ფეხით დავდიოდით შუაღამემდე.

ზევსის ტაძრის სვეტებამდე მისვლა არ შეიძლება. მავთულხლართების ღობეა ირგვლივ.

გავბედე და დავარღვიე ტურისტული ეტიკეტი. გადავხტი ღობეზე, ემზარიც მომყვა. შემაშინა სვეტების გრანდიოზულობამ და სიდიადემ.

ხელი შევახე.

კიდევ კარგი პოლიციელმა არ შეგვნიშნა. ყველანი ვდუმვართ.

ამის შეფასება არ შეიძლება. პართენონის სილამაზეს ვერ მოჰყვები და ვერც დახატავ.

უნდა იგრძნო.

ჩვენ მდუმარედ შევყურებთ ერთმანეთს. რა დაგვაძინებს ამაღამ.

23 დეკემბერი

დილით ათენის არქეოლოგიური მუზეუმი დავათვალიერეთ.

მე მომხრე არა ვარ რომელიმე ერისადმი განსაკუთრებული მოპყრობისა, მაგრამ კაცობრიობამ ბერძნებს თაყვანი უნდა სცეს.

არავისგან არ არის ისე დავალებული ცივილიზებული მსოფლიო, როგორც ბერძნებისგან.

ქანდაკებანი...

აგამემნონის ნიღაბი, პატარა მხედარი, სატირები, აფროდიტა, ზევსის თავი, ზევსის ხელი, სურები უბრწყინვალესი მხატვრობით. რა ფორმებია, რა ჰარმონია, რა ძიებანი.

ხომ არ ამოწურეს ბერძნებმა ადამიანის შესაძლებლობები ქანდაკებაში?

ჩემთვის ახალი იყო იმის გაგება, რომ ოლიმპიურ თამაშობებში ბერძნები დედიშობილა მონაწილეობდნენ.

მერე ავტობუსით მივემგზავრებით საბერძნეთის ბებერ მიწაზე.

აპოლონის დაფნის ტაძარი.

აფროდიტას ტაძრის ნანგრევები.

კორინთა.

ჩემს წინაშე ნანგრევებად ქცეული მთელი ქალაქია.

მიკენა.

აგამემნონის სამფლობელო. აგამემნონის ციხე-ქალაქის ნანგრევები. ჭიშკარი გრანდიოზული ორი ლომით. აგამემნონის აკლდამა. გაუგონარი სიდიდის ქვებით. ამ აკლდამაში აღმოჩნდა ბერძენთა ის წარმოუდგენელი სიმდიდრე ახლა არქეოლოგიურ მუზეუმში რომ ინახება.

გიდი ისე ლაპარაკობს აგამემნონზე, აქილევსზე, მენელაოსზე, ოდისევსზე, პენელოპაზე თითქოს მათი კონკრეტული ცხოვრების ისტორია ჰქონდეს ხელთ.

ხომ დამტკიცდა, რომ ტროა მართლა არსებობდა, რომ ჰომეროსის გმირები ნამდვილი ისტორიული ადამიანები არიან. მწერალმა შეალამაზა მხოლოდ მათი თავგადასავალი.

შეიძლება ბერძენთა ღმერთებიც კი კონკრეტული ადამიანები იყვნენ, იმდენად ადამიანურნი არიან ისინი.

ისევ ქანდაკებებთან ვარ...

ბერძნებს თავიანთი უკეთესი ქანდაკებანი სამშობლოში არ აქვთ. რომშია ლაოკოონი, ლუვრში დგას ვენერა მილოსელი! როდის დაუბრუნდება თავის სამშობლოს ეს უკვდავი ძეგლები!

საღამოს ქალაქ „ნაკლიონში“ დავბინავდით. ზღვისპირა, კოხტა საკურორტო ქალაქი კლდეებზეა გაშენებული, ირგვლივ ციხე-სიმაგრეები. ერთი ციხე შუა ზღვაში დგას. ულამაზესია.

წვიმს.

პირველად წამოგვეწია წვიმა აქ ყოფნის განმავლობაში.

საღამოს საშინელი ფრანგული ფილმი ვნახეთ სადისტებზე.

24 დეკემბერი

ნაპლიონიდან ისევ ათენში უნდა დავბრუნდეთ პელოპონესის გზით. ნაპლიონი არგონავტების ქალაქია. აქ მოიყვანეს მედეა ბერძნებმა. ირგვლივ ყველაფერი მითიური და რომანტიულია.

დილის 7 საათზე ავდექი და ფეხით გავუყევი სანაპიროს. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ისტორიაა.

ნავსადგურში საბჭოთა გემი დგას. მოვედით, კაპიტანი თბილისელი სომეხია. საბერძნეთიდან სსსრ-ში ციტრუსებს ვეზიდებითო. დავემშვიდობეთ და წამოვედით.

ირგვლივ ფორთოხლის ბაღები. შემოულობავია, მოწყვიტე და ჭამე რამდენიც გინდა.

ეპიდავრის თეატრი პართენონის შემდეგ საბერძნეთის მეორე საოცრებაა. დაკეტილი დაგხვდა. შობის წინ დღე უქმე ყოფილა. ჩვენს გიდს ეს არ სცოდნია. ბევრი ვიდავეთ, ვიჭიჭყინეთ, მაგრამ არაფერი გაგვივიდა.

ცოცხალ-მკვდრები ვსხედვართ ავტობუსში. როდის ჩამოვალთ აწი აქ, როდის ვნახავთ ეპიდავრის თეატრს. პელოპონესის არხი დავათვალიერეთ. ფრანგებს გაუჭრიათ.

დიდებული სანახაობაა. ვიწრო არხში რომ გემი გადის. როგორ გაჭრა, რამ ამოაღებინა ადამიანს ამხელა მიწა.

საღამოს ისევ ათენში ვართ. სასტუმრო „სტადიონი“, №501. შობის წინა ღამეა. მთელი ქალაქი საზეიმოდაა გაჩახჩახებული. არეოპაგელის ტაძარში წირვას დავესწარით.

25 დეკემბერი

დღეს თავისუფალი დღე გვაქვს. „საითაც გინდა იარე“... ჩვენი სასტუმროს წინ მაღალი, ციცაბო მთაა. ზედ თეთრი, კოხტა საყდარი ჩანს. მეტრდოტელი ამბობს, ეს ათენის ყველაზე მაღალი წერტილიაო. ფეხით შეიძლება ასვლა (აგვხედ-დაგვხედა), თუ გაუძელითო.

მე და ლადომ სხვა ვერავინ ავიყოლიეთ და ფეხით გავუყევით. სულ არ გაგვჭირვებია ასვლა დაახლოებით ერთ საათში ზემოდან დავყურებდით ათენს.

ჩვენს წინაშეა თეთრი ქვით ნაშენი ულამაზესი ქალაქი. სამი მხრიდან მთებით შემოზღუდული, მეოთხე მხრიდან ზღვა აკრავს. ულამაზესი ხედია. ზემოდან დავყურებთ პართენონს, ზევსის ტაძარს... მთელი ქალაქი ხელისგულზეა.

სანამ ჩვენი ტურისტი კოლეგები მაღაზიებიდან დაბრუნდებოდნენ, ჩვენ უკვე სასტუმროში ვიყავით უაღრესად კმაყოფილნი.

ქალაქს თუ ზემოდან არ დახედე, ძნელია სრული წარმოდგენა გქონდეს მის ლანდშაფტზე.

გზაში (ეტყობა ხმამაღლა ვლაპარაკობდით) მე და ლადო ერთმა სამოციოდე წლის ბერძენმა გაგვაჩერა. თუ შეიძლება გვითხრათ, რა ენაზე ლაპარაკობთო. ჩვენ ვუპასუხეთ, გაუკვირდა, გაუხარდა. ესო უძველესი ხალხიაო, როგორ არ გამიგონიაო, თქვენ დიდი ისტორია გაქვთო.

26 დეკემბერი

დელფოსში მივემგზავრებით. აპოლონის სამშობლოში. შორიდან მოვლით დაფარული პარნასი გვიჩვენეს. მართლაც ღმერთების სამყოფელი ულამაზესი მთაა.

დელფოსამდე წმინდა ლუკას ტაძრისკენ გადავუხვიეთ. მეთერთმეტე საუკუნის მოზაიკა. განსაცვიფრებელია. მე პირველად ფრესკები მეგონა, იმდენად სრულყოფილია.

მერე ვეწვიეთ დელფოსს. აპოლონის ტაძარი, მუზეუმი, თეატრი, სტადიონი. მთელი ქალაქი. 5000 ადგილიანი უძველესი თეატრის სცენაზე ქართული სიმღერა დავაგუგუნეთ.

დელფოსთან ახლოს ერთი სოფელია, მთა-გორიანი. მოსავალი არ მოდის და ხალხი აყრას აპირებდა (ურბანიზებულია), სახელმწიფომ დოტაცია მისცა, კერძო წარმოების ნება დართო. ქსოვენ, კერავენ, აგვირისტებენ, მთელი სოფელი ხალხური ნაწარმის კეთებაზე და გაყიდვაზეა გადასული.

იქნებ ამ გზით მაინც შეგვენარჩუნებინა ჩვენი მთიანეთი. როგორ დავღუპეთ ასე ძვირფასი მუზეუმი – საქართველოს მთიანეთი, ფშავ-ხევსურეთი.

დელფოსი გენიალურია.

ჩვენი სულელი გიდი ბერძნული მითოლოგიიდან ზღაპრებს გვიყვება, წარმოდგენა არა აქვს ამ ნანგრევთა არქიტექტურულ ღირებულებაზე, კომპოზიციაზე...

27 დეკემბერი

აკროპოლი.

ასრულდა ჩემი სიყრმის ოცნება – პართენონის ტაძრის ირგვლივ დავაბიჯებ. უკვე აღარც მახსოვს მერამდენეჯერ შემოვუარე.

ათენი. პართენონი

ქარიატიდების კომპლექსი – ულამაზესი ქალები თავებზე რომ შეუდგამთ ტაძრის თაღები.

პართენონი ანტიკური კულტურის მწვერვალია. მოწითალო მარმარილოს კლდეზე დგას გრანდიოზული თეთრი ტაძარი. პართენონთან ყველაფერი, რაც ვნახეთ, ფერმკრთალდება.

რა შესძლებია ადამიანს.

რაც მიწისძვრამ ვერ დააკლო, თურქებმა მოუთავესო – ჰყვება გიდი.

განა პართენონის დანგრევის დანაშაულს გამოისყიდიან თურქები ოდესმე?

ათენი. პართენონი

2 საათზე ათენიდან რომში გამოვფრინდით. შესანიშნავი ფეშენებელური თვითმფრინავი „ბოინგი“. საბაჟოში ჩვენს ჩემოდნებს აშუქებენ. ტელეეკრანზე მოჩანს და საბაჟოს მოხელე ზუსტად ხედავს, რა არის ხელჩანთაში ან ჩემოდანში. ჩემოდნის გახსნასთან და შიგ ხელისფათურთან შედარებით უფრო კულტურული მეთოდია.

ორი საათის ფრენის შემდეგ რომში ვართ. იტალია წვიმით შეგვხვდა. აეროპორტიდან პირდაპირ ფლორენციაში გავემგზავრეთ.

ოთხი საათის დამღლელი მგზავრობის შემდეგ, საღამოს რვა საათზე ფლორენციაში ვართ. ძველ, დანჯღრეულ სასტუმროში ცოტა შევნაყრდით და ქუჩებს ვეცით.

ქალაქი – დეკორაცია.

უძველესი, ჭუჭყიანი ქალაქი. ყოველ ფეხის ნაბიჯზე შუასაუკუნური იდუმალება.

მიქელანჯელოს დავითი.

შუაღამემდე დავეხეტებით ქუჩებში – მე, ემზარი, სოფიკო და ოქრო. მედიკომ და ლადომ შეუძლოდ ვართო და დაიძინეს.

რომი. წმიდა პეტრეს ტაძარი.

რომი. კოლიზეუმში

ასე მგონია ირგვლივ დეკორაციებია და რომელიღაც უძველესი ფილმის გადამღებ ჯგუფს ვახლავარ.

28 დეკემბერი

მედიჩების სასახლე. პიცის მუზეუმი. აღურაცხელი სიმდიდრე. ნაპოლეონი ამ ოთახში ათევდა ღამეს. ამ საწოლზე იწვა.

დაუბრუნდება ოდესმე მსოფლიო იმ თავდადებას, იმ ენერგიას, იმ მოთმინებას?...

უფიცის სამხატვრო გალერეა.

ტიციანი, რაფაელი, მიქელანჯელო, ლეონარდო, ბოტიჩელი, მურილიო. ამ ორიგინალების ნახვა ერთ სიცოცხლედ ღირს.

დავიღალე.

ახლა აღარაფრის ნახვა აღარ სურს. ერთად ამდენი გენიოსი ტვინზე გაწვება კაცს.

29 დეკემბერი

ფლორენციის ორი უმთავრესი ტაძარი (კათედრალური, დიდი ტაძარი) და პანთეონი დავათვალიერეთ. ამ პანთეონშია დაკრძალული თითქმის ყველა სახელოვანი ფლორენციელი: მიქელანჯელო, ლეონდარდო და ვინჩი, დანტე ალიგიერი.

ერთ დროს, ერთ ქვეყანაში როგორ ცხოვრობდნენ მიქელანჯელო, ლეონარდო, ტიციანი?

საოცარია. რა ეპოქა იყო.

ვათვალიერებთ კათედრალური ტაძრის განსაცვიფრებელ ჭერს და ჩემს გვერდით რუს-ქართული მომესმა:

– არა, მე მგონია წავაგე იმ ტუფლებში.

– რატომ?

– სხვაგან უფრო იაფად შემხვდა.

მოვიხედე. ორი ქალი (ჩვენები) თან ისე გულმოდგინედ შესცქერიან ჭერს და თან ისე ოსტატურად ნიღბავენ ამ სულელურ საუბარს, რომ კიდევ ერთხელ ვიწამე ქალის ჭკუა და მოხერხებულობა.

ერთო რამ კია, პატივცემულო პროფკავშირის მუშაკებო; რამდენ მართლა მწერალს, მხატვარს, არტისტს, მუსიკოსს (ვისაც მართლა სჭირდება და ესმის) სხვადასხვა მიზეზით უარს ეუბნებით ამ უკვდავი ძეგლების ნახვაზე, ამ მოგზაურობის სიამოვნებაზე და მართლა და მართლა სად იპოვეთ, სად აღმოაჩინეთ ამდენი უსაქმური, ენაჭარტალა დედაკაცი, რამდენიც ჩვენს ჯგუფშია.



იტალია. პიზას გადახრილი კოშკი

უკვე მოვასწარი (მეშჩანური ბუნების გამო) ჩვენი ჯგუფის 3-4 წევრის სამუდამოდ შეძულება.

აკადემიაში მიქელანჯელოს დავითის ორიგინალი ვნახეთ. ირგვლივ ხალხი ბუზივით ახვევია. დგას თეთრად განათებული ეს ულამაზესი მზეჭაბუკი და სიცოცხლის, სიყვარულის, რწმენას ადამიანისადმი, უკვდავების წამალს არიგებს. ამაზე კარგს რას გაუკეთებ კაცობრიობას.

იქვეა მიქელანჯელოს „მონები“, დაუმთავრებელი, უზარმაზარი სკულპტურები. ამბობენ ეს იქნებოდაო ყველაზე დიდი და მონუმენტური ნამუშევარი მიქელანჯელოსი.

პაპ იულიუს მეორის ძეგლს აკეთებდა მიქელანჯელო, შეადგინა ნახატები, დაიწყო მუშაობა და მოულოდნელად პაპი გარდაიცვალა – პაპის ნათესავებმა კი უარი უთხრეს მიქელანჯელოს დაპირებული თანხის გადახდაზე, მიქელანჯელომ მიატოვა შუამდე გაკეთებული საქმე.

ასე გაჩნდა „მონები“.

ფლორენციიდან 1 საათის სავალზეა პიზას სალოცავი და რაც მთავარია მსოფლიოს ერთ-ერთი საკვირველება – პიზას გადახრილი კოშკი. XI საუკუნის ქმნილება.

ათ წელიწადში 1 მილიმეტრით იხრება განზე. პატარა როდია. ვერაფრით შველიან.

პიზა დიდებულია.

30 დეკემბერი

სიენა.

შუასაუკუნეების ქალაქი. როგორც ააშენეს XI საუკუნეში ისევ ისე დგას. ვიწრო ქალაქი. ფართო მოედნები.

რომაული არქიტექტურის მშვენება – სიენას ტაძარი XI საუკუნისა.

აი, შუასაუკუნეების ქალაქი.

საღამოს ექვს საათზე (უკვე ბნელა) რომს მივადექით.

საბჭოთა საელჩოსთან ახლოს სასტუმრო „სივილიაში“ დავბინავდით. მე და თენგიზ მეძმარიაშვილმა ღამით ვენეციის მოედანს მივაკვლიეთ. შემოვუარეთ. მერე კოლიზეუმისაკენ წავედით. რაც ვნახეთ და განვიცადეთ, ენით აღუწერელია.

საღამოს მედეა კახიძეს დაბადების დღე გადავუხადეთ.

31 დეკემბერი

ერთი მდიდარი კაცის (გასულ საუკუნეში ცხოვრობდა) პირადი გამოფენა დავათვალიერეთ. ნახატების შეგროვების

დიდი მოყვარული ყოფილა. აი, სიმდიდრე. უგროვებია კლასიკოსთა ქმნილებები. ბოტიჩელი, ტიციანი, რაფაელი, ჯოტო, პერუჯინო...

ვატიკანი.

ვატიკანი მარტო მსოფლიოს კათოლიკური ცენტრი კი არ არის, იგი ხელოვნების მექაც ყოფილა. რა არ წამიკითხავს ვატიკანზე, მაგრამ ამ მაღალი კედლების იქეთ თუ ასეთი უმდიდრესი ეროვნული საგანძური ინახებოდა, არ მეგონა.

ოცი დღეა მსოფლიოს უმდიდრეს მუზეუმებსა და გალერეებში დავდივარ, მაგრამ ვატიკანი სულ სხვა აღმოჩნდა. სიდიდით, სიმდიდრით, მასშტაბით – არა მგონია ბევრი მუზეუმი შეედაროს. ფარაონთა მუმიებით დაწყებული, თანამედროვე მსოფლიოს გამოჩენილი მხატვრებით დამთავრებული.

უძველესი ბერძნული ქანდაკებები.

ხომ ასე მიუწვდომელია იტალიის რენესანსი მხატვრობით, მაგრამ ბერძნული ქანდაკებები სხვაა. ქანდაკების მწვერვალი ძველი საბერძნეთია.

ლაოკოონი!

ორი ლაოკოონი დგას ერთმანეთის გვერდით. ერთი ასლი – აღდგენილი ცნობილი იტალიელი მოქანდაკის მიერ. მეორე – ორიგინალი ხელებმოტვრეული ფიგურებით.

მიქელანჯელოს უცდია მკლავი მიება ლაოკოონის ცენტრალური ფიგურისთვის. გენიალურად გაუკეთებია, მაგრამ მერე იმ მკლავის ნაწილიც დაკარგულა.

სიქსტის კაპელა.

რაფაელის გენიალურ დარბაზების შთაბეჭდილების ტყვეობაში ვართ, და აჰა უზარმაზარი ტაძარი, მიქელანჯელოს ფრესკებით დამშვენებული.

შვიდი წელი ხატავდა მიქელანჯელო დაწოლილი, უმძიმეს მდგომარეობაში, საკმაოდ უხერხულ ხარაჩოებზე მდგომი.

სამყაროს შექმნის, ქრისტეს ცხოვრების სიუჟეტები ჭერზე და კედელზე „განკითხვის დღე“ – მიქელანჯელოს ყველაზე

გენიალური ფრესკა. კომპოზიციის შუაში ბართლომეს ხელთ უკავია თავისივე ტყავი და ამ ტყავზე თვით მიქელანჯელოა გამოსახული. გენიალური სიმბოლიკაა.

მიქელანჯელოს სასტიკად დაუსჯია ერთ-ერთი კარდინალი (რომელსაც შიშველი ფიგურების დახატვა დაუშლია მისთვის) მიუხატავს იგი ამ ფრესკის მარჯვენა კუთხეში, ტანზე გველშემოხვეული, ჯოჯოხეთის გზაზე მიმავალი.

1 იანვარი

წუხელ ქალაქგარეთ საახალწლო შეხვედრა გვქონდა და გვიან დავიძინეთ. ჩვენს ირგვლივ უცნობები ირეოდნენ. ცოტა უსიამოვნო სიტუაცია იყო. „რუსოს“ გვეძახდნენ და მხარზე ხელს გვითათუნებდნენ. „ვოდკა! ვოდკა!“ ეკერათ პირზე.

დღეს რომში ყოფნის ბოლო დღეა. ავტობუსით ქალაქს ვათვალიერებთ. ესპანეთის მოედანი კიბეებით. რესპუბლიკის მოედანი. ჩანჩქერიანი შადრევანი. ვენეცის მოედანი. კოლიზეუმი.

მიქელანჯელოს გენიალური „მოსე“ წმინდა პეტრეს ტაძარში მომაჯადოებელია.

და ბოლოს პეტრეს ტაძარი!

მიქელანჯელოს განუმეორებელი ტალანტი.

პიეტა – ღვთისმშობელი ჯვარცმული ქრისტეთი ხელში.

პეტრეს ტაძარი გატყვევებს, გთრგუნავს, ჭკუიდან შეიძლება შეგშალოს.

მიქელანჯელოს გუმბათი. უზარმაზარი სკულპტურები. ეს გახლავთ მსოფლიოს ხუროთმოძღვრების მწვერვალი. ადამიანის შესაძლებლობების ზღვარი ხომ არა?

სადილის შემდეგ ისევ მივბრუნდით პეტრეს ტაძარში. აქედან გამოსვლა არ გინდა.

თეთრი მტრედივით გადმოდგა რომის პაპი პავლე VI სარკ-

მელზე და მრევლს სათნოებისა და სიკეთისაკენ მოუწოდა.

რამოდენა პატივი სცა მიქელანჯელომ კაცობრიობას. პეტრეს ტაძრიდან რომ გამოხვალ, მე მგონი ვეღარ შეძლებ კაცს თოფი ესროლო.

მთელმა პლანეტამ უნდა ჩაქოლოს პილოტი რომს რომ ბომბით გადაუვლის.

რომი. წმიდა პეტრეს ტაძარი

ევროპის გარშემო – 1981

17 ნოემბერი

მაშ ასე. 26 დღე გემზე უნდა გავატარო. გავიარო ათასობით კილომეტრი ევროპის გარშემო. თანაც, უნდა გავამხილო გემზე ჯერ არც კი ავსულვარ. მაინც ხომ უნდა ვნახო რა ხილია.

დღეს იწყება ჩვენი მგზავრობა. გავდივართ რიგიდან, დილიდანვე ლექციები წაგვიკითხეს. ახალი ის იყო ჩემთვის, რომ 1975 წლამდე გამოშვებული არცერთი წიგნის გატანა არ შეიძლება საზღვარგარეთ.

კიდევ ერთი რამ, ლექტორმა სხვათაშორის გვიამბო თანამედროვე ევროპაში ამ უკანასკნელ ხანს გაჩენილ მიმდინარეობებზე. მათ შორის ყველაზე ახალიაო შიშველ ქალთა მიმდინარეობა. ეგრეთწოდებული „შიშველი პროტესტი“. ქალები (განსაკუთრებით დანიაში და ჰოლანდიაში) უარს აცხადებენ თავიანთ დამოკიდებულ მდგომარეობაზე მამაკაცისგან. ემანსიპაცია მხოლოდ ჩვენს გასაჩუმებლად გამოიგონეს. სინამდვილეში ჩვენ მამაკაცთა სასიამოვნო დამატებას, მათ ხელში სათამაშო თოჯინას წარმოვადგენთ. ჩვენ გვყიდულობენ ფულით, საჩუქრებით, ძალაუფლებით და შემდეგ მონებად გვაქცევენო. ამიტომაც პროტესტს ვაცხადებთ ამგვარ ბედზე. ვიხსნით მამაკაცთავე მოგონილ სამკაულებს, კაბებს და შიშველი ვივლით მამაკაცებისვე შესარცხვენადო.

გულმა არ მომითმინა და ვკითხე: თუ შეიძლება, გვითხარით, ღვთის გულისათვის, ჩვენ როგორ უნდა მოვიქცეთ შიშველ ქალს რომ დავინახავთ, ჩვეულებრივ ამბად მივიჩნიოთ და ხელი ჩამოვართვათ, თვალი ავარიდოთ თუ პროტესტი უნდა გამოვთქვათ მეთქი. ლექტორი აშკარად დაიბნა. ვერ მიხვდა ჩემს ირონიას, რადგანაც ვცდილობდი რაც შეიძლება, სერიოზული სახე მქონოდა. ბოლოს, როგორც იქნა, დააღწია

თავი უხერხულ სიტუაციას – შიშველი ქალის გარშემო მიტინგის გამართვა, ამჯერად, თქვენი საქმე არ არის, უბრალოდ თვალი აარიდეთ, მორჩა და გათავდაო.

ყველამ გადაიხარხარა და მე შემომაცქერდნენ. ზოგი ეშმაკურად იღიმება, ზოგს ძალიან ყრუ ვიღაც ვგონივარ და არაფერს ამბობს.

სანამ გემზე მოვკალათდით, ისე დავიღალე, რომ მუხლები არ მემორჩილება. ბარში ვისხედით ღამის თორმეტ საათამდე და ბარმენს ვკითხე როდის დაიძვრება, თუ იცით, გემი მეთქი. გაეცინა, რახანია გაშლილ ზღვაში ვართ და სრული კურსით მივდივართო. შემრცხვა ჩემი გულუბყრვილობის. გემის გასვლა ნავსადგურიდან როგორ გამომეპარა.

18 ნოემბერი

თურმე ჯერ სადა ხართ. ზღვა ჯერ კიდევ გაგრძნობინებს რომ ზღვაა. ღამის 3 საათზე გამომეღვიძა. თითქოს საქანელაზე ვზივარ. გემი საშინლად ირყევა. კარადისა და აბაზანის კარები ერთიმეორეს ჯახანით ეხეთქება. მთელი გემი ისე ჭრაჭუნებს, რომ გეგონება დაიშლებაო. გული მერევა, თავბრუ მესხმის. საწოლზე წამოჯდომა ვცადე, მაგრამ უფრო ცუდად შევიქენი.

ჩვენს გემს „თევდორე შალიაპინი“ ჰქვია. 1955 წელს ინგლისში აგებული გემია. 1973 წელს უყიდიათ ჩვენებს, გაურემონტებიათ და ერთ-ერთ კეთილმოწყობილ გემად ითვლება სსრკ-ში. კაიუტაში ჩემთან ერთად ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელი ნიკო ხატიაშვილი ცხოვრობს. ექიმი. ბალნეოლოგიური კურორტის დირექტორი. კარგი კაცია. გულღია, გულისხმიერი. ნამდვილი ინტელიგენტი.

ერთი სიტყვით დღეს მთელი დღეა ვწევარ. წერის თავიც არა მაქვს. წამლებით გამჭყიპეს. მეუბნებიან რომ გამივლის, ვნახოთ.

ღელვა 6 ბალიანი არისო, აცხადებს დირექტორი, ჩემამდე ხმამ მოაღწია, რომ ჩემსავით ბევრი წევრი დარეტიანებულა!

დილით 12 საათზე, რადიოთი ინსტრუქტაჟი ჩაგვიტარეს, თუ როგორ უნდა ჩავიცვათ მაშველი კოსტუმი და რომელ მხარეს უნდა გადავხტეთ, თუ გემმა ჩაძირვა დაიწყო. ილუმინატორი გამოვაღე. ავად მოგრუხუნე მრუმე ტალღებს ჩავხედე და გამაჟრჟოლა.

არც გემის კომფორტი მხიბლავს მაინცდამაინც. ნარული სისტემის საწოლები გულისამრევია. ყველაზე ცუდი გემის პირსაბანია.

19 ნოემბერი

დღეს 3 საათზე, კოპენჰაგენის ნავსადგურს მივადექით. მაშინვე ჩავუშვით ღუზა, მაგრამ ერთი საათი მაინც გვალოდინეს გემბანზე პოლიციური ფორმალობისთვის. 4 საათზე ჩამოვდგით ფეხი დანიის მიწაზე, მაგრამ უკვე კარგად დაღამებული გახლდათ. გამიკვირდა, ოთხ საათზე უკვე ბნელა.

მილიონნახევრიანი ქალაქი თითქმის ცარიელია. მაღაზიის ვიტრინებია მარტო განათებული, ზედა სართულები ჩაბნელებულია და ფანჯრებჩარაზული. კარგა ხანია გადაიარა ევროპაში ცივილიზაციის ბუმმა. ხალხი ქალაქებიდან სოფლად გარბის.

დავდივართ ღამის კოპენჰაგენში. რა ეცემა თვალში, პირველ რიგში, ჩამოსულ კაცს?

ვიტრინათა ოსტატური, ხელოვნებამდე ამაღლებული გაფორმება. ასორტიმენტის სიუხვე, ევროპას ჩასაცმელ-დასახურავი აღარ უჭირს.

მაღალი საყოფაცხოვრებო კულტურაა, რიგი არაფერზე არ არის. ქუჩაში ხილ-ბოსტნეულის ჯიხურებშიც კი იდეალური სისუფთავეა. საგანგებოდ დარეცხილია კარტოფილიც კი.

ყველაფერი ლამაზადაა შეფუთულ-დახარისხებული. გამახსენდა ჩვენი ხილბოსტნეულის გაუბედურებული მაღაზიები.

ზოგი მაღაზიის ვიტრინა თეატრონს წააგავს. მარიონეტები ცეკვავენ და მღერიან. ქუჩებში უამრავი სანახაობაა. ტელევიზორებიც კი გამოუდგამთ მუშტრის მისაზიდად.

ადამიანებს აცვიათ სადად, პრაქტიკულად. ერთმანეთს თითქმის ეჩურჩულებიან.

ბელგია

ქალაქის ცენტრში მანქანების ჭაჭანება არ არის. ილფს და პეტროვს ვიხსენებ. მოქალაქე ისევ დაუბრუნდა ფილაქანს. იგი კედელს აღარ ეკვრის თავის გადასარჩენად.

ტელეფონების ჯიხურებში სატელეფონო ცნობარი დევს. მათ არავინ ხევს და არავინ იპარავს, რატომ უნდა იყოს ჩემთვის, თბილისელი კაცისთვის ეს გასაოცარი?

როგორც ამსტერდამში და ჰააგაში აქაც ბევრია ღამის ბარები. საროსკიპოთა ქუჩები წითელი ფარნებით, სექსფილმებითა და ვიტრინებში გამოფენილი მეძავებით.

ევროპა დაბერდა. სიცოცხლე ჩაკვდა დიდ ქალაქებში. საროსკიპოთა წინ თითო-ოროლა მამაკაცი დგას. ისინიც მე მგონი ტურისტები არიან, ან რეკლამისთვის დაქირავებული ჰომოსექსუალები.

ქუჩაში პოლიციელები აღარ ჩანან (ვერც ქურდები და ბანდიტები შევნიშნე მაინცდამაინც). ხშირად მაღაზია ღიაა. უძვირფასესი საქონელი ქუჩაშია გამოფენილი. მაღაზიის ერთადერთი გამყიდველი კი თავის ოთახში ჩაკეტილა და ლუდს მიირთმევს.

რაღაც სულელური ფილმი ვნახეთ (ოდესის კინოსტუდია) და დავიძინეთ.

20 ნოემბერი

დღეს ავტობუსით დავათვალიერეთ კოპენჰაგენი. ქალაქში ოთხ-ხუთსართულიანზე მაღალი სახლი არ არის. ქალაქის მუნიციპალიტეტი ნებას არ იძლევა ცათამბჯენების აშენებისა, რომ ქალაქს თავისი არქიტექტურული იერი არ შეეცვალოს.

ყველა სახლი კრამიტითაა გადახურული. თავისებური, მაღალი გადახურვა, კრამიტი და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ძეგლები, აგრეთვე თეთრი ფანჯრები ქალაქს ულამაზეს ფერწერულ იერს აძლევს.

ვნახეთ გრანდვიგის ეკლესია. ომამდე ააშენა რვა კაცმა. ოცი წელი შენდებოდა. ყველაზე მაღალი შენობაა კოპენჰაგენში.

რა შეუძლია ადამიანს. შიგნითაც და გარეთაც აგურითაა ნაშენი. აგურის გარდა სხვა არავითარი მასალა არ უხმარიათ. გადახურულიც აგურითაა. მაღალმა თაღებმა და არაჩვეუ-

ლებრივმა „სვეტთა შეკონებამ“ ჩემზე გრანდიოზული შთაბეჭდილება დატოვა.

მერე დავათვალიერეთ ტორვალდსენის მუზეუმი. ტორვალდსენი XIX საუკუნის გამოჩენილი დანიელი მოქანდაკეა. მისი „შილერი“, „პაპი პიუზ VIII“, „ბაირონი“, „გრაფინია ბარატინსკაია“ და სხვა ადრეც მქონდა ნანახი რეპროდუქციებში. ქრისტემ და მისმა მოციქულებმა თავიანთი სიდიდით, მასშტაბურობით და სილამაზით მეტად მომხიბლა. ძირითადად ბიბლიურ და ანტიკურ სიუჟეტებს აქანდაკებს.

კლასიკური ყველაფერი ბავშვურად გენიალურია.

თორმეტ საათზე ისევ გემზე ვართ და ნაპირს ვშორდებით. ინგლისისაკენ მივცურავთ. ნასადილევს კაპიტნის ბრძანება გაისმა. დაკეტეთ ყველა კარი, შეამოწმეთ ილუმინატორთა ხრახნები, რადიოგრამით შეგვატყობინეს, რომ ძლიერი, გრიგალისებული ქარია მოსალოდნელი.

აირინი და არაყი დავლიე და ვწევარ – „მეცხრე ტალღას“ ველოდები. განწყობილება უიმედო – სიამოვნებით დავბრუნდებოდი ახლა თბილისში რომ შემეძლოს.

ჯგუფის ხელმძღვანელი ნიკო ხატიაშვილი გემის კაპიტანმა მაღლა, პირველი კლასის კაიუტაში გადაიყვანა, ჩემთან არის გაიოზ დვალი, თბილისელი ინჟინერი ოცდაათიოდე წლის, კარგი, ზრდილი ახალგაზრდა.

21 ნოემბერი

მთელი დღე ზღვაში ვართ. წამების დღე უარესი არ იქნება. ღამის სამ საათზე დაუბერა ქარიშხალმა „მატილდამ“ და ჩვენი გემი ნაფოტივით აატივტივა.

არავის სძინავს. არის ოხვრა-კვნესა და სირბილი. ქაღალდის პარკები დიდ გამოყენებაშია.

დილით რადიომ გამოაცხადა რომ ღელვა 10-ბალიანია. ეს

არის ჭერი! თუ კიდევ მოიმატა, გემი „SOS-ის“ მდგომარეობაში გადადის.

დასუსტებულები შევლასლასდით რესტორანში. აბა იქ იყო სანახაობა. კარადებიდან თეფშები ცვიოდა. ოფიციანტ გოგონებს კერძით სავსე თეფშები ხელიდან უვარდებოდათ, იყო წივილ-კივილი.

მთელი დღეა ვწევართ ყველანი.

საღამოს ღელვამ იკლო, 6 ბალზე ჩამოვიდა. სალონში გემის კაპიტანი გამოჩნდა. თვალებდაბერილი, ადამიანს აღარ ჰგავს. მთელი ღამე პულტთან ვიდექი, თვალი არ მომიხუჭავსო. ათი წელია ვცურავ და ათბალიან ტალღაში (ჰაერში 12 ბალი) ჯერ არ მოვხვედრილვარო.

გადარჩენა მოგვილოცა ყველას.

შიშით სრულებითაც არ მეშინია. ასე მგონია, ზღვა ვერ დამახრჩობს, მაგრამ ცუდად ვარ. ყელში ბურთივით რაღაც მაწვება. უსიამოვნო შეგრძნება მაქვს. სულ მინდა ვიწვე. ერთი სიტყვით ნატიფარივით ვარ მიგდებული.

სტიუარდესა გოგონებსაც კი თავი აქვთ შეხვეული. მეზღვაურებიც კი წვანან თურმე თავიანთ კაიუტებში და გვერდით ქაღალდის პარკები უდევთ.

ხვალ ლონდონში ვიქნებით, თუ ჩავედით.

22 ნოემბერი

ნავსადგური ტილბურნი.

გემიდანვე ავტობუსებში ვჯდებით და ლონდონისკენ მივდივართ. დიდი ბრიტანეთის დედაქალაქამდე ერთი საათის გზაა.

მე, როგორც მძღოლს, პირველად გზატკეცილისაკენ გამირბის თვალი. წუნს ვერ დასდებ, ლონდონში ასფალტის დაკერება ჯერ არ იციან.

მწვანე მინდვრები, მდელოები გზის ორივე მხარეს. ამდენი გზა გამოვიარეთ და მოხნული, დამუშავებული მიწა არ ჩანს. გზის არეებსა და ეზოებშიც დეკორატიული ხეები სჭარბობს ხეხილს. გეგონებათ მთელი ინგლისის მიწა გოლფის, ფეხბურთის და ჩოგბურთის სათამაშოდ იყოს გაშვებული. მართლაცდა ინგლისს თავისი პურის ფქვილი და ხეხილი ერთ კვირასაც არ ეყოფაო, ამბობს გიდი. ჩვენ ყველაფერს ვყიდულობთო.

ღამდება. ულამაზესად განათებულ ბენზინ-გასამართ სადგურებს ჩავივლით. რიგი არ არის. გზაზე მანქანებიც ცოტა გვხვდება.

ლონდონის გარეუბანი. ჩვენი გიდი მოხუცი ინგლისელი ქალია. ცოტა ნერვიულიც ჩანს. დაჟინებით გვიმტკიცებს, რომ ეს უბანი ღარიბთა გარეუბანია, რომ ინგლისში 3 მილიონი უმუშევარია და უმუშევრები 600 დოლარამდე დახმარებას იღებენ თვეში. ინგლისელი მუშის საშუალო ხელფასი 900 დოლარს შეადგენს.

ინგლისელები კონსერვატორებია. სიახლეს მაინცდამაინც დიდი ენთუზიაზმით არ იღებენ. ლონდონში ძირითადად 4-5 სართულიან სახლებს აგებენ. ააშენეს რამდენიმე საცხოვრებელი ცათამბჯენი, მაგრამ არავინ იყიდა ბინა და იძულებული გახდნენ შიგ დაწესებულებები გაეხსნათო – ამბობს გიდი და მაღალ სახლებს გვიჩვენებს.

რა ვიცი. ალბათ ტრადიციულია ლონდონის არქიტექტურული ორიგინალობაც. აქ ორ ერთნაირ სახლს თითქმის ვერ იპოვით.

სასტუმრო „პლაზაში“ დავბინავდით, ქალაქის ცენტრშია. სასტუმრო დიდი ფეშენებელურობით არ გამოირჩევა.

ტრაფალგარის ულამაზესი მოედანი, ნელსონის ქანდაკება. ყველაფერი ნაცნობია.

ლონდონის ნაცონალური გალერეა. 1824 წელს დაარსებულ გალერეაში 2000 – მდე ნახატია. მათ შორის ლეონარდო

და ვინჩის – „მადონა მღვიმეში“, „მადონა“, რაფაელის, ტიციანის, ველასკესის, გოიას, დიურერის, რემბრანდტის, რუბენსის ნახატები. დიდხანს შევცქეროდი დიურერის „მამის პორტრეტს“. მართლაც რომ განსაცვიფრებელია.

23 ნოემბერი

მთელი დღე ლონდონში ვართ. ტაუერის ციხესიმაგრე (1078) ჩვენთვის კარგად არის ცნობილი – ლიტერატურიდან.

ამ კოშკში დახოცა მძვინვარე რიჩარდ მესამემ თავისი ძმისშვილები. იქ დააბიჯებდა გოლიათი მეფე ჰენრი მერვე თავისი ექვსი ცოლით და უაღესად ორიგინალური, სექსუალური ფიქრების აღმძვრელი რკინის მუზარადით.

ბუკინგემის სასახლე. ელიზაბეტ დედოფალი თავის რეზიდენციაში არ იმყოფება. ინგლისის სამეფო დროშა აღმართული არ არის. რაკი მასპინძელი „შინ არ დაგხვდა“ ყარაულის გამოცვლას ვუყურეთ და გამოვბრუნდით.

მადამ ტიუსოს მუზეუმი. სურათები გადავიღე ლენინთან, ბრეჟნევთან, კენედისთან, ინდირა განდისთან, ჩერჩილთან, სოფი ლორენთან ხელგადახვეული. ვნახოთ, რა გამოვა ჩემი ფოტოსაქმიდან.

მერე გავიარეთ პიკადილზე, პიკადილოს მოედანი. ცნობილი „სოჰო“. ღამის ბარების მესვეურნი ეგზოტიკის მოყვარულ ტურისტებსა და „სუსტ“ მამაკაცებზე ნადირობენ.

სექსფილმები და სექსმაღაზიები ათასნაირი აღმგზნები აბებითა და ადამიანის სხეულის რეზინისგან გაკეთებული ნაწილებით.

ქუჩაში „შემთხვევით“ სსრკ რადიოსა და ტელევიზიის კორესპოდენტი ინგლისში იური კოპალაძე შეგვხვდა. ახალგაზრდა კარგი ბიჭი. მანქანაში ჩაგვსვა და ღამის ლონდონი გვაჩვენა. უემბლის სტადიონი, თეატრი, სადაც რუსთაველე-

პარიზი. მონმარტრი. მარცხნიდან პირველი რევაზ მიშველაძე

პარიზი. ვენერა მილოსელის ქანდაკებასთან

ლუვრი. ლაოკოონთან

ლები გამოდიოდნენ. აგურისგან აგებული, გარედან საკმაოდ უშნო და მოუვლელი შენობა ჩანს. შიგ არ შევსულვართ. იური აღტაცებით გვიამბობდა იმაზე, თუ როგორ იყო 9 დღის განმავლობაში თეატრი პირთამდე სავსე და როგორი აღფრთოვანებით შეხვდა ინგლისური მკაცრი თეატრალური პრესა ქართველ მსახიობებს.

ინგლისში მწერალთა საერთო კავშირი არ არსებობს. არის მხოლოდ თანამოაზრე მწერალთა კლუბები.

უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები არ არის. ზოგიერთ ინსტიტუტში შეგიძლია საშუალო სკოლის ან კოლეჯის ატესტატის გარეშეც მოინდომო სწავლა, აი, სწორედ მაშინ უნდა ჩააბარო მისაღები გამოცდები.

საკვების პრობლემა ინგლისში არ არსებობს. მილიონიდან ერთი შემთხვევაა, რომ გამყიდველმა ზონა-წომაში მოგატყუოს ან ოფიციანტმა ზედმეტი გადაგახდევინოს.

24 ნოემბერი

ვესტმინსტერის სააბატო – გრანდიოზული ტაძარი. აქ დასაფლავებულია ინგლისის მეფეები და ცნობილი პირები სხვადასხვა სფეროდან. ბაირონი, შელი, დიკენსი...

ჰაიგეთის სასაფლაო – მარქსის საფლავი.

წმინდა პავლეს ტაძარი – მეჩვიდმეტე საუკუნეში აშენებული განსაცვიფრებელი მოზაიკით.

პარლამენტის შენობა ტემზის ნაპირას.

ბრიტანეთის მუზეუმი – სადაც თავმოყრილია ასურეთის, ბაბილონის, ეგვიპტის, ინდოეთის, ჩინეთის, იაპონიის, ირანის და სხვა ქვეყნების უძველეს კულტურათა ნაშთები.

საღამოს 7 : 30 - ზე ჩვენი გემი ტილბურნის ნავსადგურიდან გავიდა და საფრანგეთისკენ აიღო კურსი.

ჰავრში ჩვენმა ხომალდმა შუადღისას ჩაუშვა ღუზა. ლამანშის უწყინარმა სრუტემაც კარგად გვანჯღრია. ჰავრი საფრანგეთის ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგურია.

ავტობუსში ვსხდებით და პარიზისაკენ მივდივართ.

ჩვენი გიდი ახალგაზრდა ქალია, დაიძრა თუ არა მანქანა, მაშინვე იმაზე დაიწყო ლაპარაკი, თუ სად უნდა გადავახურდავოთ დოლარები ფრანკებად და რისი შეძენა შეგვიძლია შეღავათიან ფასებში.

ჩვენ ვაჭრობის მიმართ დიდი ინტერესი რომ არ გამოვიჩინეთ, გაუკვირდა. საქართველოში ნამყოფი ვარო, ანეკდოტივით გვიამბო ასეთი შემთხვევა; კახეთის ერთ-ერთ საბჭოთა მეურნეობაში გვიმასპინძლეს. თბილისისკენ რომ წამოვედით, ჩვენი ავტობუსის მძღოლმა ყურადღება მიაქცია საბარგო მანქანას, რომელიც მთელი საათი უკან მოგვსდევდაო, გავაჩერეთ. ვინა ხართ, რაშია საქმე ვეკითხებით, მეო, საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა გამომგზავნა, მანქანაში ერთი კასრი ღვინო ჩამიდო, თუ გზაში სადმე შეჩერდნენ, ამ ღვინით გაუმასპინძლდიო.

როგორ არ არის გასაცარი ჩვენი ხელგაშლილობა ევროპის დიდი ქალაქების ფონზე, სადაც წყურვილით რომ კვდებოდე, უფასოდ წყალს არ დაგალევინებენ.

დავბინავდით ქალაქის ცენტრში, სასტუმრო „გარნიერში“ სან ლაზარეს მოედანზე, აქედანო გვითხრეს თხუთმეტი წუთის გზაა ელისეის მინდვრებამდე.

ღამის პარიზში გავიარეთ.

პარიზის ცნობილი კაფეები და კაბარეები – „მულენ რუჟი“ (წითელი წისქვილი), „მონპარნასი“, „ბოჰემა“, რესტორანი „მაქსიმა“

იუნესკოს შენობა.

ტელევიზიის შენობა.

პარიზის „გრანდ ოტელი“.

პარიზი. ეიფელის კოშკთან

პერ ლაშეზის სასაფლაო.

კომუნართა კედელი.

ლუვრი – ლეონარდოს ხუთი შედევრით. ჯოკონდა!

ლეონარდოს მუქი ფერები და უზუსტესი ხაზები.

ჯოკონდას რესტავრატორის ყალამი შეხებია და ისეთი მომხიბვლელი ვერ არის. საღებავი დასკდა და რომ არ გვეშველა ჯოკონდა დაიღუპებოდაო – გიდმა.

ვენერა მილოსელი!

ქალღმერთი ნიკეა.

განსაცვიფრებელი მხატვარი დავიდი.

ლუვრი გამოფენათა ხელმწიფეა.

ლადო გუდიაშვილის ორი ადრინდელი ნახატი მოკრძალებულად გამოიყურება, მაგრამ რამოდენა სიამაყეა – იგი ლუვრშია გამოფენილი. მსოფლიოს უპირველეს გამოფენაზე.

მონმარტის ტაძარი.

მონმარტი – მხატვართა სალონი, კაფე ბოჰემათი.

თეთრი მონმარტრიდან პარიზი ხელისგულივით ჩანს.

27 ნოემბერი

ეიფელის კოშკი.

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი.

გასაოცარი რამ დამემართა, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი ვესტმინსტერის შემდეგ ღარიბულად მეჩვენა.

სსრკ – საფრანგეთის საზოგადოებამ საღამოს ბანკეტი გაგვიმართა. ბანკეტამდე მე და გოგი რამიშვილმა (ოპერის რესტავრატორი) გრანდ ოპერის დათვალიერებაც მოვასწარით.

კონკორდის მოედანი.

ტრიუმფალური თაღი.

28 ნოემბერი

ვერსალის სასახლე – მეფეთა თეატრი ფანტასტიურია. მეფის საწოლი ოთახი.



პარიზი. ვერსალი. 1972

ინვალიდების სასახლე. ნაპოლეონის აკლდამა. ლათინური კვარტალი – უნივერსიტეტით.

პანთეონი.

ბულონის ტყე.

ალექსანდრეს ხიდი სენაზე. გონებაში ვადარებ ერთმანეთს პარიზს და ლონდონს. ლონდონი უფრო მდიდრულია, უფრო არისტოკრატიული, მოვლილი, სუფთა, დახვეწილი. მკაცრი, თანამედროვე.

პარიზი. ჰიუგოს ძეგლთან

პარიზი საწოლიდან ახლად ამდგარ ლამაზ ქალწულს წააგავს. დაუვარხნელი, დაუდევარი, მოუვლელი. პარიზი უფრო გაშლილია და ჰაერიანი. სიძველე პარიზში უფრო თვალშისაცემია და ხაზგასმული. პარიზი მაინც ისეთია, როგორც ჰიუგომ, სტენდალმა და ბალზაკმა დახატეს.

ურბანიზმი პარიზს ძალად ჩამოცმული ქურქივით აქვს. პარიზი მზად არ აღმოჩნდა მეოცე საუკუნის რიტმისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ქუჩებში ფეშენებელური მანქანების მდინარე ბორგავს, და პიგალზე მეძავები თავზე საყრელად არის, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრში ამერიკული კვარტალიც აღმართულა ცათამბჯენებით და ელისეის მინდვრებზე მოდების დემონსტრაციას მსოფლიო რეზონანსი აქვს, პარიზი მაინც გასული საუკუნის ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებს.

საღამოს 5-6 საათზე პარიზში გავლა მიზანშეწონილი არ არის. გამონაბოლქვი დაგახრჩობს. საღამოს პარიზელები ქალაქიდან იკრიფებიან.

გიდს ვთხოვე, ეამბა რაიმე პარიზის დღევანდელ კულტურულ ცხოვრებაზე. სიამოვნებითო, გაუხარდა. გვიამბო მხოლოდ ჭორები. ბელმონდო პრეზიდენტის ოჯახთან დაახლოებული კაციაო. ალენ დელონი პარიზელებს ძალიან უყვართ, მიუხედავად იმისა რომ ამასწინათ საძრახისი საქმე შეემთხვაო. მცველი – იუგოსლავი ახალგაზრდა მოუკლესო. სასამართლოზე გაირკვა, რომ ეს ყმაწვილი ალენ დელონის სექსუალური ცხოვრების საკმაოდ უხერხულ ფოტოებს აგროვებდა და შანტაჟის გზით მათი პატრონისათვის ფულის დაცინცვლას აპირებდაო. ვერ დაუმტკიცეს, მაგრამ მთელმა პარიზმა იცის, რომ მისი პირადი მცველი ალენ დელონმა თვითონვე მოაკვლევინა. იგი ხომ დიდი ხანია მაფიასთან არის დაკავშირებული და ცნობილ პარიზელ განგსტერებთან ერთად ხშირად ხედავენო.

პარიზი კარგა ხანია უკვე აღარ არის მსოფლიოს კულტურული ცენტრიო. კინოში ინგლისელები და იტალიელები გვჯაბნიან, რაც შეეხება მხატვრობას, პარიზში ახლა არცერთი მსოფლიო სახელის მხატვარი აღარ ცხოვრობსო. ფიუნესი იაფი დონის კომიკოსიაო. ივ მონტანის მოძველებულ სიმღერებზე, ძველებურად დიდი რიგებიაო. ავტობუსიდან დაგვანახა კიდეც ელისეიზე ერთ-ერთ საკონცერტო დარბაზთან გრძელი რიგი ივ მონტანის კონცერტზე დასწრების მსურველთა.

მხატვრული ლიტერატურის საკითხავად დრო აღარ მრჩებაო. ამიტომაც ბოდიშს მოგიხდით, მაგრამ ვერ გეტყვით რა ხდება ახალი და მნიშვნელოვანი ლიტერატურაშიო.

პარიზელი მოქალაქე აღარ კითხულობს. ლიტერატურასაც კი ძირითადად ტელევიზიიდან ვეცნობითო. ჩვენ მწერლობის საკითხებზე კარგი კომენტატორები გვყავს და ხშირად თვით მწერლებიც გამოდიან ეკრანზეო.

პარიზის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე პრეზიდენტის სახლს ჩავუარეთ. პრეზიდენტი ხუთსართულიან საერთო სახლში ცხოვრობს და ოთხოთახიანი ბინა უჭირავს. მის ფანჯრებთან დღედაღამ მანქანების ღრიალია.

ჩვენთან ცოტა სხვაგვარად არის.

29 ნოემბერი

კურსი პორტუგალიისკენ გვიჭირავს.

დღეს და ხვალ გემზე ყოფნა გვიწევს.

ისევ სულისშემხუთველი კაიუტა ნარებით, უსიამოვნო რყევა და მოწყენილობა.

გემზე ყველაზე ნაღდი ლოზუნგია „ინ ვინო ვერიტას“ – ღვინოშია ჭეშმარიტება.

30 ნოემბერი

მთელი დღე გემბანზე გავატარე. ბისკაის ყურე მშვიდად გავიარეთ. არა და ყველაზე მეტად ოკეანე გვაშინებდა. პროგნოზიც ცუდი იყო.

ვიდექი მარტო და გავყურებდი უკიდეგანო ზღვას.

მხოლოდ დღეს ვიგრძენი გემზე ყოფნის მთელი სილამაზე. მზეა, თბილა, გემი ნელა მიირწევა და უკან მოთეთრო-მოლურჯო ზოლს ტოვებს.

ზღვას შავ-ლურჯი ფერი აქვს.

ხვალ დილით ლისაბონში ჩავდივართ.

1 დეკემბერი

დილით გემიდანვე თვალი მოვკარით ზღვაზე გადებულ მაღალ ხიდს და უზარმაზარ ქანდაკებას.

მერე გაირკვა, მე რომ ზღვად მეჩვენა, ეს იყო უზარმაზარი მდინარე ტეჟუ, ხოლო მის ნაპირას აღმართული ქანდაკება - ქრისტეს 100 მეტრიანი ქანდაკება (78 მ. კვარცხლბეკი, 28 მ. ფიგურა)

ვათვალიერებთ ლისაბონს.

სამხრეთული მზე თავს გვაჩვენებს.

ლისაბონი – პორტუგალიის დედაქალაქი – მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგურია. იბერიის ტომის – ლუზიტანთა ქალაქად დაარსდა – ადრე ერქვა ოლისიპო.

გამაოცა კარმელისტთა გოთურმა მონასტერმა აგებულმა მე-14 საუკუნეში. მართლაც რომ ხელოვნების შედევრია. აქ არიან დასაფლავებული ვასკო დე გამა და პოეტი კამოენსი – გამახსენდა მასზე ლადო ალფენიძის მშვენიერი სტრიქონები.

ვნახეთ აგრეთვე მე-16 საუკუნის ძველი სამეფო სასახლე, ტორი დი ბელენის შუქურა, ვაჭრობის ულამაზესი მოედანი, მე-9 საუკუნის არაბული ციხესიმაგრე.

დღეს პორტუგალიელთა ეროვნული დღესასწაულია და არცერთი მუზეუმი ღია არ არისო, გიდმა.

საღამოს გემზე დავბრუნდით. ხვალ დილით ესპანეთს დავლაშქრავთ.

2 დეკემბერი

ესპანეთის ერთ-ერთი უძველესი ნავსადგური კადისი, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 500 წელსაა დაარსებული ფინიკიელთა მიერ. კართაგენის უღელქვეშ კარგა ხანს იყო. ახლა კადისში 138 000 მცხოვრებია.

დავათვალიერეთ ქალაქის ცენტრი, სანტა კუევოს ტაძარი, კადისის გალავანი, მურილიოს ნახატები – „წმინდა კატალინას ქორწილი“.

მერე წაგვიყვანეს სადეგუსტაციო დარბაზში. აბა სანახაობა ეს იყო: 450 კაცი ერთდროულად დეგუსტაციას ეწეოდა. რუსები, რასაკვირველია, ბოლომდე დათვრნენ.

კადისის ვიწრო ქუჩები.

3 დეკემბერი

დილით ავტობუსით გავემგზავრეთ ესპანეთის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქ სევილიაში.

ანდალუზიის ტრამალებში მიჰქროდა მანქანა. ულამაზესი რანჩოები ოაზისებივით, გადამწვარი შიშველი სერები რუხ-ყვითელი ფერისა.

მანანა ქუთათელაძე (აკ. ქუთათელაძის ქალიშვილი) გაოგნებულია, ასეთი ფერები არსად მინახავსო.

ამ კუთხეში ერთი წელია წვიმა არ მოსულა და სოფლის მეურნეობა კატასტროფის წინაშე დგასო, გვითხრა გიდმა.

სევილია – ზღაპრულად ლამაზია. 1520 წელს აგებული

სამეფო სასახლე. უძველესი არაბული სამეფო სასახლე.

სევილიის ტაძარი. მსოფლიოში მესამე ადგილზეა: პავლეს (ინგლისი), პეტრეს (რომი), სევილიის ტაძარი.

აქ კოლუმბია დაკრძალული.

სევილიის ტაძარი მეჩვენა ყველაზე მდიდრული, ჩუქურთმოვან და დახვეწილ ტაძრად, რაც ტაძრები მინახავს ჩემს ცხოვრებაში.

4 დეკემბერი

მთელი დღე ზღვაში ვართ.

საღამოს ჩვენი „დღეა“. ქართველ ტურისტთა გამოსვლა. ხელმძღვანელობა მე დამავალეს. ჩემს ცხოვრებაში ამდენი არ მინერვიულია. შევიკრიბეთ სარეპიტიციოდ, სათითაოდ ყველა ამბობს – მე არ ვცეკვავ, მე არ ვმღერი. სხვამ იცეკვოს. გამოუვალი მდგომარეობაა.

საჭირო იყო ეროვნულ ნიადაგზე ხალხის ათამაშება; ნუთუ საქართველო უნდა შევარცხვინოთ მეთქი და ყველა ამოძრავდა.

მოვიფიქრე სახელდახელოდ ეტიუდები „მადამ ტიუსოს მუზეუმი“ და „სცენა პიგალზე“. ყველამ სკეპტიკურად შეხედა, არაფერი გამოვაო. როგორ გინდა დაარწმუნო ყველა, გამოვა თუ არა.

ხელმძღვანელმა ნიკომ მკითხა, რა კავშირი აქვს მადამ ტიუსოს საბჭოთა სინამდვილესთანო. კგბ-მ არ დაგვასმინოს, არ დავილუპოთო. მწარედ გამეცინა.

ბოლოს ყველაფერი კარგად დამთავრდა. გამოვედით ბრწყინვალედ. მილოცავენ დიდ „რეჟისორობას“. გვიან ღამემდე ვიქეიფეთ ბარში.

5 დეკემბერი

მთელი დღე ზღვაზე.

ღელვა ათბალიანი.

წერის თავი ვისა აქვს.

თვით გემის კაპიტანიც ვერ უნდა იყოს კარგად.

6 დეკემბერი

ჩივიტავეკია – იტალიის ერთი ულამაზესი კურორტი ზღვაზე. რომში აქედან ნახევარი საათის გზაა.

ჩივიტავეკია ეტრუსკების ქალაქია. 108 წელს ჩვ. წ.-აღ.-მდე. იგი მნიშვნელოვან ნავსადგურად იქცა – იმპერატორ ტროიანეს ხელში.

გამოგვიცხადეს რომ იტალიაში ავტობუსების მძღოლების გაფიცვაა და რომში მატარებლით უნდა წავიდეთ. სადგურამდე ფეხით ვიარეთ. 500-მა კაცმა მწკრივად, ჩემოდნებით ხელში, ლტოლვილებივით.

ბნელოდა რომში რომ ჩავედით. სადგურ „ტერმინისთან“ ახლოს მოგვათავსეს სასტუმრო „მილანში“. დაგვირიგეს ქალაქის რუკები, რომელზეც ჩვენი ქუჩა და სასტუმრო არც კია აღნიშნული. ეს იმას ნიშნავს, რომ ცენტრიდან საკმაოდ შორს ვართ.

7 დეკემბერი

ეს იყო კრუიზის ყველაზე ძნელი და ყველაზე დატვირთული, მაგრამ ყველაზე ლამაზი დღე.

ერთ დღეში ელვისსისწრაფით დავათვალიერეთ რომი.

კაპიტალიუმის მოედანი. მარკუს ავრელიუსის ძეგლი პოსტდამენტზე აღარ დგას. მე ეს ძეგლი მინახავს 4 წლის

წინათ. გიდი გვიხსნის: ბრონი გაფუჭდა და ძეგლი გასარემონტებლად წაიღესო. საერთოდ გადაწყვეტილი აქვთ : აქ ძეგლის ასლი დადგან, ხოლო ძეგლი კი მუზეუმში მინის ხუფის ქვეშ შეინახონო. ორი ათასი წელი იდგა ეს ძეგლი აქ ცის ქვეშ და არ გაფუჭებულა. რა უქნა მანქანამ ქალაქს, რომ უმაგრეს ბრინჯაოსაც კი ვნებს (ადამიანს რას უზამს).

ფორუმი. კეისართა სასახლეები, სენატის სადარბაზო. იულიუს კეისრის მკვლელობის ადგილი.

მარკუს ავრელიუსის მაღალი ძეგლი – „ცხოვრების აზრი – მზადება სიკვდილისთვის.“

კოლიზეუმი – გლადიატორთა სისხლის წვეთები წვიმებს ჩაურეცხავთ.

ვენეციის მოედანი – იმპერატორ იმანუელის ძეგლით. გამარჯვების ტრიუმფალური თაღი.

ესპანეთის მოედანი.

ლეონარდო და ვინჩის კიბე.

პარლამენტის შენობა.

გიდმა გვიჩვენა სახლი, სადაც სოფი ლორენი ცხოვრობდა. ცხოვრობდა? – ვკითხეთ ჩვენ. დიახ, ისინი წლების განმავლობაში გადასახადს არ იხდიდნენ და იტალიის სასამართლოს გადაწყვეტილებით იტალიაში ცხოვრება აეკრძალათ. ახლა შვეიცარიაში არიან გაქცეულები, რომ ჩამოვიდნენ დააპატიმრებენო. ამას რომ ამბობდა, აივანზე სოფი ლორენი გამოჩნდა, მთელმა ქუჩამ ტაში დასცხო. ავედი აივნის კიბით. სოფის 10 წუთით ვესაუბრე. გამომშვიდობებისას ისე გავთამამდი, ლოყაზე ვაკოცე.

ვატიკანი. ზღაპრული სიქსტის კაპელა.

პეტრეს ტაძარი – ბესნინის საკურთხეველი პიეტა. მსოფლიოში უდიდესი ტაძარი და ულამაზესი – XVI საუკუნის. იგი ხელოვნების შედევრია.

უძველესი თეატრი.

ახალი რომი დაშენებულია ძველი რომის ნანგრევებზე, აქ

სახლებს ფუნდამენტი არც კი სჭირდებათ, თითქმის ყველა სახლის ქვევით ძველი სასახლის დუღაბია.

ნერონი! – „რა არტისტი ვკვდები.“

ახალს ვერ დაუჩრდილავს ძველი რომის ბრწყინვალება. ახალი ძველს ვერ მორევია.

ვივახშმეთ ძველი რომის ტიპიურ სარდაფ-რესტორანში. იტალიური სიმღერების თანხლებით.

პანთეონი!

8 დეკემბერი

დილით მატარებლით კვლავ ჩივიტავეკიაში ჩამოგვიყვანეს. შუადღისას დაიძრა გემი და მაშინვე ქარი ამოვარდა.

ექვსბალიანი ღელვა. საოცარია მთელს კრუიზში, თითქმის, არცერთი წყნარი დღე არა გვქონიაო, უკვირთ გემის თანამშრომლებს.

ვწევარ კაიუტაში. თითქოს უკვე შევეჩვიე ღელვას.

არაუშავს. ორ დღეში სტამბოლში ვიქნებით და ჩემი „ეპოპეაც“ დამთავრდება.

დაბეჯითებით ვაცხადებ, რომ უკანასკნელია გემით ჩემი მგზავრობა.

9 დეკემბერი

ისევ ზღვა.

ჩვენი მოგზაურობიდან ორ მესამედს ზღვაზე ვატარებთ, ერთ მესამედს ხმელეთზე.

დღეს ვნახეთ ფილმი – „ერთადერთი,“ ზალატუხინი თამაშობს, „მოსფილმის“ ნაწარმოები. კარგი ფილმია.

გავიარეთ სიცილიის ვიწროებში. გეზი საბერძნეთისკენ გვიჭირავს.

10 დეკემბერი

მზიანი, კაშკაშა დღე გათენდა. ზღვა, როგორც იქნა, დაცხრა.

საბერძნეთს ჩავუარეთ.

მაღალი მთები და თეთრი სახლები დაჩნდა.

მთელი საბერძნეთი ხომ თითქმის მარმარილოთია ნაშენები.

ეგეოსი ტკბილად, მშვიდად შეგვხვდა.

11 დეკემბერი

ნაშუადღევს ჩამოვედით სტამბულში. ბოსფორის სრუტე. ევრაზიის გამყოფი ვიწროზე ვიწრო ყელი.

მეჩეთების ტყე აღიმართა ჩვენს წინ. სრუტის ორივე მხარეს ამფითეატრივით აღმართულან ულამაზესი სახლები.

სტამბოლი მართლაც რომ აღმოსავლეთის მარგალიტია. გავცურეთ სტამბოლის უზარმაზარ ხიდქვეშ. პოლიტიკური ფორმალობანი და უკვე სტამბოლის ნავსადგურში ვართ.

რამდენ ქართველს გაუვლია ამ უძველეს ნავსადგურში. სულხან საბა ევროპიდან მიმავალი. აქედან ყიდდნენ ტყვე ქართველებს მამლუქებად.

პირდაპირ სტამბოლის ბაზარში. განსაცვიფრებელი, ლაბირინთებიანი ბაზარი. ორსაათიანი მომქანცველი ხეტიალი.

საღამოს „ქარავან სარაიში“ აღმოსავლურ ცეკვებს დავესწარით. ხუთი ბიჭი ცეკვავდა ქართულ ცეკვებს.

„გურჯი!“ მეთქი, ვიყვირე. გაიცინეს და ხელი დამიქნიეს.

12 დეკემბერი

დილის 7 საათიდან ქალაქს ვლაშქრავთ.
ცისფერი მეჩეთი.
„აია სოფიას“ ტაძარი.
მეფის სასახლე „თოლმა ბახჩი“ ზღვის პირას.
ბოსფორის ხიდი.
ახალი ოპერა (რად უნდათ,მომღერალი არა ჰყავთ)
ქალაქის ევროპული და აზიური ნაწილი.
12:30-ზე ხელი დავუქნიეთ სტამბოლს.
წინ ოდესაა.

ვიეტნამი – 1982

ვიეტნამში წამოსვლამდე, აი, რა ვიცოდი ამ ქვეყნის შესახებ. ჩემი ცოდნის უმთავრესი წყარო იყო ცნობარები, ენციკლოპედია, თითო ოროლა რუსულად წაკითხული ვიეტნამელი მწერლის ნაწარმოები და ვიეტნამელი ასპირანტი ნგუენ ნგია ჩონგი, რომელმაც ჩემი ხელმძღვანელობით 1981 წელს დაიცვა ჩვენთან დისერტაცია დადებით გმირზე ვიეტნამურ ლიტერატურაში.

ვიეტნამი. 60 მილიონზე მეტი მცხოვრებით. ყველაზე დიდი ქალაქები – ჰანოი, საიგონი, ახლანდელი „ჰო ში მინი“ და ჰაიფონი. მწვერვალი ფანში. მდინარე ჰონგჰა.

უძველესი სახელმწიფო ვანლანგი. გაზეთები „ნიან ზანი“, „ტიენ დონგი“.

ვიცოდი რომ ვიეტნამში სამასამდე დიალექტზე ლაპარაკობენ და ყველა კუთხეს თავისებური, გამორჩეული კულტურა აქვს.

ვიცოდი რომ ვიეტნამური ლიტერატურის ფესვები უძველეს სახელმწიფოს ვანლანგს უკავშირდება.

ვიეტნამელი ხალხის ბელადები და იმპერატორები ლექსებს და ზღაპრებს თხზავდნენ. პოეტები გახლდნენ მე-11 საუკუნის იმპერატორი ლი თო ტო და მთავარსარდალი ლი თიონგ კიე.

ჰო ში მინის ლექსები, მოთხრობები და პუბლიცისტური წერილები დღესაც კლასიკად ითვლება. (შეადარეთ ჩვენი მეფე-ბელადები).

ცნობილი მწერლები: ნგუენ ზი – (XVI საუკუნე) – ნოველები. ნგუენ ჩაი (XIV საუკუნე) – პოეტი – „ლექსები მშობლიურ ენაზე“. ტო ჰიუ (1920) პოეტი. ნგუენ დი თი (პოეტი). ნგუენ ტუანი – ნოველები „სენსაცია“, „любки деревни Донько“. თხან ტინი – „სასიყვარულო წერილები“. ვუ ხანი – „სისხლიანი ნაწერები“, საინტერესო მწერალია, სამხრეთ ვიეტნამში, საიგონში ცხოვრობს. დიდხანს არ უბეჭდავდნენ არაფერს. ადგა, მწყერების მოშენება დაიწყო, მწყერის კვერცხები ვიეტნამში ძვირად ფასობს. ფული დააგროვა და საკუთარი გამომცემლობა შეიძინა. ახლაც თავის წიგნებს თვითონ ბეჭდავს.

ვიეტნამის მწერალთა კავშირის მდივნის ტო ჰოაის „მივიწყებული კუნძული“ და „малолетные супруги“ მაქვს წაკითხული. რასაკვირველია, რუსულ თარგმანებში. ამ მწერლის რუსული კრებულის წინასიტყვაობაში წერია, რომ მისი ყველაზე საყვარელი ქალაქებია დელი, თბილისი და ბეირუთი.

ვიცოდი ცოტა რამ ვიეტნამური ფერწერისა და ვიეტნამელ მინიატურების ოსტატთა გასაოცარ ხელებზე.

ვიეტნამი

ვიცოდი აგრეთვე ისიც, რომ საიგონი ახლანდელი „ჰო ში მინი“ ფრანგი კოლოზინატორების ბატონობის დროს და შემდეგაც (გათავისუფლებამდე ე.ი. 1970 წლამდე) გართო-

ბისმოყვარულ ევროპელთა და ამერიკელთა საროსკიპო სახლად იყო ქცეული. ევროპელი აღმზრდელები 13-14 წლის ვიეტნამელ გოგონებს დიდის გულმოდგინებით არჩევდნენ და 6 თვიანი მეცადინეობის შემდეგ საროსკიპო სახლებში ანაწილებდნენ. ახლა დაახლოებით 50 000 ყოფილი მეძავი „საზოგადოებრივ-სასარგებლო“ შრომაში ჩააბა ვიეტნამის ხელისუფლებამ. ცოტა ძნელი კი აღმოჩნდა მათგან დამკვრელი მუშების გაკეთებაო, ხუმრობენ ვიეტნამელები.

აი, ყველაფერი რაც ვიეტნამზე ვიცოდი.

7 მაისი

14 საათი უნდა ვიფრინოთო სტიუარდესამ რომ გამოაცხადა, შევშინდი და კარებისკენ გამექცა თვალი, მაგრამ უკვე გვიან არის, კიბე კარგა ხანია მოხსნილია და „ტუ 162“-ის ძრავები მწყობრად გუგუნებენ, საფრენ ბილიკებზე თვითმფრინავის გასვლის წინ.



ბორის რიფტინი და რევაზ მიშველაძე

მე და ჩემი თანამგზავრი ენაწყლიანი პროფესორი, ჩინური ლიტერატურის ცნობლი სპეციალისტი ბორის რიფტინი ერთმანეთს ვეჯიბრებით ილფისა და პეტროვის ცოდნაში. დავიწყებ ფრაზას ბორისი ამთავრებს და პირიქით. რაკი პროფესორს იუმორის გრძნობა აღმოაჩნდა, არაფერი მიჭირს.

ჩემი შეხვედრა ვიეტნამთან ცოტა უცნაურად დაიწყო. თვითმფრინავში უეცრად რკინის ფირფიტა დამეცა თავზე. გაოცება ვერ მოვასწარი, ვიეტნამელი გულზე ორივე ხელის მიდებით ბოდიშს მიხდის: თაროზე პიჯაკის შედება მინდოდა და ფირფიტა შემთხვევით ჩამოვარდაო.

არა უშავს მეთქი, დავამშვიდე, ჯიბიდან ხუთკაპიკიანი დავაძვრე, და კოპზე დავიდე. მალე ვიეტნამელმა ისევ მომაკითხა, ვარსკვლავ-მალამო გამომიწოდა, შუბლზე წაისვი ტკივილს გაგიყუჩებსო. არ მტკიოდა, მაგრამ არ გავაწბილე, აშკარად ეტყობოდა შეწუხებული იყო ჩემი ვიეტნამელი. წამდაუწუმ მაკითხავს, მხარზე მოკრძალებით მეხება და საწყლად მიღიმის – როგორ ხარო, სიმართლე გითხრათ, შემაწუხა მისმა გადაჭარბებულმა ყურადღებამ და ბოდიშებმა. დაიძინეთ, მე კარგად ვარ, კოპიც უკვე დამიცხრა მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ, „ჩემი ბრალი არ არის, არ გეწყინოთ, ვინც ფირფიტა ზევით შემოდო მისი ბრალიაო.“ ვიცოდი მაინც არ დამაძინებდა და გამოველაპარაკე – ვიეტნამის კინემატაგროფისტთა კავშირის მდივანი, ცნობილი კინორეჟისორი ბუი დინ ჰაკი აღმოჩნდა. ავტორი სხვადასხვა კინოფესტივალზე არაერთგზის პრემირებული ფილმებისა: „ნგუნ ვან ჯოი“ და „გზა დედისაკენ მიდის“. ახლა ჰო ში მინის ცხოვრების შესახებ ექვსსაათიან ფილმს ვიღებო.

ხუთ საათნახევარში ყარაჩში ჩავფრინდით (პაკისტანი). თვითმფრინავიდან არ გამოგვიშვეს. პაკისტანის მთავრობა ნებას არ რთავს საბჭოთა მგზავრებს აეროპორტში ნახევარ საათს გაიარ-გამოიარონ. კიდევ კარგი თვითმფრინავში კონდენსირებული ჰაერია.

ორი საათის შემდეგ ბომბეის აეროპორტში დავეშვით. ერთი საათი შევისვენეთ და ჰანოისკენ ავიღეთ გეზი. 5 საათში ჰანოიში უნდა ჩავფრინდეთ, თუ მშვიდობა იქნა. ამ სიტყვებს თვითმფრინავში ვწერ. ჩემი ვიეტნამელი რეჟისორი შუბლზე ხელს მადებს და მეათასედ მეკითხება, თავს როგორ ვგრძნობ.

8 მაისი

ჰანოის აეროპორტი ბომბეის ფეშენებელური აეროპორტის შემდეგ ვერაფრით გაგაკვირვებთ. მესტიის აეროპორტს წააგავს.

ის ის იყო, დამხვედრის იმედი გადავიწურეთ, და ფეხით ვაპირებდით ჰანოიში წასვლას (აეროპორტიდან ჰანოიმდე 40 კილომეტრია). ტაქსი არ არსებობს საერთოდ ვიეტნამში. ავტობუსებთან კი იმდენი ხალხი ირევა რომ საეჭვოა ჩაჯდომა მოვახერხოთ), რომ ორი ვიეტნამელი მოგვიახლოვდა და ღიმილით დაგვიკრეს თავი – მწერლები ხომ არა ხართო. ალბათ დაგაგვიანდათ მოსვლა მეთქი, ვკითხე მერე რომ გავუშინაურდი და მანქანაში ვსხდებოდით. არა, დროზე მოვედით, მაგრამ შეკითხვა ვერ გაგიბედეთ, ისეთი სერიოზული სახეებით ჩამოხვედით თვითმფრინავიდანო. შორიახლოს მოგყვებოდით და გათვალიერებდით. რაკი არავინ დაგხვდათ, ჩვენებად იმიტომაც ჩაგთვალეთო.

ვიეტნამელები უხმაურო, უაღრესად მოკრძალებული და დამჯერი ხალხია. სანამ სასტუმროში მივიდოდით, დიდი ხიდი უნდა გადაგვევლო. ჩვენი „ვოლგა“ შეჩერებულ კოლონას მიუახლოვდა და დადგა. სიცხეში გაჩერებულ მანქანაში ჯდომა რომ აუტანელი რამ არის, მოგეხსენებათ, ერთ საათზე მეტ ხანს ვიდექით. რაშია საქმე? ალბათ რამე მოხდა, ვერაფრით გეტყვითო, მასპინძლებმა. კარგა ხანს

ვიდექით ამის შემდეგაც. ბოლოს გულმა არ მომითმინა, მანქანის კარი გავაღე და უბოდიშოდ გადავედი, ვნახავ რა ხდება მეთქი. სრულიად არაფერი. ხალხით გაჭედილი ავტობუსი დგას. შოფერი მოწყენილი სახით გზას გაჰყურებს. რატომ არ იძვრი მეთქი, როგორც იქნა გავაგებინე ინგლისურად. რუსების მანქანამ გაიარა და ხელი დამიქნია, გამაჩერაო. ახლა რას აპირებ მეთქი. არ ვიციო. სწრაფად მივიღე გადაწყვეტილება. წადი მეთქი – ნება დავრთე და გასამხნევებლად მხარზე შევეხე. თქვენც არ მომიკვდეთ, პასპორტი რომ დავაძვრე და ვუჩვენე ეჭვით ჩახედა. რაკი დარწმუნდა, საბჭოთა კავშირიდან ვიყავი, თეთრი კბილები შემომანათა და მანქანა დაქოქა. ვინ იცის, იქნებ რომელიმე უწყების საბჭოთა წარმომადგენელმა ხელი მისალმების ნიშნად დაუქნია, გულისხმიერმა ვიეტნამელმა კი შეჩერების ნიშნად მიიღო. მანქანაში რომ დავბრუნდი და იქ მყოფთ ვუამბე, მე რომ არა კიდევ დიდხანს მოგიწევდათ აქ ყოფნა მეთქი, არ დამიჯერეს.

ჩვენს სასტუმროს ჰქვია „თონგლოი“ – „გამარჯვება“. ევროპული ტიპის სასტუმროა. ტბაზე დგას. ირგვლივ წყალია. ხიდით უნდა მიადგე.

ტბაში ბანაობა საშიშია. ქვეწარმავლებია მომრავლებულიო. სასტუმროს დარაჯები ყოველ ათ მეტრში დგანან და წყალს ჩაჰყურებენ. რას დარაჯობთ მეთქი. წყლიდან გველი რომ არ ამოძვრეს და სასტუმროს აივანზე არ ახოხდესო.

ნომერში მაგიდაზე დიდი ასოებით გამაფრთხილებელი წარწერებია: „ონკანის წყალი არ დალიოთ“, „აივნის კარები და ფანჯრები არ გააღოთ“.

მთელი ღამე ოფლში ვიწურები, თვალი არ მომიხუჭავს. სიცხე სულისშემხუთველი. სავენტილაციო დანადგარიდანაც რაღაც უსიამოვნოდ თბილად უბერავს.

ოდნავი გაფაჩუნება და წამოვხტები, სინათლეს ავანთებ და საწოლქვეშ ხვლიკს (ან უკეთეს შემთხვევაში თაგვს) დავეძებ.

9 მაისი

დილით ადრე სასტუმროდან ტბას გავხედე. გინახავთ ჭილოფზე ჩვეულებრივი ვიეტნამური ნახატები? ტბა ლოტოსის ბორცვებით დაფარული. ულამაზესი სანახაობაა. ლურჯ ველზე ჯგუფ-ჯგუფად მიმოფანტული მწვანე ხალიჩები.

მომეჩვენა, რომ გუშინ ამდენი მწვანე ბორცვი არ იყო ტბაზე და ამის შესახებ გაუბედავად მოვახსენე იქვე მდგარ სასტუმროს თანამშრომელს.

მართალი ხართო. ლოტოსის ფარდაგებს მეთევზეები საღამოობით გამოაცურებენ და ქვეშ ანკესებს უგებენო. თევზი ლოტოსის ქვეშ იბუდებს ღამე და ანკესს ადვილად მოჰყვებიანო. მართლაც თითქოს მზეს ამოჰყვნენო გობისოდენა ნავებზე მსხდომი მეთევზეები. ხელში ნიჩბების ნაცვლად ხის ჯამები უჭირავთ და გასაოცრად სწრაფად მიიწევენ ლოტოსის ველისკენ. მიახლოებისთანავე იხვივით ჩაყვინთავენ. საეჭვოდ დიდ ხანს არიან წყალში, მერე ლოტოსის ფოთლებს შუა გამოჩნდება მეთევზის თავი ნადავლს გობში ჩაყრის, დასხვა ანკესისკენ მიცურავს. მეორე მეთევზე უკან მოჰყვება ნავზე გამობმული ლოტოსის დიდი ველით.

ჰანოის ქუჩებში დავაბიჯებთ მე და ბორის რიფტინი. ჰანოი პატარა ქალაქია ტერიტორიულად. მცხოვრები კი 2 მილიონამდეა.

უაღრესად ეგზოტიკური ქალაქია. ველოსიპედზე ამხედრებული ჰანოი. ვიეტნამელს უქუდოდ ვერ ნახავთ. ქალებს კონუსიანი მრგვალი ჭილოფის ქუდები – ნონი ახურავთ. კაცებს ხეზე გადაკრული მწვანე ქუდები – მუი ჰქვია.

მიუხედავად იმისა, რომ ვიეტნამის თითქმის ყოველი ტაძრის კარებზე წარწერაა „იცოცხლე სანამ ცა და მიწა არსებობს“, ვიეტნამელები მაინც არ გამოირჩევიან ხანდაზმულობით.

მოხუცს იშვიათად წააწყდებით. ვიეტნამში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ორმოცი წელია.

ტრადიციულად ვიეტნამის ქალაქებში ცხენიან კაცს არ უშვებდნენ. „ჩამოდი ცხენიდან“ – ახლაც არაერთგან ნახავთ ვიეტნამში დიდი დასახლების ან ქალაქების შესასვლელებში ქვაზე ამოკაწრულ იეროგლიფურ წარწერებს. გამახსენდა მანქანების ბოლქვში დამხრჩვალი თბილისი.

აქ ახლა ძირითადი ტრანსპორტი ველოსიპედია.

ქუჩაში მანქანებს იშვიათად შეხვდებით იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ვიეტნამში საკუთარი მანქანები თითქმის არ არსებობს. ტრანსპორტი მხოლოდ დიდ სახელმწიფო დაწესებულებებს ემსახურება.

ვიეტნამში სატელეფონო კავშირიც არ არსებობს კერძო პირებს შორის. ტელეფონები დგას მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებში.

ვიეტნამში სასურსათო მაღაზიები ძალიან ცოტაა. მიუხედავად საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების დიდი შემწეობისა, ვიეტნამის მზარდი მოსახლეობის (60 მილიონზე მეტი კაცი) გამოკვება ძალიან ჭირს.

სურსათი მხოლოდ საბარათო სისტემით ნაწილდება – ისიც უაღრესად შეზღუდული რაოდენობით.

ვიეტნამი ჭეშმარიტად საოცრებების ქვეყანაა. ფეხმძიმობის ვადა მსოფლიოს ყველა ხალხისგან განსხვავებით ვიეტნამში რვა თვეა.

მთელი ჩრდილოეთ ვიეტნამი რომ დაიაროთ, სასაფლაოს იშვიათად შეხვდებით. ადრე მიცვალებულს ყველანი თავის ეზოში უმთავრესად ბრინჯის ყანაში მარხავდნენ. ვალდებულია ყველამ იზრუნოს საფლავის მიწისთვის სიცოცხლეში. ქალაქში გარადაცვლილთ ზოგჯერ მშობლიურ სოფლებში მარხავენ ან ნათესავები და ახლობლები უთმობენ თავის ყანას. საფლავის ქვა ერთ წელიწადს ადევს საფლავს. შემდეგ

კი საფლავის ბორცვი სწორდება, ქვას კი ჭირისუფალი თავისი სახლის სარდაფში ინახავს. მიცვალებულს მეორე დღესვე ასაფლავებენ.

დასაფლავების ცერემონიალი დიდი არ არის. შავებსაც არავინ ატარებს.

ვიეტნამელს ბარგი ძირითადად ჯოხზე დაკიდებულ ჭილოფის ქილებში დააქვს. მხარზე სასწორივით გადაკიდებულ ამ ხის ხურჯინს განი ჰქვია.

უნდა ნახოთ რაოდენ თავისებურია განგადაკიდებული ვიეტნამელის სიარული. იგი ყუნცულით, დაახლოებით სპორტული სიარულის მსგავსად, თეძოების რხევით მიდის. ასე ინარჩუნებს წონასწორობასაც და როგორც ამბობენ ტვირთიც უმსუბუქდება.

ვიეტნამში თითქმის არ არის პროფესიონალური თეატრი.

ვიეტნამში არ არის მასობრივი სპორტი.

არ არის სპორტული დარბაზები.

არის ერთადერთი სახე სპორტისა – ახალფეხადგმული ფეხბურთი, მათი კლასი მოგეხსენებათ დაბალზე დაბალია.

ვიეტნამელები უაღრესად თავაზიანი ხალხია. თვალს შეავლებ თუ არა მოვალედ თვლის თავს გაგიღიმოს, ხოლო შენც თუ გაუღიმე, მოვა და მადლობის ნიშნად წელში რამდენჯერმე მოიხრება.

იქამდე მიდის ვიეტნამელის თავაზიანობა, რომ ისინი არ იგინებიან. ვიეტნამურ ენაში საგინებელი ფრაზები არ მოიპოვება, მითხრა ვიეტნამის მწერალთა კავშირის მდივანმა.

აბა, სიდედრს როგორ ელაპარაკებიან მეთქი. ხუმრობას ვერ მიმიხვდა. თურმე „მომწყდი თავიდან“ ყველაზე საგინებელ მიმართვად ითვლება.

ვნახეთ ცენტრალური მოედანი „ბა – დინ“ და ჰო ში მინის გრანდიოზული მავზოლეუმი.

„ტიუ მიტ კოტ“ – ერთ ბოძზე მიდგმული ბუდას ტაძარი. ჰანოის სიმბოლო. ბევრ ნახატზე მინახავს.

გასაოცარია ნეფრისტის (ქვის) ბორცვზე გაშენებული საყდარი – რომელიც ორ ნაწილადაა გაყოფილი. ერთ მხარეს კონფუციანელთა სამლოცველოა, მეორეზე ბუდისტების – „დაბრუნებული მახვილის“ ტბაში.

საყდარში მინის ხუფის ქვეშ დაბალზამებული გიგანტური კუ განისვენებს. იგი 1968 წელს გარდაიცვალა, 300-ზე მეტი წლისაა.

აქვეა მონღოლთა წინააღმდეგ ვიეტნამელთა გამოჩენილი ბელადის პოეტ ჩან ჰანგ დაოს (12226-1300) მემორიალი..

„კამან“ – გმადლობთ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ისმის.

ვიეტნამური ბაზარი

გავიარეთ ჩინურ კვარტალში, წვრილი ხელოსნების სამუშაო ადგილებში და ბაზარში.

გასაოცარი სანახაობა. სახალხო ოსტატები ჩვენს თვალწინ ახდენენ ხის, ტყავის, ქვის, ვერცხლის დამუშავების სასწაულს.

ბაზარში ყველაფერია, მაგრამ არავინ ყიდულობს. საკვები წარმოუდგენლად ძვირი ღირს.

საღამოს საბჭოთა საელჩოში ფილმი „ფრონტი ფრონტის მიღმა“ ვნახეთ.

10 მაისი

მწერალთა კავშირის პირველი მდივანი ნგუენ ნგოკი კიბეზე შეგვეგება და თავის კაბინეტში შეგვიძღვა.

ბანანითა და ჩაით გაწყობილ სუფრას ექვსნი შემოვუსხედით. ნგუენ ნგოკი, ვიეტნამის მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მუშაკი, საბჭოთა საელჩოს თანამშრომელი და ჩვენ.

დელეგაციის სახელით ვიეტნამელ მწერლებს მივესალმე და სათანადო წარწერით „ვეფხისტყაოსანი“ და მცირე სუვენირები ვუსახსოვრე. ნგუენ ნგოკმა ფრიად გაიხარა. ამ ათიოდე წლის წინათ გახლდით საქართველოში, დიდებული, სტუმართმოყვარე ქვეყანაა. წელში გავიმართე და ბორის რიფტინს ამაყად გადავხედე, მაგრამ რაც მასპინძელმა ამ სიტყვებს მოაყოლა, აღტაცების საბაბს ცოტას მაძლევდა თურმე. რა კარგი სასტუმროები გაქვთ თბილისშიო სევდიანი ღიმილით დააყოლა. რომელ სასტუმროში ცხოვრობდი მეთქი. ჩემმა თავაზიანმა მასპინძლებმა თბილისში ჩამოსვლის დღესვე ყველა სასტუმრო შემომატარეს, მაგრამ თავისუფალი ადგილი არცერთში არ აღმოჩნდა და ბოლოს ერთმა ღვთისმადლიანმა პოეტმა (გვარი არ ახსოვდა) თავის სახლში წამიყვანაო.

კიდევ რამე თავმოსაჭრელი არ გაიხსენოს მეთქი და ლიტერატურაზე გადავიტანე სიტყვა. მოვიქაჩლე თავი და ვიეტნამური მწერლობის ჩემი მწირი ცოდნის მარაგიდან მისხალიც არ დავიტოვე. შევატყვე მასპინძლებს სიამოვნებდათ,

რომ მათს შემოქმედებაზე წარმოდგენა მქონდა. ხოლო ნგუენ ნგოკს თავისი ერთი ნოველის (გამოფრენის წინ დღეს წავიკითხე ლიტერატორთა სახლის ბიბლიოთეკაში) შინაარსი რომ ვუამბე, წამოხტა და მადლობის ნიშნად დიდხანს მართმევდა ხელს.

მერე მასპინძლებმა ვიეტნამში ჩვენი მოგზაურობის პროგრამა გაგვაცნეს. ბორის რიფტინს ძველი ვიეტნამური ხელნაწერების გაცნობა და სამხრეთის ორიოდე უძველესი ქალაქის ნახვის სურვილი ჰქონდა, ამიტომაც პროგრამის შედგენაში ენერგიულად ჩაერია, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

მასპინძლებმა ჩემი თანამგზავრის სურვილები ღიმილით მოისმინეს, თავი არაერთხელ დაუკრეს, მიზანი მოუწონეს და დახმარება აღუთქვეს, მაგრამ იოტისოდენაც კი არაფერი შეუცვლიათ.

მეორე დღეს პროგრამა რომ ჩამოგვირიგეს, ბორისმა ჩახედა და თარჯიმან გოგოს შესჩივლა – ჩემი თხოვნა რატომ არ გაითვალისწინეთო. გოგონამ შუბლზე იტაცა ხელი, ეტყობა გამორჩა მბეჭდავსო. კიბიდან-კიბეზე სირბილს მოჰყვა და ბოლოს გაბრწყინებული სახით ახლადდბეჭდილი პროგრამა ჩამოგვირიგა, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ძველს.

მწერალთა კავშირის ერთადერთი მანქანა მასპინძლებმა თავაზიანად დაგვითმეს. ვიეტნამის მწერალთა კავშირს ერთადერთი მანქანა „გაზ24“ აქვს, იგი პირველ მდივანს ემსახურება. სხვა მდივნები და რა თქმა უნდა კავშირის სხვა თანამშრომლები სამსახურში ველოსიპედით დადიან. მწერალთა კავშირის პატარა ეზოში ველოსიპედების ტყეა.

სადილის შემდეგ ჰანოის საფუძვლიან დათვალიერებას შევუდექით.

ქალაქის პარკი, კონფუციანელთა ძველი აკადემია. აკა-

დემიის ეზოში პატარა ტბაა შუაში კუნძულით. გამოცდის ჩაბარების დროს მოძღვარი და გამოცდის ჩამბარებელი იმ კუნძულზე მიჰყავდათ, რათა გამოცდის ნორმალურ მსვლელობაში ხელი არავის შეეშალა, ან გამოცდაზე ზემოქმედება არ მოეხდინაო, დასძენს გიდი.

ჰანოიში თითოეულ მცხოვრებზე ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი მოდის.

წყალი ვიეტნამელის ეზოა, საცხოვრებელი ბინის ნაწილია. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ტბაა ჰანოიში.

ოჯახი ხანდახან მთელი დღის განმავლობაში წყლიდან არ ამოდის. ბავშვები კი არ თამაშობენ, კი არ ბანაობენ ჩვენი გაგებით, წყალში ცხოვრობენ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ტბა აძლევს საზრდოს, აგრილებს ზაფხულის პაპანაქებაში (გაგრილებაზე მე სხვა წარმოდგენა მაქვს, რადგანაც ტბის წყლის ტემპერატურა ორმოც გრადუსამდე ადის და მეტი რომ არა ვთქვა, წყალტუბოს აბაზანებზე უფრო თბილია).

ღმერთმა შეარგოთ და მიირთმევენ თითქმის ყველაფერს ტბის მიერ ბოძებულს – თევზს, წყალმცენარის ფესვებს, ლოკოკინებს, ბაყაყს, ანკარას (ეს ორი უკანასკნელი დელიკატესებად ითვლება რესტორანში და ყველაზე ძვირი ღირს).

ვიწრო ქუჩაზე ჩავუხვიეთ და დიდხანს ვათვალიერებთ ქალაქში მცხოვრები ვიეტნამელის ყოფა-ცხოვრებას.

ცხოვრობენ უმეტესად ქოხებში. იატაკი მიწისაა ან უკეთეს შემთხვევაში ასფალტის. წამდაუწუმ ასველებენ იატაკს. ქალებს სულ სავარცხელი უჭირავთ ხელში.

შთაბეჭდილება ისეთი გრჩებათ, თითქოს თმის დასავარცხნად ქუჩაში გამოდიან.

ვიეტნამი

მინიატურული სკამი, მინიატურული მაგიდა, მინიატურული საწოლი. ერთ ქოხში – დაახლოებით ექვსმეტრიანში, მთელი ოჯახი ეტევა, მე მგონი, სიდედრ-სიმამრიანად.

ღიმილი ვიეტნამელის თანამგზავრია. შემოგხედავს, გაგიღიმებს და მაშინვე ხელებზე დაგაკვირდება რა უჭირავსო.

უკან ტიტლიკანა ბავშვების ჯარი მოგვდევს. იცინიან, ჟღურტულებენ, საღეჭ რეიზინსა და სიგარეტს გვთხოვენ.

11 მაისი

დილიდან საშინლად ცხელა.

ტემპერატურა 7 საათზე უკვე 35 გრადუსია. ხოლო ჰაერის ტენიანობა 100%. ხომ ასე ცხელა, ტენიანი ჰაერის გამო სარეცხი ვიეტნამში 3-4 დღეში თუ გაშრა, დიასახლისი მადლობელია.

დილით ჰო ში მინის მავზოლეუმს ვესტუმრეთ. ლენინის მავზოლეუმზე გაცილებით უფრო დიდი და მდიდრულია. მუმიაც დიდებულად შენახული. ვიეტნამის ბელადს ცოცხალივით სძინავს. მავზოლეუმში, რაც თურმე ფრიად პატივსაცემი სტუმრებისთვის ხდება მხოლოდ, ურიგოდ შეგვიშვეს.

მერე ჰო ში მინის სახლ-მუზეუმი დაგვათვალიერებინეს. ღარიბულად, უბრალოდ ცხოვრობდა ამხელა სახელმწიფოს ხელმძღვანელი. პრეზიდენტობის 15 წლის განმავლობაში მხოლოდ სამი კიტელი გაცვითა, ორ ხელ ტანსაცმელზე მეტი არასდროს არ ჰქონიაო. ხელფასს ორას დონგს (ოც მანეთს) იღებდა თვეში და მთელ სახელმწიფოში ჰო ში მინზე მეტი ხელფასის მიღების უფლება არავის ჰქონდაო – ამბობს გიდი.

ნასადილევს ვეწვიეთ ჰანოის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტს. ჩვენ ჩვენი ვუთხარით, იმათ თავისი გვითხრეს და ვიზიტის დროც შემოგვადნა.

დიდხანს ვათვალიერებდით ჰანოის სამხატვრო და ისტორიულ მუზეუმს (ერთადაა).

გაგაოცებთ მე-10, მე-11 საუკუნის ქანდაკებები. ბუდიზმმა მართლაც რომ დიდი ხელოვნება დაგვიტოვა.

12 მაისი

შეხვედრა მომიწყვეს ჰანოის №1 პედაგოგიურ ინსტიტუტში. ვილაპარაკე ჩვენი ქვეყნის საერთო ბედზე ისტორიულად. ჩემი ჩამოსვლის მიზანზე, ჩემს ვიეტნამურ შთაბეჭდილებებზე, ჰო ში მინზე, საქართველოს ისტორიასა და ქართულ მწერლობაზე.

ყურადღებით (და მე მგონი აღტაცებითაც) მისმენდნენ.

მომესალმნენ პრორექტორი, ფილოლოგიის ფაკულტეტის

დეკანი, ჩემი ყოფილი ასპირანტი – ნგუენ ნგიან ჩანგი და რამდენიმე სტუდენტი.

იუმორს დარბაზი მაშინვე იტაცებდა.

მთხოვეს ისევ ჩამოვიდე და ინსტიტუტში რამდენიმე ლექცია წავიკითხო.

დავთანხმდი 1984 წლისათვის.

დავინტერესდი სტუდენტთა ცხოვრებით. სტიპენდიას 10 დონგამდე იღებენ. ეს დაახლოებით ხუთ მანეთია ჩვენს ფულზე. ლექციებისთვის აუდიტორიები არ ჰყოფნით. ხშირად ერთ აუდიტორიაში ერთდროულად ორი ლექცია ტარდება. სტუდენტები უპირატესად იატაკზე სხედან. იქვეა ინსტიტუტის ეზოში ქოხ-საერთო საცხოვრებლები.

ორმეტრამდე სიმაღლის თიხით შელესილი გრძელი „ბარაკები“.

თითო ოთახში ოცამდე სტუდენტი ათევს ღამეს. ორსართულიან „ხის ნარებზე“, საწოლებზე წვანან უშალითოდ, უბალიშოდ, პირდაპირ ჭილოფზე.

სწავლის მსურველთა რიცხვი დიდია. ძალაშია „თავისუფალი მსმენელის“ სისტემა, რომელიც ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში რატომღაც ენერგიულად და კატეგორიულად უარყვეს. რა მიზეზით, ვერ მოგახსენებთ.

აუდიტორიებს რომ ვათვალიერებდი, უეცრად სიმღერა შემომესმა. რაშია საქმე? ალბათ გუნდის მეცადინეობაა, ვკითხე პრორექტორს. არა, ჩვენთან სიმღერის ანსამბლი არ არსებობს ინსტიტუტში, უბრალოდ ლექციაზე მღერიანო. როგორ, უბრალოდ მეთქი, გაეცინა: თქვენთვის ეს გაუგებარიაო. აი, მაგალითად ლექციაზე სტუდენტმა წამოიწყო სიმღერა, ვალდებულია ყველა აყვესო. ლექტორიც მეთქი? რა თქმა უნდაო. სიმღერას მაშინ იწყებენ, როცა ლექტორი ისეთ საკითხს შეეხება რაც სტუდენტ ახალგაზრდობას აღელვებსო. ახლა იქნებ სოციალიზმის მშენებლობაზე, მარქსიზმზე, დედაზე ან

სიყვარულზე იყო ლაპარაკი და სიმღერაც მას მიუძღვნესო. დიდხანს იმღერებენ მეთქი? სიმღერის ტექსტი ყველამ იცის, ჩაამთავრებენ და დაწყნარდებიან, მერე კი ლექტორი თავის საქმეს განაგრძობსო.

13 მაისი

ვიეტნამელები, ჩვენი არ იყოს, დიდი პუნქტუალობით არ გამოირჩევიან. შვიდი საათიდან ველოდებით მანქანას მე და ბორისი და 9 საათზე მოვიდა. გიდს მობოდიშება არ დაუწყია, ხომ კარგად გეძინათო – გვკითხა და თეთრი კბილები შემოგვანათა.

ჩვენი გიდი 20-იოდე წლის ვიეტნამელი გოგონა ჰუ იანი გახლავთ. ფეხმძიმედაა, ძლივს დადის საწყალი. ვთხოვეთ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას და ჰუ იანის ნაცვლად დღეს ცნობილი ვიეტნამელი პოეტი და მთარგმნელი ბანგ ვიეტი გაგვაყოლეს.

ჰანოიდან ასი კილომეტრი გავიარეთ და მთები დაიწყო. მწვანე ტრამალიდან ერთბაშად ამოიზიდა აქლემების მსგავსი მთები.

ცოტაც და მივადექით იმ ადგილებს, სადაც მიმდინარეოს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ყველაზე გრანდიოზული მშენებლობა „ჰოაბინის“ (ვიეტნამურად „მშვიდობა“) ანუ როგორც აქ უწოდებენ შავი მდინარის ჰიდროელექტროსადგურის აგება.

ჰოაბინი თავისი სიმძლავრით მსოფლიოში მეთექვსმეტე იქნება, იგი სრული ამოქმედების შემდეგ 8 ათას მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს და ერთბაშად გადაწყვეტს ვიეტნამის ელექტროფიცირების რთულ პრობლემას.

1976 წელს დაიწყეს, თებერვალში, მშენებლობა და 1982

წელს მთლიანად დაამთავრებენ. ამჟამად შავი მდინარის გადაკეტვის სამუშაოები დასასრულს უახლოვდება.

ამ გრანდიოზულ ჰესს საბჭოთა კავშირი უშენებს მოძმე ვიეტნამს. ვიეტნამის ეს უდიდესი ელექტროსადგური ქართველმა ინჟინრებმა დააპროექტეს. ამჟამად ჰესზე 560 საბჭოთა სპეციალისტი მუშაობს. ჩვენია მანქანები, ცემენტსაც კი საბჭოთა კავშირიდან ეზიდებიან გემებით, რადანაც ვიეტნამს თავისი ცემენტის ქარხანა არ გააჩნია. მშენებლობის მთავარმა ექსპერტმა პავლე ბოგაჩენკომ „ჰოაბინის“ პროექტის ერთ-ერთ ავტორთან ასლან გოგიბერიძესთან მოკითხვა დამაბარა.

მალე ქართველთა წრეში აღმოვჩნდი. ვიეტნამის მიწაზე შრომობენ გურამ კვარაცხელია, რეზო ეფაძე, ანზორ ჩაფიჩაძე, გოგი კობეშავიძე, ალიკო გოგიშვილი, ამირან ჯაფარიძე და სხვები.

გზად მიონგის ტომის ერთ სოფელში შევიარეთ.

ვიეტნამური სოფელი. რევაზ მიშველაძე და ვიეტნამელი მწერალი ბანგ ვიეტი.

ვიეტნამში უამრავ დიალექტზე ლაპარაკობენ და სრულიად განსხვავებული ეთნიკური თვისებების ხალხი ცხოვრობს. თუ საკუთრივ ვიეტნამელები სოფლად ისლით გადახურულ მიწურებში ცხოვრობენ, მიონგის ტომის წარმომადგენლების სახლი წარმოადგენს ხის ბოძებზე შემდგარ ოდას, რომლის ქვეშ საკუჭანაო არის მოწყობილი, ზედა სართულზე კი მიონგი ცხოვრობს.

მიონგის ბინა გადატიხრული არ არის. დაბალჭერიან დარბაზში ყველანი ერთმანეთის გვერდით იძინებენ თავ-თავიანთ ჭილოფზე.

ვიეტნამელები საერთოდ ხის ქოშებით დადიან, სახლში კი სტუმარიც და მასპინძელიც ფეხშიშველა შედის. სოფლად დღე ოთხ საათზე იწყება. ოთხზე გადიან ბრინჯის ყანაში სამუშაოდ და თორმეტზე ბრუნდებიან. თორმეტზე უკვე ძალიან ცხელა და მუშაობა შეუძლებელია.

თორმეტიდან ხუთ საათამდე თითქმის მთელი ვიეტნამი იძინებს, ან უძრავად ზის ჩრდილში.

დღეში ორჯერ იკვებებიან 12 საათზე და 6-ზე. მიირთმევენ ბრინჯს და მწვანილეულს. იშვიათ შემთხვევაში თევზს და უფრო იშვიათად ხორცს.

მიონგს შინაური ცხოველები არა ჰყავს, იმიტომ რომ შენახვა უჭირს. კამეჩი და ძროხა ხშირად რომ თვალს მოჰკრავთ გზის ნაპირებზე კოოპერატივის საკუთრებაა. კამეჩს თითქმის არ წველიან. მხოლოდ გამწევ ძალად ითვლება.

მალე ერთი წელი შესრულდება, რაც ვიეტნამში დიდი საკოოპერატივო რეფორმა გატარდა. მიწები გლეხებს დაურიგეს. გლეხები თავიანთი ცოდნის და სურვილის მიხედვით უვლიან ყანებს და მოსავალს. ორ მესამედს უფასოდ აბარებენ სახელმწიფოს, დანარჩენს კი თვითონ იტოვებენ. ამ ღონისძიებამ გამოაცოცხლა სოფელი და წელში გამართაო გლეხი – ამბობს ბანგ ვიეტი.

ვიეტნამელი გლეხის მძიმე შრომაზე არაერთხელ დაწერილა. მართლაც რომ უაღრესად გამრჯე და მიწაზე თავგადაკლულია ეს პატარა, კაფანდარა ვიეტნამელი. ბრინჯის ყანაში, მუხლამდე წყალში, სათითაოდ რგავს ბრინჯის ნერგს, ხოლო მერე ექვსი თვის განმავლობაში წყალს ექაჩება. წყალს ტუმბავენ ათასი საშუალებით: თიხის ჯამებით, მანუფაქტურული, მამაპაპური ხელის ტუმბოებით, თოკზე გამობმული ვედროებით და სხვა გზით. ყველა პროვინციაში თავისებური მეთოდით ხდება წყლის ტუმბვა.

ეზოში აქა-იქ ქათამსაც მოჰკრავთ თვალს. ვიეტნამური ქათამი პატარაა და შეფერილობით ციცარს წააგავს.

მიონგებს ქალებსაც და კაცებსაც თეთრი პერანგები და შავი კაბები აცვიათ.

ქორწინების წესი დღემდე ასეთი აქვთ; სასიძოს და საპარტაძლოს მშობლები ან ნათესავები თვით წყვეტენ ახალი ოჯახის შექმნის საკითხს. აუცილებელი არ არის მომავალში ცოლ-ქმარმა ერთმანეთი ადრე გაიცნონ. მერე სასიძო მიდის სასიმამროს სახლში და ქალიშვილის გამოსასყიდად მიჰყავს ორი ქათამი და მიდის ხელდამშვენებული ორი ბოთლი ბრინჯის არაყით. ქორწილში იწვევენ 30-40 კაცს, ახლო მეზობელ-ნათესავებს.

ქორწილში არ მღერიან, არ ცეკვავენ და მაგარ სასმელებს არ მიირთმევენ. ბრინჯსა და მწვანილეულს შეექცევიან და საუბრობენ იმაზე, თუ ვინ რით შეეწევა ახალ ოჯახს. ზოგი ხის ჯამებს უძღვნის, ზოგი სათევზაო ბადეს, ზოგი ბამბუკის მილებს (ბამბუკი ვიეტნამელი კაცისთვის მთავარი საშენი მასალაა, ბამბუკებს ხმარობენ დედაბოძად, სახლის გადასახურად და წყალსადენადაც ბრინჯის ყანებში). ქორწილის სუფრა ვიეტნამელის ჩვეულებრივ სადილზე უფრო ღარიბული უნდა იყოს, რათა ეკონომიკურად არ დააქვეითოს ახალი ოჯახი.

მიცვალებულს ერთ დღეში ასაფლავებენ. ვიეტნამელები მოთქმით არ ტირიან. კაცის ამ ქვეყნიდან წასვლას ბარაბ-

ნებით ამცნობენ სოფელს. მიცვალებულს მაშინვე გააპატიოსნებენ და მზის ჩასვლამდე დამარხავენ თავის ეზოში. კუბოს მიცვალებულის შვილები უკანსვლით მიჰყვებიან ბამბუკის ჯოხით ხელში.

თითქმის ყველა მიონგის ოჯახში შეხვდებით სამ მუსიკალურ ინსტრუმენტს – „დინ მანს“ – ბამბუკისგან გაკეთებულ სიმებიან საკრავს, კამეჩის რქის საყვირს და ბარაბანს.

სოფელს არაჩვეულებრივი ეგზოტიკური იერი აქვს. ხეები, სახლები, წყალი, მგონი ცაც კი მწვანე ფერისაა. ლოტოსის და ბანანის უზარმაზარი ფოთლები აფარია ყველაფერს. თვალს გტაცებთ ანანასის და პაპაიას ბუჩქები და ქოქოსის პალმები, ვაზის, მაგნოლიის და ქურის ხის მაღალი ხეები, მანგუსი, კაუჩუკის ხეები.

გზად გავიარეთ სოფლის ბაზარში.

ბაზარში დახლი არ არის. მიწაზე აწყვია ყველაფერი. გამყიდველები არ სხედან, ჩაცუცქულები არიან სასაცილოდ, მყიდველიც უნდა ჩაცუცქდეს (თუ მყიდველია რა თქმა უნდა).

ყველას უჭირავს ხელში თვითნაკეთი სასწორი. მყიდველიც კი თავისი სასწორით მიდის ხშირად ბაზარში. ასე რომ ბანანი ხშირად ორ სასწორზე იწონება – მყიდველის და გამყიდველის.

ქურდობა ვიეტნამში ადრე არ არსებობდა. ვიეტნამელ იმპერატორთა კანონებში არ იყო მუხლი ქურდობის წინააღმდეგ. ახლა კი ვიეტნამელმა კაცმა ფრანგებისა და ამერიკელებისგან ქურდობაც ისწავლა და ბანდიტობაცო, ამბობს ბანგ ვიეტი და ამჯერად არ იღიმება.

14 მაისი

დღეს მე და ბორის რიფტინი შევხვდით ჰანოის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს.

კარგი შეხვედრა იყო. ბევრი შეკითხვა მოგვცეს. ჩვენს კულტურაზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ, რასაკვირელია. სტუდენტმა მკითხა, თქვენი დედაქალაქი ხომ ისევ ალმა-ატაა, ხოლო ჩემს გვერდით მჯდომმა პროფესორმა თავის სიტყვაში ქართველები ისლამური რელიგიის ერთგულ მიმდევრებად გამოგვაცხადა.

პროფესორის ხელფასი 350 დონგს ანუ 35 მანეთს უდრის. ერთი კილოგრამი ხორცი ბაზარზე კი 80 დონგი ღირს. 3.5 კგ. ხორცს ყიდულობს ვიეტნამელი პროფესორი თავისი ერთი თვის ხელფასით.

სამეცნიერო ნაშრომების საქმე როგორ გაქვთ მეთქი. ცუდადო. 10-15 წელიწადში ერთი წიგნი თუ გამოსცა მეცნიერმა ყოჩაღ კაცად ითვლებაო.

სამ საათზე კინოსტუდიაში მიგვიწვიეს. დახურულ დარბაზში სპეციალურად გვაჩვენეს თანამედროვე ვიეტნამის კინემატოგრაფიის ორი საუკეთესო ნაწარმოები: რეჟისორ ხარ ნინოს – „მშობლიური მიწა“, 1979 წლის ჩინეთის აგრესიაზე შექმნილი შთამბეჭდავი მხატვრული ფილმი და ჩენ ფიონგის პოპულარული სურათი „უკანასკნელი იმედი“, რომელიც თანამედროვე ვიეტნამის აქტუალურ პრობლემებს ეხება და დიდი კრიტიკული პათოსით გამოირჩევა. ამ უკანასკნელის სიუჟეტი ასეთი გახლავთ: ქარხნის დირექტორი არაშრომითი შემოსავლით ავეჯს შეიძენს. ავეჯი დიდი არაფერია, მაგრამ მისი ჟურნალისტი მეუღლე აღშფოთდება, შენ ამის საშუალება სად გქონდა. როგორც ჩანს სახელმწიფოს მოპარეო. ერთ მშვენიერ დღეს ქარხანას (არ ჩანს რისი ქარხანაა) რევიზორი ეწვევა. დირექტორი და მისი დამქაშები რევიზორს ქრთამს შესთავაზებენ, მაგრამ პრინციპული ახალგაზრდა მავნებლებს ფულს სახეში შეაყრის. დირექტორის ცოლი დიდ დახმარებას უწევს რევიზორს მისი მეუღლის დანაშაულის მხილებაში.

15 მაისი

დილის ათ საათზე ჰანოის კინოსტუდიის დირექტორმა ნგუენ ტჰუმ მიმიღო. მოწვეული ჰყავდა სტუდიის სარედაქციო საბჭო. მთხოვეს მომეთხრო ქართული კინოს შესახებ და მერე მობოდიშებით შემომაპარეს – გუშინ ნანახ ფილმებზე თქვენი აზრი გაგვიზიარეთო. „ქართულ ფილმზე“ თვით დირექტორს გაეგონა, რომ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი სტუდიაა, ენახა „ჯარისკაცის მამა“ და რეზო ჩხეიძის ხელოვნებით მოხიბლული იყო. თქვენ შენიშნეთ ალბათ, რომ ჰანოის კინოთეატრებში დღესდღეისობით არცერთ ვიეტნამურ ფილმს არ უჩვენებენო. რატომ არის ასე მეთქი, ვერ აგიხსნითო, უხერხულად გადახედეს ერთმანეთს. ჩვენი მაყურებელი მხოლოდ უცხოურ ფილმებს ეტანებაო, სინანულით დასძინეს.

ვილაპარაკე ქართული ფილმის გუშინდელსა და დღევანდელ დღეზე. ჩემი შეზღუდული ცოდნის პოზიციიდან. მერე, რასაკვირველია, სტუმრის კეთილგანწყობით ჩემი დადებითი აზრი გამოვთქვი ვიეტნამურ ფილმებზე და ორიოდე უმნიშვნელო შენიშვნაც მივაყოლე.

თქვენს კინოსტუდიაში თუ იღებენ ისეთ გაბედულ ფილმებს როგორიც თქვენს მიერ გუშინ ნანახი „უკანასკნელი იმედიაო“, გირჩევთ, მოგვბაძოთ ნაკლოვანებათა მხილებაში. მხილება წინსვლის ხელშემწყობიაო. აღვუთქვი, რომ ვიეტნამელ კინემატოგრაფისტთა გამოცდილებას ჩემს თბილისელ მეგობრებს გავუზიარებდი. უაღრესად კმაყოფილნი დარჩნენ. აზრი აღარ ჰქონდა იმის მტკიცებას, რომ ქართული კინო, ისე როგორც ქართული მწერლობა მშვენიერი მაგალითია მთელი საბჭოთა ხელოვნებისათვის ანტიპოდთა მხილებისა და ნაკლოვანებებთან შეურიგებლობაში.

ვიეტნამის კინოსტუდიის არსებობის მთელს მანძილზე ვერ შეიქმნა ვერცერთი კინოკომედიაო, სინანულით თქვა

დირექტორმა და ბრალი მწერლებს დასდო – კინოკომედიის სცენარებს ვერ წერენო.

საღამოს საელჩოს თანამშრომელმა ანდრეი ფედორენკომ და მისმა ცოლმა ჩინურ კერძო რესტორანში მიგვიპატიჟეს. პირველად ჩემს ცხოვრებაში გეახელით კუს ხორცი, ბაყაყის ჩახოხბილი და მგონის გველის მწვადიც კი. გული არ ამრევია.

16 მაისი

სამხრეთ ვიეტნამის უმსხვილეს პორტში და-ნანგში ჩამოვფრინდით. სულ შვიდი წელია, რაც ამერიკელები განდევნეს აქედან. დარჩათ ვიეტნამელებს ამერიკული სახლები, ევროპული ვილები, მანქანები, ხიდები, აეროპორტი...

ვიეტნამი

თანამედროვე აზიური ქალაქია. ხალხთა სიმრავლით, ევროპული ოგანიზაციით. შიმშილს ჯერ მთლიანად ვერ მოუცავს და-ნანგი. დახლებს ჯერ კიდევ შემორჩათ ამერიკული საქონელი.

V-XV საუკუნეებში აქ იყო ძლიერი სახელმწიფო ჩამ-პა. ამ სახელმწიფოში მცხოვრებ ხალხ-ტომს არაფერი ჰქონდა საერთო ვიეტნამელებთან. XVI საუკუნიდან ჩინეთის გარე პროვინციებიდან ჩამოსულმა ვიეტნამელებმა დაიპყრეს და გაანადგურეს. ახლა ამ უძველესი ერის უკანასკნელ ნაშიერთ თითო-ოროლასღა წააწყდებით. სამაგიეროდ არის და-ნანგში დიდი მუზეუმი (მსოფლიოში ერთადერთი) ჩამ-პას კულტურისა. განსაცვიფრებელი ქანდაკებები, დრაკონები, სპილოები, შივები და ზარათუსტრები.

გვახლავს და-ნანგის მწერალთა განყოფილების ხელმძღვანელი, ცნობილი (როგორც თვითონ ამბობს) პროზაიკოსი ფან ტი, რომლის რომანი „მან და მე“ ბევრ ენაზე გამოცემულა.

დავათვალიერეთ „ხუთი საწყისის“ (ცეცხლი, მიწა, ხე, ლითონი, წყალი) მთა. საკუთრივ „წყლის მთა“. უნიკალური ტაძრები გამოქვაბულებში. უზარმაზარი ქანდაკებები შივასი. დამატყვევა ვიეტნამელთა უნარმა გამოქვაბულებში მოეწყოთ ტაძრები და ბუნებისთვის შეეხამებინათ.

ვიბანავეთ წყნარ ოკეანეში.

საღამოს საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის მეგობრობის საზოგადოებამ ბანკეტი მოგვიწყო, რომელმაც „გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა“.

17 მაისი

ქალაქი ჰუე. ვიეტნამის ყოფილი დედაქალაქი. მეფეთა სასახლეებით, პალატებით და მავზოლეუმებით. ამ ქალაქზე

ბევრს მიამბობს ბორისი. იმედი აქვს, რომ აქ მაინც აღმოაჩენს ძველ ვიეტნამურ ხელნაწერებს.

დაგვხვდნენ ჰუეს მწერალთა განყოფილების თავმჯდომარე ჩენ ჰუანი და მისი მოადგილე სუ ჰუანი.

კბილი წუხელ ამტკივდა. ბევრი ვითმინე, მაგრამ მოგეხსენებათ ჭირი თავსა არ დამალავს და გავუტყდი მასპინძლებს. რაც მე იქ გადამხდა ერთი მოთხრობის თემაა.

მისვლისთანავე ოცამდე ექიმი საავადმყოფოს ეზოშივე შემომეგება. პალატაში რომ შემიყვანეს, გულმა რეჩხი მიყო, რადგანაც კბილი მაინცდამაინც უკვე აღარ მტკიოდა. მოკლე სიტყვით მივესალმე მათ და მათი სახით ვიეტნამის მთელ სამედიცინო პერსონალს, თბილისური სუვენირები დავარიგე და ყველა გულწრფელად დავპატიჟე საქართველოში.

დამსვეს ავადმყოფის სავარძელში. ათმა კაცმა მაინც ჩამხედა კბილში. პლომბი ამოვარდა და დამატება იყო საჭირო. მცირე დაფაზე დახაზეს ჩემი კბილი და ერთ საათს ბჭობდნენ. ბოლოს, როგორც იქნა დამიპლომბეს და გამომიშვეს. ეტყობა ჩემმა თანამეგზურმა ისეთი რამ უთხრა ჩემზე, რომ შიშით ვერ გამიბედეს კბილის დაბურღვა. ექიმს შონი ერქვა.

მერე მეფეთა მიტოვებული რეზიდენცია და საგვარეულო კოშკები დავათვალიერეთ.

ვეწვიეთ ვიეტნამის განმათავისუფლებელი მოძრაობის ვეტერანს ნგუენ-დი-ჩის. იგი მარტო ცხოვრობს, ხილის დიდებული ბაღით ირჩენს თავს და ანდერძი დაწერილი აქვს იმის შესახებ, რომ თავის მშვენიერ სახლს და ეზო-გარემოს უსასყიდლოდ უტოვებს ჰუეს მწერალთა კავშირს.

საღამოს ჰუეს სამხატვრო საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრა გვქონდა. დიდხანს ვისაუბრეთ. ჩემმა მოთხრობამ კბილის მკურნალობაზე ძალიან აცინა ყველანი. ჩავიწერეთ მათი თხოვნა „მიმართულება მივეცით როგორ იმუშაონ“ მომავალში და დავიშალეთ.

18 მაისი

ისევ ჰუეში ვართ.

დავათვალიერეთ მეფეთა საძვალენი, აკლდამები და მავზოლეუმები.

ეგვიპტის ფარაონთა მსგავსად ყოველი მეფე თვით აშენებდა თავის მავზოლეუმს და ცდილობდა, რა თქმა უნდა მისი უკანასკნელი განსასვენებელი სხვისაზე ლამაზი და გრანდიოზული ყოფილიყო.

დიდხანს ვიდექი მეფე ტი-დიკის (1818-1844) სამარხთან. სწორედ მისი მეფობის პერიოდში დაიპყრეს ფრანგებმა ვიეტნამი. შეცდა პოეტი მეფე ტი-დიკი. დაიღალა ომებისგან და ეგონა, თუუ ფრანგებს შეუთანხმდებოდა, ქვეყანას ფიზიკურად გადაარჩენდა და ცივილიზაციის გზაზე შეაყენებდა. დადო ხმალი და ფრანგებს ქალაქის ბჭენი განუხვნა.

მალე გაირკვა რომ ევროპის ძლიერი სახელმწიფო ვიეტნამის გასანათლებლად როდი მოსულიყო. ამაში თვით თითქმის ტახტწართმეული, მარიონეტად ქცეული მეფეც დარწმუნდა და აი, იგი სიკვდილის წინ წერს თავის ეპიტაფიას, და იბარებს, რომ იგი შეუცვლელად წააწერონ მისი საფლავის ქვას. ტი-დიკი შენდობას თხოვს ვიეტნამელ ხალხს რომ მან, სნეულებათაგან შეწუხებულმა და უსასოომ ვერ შეძლო გამკლავებოდა მოყვრად მოსულ მტერს და ხელყოფისგან დაეცვა ვიეტნამის წმინდა მიწა.

ტი-დიკის საფლავს ჩამპას თეთრ-ყვითელი ყვავილები ამშვენებს.

შუადღისას ძველთაძველი დიდი ნავით გავისეირნეთ ჰუეს შემოგარენში. ქალაქის თითქმის ყველა მცხოვრები წყალში ზის. ბევრი მათგანი უძრავადაა. ზოგი კი თავზე შლამს ისვამს (საპონი ვიეტნამში უსაშველოდ ძვირი ღირს) და იქექება. გიდი გვიჩვენებს ნავ-სახლებს. ცხოვრობენ ნავზე, დღისით და ღამით, სახლი არა აქვთ და მიწა, ნავზე სადილობენ და ნავზევე იკმაყოფილებენ ყოველგვარ ადამიანურ მოთხოვნილებას.

ნავზე პატარა ვიეტნამური ძაღლები და ქათმებიც კი ჰყავთ. როცა ცხელა ქალები წყალში სხედან და როგორც ჩანს (ამაში ისინი მსოფლიოს ყველა ქალებს ჰგვანან) ჭორაობენ.

ნასადილევს შეხვედრა მომიწყვეს ჰუეს ნოხების ფაბრიკა-კოოპერატივში. დიდი დარბაზი გაჭედილი იყო. ულამაზესი ვიეტნამელი გოგონებით. ვრცელი სიტყვა ვთქვი. ოვაციით შემხვდნენ.

წამოსვლიასას ფაბრიკის დირექტორმა ჰუან ჰენ ტაუტმა საიდუმლოდ მითხრა, რომ ექვსი თვეა ნოხებს აღარ ვქსოვთ, მასალა არა გვაქვსო და საბანაო კოსტუმის კერვაზე გადავედითო.

საღამოს ჰუეს საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე და მისი ამხანაგები სასტუმროში გვეწვივნენ და ვახშამი გაგვიმართეს. „დავარიგეთ როგორ იმუშაონ მომავალში, მიმართულება მივეცით, ამოცანები დავუსახეთ.“

მე თვითონ მეცინებოდა ისე ყურადღებით გვისმენდნენ და კურსანტებივით იწერდნენ ჩვენს ყოველ სიტყვას.

19 მაისი

ჰუედან და-ნანგისკენ გამოვემგზავრეთ საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის მანქანით.

მართალია, ამერიკელი კოლონიზატორები „ძალიან ჩაგრავდნენ“ ვიეტნამს, მაგრამ გზები და ხიდები მშვენიერი დაუტოვეს.

გზად ისევ ვიეტნამის სოფლებს გავდივართ. მუხლამდე წყალში მდგომი ადამიანების ფუსფუსს ვათვალიერებთ.

განთავისუფლების შემდეგ ვიეტნამში შიმშილი გამეფდა. ეს ერთი წელია, მთავრობამ თითქოსდა გამოსავალს მიაგნო: გააუქმა სოფლად კოოპერატივები და მიწა გლეხებს უსასყ-

იდლოდ დაურიგა. ახლა ვიეტნამელი კაცი ამუშავებს მიწას, შემოსავლის 40 პროცენტს მთავრობას უფასოდ აბარებს, დანარჩენი კი თვითონ რჩება.

ამ ღონისძიებამ შესამჩნევად გამოაცოცხლა სოფელი. გლეხი კმაყოფილია. ლტოლვილნი თავიანთ სოფლებს უბრუნდებიან და ნიჩაბს ჰკიდებენ ხელს.

20 მაისი

ჩემი წიგნის მთარგმნელი – ბანგ ვიეტი ათფორმიანი წიგნის თარგმნაში უკეთეს შემთხვევაში მიიღებს 500 დონგს, რითაც შეძლებს, არც მეტი, არც ნაკლები ათი კოლოფი სიგარეტის ყიდვას.

დღეს დავათვალიერეთ და-ნანგის საბრძოლო დიდების მუზეუმი. ამერიკელებზე გამარჯვების მემორიალი გახლავთ, არც წამიკითხავს უფრო დიდი საშინელებანი ვიდრე აქ ფოტოებზეა გამოსახული. რა კაციჭამიური ხერხებით უსწორდებიან ვიეტნამელ პატრიოტებს. საგულისხმოა რომ არცერთი ფოტო არაა ათასზე მეტ ფოტოში, რომ ამერიკელი ხვრეტდეს ან სახრჩოლებასთან იდგეს. თვით ვიეტნამელები საიგონის მარიონეტული ჯარების მებრძოლები სჩადიან საშინელებებს. არის მაგალითად სურათი, როგორ ფატრავენ ნელ-ნელა კაცს მუცელზე. გადაღებულია ათეული რომელსაც თითოს ორ-ორი მოჭრილი თავი უჭირავს ხელებში. ამ მუზეუმმა ცუდ გუნებაზე დამაყენა.

საღამოს და-ნანგის მწერალთა საზოგადოებამ დიდი შეხვედრა გაგვიმართა.

მერე ვახშმად თავის ვილაში მიგვიწვია ვიეტნამის ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა პროზაიკოსმა ფან-ტიმ (ავტორმა რომანისა „მან და მე“ მან ქალის სახელია). თავისუფლად ლაპარაკობდა ჩემგან განსხვავებით ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებზე.

ხვალ დილით საიგონში (ახლანდელი ჰო ში მინი) მივფრინავთ, თუ ფრენა იქნა.

ვიეტნამისთვის დამახასიათებელი გახლავთ ისიც, რომ აქ უსაქმურს იშვიათად წააწყდებით. ათასობით კაცი ირევა ქუჩაში და ყველას თავისი საქმე აქვს, ყველა ფუსფუსებს, დიდი თუ პატარა.

21 მაისი

საიგონი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მარგალიტი. ევროპელთა და ამერიკელთა დასვენებისა და გართობის ადგილი ჰონკგონთან და ბანგკოკთან ერთად. „ახლა თავისუფალი ვიეტნამის“ ყველაზე დიდი ქალაქი 4 მილიონამდე მცხოვრებით.

ევროპული ტიპის ქალაქია. შენობებით და ქუჩებით თუ ვიმსჯელებთ, საკმაოდ მდიდრული. ხალხი მოდაზე ჩაცმული დადის. ქალებიც უფრო კოხტა და ლამაზები არიან. იგრძნობა ურბანიზმის სუნთქვა. სასტუმროდან გავყავი თავი და მაშინვე დამეხვივნენ ქორ-ვაჭრები: „მსურს თუ არა ნარკოტიკები, ხომ არ გაყიდის ბატონი სიგარეტს, საათს, ფოტოაპარატს.“

მაღაზიები სავსეა.

ველოსიპედი აქაც მეფობს.

შევცქერი ველოსიპედების ზღვას და ვფიქრობ, იქნებ ეს არის დიდი ქალაქების მომავალი? გაიარა მანქანამ და გამონაბოლქვმა ჰაერმა კინაღამ დამახრჩო. დაწმენდილმა ფილტვებმა ვერ გაუძლეს სულისშემხუთველ ნაწვავ გაზს. ვიეტნამი ფაქტიურად უმანქანო ქვეყანაა. ველოსიპედი მეფობს ქუჩაზე. იგი აშკარად ავიწროებს მანქანას. იქნებ საერთოდ აიკრძალოს დიდი ქალაქების ცენტრალურ ნაწილში მანქანები და დარჩეს მხოლოდ ველოსიპედი – უხმაურო, უბენზინო, სუფთა ტრანსპორტი?

ველოსიპედის შესახებ ჩემს გულუბრყვილობაზე თვითონვე გამეცინა, როცა წარმოვიდგინე ველოსიპედზე ამხედრებული რამდენიმე ჩვენი ფრიად პატივცემული ნაცნობი – ვთქვათ, მჟავანაძე ან შევარდნაძე.

დავათვალიერეთ საიგონის მსოფლიოში განთქმული უზარმაზარი ბაზარი. ჩიტის რძეს იშოვი, რომ იტყვიან. იაპონური, ამერიკული, ინგლისური ნაწარმი, კონტრაბანდისტებს შემოაქვთო ტაივანიდან – აგვიხსნა გიდმა. ჩვენი გიდი არის ცნობილი საიგონელი მწერალი ზა – ი.

22 მაისი

„დღეები რბიან ვით კამათელი...“

საიგონში ვართ („ჰო ში მინი“).

დილით ზოოპარკი დავათვალიერეთ. სამხრეთული ცხოველებით მდიდარი მუზეუმია. სხვადასხვა ჯიშის სპილოები, სირაქლემები, ჟირაფი, ზებრა, მაიმუნები. დამაინტერესა სახლების აგების წესმა: სედანგის ტომის სახლი მაღალ სვეტებზე დგას, უეს ტომისა მიწაზეა დაგებული მაგრამ კედლები აქვს, ხოლო კანოს სახლი მხოლოდ ისლის სახურავია კედლები არა აქვს. 1600 წლის ბუდას ხის ქანდაკება, 3000 წლის ბრინჯაოს ბარაბანი, ჩამპას ქანდაკებები აქაც არის.

დავათვალიერეთ კაუჩუკის პლანტაციები. ვიეტნამში ბენზინი არ იშოვება და მოტოციკლებს ნავთით ამუშავებენ, სულისშემხუთველი კვამლი დგას ირგვლივ. ან ბენზინი უნდა გაახერხონ ან ნავთის ჩასხმა უნდა აკრძალონ მოტოციკლეტში. ეს საშინელებაა.

საღამოს საიგონის მწერალთა ასოციაციამ დიდი შეხვედრა გაგვიმართა, სიტყვა ვთქვი და „ვეფხისტყაოსანი“ ვუსახსოვრე მწერალთა გაერთიანების თავმჯდომარეს, ნიჭიერ პროზაიკოსს ვუ ხანს.



ურთიერთობის გარკვევა სპილოსთან.

საპასუხო სიტყვით მოგვმართა საიგონის მწერალთა გაერთიანების პირველმა მდივანმა ნგუენ ხუნ შონმა.

მერე სპეციალურად ჩვენთვის კონცერტი გამართეს. ჯაზური მუსიკის კონცერტი კარგად ჩატარდა. საიგონის ცნობილი მომღერლები მღეროდნენ.

23 მაისი

საიგონიდან ასოცი კილომეტრის დაშორებით არის მწერალთა შემოქმედებითი სახლი. ბანგ ვიეტმა დილიდანვე გვაცნობა; ამ შემოქმედებით სახლში შეხვედრა გვექნებაო.

გავემგზავრეთ.

მაგიდას ჩვენ, საიგონის მწერალთა კავშირის წარმომადგენლები, ვიეტნამის მწერალთა კავშირის მდივანი – ნგუენ ნგოკი და ორმოციოდე ახალგაზრდა შემოვუსხედით.

ახალგაზრდა მწერალთა ორთვიანი შემოქმედებითი ბანა-

კი ერთ კვირაში დაიხურება – დაიწყო ნგუენ ნგოკმა – ამ ორი თვის განმავლობაში ჩვენმა ახალგაზრდებმა ყოჩაღად იმუშავეს. დაიწერა 4 რომანი, 30 მოთხრობა და 600-მდე ლექსი ოცი ახალგაზრდა მწერლის მიერ. ყურებს არ დავუჯერე და როცა ციფრები კვლავ გამიმეორა, – როგორ აქ კოლექტიური ლიტერატურული მუშაობა მიდის მეთქი? – ვიკითხე.

თითქმის კოლექტიურიო. ყოველ დღე ახალგაზრა მწერალი წაიკითხავს, თუ რა დაწერა მან წუხელო, მერე მიდის დისკუსია, ვუსწორებთ, ვეხმარებით, ახლებურ გაგრძელებას ვთავაზობთ და ისიც გამხნევებული ბრუნდება თავის ოთახში. რამდენიმე ახალგაზრდა პროზაიკოსმა მიაღწია იმას, რომ დღეში 20 გვერდამდე ადისო! – გვაუწყა მან და „რეკორდსმენი“ ახალგაზრდა მწერლების გვარები დაგვისახელა.

მე ვეცადე ამეხსნა, რომ მწერლობა ინდივიდუალური საქმეა, კოლექტივიზმის პრინციპს მაინცდამაინც არ ემორჩილება. ნურც გვერდების რაოდენობას გამოედევნებით მეთქი, მაგრამ ვინ დაგიჯერა, თავს ყასიდად მიქნევდნენ და იღიმებოდნენ.

აი, თქვენ, მაგალითად, რაზე წერთ მეთქი ვკითხე პოეტ გოგონას: დაიბნა, მიიხედ-მოიხედა და თავაწევით მიპასუხა: ახალ რეჟიმზეო. ძველზე რატომ აღარ წერთ მეთქი. უმწეოდ შეხედა თავის მეგობრებს. ძველზეც წერს, მაგრამ როგორც წყეულ მოგონებაზეო, სიტყვა შეაშველა ვიღაცამ.

ასეა საქმე. ასეთი დონეა ახლა ვიეტნამურ მწერლობაში.

საღამოს საიგონის ჩინურ თეატრში წამათრია ბორისმა. ვყოყმანობდი. ჩინური მე არ მესმის და რა გავაკეთო მეთქი, მაგრამ არ მომეშვა: საიგონის მარიონეტული მთავრობის დამხობის მერე, 5 წელიწადს დახურეს ეს თეატრი, ერთი წელია გახსნეს და საინტერესოა რა ხდებაო.

სამი მთარგმნელი მომისვეს გვერდით. სპექტაკლი ძველ ჩინურ ენაზე მიდიოდა. ძველი ჩინურიდან ერთი ახალ ჩინურ ენაზე თარგმნიდა, მეორე ახალი ჩინურიდან ვიეტნამურზე, ხოლო ვიეტნამელი ბანგ ვიეტი რუსულად მითარგმნიდა.

პიესა მე-12 საუკუნის რაღაც სისულელე იყო, ვოდევილის და მუსკომედიის ნაჯვარი, დონე სპექტაკლისა ცუდი დრამწრის დონეს არ ცილდებოდა, მაგრამ მთავარი და დამაფიქრებელი ის გახლდათ, რომ თეატრში 1000 კაცი ეტევა, სპექტაკლს კი 2000-ზე მეტი ესწრებოდა. ფანატიზმი? ეროვნული გრძნობა? ახლადგახსნილ თეატრის მხარდაჭერის სურვილი? ალბათ, სამივე ერთად.

დედებს ორი თვის ბავშვები ჰყავდათ წამოყვანილი. ერთი ღრიანცელი იდგა თეატრში. ზოგს ეძინა, ზოგი ბავშვს ძუძუს აწოვებდა, ზოგი ხმამაღლა კამათობდა. სპექტაკლს ალბათ, 5% თუ უსმენდა, მაგრამ მაინც იყვნენ ბოლომდე, როგორც დღესასწაულზე.

ეს უბრალო ამბავი არ გახლავთ.

ჩინურ დრაკონს არ სძინავს.

თუ ეს ენერგია სამშვიდობო წისქვილზე არ მიუშვეს, ქვეყანას წალეკავს.

უკან წამოსვლისას, დაახლოებით 12 საათი იყო (სპექტაკლი დაიწყო 7:30-ზე და დამთავრდა 12-ზე, 4 საათნახევარი გრძელდებოდა წარმოდგენა) ველოსიპედების წარღვნაში მოვყევით თურმე ქალაქი აქ 11 საათის შემდეგ (ცოტა გრილა) ცოცხლდება. ქალაქში, (საერთოდ ვიეტნამში) თითქმის არ არის შუქნიშანი და მოძრაობა არ წესრიგდება. ველოსიპედების ულევი ზღვა გზაჯვარედინზე ერთმანეთს ჩაეხვია და ზუსტად ორი საათი ვიდექით. მანქანა კი არა თაგვი ვერ გაძვრებოდა.

24 მაისი

დილით საიგონის ნარკომანთა გადასამზადებელ კოლონიას ვეწვიეთ. დირექტორის მოადგილემ თავის კაბინეტში ლამაზად გვიამბო იმის შესახებ, თუ რა დიდი აღმზრდელობითი მუშაობა ტარდება ნარკომანებთან და რა მაღალ დონეზეა მათი სამედიცინო სამსახური.

ვიეტნამი. გიგანტური პალმები

ერთი წლის განმავლობაში მეძავებს, ნარკომანებს და ქურდ-ხულიგნებს შრომის მოწინავეებად ვაქცევთო, ამაყად განგვიცხადა მან. რაღაც დიდხანს გაგვიგრძელდა საუბარი, გავიდეთ, ვნახოთ ადგილზე რაც თქვენ გვიამბეთ მეთქი. შეიშმუშნა, მე მგონი ადგილზე ნახვა საჭირო არ არისო. თუ რაიმე შეკითხვები გაქვთ, სიტყვიერად გიპასუხებთო. ჩემი რომ არ დავიშალე, იძულებული გახდა გამომყოლოდა და სამიოდე კამერა ეჩვენებინა ჩემთვის.

სინამდვილეში არავითარი გადამზადება იქ არ წარმოებს. ეს გახლავთ ქუჩის ქალებისა და ნარკომან-დავრდომილთა ციხე. ორმოცმეტრიან ოთახში იატაკზე იჯდა სამოცამდე ტუსაღი. იქვე მათრახით ხელში სამიოდე „აღმზრდელი“ დადიოდა და აიძულებდნენ ნარკომან-აღსაზრდელებს ემღერათ ჰო ში მინზე და თავისუფალ ვიეტნამზე.

გული ამირია აზიურმა ვირ-ეშმაკობამ.

ერთ წელიწადში აღზრდის ვინმე ქუჩის ჩათლახს და გამობრძმედილ ნარკომანს?!

საღამოს მწერალთა სასახლეში დიდი შეხვედრა გაგვიმართეს, ტაშით გრიალში, წაგვიკითხეს საიგონის კომუნისტური პარტიის „ქალაქის კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს“ გადაწყვეტილება იმის შესახებ რომ არჩეული ვართ საიგონის საპატიო მოქალაქეებად და დაგვირიგეს სათანადო მედლები. ჩემთვის მოულოდნელი და სასიამოვნო იყო ასეთი პატივი.

25 მაისი

საიგონიდან ჰანოიში დავბრუნდით.

წვიმა ტროპიკული. თავსხმაში, ღრუბლები ძალიან დაბლა იყო, გაუჭირდა თვითმფრინავს დაჯდომა. ბოლოს რამდენიმე ცდის შემდეგ დაჯდა. გადავრჩით.

შიშის გრძნობა არა მაქვს. ერთხელ დაბადებული ერთხელ კვდება.

მთელი დღე თავისუფალი გვაქვს.

ჰანოის ქუჩებში ფოტოაპარატით დავხეტიალობთ.

ველოსიპედების სახელოსნო აქ ყოველ ნაბიჯზეა. თხუთმეტ წუთში ახალ ველოსიპედს აგიწყობენ თუუ ძველის პასპორტი გაქვს. გამახსენდა, ილფის და პეტროვის „ყველანაირი კონტრაბანდული საქონელი ოდესაში მზადდება“.

რა სიღარიბე და რა სიძვირეა საიგონთან შედარებით. ბუნებრივიცაა...

დამახვედრეს ვიეტნამის ლიტერატურული გაზეთი, 21 მაისის ნომერში ჩემი მოთხრობა „დავითი“ და სურათი დაუბეჭდავთ.

26 მაისი

დიდი შეხვედრა გვქონდა ჰანოის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

რიფტინმა თანამედროვე ჩინურ ლიტერატურაზე და ლიტერატურის ტიპოლოგიაზე ილაპარაკა.

მე – თანამედროვე ქართულ მწერლობაზე და ვიეტნამში ჩემი ჩამოსვლის მიზანზე.

მკითხეს, რა შთაბეჭდილებისა ვარ. დიდი ყურადღებით გვისმენდნენ, ტაშით არაერთხელ შეგვაწყვეტინეს.

საღამოს შვიდ საათზე მწერალთა კავშირმა ბანკეტი მოგვიწყო.

ჩვენი დელეგაციის სახელით მადლობა გადავიხადეთ გულწრფელი, ალალი, კარგი მასპინძლობისთვის!

ხვალ სამ საათზე მოსკოვში მივფრინავთ.

კეთილი, როგორც ზღაპრის კუ

ამ ერთი კვირის წინათ ვიეტნამიდან ბარათი მივიღე. ცნობილი ვიეტნამელი მწერალი ბანგ ვიეტი მატყობინებს, რომ ჩემი ნოველების თარგმნა დაამთავრა და მთხოვს წინასიტყვაობა გავუგზავნო ვიეტნამური გამოცემისთვის. ასეთი წინათქმა წავუმძღვარე ჩემს ვიეტნამურ წიგნს:

„ძვირფასო ვიეტნამელო მეგობარო, –

ბავშვობისას ჩემს ოთახში ეკიდა ჭილოფზე დახატული ვიეტნამური პეიზაჟი: ლოტოსის ფოთლებით დაფარული ულამაზესი ტბის პირად აღმართული „ყურებიანი“ ხის სახლი. ტბაზე ეული ნავი ჩანდა მზესუმზირასებურქუდიანი ვიეტნამელით.

ამ სურათს შეეზარდა ჩემი ბავშვობა. დედას რომ ვკითხავდი, მიპასუხებდა: არის, შვილო, ცხრა ზღვის გაღმა ასეთი ქვეყანა. იგი სამოთხეს წააგავს. ამ ქვეყანაში მცხოვრებთ თავზე მთვარის მსგავსი ქუდები ახურავთ და ამის გამო სახეზეც მთვარის ნათელი ადგათო.

მერე, როცა გავიზარდე, დიდხანს მესმოდა ხმა საბრძოლო ყიჟინისა, რითაც თავისუფლებისმოსურნე ვიეტნამელი მთელს მსოფლიოს წვდებოდა.

ბოლოს ვიეტნამი თავად მოვიდა ჩემთან. მოვიდა თბილისში სასწავლებლად ჩამოსული ჭაბუკით. მორცხვად გამიღიმა და ჩემი ოთახის კუთხეში მიჯდა.

განსწავლის წლებში იგი ბევრს მიამბობდა თავის მრავალტანჯულ ქვეყანაზე, ვიეტნამელის სევდიან ქოხში აკიაფებულ იმედზე და გასაოცარი გულწრფელობით ჩემთნა მოჰქონდა ვიეტნამელის თბილი გული და ტროპიკების ცხელი სუნთქვა.

ახლახან დავბრუნდი ვიეტნამიდან და, სიმართლე გითხრათ, უბის წიგნაკში ჩემი ნაჩქარევი ჩანაწერები სრულად როდი მიამბობენ იმ გრძნობაზე, რითაც მე სამუდამოდ დავუკავშირდი თქვენს ქვეყანას.

ვიეტნამი ხომ ისე კეთილია ჩემთვის, როგორც ჩაბრუნებული მახვილის ტბის ბებერი კუ, ისე ბრძენი, როგორც ხუთი საწყისის მთის მღვიმის გუდა, უეცრად რომ აღიმართება მნახველის თვალწინ თავისი დიდებულებით, ისე ძველია, როგორც ჩამპას სწორუპოვარი კულტურა, ისე ლამაზია, როგორც წითლად განათებული ზაის ხე, ისე უშუალო და მიმნდობია, როგორც ვიეტნამელი ქალის ალალი ღიმილი.

მე, ვიეტნამიდან შორს მცხოვრებ ქართველ მწერალს, ამ ბოლო დროს ხშირად მაღვიძებს ასეთი სიზმარი: ველოსიპედზე ამხედრებული, განით მხრებდამშვენებული ვიეტნამი ჩემკენ მორბის წვრილი ბორბლების სისინით და მხოლოდ ვიეტნამელისთვის დამახასიათებელი მარათონული ნაბიჯით, გავრბივარ შესახვედრად. სულმოუთქმელად ვეხვევი ჩემს ყავისფერ ძმებს და მათს შორის ვდგები.

მეღვიძება. ჩემი ფანჯრიდან თბილისის ბებერი მთებიღა მოჩანს. ვიეტნამი კი არც ისე შორსაა, როგორც იგი ჩემი ბავშვობის ლამაზ სიზმრებში ჩანდა.

დიდი პატივია ჩემთვის სამოცმილიონიან ვიეტნამელ მკითხველს წარვუდგე ამ წიგნით.

თუ ოდნავ მაინც გაგრძნობინებს იმას, რაც შიგ ავტორს ღელვითა და მოკრძალებით ჩაუდვია, თავს ბედნიერად ჩავთვლი“.

საბჭოთა მწერალთა დელეგაცია, რომელიც 7 მაისს გაფრინდა მოსკოვიდან ვიეტნამს, მხოლოდ ორი კაცისგანაა შემდგარი. ჩემი თანამგზავრია ცნობილი მოსკოველი მწერალი და მთარგმნელი, ჩემგან განსხვავებით ვიეტნამურის, ჩინურის და რამდენიმე ევროპული ენის ჩინებული მცოდნე ბორის რიფტინი. დელეგაციის ხელმძღვანელის პრობლემა (გაუგებრობა რომ არ მომხდარიყო) მოსკოვში, მწერალთა კავშირის სამდივნოშივე გადაგვიწყვიტეს; მორიგეობით დაიხურავთ მონომახის ქუდს თავზე, დღეგამოშვებით უწინამძღვრებთ დელეგაციასო, გვირჩია მწერალთა კავშირის მდივანმა, უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელმა, ჟურნალ „ინოსტრანნაია ლიტერატურას“ რედაქტორმა ნიკოლოზ ფედორენკომ და ამ მეთოდმა ბოლომდე გაამართლა, „ძალაუფლების გაყოფაზე“ ჩხუბი არ მოგვსვლია.

ჩემი შეხვედრა ვიეტნამთან ცოტა უცნაურად დაიწყო. ის იყო თორმეტსაათიანი ფრენის შემდეგ თვითმფრინავმა ბომბეიდან ჰანოისაკენ აიღო კურსი და წუთით ჩამთვლიმა, რომ თავზე პლასტმასის სქელი ფირფიტა დამეცა და ზეზე წამომაგდო. გაბრაზება ვერც კი მოვასწარი, თავს დამდგომია შეძრწუნებული ვიეტნამელი და გულთან შეტყუპებული ხელის მტევნების მიტანით ბოდიშს მიხდის: თაროზე პიჯაკის შედება მინდოდა და ფირფიტა შემთხვევით ჩამომივარდაო.

არა უშავს-მეთქი, დავამშვიდე, ჯიბიდან ხუთკაპიკიანი დავაძრე და კოპზე დავიდე. მალე ვიეტნამელმა ისევ მომაკითხა, ძლივს ჩათვლემილი ფრთხილად გამაღვიძა და ვარსკვლავ-მალამო გამომიწოდა, შუბლზე წაისვი, ტკივილს გაგიყუჩებსო. აღარ მტკიოდა, მაგრამ არ გავაწბილე, წამდაუწუმ მაკითხავს ჩემი ვიეტნამელი, მხარზე მოკრძალებით მეხება და საწყლად მიღიმის – როგორა ხარო, მეკითხება. ნუ სწუხართ, კარგად ვარ, კოპიც უკვე დამიცხრა-მეთქი, ვუმტკიცებ, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერა და ვერ დავაჯერე. ადგება, თვითმფრინავის სალონში გაივლ-გამოივლის, ხელებს მხრებზე შეციებულივით ისვამს, უეცრად, თითქოს რაღაც გაახსენდაო, ჩემკენ გამოიქცევა და ბოდიშს მიხდის. ალბათ, ძალიან გტკივათ, ეს რა ჩავიდინეო. თქვენ რა შუაში ხართ, ვინც ფირფიტა ზევით შემოდო, მისი ბრალია-მეთქი, ახლა იქეთ დავუწყე ფერება. ბოლოს, ბოდიშებით ძალიან რომ შემაწუხა, გვერდით დავისვი და გულიანი მუსაიფი გავაბით. კინო-რეჟისორი ბუი დინ ჰაკი აღმოჩნდა.

ავტორი არაერთგზის პრემირებული ფილმებისა „ნგუენ ვან ჯოი“ და „გზა დედისაკენ მიდის“. ახლა ხო ში მინის ცხოვრებაზე ექვსსერიან ფილმს იღებს. თვითმფრინავი ჰანოის აეროდრომზე რომ ეშვებოდა, ჩემი თანამგზავრის წყალობით ბევრი რამ ისეთი ვიცოდი თანამედროვე ვიეტნამის კულტურულ ცხოვრებაზე, რასაც ენციკლოპედიებში ვერ წააწყდები და ვერც ტურისტულ ცნობარებში ამოიკითხავ.

ჰანოის აეროპორტი ბომბეის ფეშენებლური საერთაშორისო აეროპორტის შემდეგ ვერაფრით გაგაკვირვებთ. მესტიის აეროპორტზე ცოტა უკეთესია. კონდეციონერით განებივრებულებმა სალონიდან რომ გამოვყავით თავი, უდაბნომ სახეში შემოგვასუნთქა და ორმოცდაოთხგრადუსიანმა სიცხემ ისე წაგვიჭირა ყელში ხელი, რომ სული ვერ მოვითქვით, კოსტიუმს და ჰალსტუხს მაშინვე გამოვემშვიდობეთ, თეთრი შარვალ-პერანგით შევიმოსეთ და ფეხზე მოსკოვში შეძენილი ვიეტნამური ქოშები რომ მოვირგეთ, საბაჟოს მოხელეებმა საეჭვოდ აგვხედ-დაგვხედეს. ვიეტნამში ტანსაცმლის მოდა არ არსებობს. ქალიცა და კაციც ერთნაირადაა შემოსილი ფრიალა შარვალი და ზემოდან გადმოშვებული სარაფანა პერანგი აცვიათ. სიცხე თავის მკაცრ კანონს სთავაზობს ადამიანებს და ამ ქვეყანაში ოდითგანვე მოხსნილია უზარმაზარი პრობლემა – მოდურად გეცვას. აქედან გამომდინარე, ვიეტნამელის გონებაში არასოდეს გაკრთება ჩაცმულობით თავის მოწონების, კოპწიაობის, ან მდიდრული ტალავარით კაცის დაფასების მეშჩანური პრინციპი.

ჩვენი თანამგზავრები გაუჩინარდნენ, ეკიპაჟმა თავისი გზა მოძებნა, აეროპორტი თითქმის დაცარიელდა. ჩვენი დამხვდურნი კი არადა არ ჩანან. სასოწარკვეთილებამ შეგვიპყრო. ვიეტნამში ტაქსი საერთოდ არ არსებობს. ერთადერთ ავტობუსთან კი იმდენი ხალხი ირევა, რომ ჩაჯდომას

უახლოეს ოთხ საათში ვერ მოვახერხებთ. არა და, აეროპორტიდან ქალაქამდე ორმოცი კილომეტრია. ის იყო იმედის ძაფი გვიწყდებოდა, რომ ორი ვიეტნამელი მოგვიახლოვდა და ღიმილით დაგვიკრეს თავი – მწერლები ხომ არა ხართო. ესენი ამ ერთი საათის წინაც რამდენჯერმე შევნიშნე, მაგრამ კადნიერებად ჩავთვალე მეკითხა – ჩვენ ხომ არ გვხვდებით-მეთქი. მერე, როცა მანქანაში ჩავსხედით და ჰანოისკენ ვქენით პირი, მასპინძელ მწერალს ვკითხე, ორი საათის ჩამოსულები ვართ, ალბათ აეროპორტში მოსვლა დაგაგვიანდათ-მეთქი. არაო, დროზე მოვედით, მაგრამ თქვენ ისეთი სერიოზული სახეებით ჩამოხვედით ტრაპიდან, რომ შორიახლოს დაგყვებოდით და შეკითხვა ვერ გაგიბედეთო. ბოლოს, ყველამ რომ თავისი სტუმარი დაირიგა და მარტო თქვენ დარჩით ორი ობოლივით, დავასკვენით, რომ მწერლები სწორედ თქვენ უნდა ყოფილიყავითო.

ამის შემდეგ, მე მგონი, აღარც კია საჭირო იმის მტკიცება, რომ ვიეტნამელები უაღრესად ყურადღებიანი და მოკრძალებული ხალხია. ურწმუნო თომასთვის კი კიდევ ერთ მაგალითს გავიხსენებ.

სანამ ქალაქში ჩავიდოდით, ჩვენი მანქანა შეჩერებულ კოლონას მიუახლოვდა და დადგა. სიცხეში გაჩერებულ მანქანაში ჯდომა ღმერთმა ნუ გამოგაცდევინოთ. დიდხანს ველით, მაგრამ კოლონა არ იძვრის, ოფლად ვიღვრებით. მანქანიდან გადაველ და თეთრ ზურგებს მივუახლოვდი, ვნახავ, რა ხდება, ალბათ ავარიაა-მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ, მგზავრებით გაჭედილი ავტობუსი დგას. მძღოლი კი მოწყენილი სახით გზას გაჰყურებს. რატომ არ იძვრი-მეთქი, როგორც იქნა გავაგებინე ინგლისურად. ამ ერთი საათის წინ რუსების მანქანამ ჩამოიარა, ხელი დამიქნია და გამაჩერაო. ახლა რას აპირებ-მეთქი, არ ვიციო, დაქოქე მანქანა და წადი-მეთქი, რამდენადაც შემეძლო დამაჯერებლად ვთხოვე.

ეჭვით შემომხედა და თავი გააქნია. პასპორტი რომ დავაძვრე და ვუჩვენე, დარწმუნდა, რომ საბჭოთა კავშირიდან ვიყავი, თეთრი კბილები შემომანათა და გასაღებს მისწვდა. ვინ იცის, იქნებ რომელიმე საბჭოთა უწყების წარმომადგენელმა ხელი მისალმების ნიშნად დაუქნია, გულისხმიერმა ვიეტნამელმა კი შეჩერების ნიშნად მიიღო. მანქანაში რომ დავბრუნდი და იქ მყოფთ ვაცნობე, მე რომ არა, კარგა ხანს მოგიწევდათ აქ ყოფნა-მეთქი, არ დამიჯერეს.

ჩვენს სასტუმროს „თონგლოი“ („გამარჯვება“) ჰქვია. „თონგლოი“ თითქმის წყალში დგას, სამი მხრიდან გზა აკრავს, სანამ დავბინავდებოდით, ყურადღება მივაქციე თოფიან დარაჯებს, ისინი ყოველ ათ მეტრში დგანან და წყალს ჩაჰყურებენ. რას დარაჯობთ-მეთქი, წყლიდან გველი რომ არ ამოძვრეს და სასტუმროს აივანზე არ ახოხდესო.

ნომერში, მაგიდაზე, დიდი ასოებით დაბეჭდილი, გამაფრთხილებელი წარწერებია: „ონკანის წყალი არ დალიოთ“, „აივნის კარები და ფანჯრები არ გააღოთ“.

პირველ ღამეს თვალი არ მომიხუჭავს. ოდნავი გაფაჩუნებისთანავე წამოვხტებოდი, სინათლეს ავანთებდი და საწოლქვეშ პრეისტორიულ ცხოველს (ან უკეთეს შემთხვევაში თაგვს) დავეძებდი.

ყველაფერს ეჩვევა კაცი. რამდენიმე დღის შემდეგ ისე კარგად მეძინა, რომ ფანჯრის კონდიციონერის უსიამო ფართხუნი ხელს აღარ მიშლიდა და ალიონზე ხელაწევით ვესალმებოდი ჩემი საწოლის თავთან ჭერზე მოსეირნე ხვლიკებს.

ერთ დილით ტბას რომ გავხედე, მომეჩვენა, თითქოს წყალზე გუშინ ამდენი მწვანე ველი არ იყო. თურმე ლოტოსის ფარდაგებს მეთევზეები საღამოობით გამოაცურებენ და ქვეშ ანკესებს უგებენ. თევზი ღამე ლოტოსის ქვეშ იბუდებს და ანკესს ადვილად მოჰყვება. თითქოს მზეს ამოჰყვნენო

გობისოდენა ნავებზე მსხდომი მეთევზეები; ხელში ნიჩბების ნაცვლად ხის ჯამები უჭირავთ და გასაოცრად სწრაფად მიიწევენ ლოტოსის ველისაკენ. მიახლოვებისთანავე იხვივით ჩაყვინთავენ, დიდხანს ფათურობენ წყალში და ნადავლს გობში ჰყრიან.

ვიეტნამის მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა ნგუენ ნგოკმა ფრიად გაიხარა. როცა ჩემი ქართველობა შეიტყო. ქართველ მწერალს ჩვენს ქვეყანაში პირველად ვხვდებიო. ამ ათიოდე წლის წინათ გახლდით საქართველოში. დიდებული, სტუმართმოყვარე ქვეყანააო. წელში გავიმართე და ბორის რიფტინს ამაყად გადავხედე, მაგრამ რაც მასპინძელმა ამ სიტყვებს მოაყოლა, აღტაცების საბაბს ცოტას იძლეოდა. რა კარგი სასტუმროები გაქვთ თბილისშიო, სევდიანი ღიმილით დააყოლა ნგუენ ნგოკმა. რომელ სასტუმროში ცხოვრობდით-მეთქი. ჩემმა თავაზიანმა მასპინძლებმა თბილისში ჩამოსვლის დღესვე ყველა სასტუმრო შემომატარეს, მაგრამ თავისუფალი ადგილი არც ერთში არ აღმოჩნდა და ბოლოს ერთმა ღვთიანმადლიანმა პოეტმა (გვარი არ ახსოვდა) თავის სახლში წამიყვანაო. მოგონებათა საათი შეგნებულად ჩავშალე, ჩვენი დელეგაციის სახელით ვიეტნამელ მწერლებს მივესალმე, სათანადო წარწერით „ვეფხისტყაოსანი“ ვუსახსოვრე და ყველანი გულწრფელად დავპატიჟე საქართველოში.

მერე მასპინძლებმა ვიეტნამში ჩვენი მოგზაურობის პროგრამა გაგვაცნეს. ბორის რიფტონს ძველი ვიეტნამური ხელნაწერების გაცნობა და სამხრეთის ორიოდე უძველესი ქალაქის ნახვა სურდა, ამიტომაც პროგრამაში ცვლილების შეტანა მოითხოვა. მასპინძლებმა ჩემი თანამგზავრის სურვილები ღიმილით მოისმინეს, თავი არაერთხელ დაუკრეს, მიზანი მოუწონეს და დახმარება აღუთქვეს.

ვიეტნამი ჭეშმარიტად საოცრებების ქვეყანაა. მსოფლი-

ოს ორმოცამდე სხვადასხვა ქვეყანაში ვყოფილვარ, მაგრამ არც საბერძნეთს, იტალიას, აშშ-ს, ეგვიპტეს და თვით ინდოეთსაც ასე არ გავუკვირვებივარ.

ვიეტნამში მოხუცს იშვიათად წააყდებით.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველი ტაძრის კარებზე წარწერაა: „იცოცხლე სანამ ცა და მიწა არსებობს“, ვიეტნამში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ორმოცი წელია.

ქუჩაში რომ გამოხვალ, თავი ახლაგაზრდობის გრანდიოზულ ფესტივალზე გეგონება. ველოსიპედი და ახალგაზრდობა მეფობს ვიეტნამში.

რაკი ველოსიპედი ვახსენე, ორიოდე სიტყვას ტრანსპორტზე მოგახსენებთ.

ადრეულ საუკუნეებში, ტრადიციულად, ვიეტნამის ქალაქებში მხედარს არ უშვებდნენ. „ჩამოდი ცხენიდან“ ახლაც არაერთგან ნახავთ დიდი დასახლების ან ქალაქის შესასვლელთან ქვაზე ამოკაწრულ იეროგლიფურ წარწერას. ახლა კი მანქანა იშვიათად თუ გაივლის, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ვიეტნამში საკუთარი ატომანქანები არ არსებობს. ტრანსპორტი მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებს ემსახურება (გამახსენდა მანქანების გამონაბოლქვში დამხრჩვალი თბილისი). მწერალთა კავშირს ერთადერთი მსუბუქი მანქანა აქვს. იგი თავმჯდომარის განკარგულებაშია (ჩვენი იქ ყოფნის განმავლობაში კი ჩვენ დაგვითმეს), მწერალთა კავშირის დანარჩენი ოთხი მდივანი და, რასაკვირველია, სხვა თანამშრომლები სამსახურში ველოსიპედით დადიან. მწერალთა კავშირის ეზოში ველოსიპედების ტყე დგას. როცა ხუთმილიონიან საიგონის ქუჩას გავყურებდი და საბოლოოდ დავრწმუნდი, თუ როგორ მოერია ველოსიპედი ყველა სხვა სახის ტრანსპორტს, ასეთმა ფიქრმა გამიელვა: იქნება ეს არის დიდი ქალაქების მომავალი? იქნებ საერთოდ აიკრძალოს დიდი ქალაქების ცენტრალურ ნაწილში ავტომანქანები და დარჩეს

მხოლოდ ველოსიპედი – უხმაურო, უბენზინო, სუფთა ტრანსპორტი? ამ გულუბრყვილო მოსაზრებაზე მწარედ გამეცინა, როცა წარმოვიდგინე ველოსიპედზე ამხედრებული რამდენიმე ჩვენი ფრიად პატივცემული ნაცნობი. ხუმრობა იქით იყოს და ერთმა ვიეტნამელმა ექიმმა დაბეჯითებით მითხრა, სხვა ფაქტორებთან ერთად ველოსიპედიცაა „დამნაშავე“ იმაში, რომ ჩვენი ქალაქების ქუჩებში მსუქან კაცს ვერ იხილავთ და 60 მილიონიან ქვეყანაში იშვიათზე იშვიათია ჰიპერტონია, ინფარქტი და დიაბეტიო.

ქალაქებში კერძო სატელეფონო სამსახურიც არ არსებობს. ტელეფონი დგას მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებში. ჩემ ნაცნობ ექიმს არ უთქვამს, რომ ეს ვიეტნამელთა ნერვების გადასარჩენად კეთდება. უბრალოდ ვიეტნამი განვითარებადი ქვეყანაა და ცივილიზაციის ყველა სიკეთე ჯერ კიდევ წინ, სოციალიზმის მშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე ელოდება.

ვიეტნამელს ბარგი, ძირითადად, ჯოხზე დაკიდებული ჭილოფის ქილებით მიაქვს. მხარზე განიგან გადაკიდებულ ამ ხურჯინს „განი“ ჰქვია.

უნდა ნახოთ, რაოდენ თავისებურია განგადაკიდებული ვიეტნამელის სიარული. იგი ყუნცულით, დაახლოებით სპორტული სიარულის მსგავსად, თეძოების რხევით მიდის. ასე ინარჩუნებს წონასწორობასაც და, როგორც ამბობს, ტვირთიც უმსუბუქდება.

ვიეტნამელები უაღრესად თავაზიანი ხალხია. თვალს რომ შეავლებ, თავი მოვალედ მიაჩნია, გაგიღიმოს, ხოლო შენც თუ გაუღიმე, მოვა და მადლობის ნიშნად წელში რამდენჯერმე მოიხრება. ვიეტნამელის თავაზიანობა იქამდე მიდის, რომ ისინი თითქმის არ იგინებიანო, მითხრეს. „მომწყდი თავიდან“ ვიეტნამელის ლექსიკონში ყველაზე საგინებელ ფრაზად ითვლებაო, სერიოზულად ამიხსნა ბორის რიფტინმა.

ჰანოიში ხო ში მინის მავზოლეუმი და სახლ-მუზეუმი და-

ვათვალიერეთ. ღარიბულად, უბრალოდ ცხოვრობდა თურმე ვიეტნამელი ხალხის ბელადი. პრეზიდენტობის თხუთმეტი წლის განმავლობაში მხოლოდ სამი კიტელი გაცვითაო. ორ ხელ ტანსაცმელზე მეტი არასდროს ჰქონიაო. თვეში ხელფასს იმდენივეს იღებდა, რამდენსაც საშუალო კვალიფიკაციის ვიეტნამელი მუშა – ორას დონგს (ოც მანეთს).

თითქმის ერთი თვე დავყავით ვიეტნამში, დავაბიჯებდით დიდი ქალაქების (ჰანოის, დანანგის, ხო-ში-მინის, ჰუეს) ქუჩებში და მივარდნილ სოფელთა სანახებიც დავლაშქრეთ. ამ ქვეყნის დიდ სახელმწიფო მოხელეთა კაბინეტებშიც მოგვიხდა ყოფნა და უბრალო ვიეტნამელის ქოხშიც გახლდით. სიტყვებითა და მისალმებებით გამოვდიოდით მიკროფონიან მიტინგებზე და მცირე აულის მცხოვრებთაც ვუამბობდით საბჭოთა ლიტერატურაზე, ჩვენს პროფესიაზე, ჩვენს სახვალიო ფიქრებსა და იმედებზე. განსაკუთრებით დამამახსოვრდა შეხვედრები ჰანოის უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტებთან, ჰუესა და დანანგის მშრომელებთან, საიგონის ლიეტერატურისა და კულტურის ასოციაციის წევრებთან, საიგონის ყოფილ ნარკომანთა და მეძავთა ხელახალი აღზრდის კოლონიაში და სხვ.

ვიეტნამში ამჟამად შენდება მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ელექტროსადგური – „ჰოაბინი“ („მშვიდობა“). ეს იქნება საბჭოთა კავშირის დიდი საჩუქარი ვიეტნამელი მშრომელებისათვის. ელსადგური თითქმის მთლიანად ჩვენი ძალებითა და სახსრებით შენდება. არა მარტო საბჭოთა სპეციალისტები ფუსფუსებენ მშენებლობაზე – არამედ მანქანებიცა და ცემენტსაც კი საბჭოთა კავშირიდან ეზიდებიან გემებით, რადგანაც ვიეტნამი თავის ცემენტს არ აწარმოებსო, გვითხრა მშენებლობის მთავარმა ექსპერტმა პავლე ბოგაჩენკომ და „ჰოაბინის“ პროექტის ერთ-ერთ ავტორთან – ასლან გოგობერიძესთან მოკითხვა დამაბარა.

მალე ქართველთა წრეში აღმოვჩნდი. ვიეტნამის მიწაზე სასახელოდ შრომობენ გურამ კვარაცხელია, რევაზ ეფაძე, ანზორ ჩაფიჩაძე, გიორგი კობეშავიძე, ალიკო გოგიშვილი, ამირან ჯაფარიძე და სხვები.

ვიეტნამში სამასამდე დიალექტზე ლაპარაკობენ და სრულიად განსხვავებული ეთნიკური თვისებების ხალხი ცხოვრობს.

წარმოიდგინეთ ტბებით დასერილი ქვეყანა. მთელი ვიეტნამი მეჩეჩებიანი ერთი დიდი ტბა გეგონებათ.

სოფლად ისლის ქოხებში ცხოვრობენ. ქოხები უპირატესად ტბის ნაპირას დგას. ოჯახის წევრები ერთმანეთის გვერდით იძინებენ ლეიბ-საბნის გარეშე, ჭილოფზე.

საერთოდ, ხის ქოშებით დადიან, ქოხში კი სტუმარიც და მასპინძელიც ფეხშიშველი შედის.

სოფლად დღე ალიონის 4 საათზე იწყება. ათზე უკვე ისე ცხელა, რომ მუშაობა თითქმის შეუძლებელია. თორმეტიდან საღამოს ექვს საათამდე თითქმის მთელი ქვეყანა ისვენებს; ან ქოხშია მოკალათებული და ჩაის შეექცევა, ან ქოხის წინ წყალში ზის.

ტბა ვიეტნამელის ბინის ნაწილია. ოჯახი ხანდახან მთელი დღის განმავლობაში წყლიდან არ ამოდის. ბავშვები კი არ თამაშობენ, კი არ ჭყუმპალაობენ წყალში, წყალში ცხოვრობენ სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.

ტბა აძლევს საზრდოს, აგრილებს ზაფხულის პაპანაქებაში, თუმცა გაგრილებაზე მე ცოტა სხვაგვარი წარმოდგენა მაქვს, რადგანაც ტბის წყლის ტემპერატურა ზოგჯერ ორმოც გრადუსამდე ადის და მეტი რომ არა ვთქვა, წყალტუბოს აბაზანებზე უფრო თბილია.

ღმერთმა შეარგოთ და მიირთმევენ თითქმის ყველაფერს ტბის მიერ ბოძებულს – თევზს, წყალმცენარის ფესვებს, ლოკოკინას, ბაყაყს, ანკარას (ეს ორი უკანასკნელი დე-

ლიკატესად ითვლება და რესტორანში საკმაოდ ძვირი ღირს).

შეძლებული ვიეტნამელის სამზარეულო უაღრესად მრავალფეროვანია. ამ ქვეყნის კულინარია ოთხასამდე სხვადასხვა დასახელების კერძს იცნობს. ზოგი კერძის დასამზადებლად ოცდაათამდე სხვადასხვა ნედლეულია საჭირო.

ძროხა და ხარ-კამეჩი კერძო პირებს ცოტა ჰყავთ. კამეჩს თითქმის არ წველიან, ძირითადად გამწევ ძალად გამოიყენება.

შარშანწინ ვიეტნამში დიდი საკოოპერატივო რეფორმა განხორციელდა. მიწები გლეხებს დაურიგეს. გლეხები თავიანთი ცოდნისა და სურვილის მიხედვით უვლიან ყანებს, მოსავლის ერთ მესამედს სახელმწიფოს უსასყიდლოდ აბარებენ. დანარჩენს კი თვით იტოვებენ. ამ ღონისძიებამ, როგორც ამბობენ, გამოაცოცხლა სოფელი და იმედი გვაქვს, რომ მალე დავაღწევთ თავს აგრარულ სიდუხჭირეს, – ამბობს ჩვენი მეგზური, პოეტი ბანგ ვიეტი.

აქაური გლეხის მძიმე შრომაზე არაერთხელ დაწერილა. მართლაც რომ უაღრესად გამრჯე და მიწაზე თავგადაკლულია ეს პატარა, კაფანდარა ვიეტნამელი. მუხლამდე წყალში სათითაოდ რგავს ბრინჯის ნერგს, მერე ექვსი თვის განმავლობაში წყალს ექაჩება. წყალს ტუმბავენ ათასი საშუალებებით: თიხის ჯამებით, მანუფაქტურული, მამაპაპური ხელის ტუმბოებით, თოკზე გამობმული ვედროებით, ბამბუკის ონინარებით. ყველა პროვინციაში თავისებური მეთოდით ხდება წყლის ტუმბვა.

ეზოებში აქა-იქ ქათამსაც მოჰკრავთ თვალს, ვიეტნამური ქათამი პატარაა და შეფერილობით ციცარს წააგავს.

სოფელს არაჩვეულებრივი, ეგზოტიკური იერი აქვს. ხეები, სახლები, წყალი და, მგონი, ცაც კი მწვანე ფერისაა. ლოტოსისა და ბანანის უზარმაზარი ფოთლები აფარია ყველაფერს.

თვალს გტაცებთ ანანასისა და პაპაის ბუჩქები, ქოქოსის პალმები, ვაის, აგნოლიის, პურის ხის, მანგუსისა და კაუჩუკის მაღალი ხეები.

ეზოს პირას, ყოველ დიდ დასახლებულ პუნქტთან ბაზარია. ვიეტნამურ ბაზარში დახლი არ არის. საქონელი მიწაზე აწყვია, გამყიდველები კი არ სხედან, ჩაცუცქულები არიან, მყიდველიც უნდა ჩაცუცქდეს (თუ გულით მყიდველია, რა თქმა უნდა), გამყიდველებს, ხშირად მყიდველებსაც ხელთ თვითნაკეთი სასწორი უჭირავთ. ასე რომ, ბრინჯი და ბოსტნეული ხშირად ორ სასწორზე იწონება.

ბევრ ოჯახში შეხვდებით სამ მუსიკალურ ინსტრუმენტს: „დან მანს“ – ბამბუკისაგან გაკეთებულ სიმებიან საკრავს. კამეჩია რძის საყვირს და დოლს.

მიონგის მხარეში საშუალება გვქონდა გვენახა ქორწილი და დაკრძალვა. აქ ქორწინების წესი დღემდე ასეთი აქვთ: უმეტეს შემთხვევაში სასიძოსა და საპატარძლოს მშობლები და ნათესავები წყვეტენ ახალი ოჯახის შექმნის საკითხს. აუცილებელი არ არის მომავალმა ცოლ-ქმარმა ერთმანეთი ქორწინებამდე გაიცნონ. იწვევენ 30-40 კაცს, ძირითადად ახლო ნათესავებს. ქორწილში არ მღერიან, არ ცეკვავენ და მაგარ სასმელებს არ მიირთმევენ. ბრინჯსა და მწვანილეულს შეექცევიან და საუბრობენ იმაზე, თუ ვინ რითი შეეწევა ახალ ოჯახს. ზოგი ხის ჯამებს უძღვნის, ზოგი სათევზაო ბადეს, ზოგი ბამბუკის მილებს (ბამბუკი ვიეტნამელისთვის მთავარი სამშენებლო მასალაა. ბამბუკს ხმარობენ დედაბოძად, სახლის გადასახურავად და წყალსადენადაც ბრინჯის ყანებში). ქორწილის სუფრა ვიეტნამელის ჩვეულებრივ სადილზე უფრო ღარიბული უნდა იყოს, რათა ეკონომიკურად არ დააქვეითოს ახალი ოჯახი.

მიცვალებულს ერთ დღეში ასაფლავებენ. ვიეტნამელები მოთქმით არ ტირიან. კაცის ამ ქვეყნიდან წასვლას დოლე-

ბით ამცნობენ სოფელს. ცხედარს მაშინვე გააპატიოსნებენ და მზის ჩასვლამდე დამარხავენ უმეტესწილად თავის მამა-პაპეულ ეზოში.

მიგვიწვიეს ჰანოის კინოსტუდიაში და გვიჩვენეს თანამედროვე ვიეტნამის კინემატოგრაფის ორი უკეთესი ნაწარმოები: ხაი-ნინის სურათი „მშობლიური მიწა“ – 1979 წლის ჩინეთის აგრესიაზე შექმნილი შთამბეჭდავი მხატვრული ფილმი და ჩენ-ფიონგის „უკანასკნელი იმედი“. „უკანასკნელმა იმედმა“, როგორც იქაური სპეციალისტები ვარაუდობენ, ახალი ერა დაიწყო ვიეტნამის კინემატოგრაფიაში. იგი ქვეყნის აქტუალურ პრობლემებს ეხმაურება და კრიტიკული პათოსით გამოირჩევა. ფილმის სიუჟეტი ასეთი გახლავთ: ქარხნის დირექტორი არაშრომითი შემოსავლით ავეჯს შეიძენს. ავეჯი დიდი არაფერია, მაგრამ დირექტორის ჟურნალისტი მეუღლე აღშოფთდება: შენ ამის საშუალება სად გქონდა, როგორც ჩანს, სახელმწიფოს მოჰპარეო. ერთ მშვენიერ დღეს ქარხანას (არ ჩანს, რისი ქარხანაა) რევიზორი ეწვევა. დირექტორი და მისი დამქაშები, როგორც ეს სხვაგანაც არაერთ ქვეყანაშია თითქმის წესად ქცეული, რევიზორს ქრთამს შესთავაზებენ, მაგრამ პრინციპული ახალგაზრდა მავნებლებს ფულს სახეში შეაყრის. დირექტორის ცოლი დიდ დახმარებას უწევს რევიზორს მისი მეუღლის დანაშაულის მხილებაში.

შეხვედრის დასასრულს ჰანოის კინოსტუდიის დირექტორმა ნგუენ-ტჰუამ გვთხოვა, აზრი გამოგვეთქვა ნანახ ფილმებზე და მოგვეთხრო საბჭოთა კინემატოგრაფიაზე. ვილაპარაკე „ქართული ფილმის“ გუშინდელსა და დღევანდელ დღეზე ჩემი შეზღუდული ცოდნის ფარგლებში. მერე, რასაკვირველია, სტუმრის კეთილგანწყობით დადებითი აზრი გამოვთქვი ვიეტნამურ ფილმებზე და ორიოდე შენიშვნაც მოვაყოლე.

დანანგში იქაურ მწერალთა განყოფილების ხელმძღვანელმა, ცნობილმა მწერალმა ფან-ტიმ თვით გვიმეგზურა ჩამპას მსოფლიოს ერთ-ერთ უნიკალურ მუზეუმში. V-XVI საუკუნეებში აქ იყო ძლიერი სახელმწიფო ჩამპა. ამ სახელმწიფოში მცხოვრებ ხალხს – ტაიმს – არაფერი ჰქონდა საერთო ვიეტნამელებთან. XVI საუკუნეში ვიეტნამელებმა დაიპყრეს და გაანადგურეს ტაიმი. ახლა ამ უძველესი ერის უკანასკნელ ნაშიერთ თითო-ოროლასღა თუ წააწყდებით, სამაგიეროდ, დანანგში არის ჩამპას კულტურის დიდი მუზეუმი, რომელიც მნახველს აოცებს სწორუპოვარი ქანდაკებებით. ქვაში გამოკვეთილი შივები, სპილოები და დრაკონები დიდი ოსტატობითაა შესრულებული.

ყოფილ სატახტო ქალაქ ჰუეში დავათვალიერეთ მეფეთა საძვალენი, აკლდამები და მავზოლეუმები.

ეგვიპტის ფარაონთა მსგავსად, ვიეტნამის ყველა მეფე სიცოცხლეშივე იშენებდა თავის მავზოლეუმს და, რა თქმა უნდა, ცდილობდა მისი უკანასკნელი განსასვენებელი სხვისაზე ლამაზი და გრანდიოზული ყოფილიყო.

დიდხანს ვიდექით მეფე ტი-დიკის სამარხთან. სწორედ მისი მეფობის პერიოდში დაიპყრეს ფრანგებმა ვიეტნამი. შეცდა პოეტი მეფე ტი-დიკი. დაღალა ომებმა და ეგონა, თუ ფრანგებს შევუთანხმდები, ქვეყანას ფიზიკურად გადავარჩენ და ცივილიზაციის გზაზეც შევაყენებო. დადო ხმალი და ფრანგებს ქალაქის ბჭენი განუხვნა. მალე გაირკვა, რომ ევროპის ძლიერი სახელმწიფო ვიეტნამის გასანათლებლად როდი მოსულიყო. ამაში თვით თითქმის ტახტწართმეული, მარიონეტად ქცეული მეფეც დარწმუნდა და აი, იგი, სიკვდილის წინ თვით წერს თავის ეპიტაფიას, შენდობას სთხოვს ვიეტნამელ ხალხს, რომ მან, სნეულებათაგან შეწუხებულმა და უსასოომ ვერ შეძლო გამკლავებოდა მოყვრად მოსულ მტერს და ხელყოფისაგან დაეცვა ვიეტნამის წმინდა მიწა.

ტი-დიკის საფლავს ჩამპას თეთრ-ყვითელი ყვავილები ამშვენებს.

საიგონში ერთ საღამოს ჩინური თეატრის მთავარი რეჟისორი გვეახლა და თავის სპექტაკლზე დაგვპატიჟა. სამი მთარგმნელი მომისვეს გვერდით. სპექტაკლი ძველჩინურ ენაზე მიდიოდა. ძველი ჩინურიდან ერთი ახალ ჩინურზე თარგმნიდა, მეორე ახალი ჩინურიდან ვიეტნამურზე, ხოლო ბანგ ვიეტი რუსულად მითარგმნიდა.

პიესა მე-12 საუკუნეში გახლდათ დაწერილი, სპექტაკლიც ძველებურ ყაიდაზე დადგმული – ვოდევილისა და მუსკომედიის ნაჯვარი. ძველი ჩინური სპექტაკლების ერთგულებით ახლაც ქალების როლებს მამაკაცი მსახიობები ასრულებდენ. დონე სპექტაკლისა რაიონის კულტსახლის დონეს არ აღემატებოდა, მაგრამ მთავარი და დამაფიქრებელი ის გახლდათ, რომ თეატრში 1000 კაცი ეტეოდა, სპექტაკლს კი 2000-ზე მეტი ესწრებოდა. რა იყო ეს? ფანატიზმი? ეროვნული გრძნობა? ახალგახსნილი თეატრის მხარდაჭერის სურვილი? ალბათ, სამივე ერთად.

დედებს ორი თვის ბავშვები ჰყავდათ წამოყვანილი. ერთი ღრიანცელი იდგა თეატრში. ზოგს ეძინა, ზოგი ბავშვს ძუძუს აწოვებდა, ზოგი ხმამაღლა კამათობდა. სპექტაკლს, ალბათ, ხუთი პროცენტი თუ უსმენდა, მაგრამ მაინც ბოლომდე იყვნენ, როგორც დღესასწაულზე.

ეს უბრალო ამბავი არ გახლავთ.

შორეულ ვიეტნამში ჩემი ჩასვლის მიზანი ამ უაღრესად საინტერესო ქვეყნის დათვალიერების ტურისტულ მიზანს ბევრად სცილდებოდა. მე ვცდილობდი შეძლებისდაგვარად გავცნობოდი იმ რთულ სოციალურ ფენომენს – ახალი ქვეყნის მშენებელი ვიეტნამელი რომ ჰქვია.

ვცდილობდი ჩამეხედა მის სულში, გამეცნო ფსიქიკა იმ კაცისა, თავისი ანთროპოლოგიური თავისებურებებით და

ცხოვრების წესით ქართველისაგან ბევრი რამით რომ განსხვავდება, მაგრამ ამავე დროს, საოცრად წააგავს ჩვენებურს თავისი მშვიდობისმოყვარული, უწყინარი ბუნებით და გულღიაობით.

გამომშვიდობებისას ხო ში მინის მწერალთა სასახლეში დიდი შეხვედრა გაგვიმართეს და ტაშის გრიალში წაგვიკითხეს კპ საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილება საიოგნის საპატიო მოქალაქეებად არჩევის შესახებ და დაგვირიგეს სათანადო მედლები.

ჩემთვის მოულოდნელი და სასიამოვნო იყო ასეთი პატივი.

რუმინეთი – 1983

27 აპრილი

მატარებლით გადავწყვიტე რუმინეთში წასვლა.

გზას დავათვალიერებ მეთქი და ცოტას დავისვენებ.

მშვენიერი ვაგონია.

კონდიციონერი მუშაობს. სასიამოვნოდ გრილა. კუპეში, ჩემდა იღბლად მარტო ვარ.

გავიცანი რუმინეთის ენერგეტიკული მრეწველობის სამმართველოს გენერალური დირექტორი მილიკესკუ გიორგე. სამოცსმიღწეული, ინტელიგენტური შესახედაობის, ენაწყლიანი კაცი.

ხელში წიგნი უჭირავს. დმიტრუ პოპესეკის ახალ რომანს „მუშტი და ხელისგულს“ ვკითხულობო. რომანი სტალინის პერიოდის პარტიულ მუშაკთა ცხოვრებას შეეხებაო. რა ჩინის პარტიული მუშაკებისას მეთქი, ვკითხე, უმაღლესი რანგის – ცეკას მდივნებისასო. ესე იგი დოკუმენტურია მეთქი? ნახევრადო. სტალინი თუა გამოყვანილი მოქმედ პირად მეთქი. კიო. ეპიზოდებშიო. როგორ უცქერის მეთქი რომანის ავტორი სტალინის პიროვნებას? ფრიად არასიმპათიურადო.

ვისაუბრეთ პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, ლიტერატურაზე...

გიორგი ამბობს, რომ რუმინეთის მთავრობა პოლიტიკაში ენერგიულად ეძებს ახალ გზებსა და საშუალებებს. ახალ ურთიერთობებს სახელმწიფოებთან. გაზეთებში უკვე აღარ არისო რადიკალური, მყვირალა, ზოგადი საუბრები. სისტემათა დაპირისპირება და მსოფლიოსგან გამოყოფის ცდები. ხალხი კი თვლის, რომ სოციალისტური ბანაკი სხვა გზით წავიდა და თუ დროზე არ გამოვფხიზლდით, შეიძლება ჩიხში მოვექცეთო.

რაც შეეხება ეკონომიკას, გიორგი ამბობს, რომ რუმინეთს ამ ბოლო ხუთი წლის მანძილზე საგრძნობლად გაუჭირდა სოფლის მეურნეობაში პროდუქტების საკითხში. ბევრ ვალს ვიღებთ ყოველწლიურად დასავლეთიდან და არ ვიცით, როგორ გადავიხდითო. ვცდილობთ ვაჭრობა გავაფართოვოთ და ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმი მსოფლიო სტანდარტებს დავუკავშიროთო. ბევრი მოძველებული ნაწარმი ჩაგვიწვა. უგეგმობა და ხალხის მოთხოვნილების გაუთვალისწინებლობაა ჩვენი წარმოების მთავარი ნაკლიო.

რუმინეთს ბევრი ნავთობის საბადო აქვს, მაგრამ ნავთს ახლა საბჭოთა კავშირიდან ვყიდულობთ, საკუთარ საბადოებს კი აკონსერვებს ჩვენი ხელმძღვანელობაო.

ჩაუშესკუ კეთილი კაცია. დაჭერებს და რეპრესიებს არ მიმართავსო, მატყუებს დიპლომატიურად.

დავუსახელე ნაცნობი მწერლები და ისინიც, ვინც თბილისში გამოვეცით (ათიოდე წიგნი თან მიმაქვს), არცერთი მათგანი არ გამიგონიაო. სამაგიეროდ აქეთ „გამანათლა“, დღეს რუმინეთში ყველაზე კარგი პოეტებია: ნიკიდა სტანესკუ და ანდრიან პაუნესკუო, ხოლო პროზაიკოსები: ევჯენ ბარბუ და ფრაჩის მუნტიანუო.

მატარებელი კი მიქრის ტრამალებზე...

რუსული ულამაზესი „ხატები“.

არყის ტყეები...

აყვავებული ვაშლის ხეები და კოპწია ეზოები.

გავიარეთ კიევი, ვინიცა, კიშინიოვი. მოლდავეთი მშვენიერი ქვეყანაა. ახლადაბიბინებული ჯეჯილი მწვანე ხავერდში ახვევს ყველაფერს.

ხვალ დილით რუმინეთში ვიქნებით.

რუმინეთში სვამენ ხილის არაყს. ცუიკა ჰქვია მსხლის, ბლის არაყს. ქლიავისას – „სლივოვიცა“, უყვართ ღვინოც.

უნგრეთის სოფლის მეურნეობა – ძირითადად კოოპერი-

რების ხარჯზე – ჩამოურიგეს ღორები, აძლევენ საკვებს. წლის ბოლოს ერთს უფასოდ აბარებენ.

რუმინეთში არის მანქანა „ტაჩია“ ფრანგული „რუნოს“ ფირმა.

ბენზინი დიდი პრობლემაა. მთელი კვირაობით ელოდებიან.

რუმინელები პირველ მაისს პარადს არ აწყობენ. ისინი თვლიან, რომ ამ დღეს ხალხმა უნდა დაისვენოს. ზეიმობენ წინ დღით, აწყობენ მიტინგებს დაწესებულებებში. პარადზე კი დროს და სახსრებს არ ხარჯავენ.

მწერლობა პოპულარულია, მაგრამ არ კითხულობენ პროპაგანდისტულ დემაგოგიურ ლიტერატურას.

მოლდავეთის შესახებ გიორგი ამბობს, – ასეთი რესპუბლიკა გამოგონილიაო, მოლდავეთი რუმინეთის ნაწილია. არავითარი განსხვავება რუმინულსა და მოლდავურს შორის არ არსებობს და მაინც „მოლდავურ ენას“ ეძახიანო. ჰიტლერი რომ მოვიდა, მოლდავეთი დაგვიბრუნა და ტრანსილვანია წაგვართვა, სტალინმა ტრანსილვანია დაგვიბრუნა და მოლდავეთი წაგვართვაო.

რუმინეთი სამი ნაწილისგან შედგება – მოლდავეთი, მონტენია და ტრანსილვანია.

28 აპრილი

8-ის ნახევარზე ბუქარესტის დროით, თბილისის დროით კი 10-ის ნახევარზე, ბუქარესტის ძველთაძველ ვაგზალზე შემორიხინდა ჩვენი მატარებელი.

სადგურზე მარტო დარჩენილს ვიღაც ღრმად მოხუცი ქალი მომიახლოვდა და სახეში ჩამაცქერდა. სიდუსა და ბათა ქექიას სცენა რომ გავითამაშეთ, მკითხა: თქვენ მწერალთა კავშირის სტუმარი ხომ არა ბრძანდებითო. თავი რომ დავუქნიე, საზარლად გამიღიმა და, ჩემდა სასიხარულოდ მაუწყა: მე თქვენი გიდი-თარჯიმანი გახლავართ, ალა პეტრუსკუ. აგაშენათ ღმერთმა!

ტაქსით გავემართეთ სასტუმროსაკენ. ბუქარესტი ძალიან ლამაზი ქალაქი ჩანს – არეულია ერთმანეთში ბაროკოს სტილი, გვიანდელი გოთური სტილი და ევროპულ-ამერიკული სტილის სახლები. ძალიან ლამაზი შენობაა ცენტრში – „მეფის სასახლე“ ფრანგული სტილი – ვერსალის ტიპის შენობა. ლამაზია ფილარმონიის შენობა. ჩემი სასტუმრო ცენტრშია – „კაპიტოლი“ ჰქვია.

ჩემმა უკბილო გიდმა სასტუმროში მომაწყო და სადღაც გაიქცა.

საშინლად ცხელა.

დავურეკე ზაირა სამხარაძეს. ძალიან გაეხარდა ჩემი ხმის გაგონება. 5 საათზე სასტუმროში დამხვდი მოგაკითხავთ და ბინაზე გვესტუმრეთო, თავაზიანად დამპატიჟა.

მწერალთა კავშირში უცხოეთის განყოფილების რეფერენტმა მიმიღო. ჩანს, „სლივოვიცას“ დასალევად და მაღაზიებში საწანწალოდ ჩამოსული ვეგონე, მოღუშული მელაპარაკება – სად უნდა ვისადილო იაფად, მაგარი სასმელი რომ არ უნდა მოვითხოვო და ხელსაყრელ ფასებში რომელ მაღაზიებში უნდა ვივაჭრო.

სიტყვა გავაწყვეტინე. ჩემი ხუთიოდე წიგნი გავუშალე მაგიდაზე და განვუცხადე, რომ მე პროფესიონალი მწერალი ვარ, ჩამოვედი, რათა უკეთ გავერკვიო რუმინელი კაცის ფსიქიკაში, მათი თანამედროვე სახე შევისწავლო, შევხვდე მწერლებს, მკითხველებს, ვეწვიო გამომცემლობებს და ა.შ. შეცბა, ასეთ შეპასუხებას არ ელოდა; მწერალთა კავშირის თავმჯდომარე დმიტრუ პოპესკუ აქ არ ბრძანდება, მე კი უიმისოდ ვერაფერს გეტყვით, პროგრამა მას უნდა შევუთანხმოთო. ცოტა ხნით სადღაც გაუჩინარდა, რომ დაბრუნდა, სულ სხვა კაცი იყო. გამოცვლილი, დამტკბარი. იღიმება,

ბოდიშებს მიხდის, არ ვიცოდით, თუ ასეთ დიდ მწერალთან გვქონდა საქმეო. სახელდახელოდ შემიდგინა გრაფიკი ჩემი რუმინეთში მოგზაურობის. მწერალთა კავშირის რესტორანში ვისადილეთ და სასტუმროში დავბრუნდი დასასვენებლად.

ბუქარესტი

ხუთ საათზე სასტუმრო ჰოლში ჩავედი. ვიღაც მაღალი, ლამაზი, ახალგაზრდა კაცი მომიახლოვდა და ქართულად მეკითხება: ბატონი მიშველაძე ბრძანდებით? – გამარჯობა ანდი, – როგორ მიხვდით რომ ანდი ვარ? მე ხომ სხვას არავის ველოდი, თქვენ როგორღა მიხვდით რომ მე მე ვარ? – კითხვა შევუბრუნე. – ქართველს მილიონ კაცში გამოვარჩევ – ღიმილით მხვევს მხარზე ხელს და ქუჩაში გამოვდივართ. ანდი ზაირას ქმარია.

ბუქარესტში ტაქსის დაჭერა პრობლემაა, ბენზინი არ იშოვება და საშუალოდ სამ საათში ერთი ტაქსიღა თუ გაიქროლებს ქუჩაში! კალჩუ სამხარაძეების ბინა. კარს ზაირა გვიღებს. სიმპათიური ქართველი ქალი. იმერულად უქცევს. მის საუბრის ტონსა და გამოხედვაში რაღაც მაგიური იგრძნობა, მომნუსხველი, მხოლოდ ქართველი ქალისთვის დამახასიათებელი. მთელი ოჯახი ქართულად აულაპარაკებია. თარგმნის ქართულ წიგნებს, წერს ლექსებსა და ზღაპრებს. მიჩვენა დაბეჭდილები. სადად, ღარიბულად ცხოვრობენ. ყველაფერში ეტყობათ, რომ პატიოსანი, გულწრფელი და ალალი ხალხია. ჩემთვის სპეციალურად მოუწვევიათ ორიოდე მწერალი და ერთი იასელი რედაქტორი ქალი, ელენე. მშვენიერი საღამო იყო. ბევრი ვილაპარაკეთ. ვიცინეთ. მე და ზაირამ ვიმღერეთ გიტარაზეც და ფანდურზეც. სამხარაძის ქალი მშვენივრად უკრავს და მღერის. სევდა მაინც ეტყობა თვალებში. ანდი წამდაუწუმ თავზე ხელს უსვამს და ეფერება. სუფრაზე გვემსახურებოდა ანდის მამა – 70 წლის მოხუცი კაცი. მან შეწვა ხორცი, თეფშებს გვიცვლიდა, დანა-ჩანგალს გვირიგებდა, ჩემთვის ეს დიდი სიახლე იყო. ანდი და ზაირა ნამდვილი მწიგნობარი ხალხია. ანდიმ თითქმის ყველა ენა იცის (მათ შორის ჩინურიც) ნამდვილი პოლიგლოტია. არც ზაირა ჩამორჩება. უკვე დიდებულად ფლობს ესპანურს (კუბის საელჩოში მუშაობს) ფრანგულს, რუმინული ხომ მშობლიურივით იცის. უვლის ანთიმოზ ივერიელისა და ბესიკის საფლავებს. ბესიკისა მხოლოდ

საფლავის ქვაა შემორჩენილი, საფლავი დაკარგულიაო ზაირამ, ქვასაც ამასწინათ სადღაც სარდაფში ძლივს მივაგენიო. იქნებ დასვათ საკითხი და ეს ქვა საქართველოში წაიღოთო.

შუაღამისას სასტუმრომდე მიმაცილეს ცოლ-ქმარმა.

ზაირამ მიამბო, რომ თბილისში ახლა რუმინული იცის მხოლოდ ფანი ჯინჯიხაშვილმა – უცხო ენათა ინსტიტუტის თანამშრომელმა ქალმა. ასევე მაცნობა, რომ უკვე სტამბაშია და საცაა გამოვა ქართული პროზის ანთოლოგია რუმინულ ენაზე. ასე რომ რუმინელი მწერლები დიდ ყურადღებას აქცევენ ჩვენს ლიტერატურას, ჩვენ კი ვალში ხომ არ ვართ. მარტო ჩვენი სქელი ტომეულების გამოცემას ხომ არ გადავყევით?

29 აპრილი

სასტუმროში საუზმისას, შემთხვევით გავიცანი მოლდაველი პროზაიკოსი სტატი ვასილი ნიკოლაევიჩი. ისიც მწერალთა კავშირის სტუმარია. მოსკოვიდან ოთხი დღის წინათ ჩამოსულა. დავმეგობრდით. ჩემი „ახალი ნოველები“ ვაჩუქე და იმ დღესვე წაიკითხა. მეორე დღეს თავიდან ბოლომდე მიამბო. შემომჩივლა რუმინელ მწერლებს არ გვაცნობენო. ჩვენსას არაფერს ბეჭდავენო. რატომ არსებობს მოლდავეთის რესპუბლიკა, ამ აზრს დღემდე ვერ შერიგებიანო.

შეხვედრა მქონდა რუმინეთის ლიტერატურული გაზეთის „რომანა ლიტერარას“ რედაქციაში. ვილაპარაკე თანამედროვე ქართული ლიტერატურის შესახებ. მკითხეს, რა პრობლემები აწუხებს დღეს ქართველ მწერლებს. გულთბილად მიმიღეს. თავის მხრივ მიამბეს გაზეთის მუშაობაზე, როგორ ახერხებს იგი ასახოს რუმინეთის დიდი ლიტერატურული ცხოვრება.

ნაშუადღევს დავათვალიერეთ ბუქარესტის ხელოვნების

საკოლექციო მუზეუმი. ეს გახლავთ კერძო პირთა მიერ წლების განმავლობაში დაგროვილი კოლექციებისგან შექმნილი მუზეუმი. ძალიან საინტერესოა. რა არ უშოვიათ კოლექციონერებს ეგვიპტური და ბერძნული სკულპტურებით დაწყებული იმპრესიონისტების – მონეს და რენუარის ნახატებით დამთავრებული. ბევრმა მათგანმა ანდერძად დაუტოვა ეს განძი სახელმწიფოს, რითაც თავისი სახელიც უკვდავჰყო (ყოველი ექსპოზიციის კუთხეში დგას მისი შემომწირველის სურათი და ბიოგრაფიული ცნობებია) და ქვეყანასაც აუწონავი სიმდიდრე შესძინა.

რატომ არ შეიძლება ჩვენთან საკოლექციო მუზეუმის შექმნა?

საღამოს ზაირამ და მისმა მეგობრებმა დამპატიჟეს ბუქარესტის ნაციონალურ დრამატულ თეატრში. ვნახეთ იტალიელი დრამატურგის ედუარდო დე ფილიპოს პიესა „ფილომენა მარტურანო“. ჩვეულებრივი მელოდრამა. ფინალში ზედმეტად დაშაქრული, დატკბილებული. არც დადგმა მომეწონა მაინცდამაინც. ჩვენ უკეთესი თეატრები გვაქვს.

30 აპრილი

დილიდანვე ზაირა სამხარაძის და მისი მეგობრების „ტყვეობაში“ ვარ. ანდი ავად არის, მაგრამ ზაირამ მთელი დღე ჩვენთან გაატარა. ძალიან ყურადღებიანი და გემოვნებიანი ქალია. მეგობრებიც მონუსხული ჰყავს. ქართული ხმის გაგონებით ვცოცხლდებიო.

ვეწვიეთ ცნობილ რუმინელ მხატვარს ვასილე გრიგორეს სახელოსნოში. საშუალო ტანის სიმპათიური კაცია. ძირითადად ყვავილებს ხატავს, ძალიან მომეწონა. ფერთა თავისებური ჰარმონია და ფონი. ცოტა პიკასოს გავლენის ქვეშაა,

მაგრამ ორიგინალურია იმით რომ დაუმთავრებელი ნახატები მიაქვს გამოფენაზე. – ვერცერთ ნახატზე ვერ ვიტყვი, რომ დავამთავრე, ზოგჯერ 5 წლის წინათ დახატულს ვუბრუნდები და თავიდან ვხატავო. როგორ მოვხვდით ამ მხატვართან? ზაირას ერთმა მეგობარმა მწერალმა ჩაილაპარაკა, ერთი თვის წინათ „დამპატიჟა“ თავის სახელოსნოში ვასილე გრიგორემ, თუ ჩვენს სტუმარს საწინააღმდეგო არაფერი აქვს, იქნებ ვეწვიოთო.

ცენტრში მთარგმნელი ზაირა სამხარაძე

ძალიან მომეწონა დაპატიჟების ეს ფორმა. მხატვრები ხშირად სთხოვენ მწერლებს მოდით, დაათვალიერეთ ჩვენი ნამუშევრები. რატომ უნდა ვუცადოთ გამოფენას (რაც ასე იშვიათად ხერხდება მხატვრის ცხოვრებაში) ან ალბომის გამოსვლას? დავფიქრდი და ჩემთვის კობა გურულისა და

ტიტე შეყილაძის გარდა არცერთ მხატვარს არ უთხოვია სახელოსნოში მეწვიეო. მშვენიერი სალონი გაიმართა დღეს ვასილე გრიგორეს სახელოსნოში. ზოგმა თავისი ცოლის გამომცხვარი ბლინები გამოაყოლა ხელს, ზოგმა ერთი ბოთლი ლუდი. მე ქართული კონიაკი ამოვიღლიავე, მასპინძელი თავის ნახატებზე, თავის შემოქმედებაზე გვიამბობდა, ჩვენ ჩვენსას ვეუბნებოდით და ასე გავიდა ოთხიოდე საათი. ჩვენთან „საცივი“ და „სუკი“ თუ ვერ გაახერხე კაცს როგორ გაუბედავ დაპატიჟებას. გეგონება ამ შემთხვევაში სუფრა იყოს მთავარი და არა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ვასილე ხატავს არლეკინებსაც. მწუხარე კლოუნებს. ნახატებს სახელებს არ არქმევს ერთი ნახატი მე მოვუწონე – ჩიტი. ზირამ ბევრი რამ მიამბო, რუმინელ მწერალთა და მხატვართა შესახებ.

საღამოს ბუქარესტის სახელგანთქმულ მცირე თეატრში დავესწარი სპექტაკლს. დიდებული წარმოდგენა ვნახე: სარტრის „ეშმაკი და უფალი ღმერთი“, ეგზისტენციალიზმის ტიპიური ნიმუში. ადამიანის შინაგანი თავისუფლების პრობლემა. დადგმულია მშვენივრად. თითოეული სცენა კომპოზიციურად უაღრესად დახვეწილია. ურთულეს პიესას რეჟისორმა სწორი გახსნა და ორიგინალური გადაწყვეტა მოუძებნა, ფრიად კმაყოფილი დავბრუნდი სასტუმროში. სპექტაკლი 4 საათიანია. 6:30-ზე იწყება და 10:30-ზე მთავრდება.

1 მაისი

ჩემმა მთარგნელმა და მისმა მეუღლემ ქალაქგარეთ გასეირნება შემომთავაზეს.

ბუქარესტიდან გავედით თუ არა ულამაზესი ტყეები დაიწყო.

მთელი ქალაქი ტყეებს შესევია. ოჯახებით წამოსულან. ფარდაგებზე წამოწოლილან. სანოვაგე წამოუღიათ და ქეიფობენ. ზუსტად ისე, როგორც 2 მაისს იცოდნენ ხოლმე ქუთაისში ჩემს სიყმაწვილეში. გზად შევჩერდით ტირგოვიშტეში რუმინეთის ძველ დედაქალაქში, მე-15 საუკუნიდან მე-18 საუკუნემდე ეს იყო რუმინეთის სავოევოდის ცენტრი. მე-18 საუკუნიდან ბუქარესტი. „ბუქარის ადგილს“ ნიშნავს. ბუქარი ლეგენდის მიხედვით ამ ქალაქის შემქნელი მწყემსია. რუმინელები მე-19 საუკუნის ბოლომდე სლავური ანბანით (კირილიცა) წერდნენ, ახლა რომაულით (ლათინურად). გახსენებაც კი არ სურთ თავიანთი სლავური წარსულისა. ჩვენ უშუალოდ რომაელების შთამომავლები ვართო.

რუმინეთი. ძველი სახლი

რუმინელებს მე-15-16 საუკუნეზე ადრინდელი ისტორიული ძეგლი არა აქვთ. იქნებ მართლაც რომაელების შთამომავლები არიან? ყოველ შემთხვევაში რომაული და იტალიური ენები ჩემი შეზღუდული ცოდნის პოზიციებიდანაც კი ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

რა მიამბეს ცოლ-ქმარმა გზაში?

ბოლო ორი წლის მანძილზე რუმინეთში ყველაფერი უკუღმა დატრიალდა. არ არის ბენზინი. ტაქსს ვერ იშოვით უბენზინობის გამო ტაქსების პარკები დაიკეტა. მთლიანად ბუქარესტს 60-მდე ტაქსიღა ემსახურება.

წყვეტაა ტრამვაიში და ტროლეიბუსში ასვლაზე. ბარათებით არიგებენ ხორცს და კარაქს. იმოდენა რიგებია, რომ თუ მარჯვედ არ იქენი „ბარათები“ ხელში დაგრჩება.

რესტორნების უმეტესობა ცარიელია.

თუ ნაცნობი არ გყავს, ან წინასწარ შეკვეთა არ მიეცი, ვერაფერს შემოგთავაზებენ.

ცნობარებში და ენციკლოპედიებში რაც წერია, ის უკეთეს შემთხვევაში ათი წლის ამბავია. დღევანდელი რუმინეთი კი ასე არ ცხოვრობს.

დევის ნაბიჯებით იზრდება მექრთამეობა. ფულმა ფასი დაკარგა.

უმაღლეს სასწავლებლებში უსაშველო კონკურსია. სამხატვრო აკადემიაში, თეატრის ინსტიტუტსა და კონსერვატორიაში აქ აბარებენ მხოლოდ სპეციალობას.

უბედურება ის არის რომ ჩვენი ინფორმაციის საშუალებები არაფერს ამბობენ ამ პრობლემებზე, ვის სჭირდება თავის მოტყუება ვერ ვხვდებით.

ფასები ყოველთვიურად იზრდება.

ორი საათის შემდეგ ჩავედით სინარაში. სინარა ბაკურიანის მსგავსი ქალაქია. იტალიელებს აუღიათ იჯარით, გაუკეთებიათ ბრწყინვალე საბაგირო გზები, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ეს საათივით აწყობილი კურორტი დაუტოვებიათ და წასულან.

თვალი რას ნახავს უკეთესს.

„სინარა“ ჰქვია სინას მონასტრის გამო. სინას მთიდან (პალესტინა) წამოსულ ბერებს აქ აუშენებიათ მონასტერი „სინა“ და ადგილსაც სინარა დაერქვა.

საბაგირო ვნახე და ვერ ვშორდებოდი, ავტეხე ჩემი მასპინძლები და „შევსვი ჯორზე“. პირველ სადგურზე არც ისე სციოდა, მეორეზე კი აშკარად გავიყინეთ. ჩვენ კვართებით, ირგვლივ კი თოვლია (ღრუბლიანია) და ქარიც უბერავს. მოხუცმა ალამ ტირილი დაიწყო. კინაღამ გადახტა. ჩამოსვლისას ყველას გვაცემინებდა. 2400 მეტრზე ადის საბაგირო 400 მეტრიდან. ტრასა 3.5 კილომეტრია. ბაკურიანის „კედელზე“ არანაკლები ადგილებია.

გვიან საღამოს დავბრუნდით.

ამაღამ მატარებლით იასაში მივდივარ.

2 მაისი

იასაში დილის 7 საათზე ჩამოვედით. ერთი საათი ამაოდ ველოდეთ ტაქსს. ბოლოს ტრამვაიში შევეტენეთ და, როგორც იქნა, მივაღწიეთ სასტუმრომდე.

დავბინავდით სასტუმრო „ტროანში“.

ვისაუზმეთ და ქალაქში გავლა გადავწყვიტეთ. დღეს მუზეუმები და დაწესებულებები არ მუშაობს.

იასა ძველი ქალაქია. ოდესღაც რუმინეთის კულტურული ცენტრი. მოლდავეთის სავოევოდის დედაქალაქი.

ჩემს გიდს საღერღელი აქვს აშლილი და გაუთავებლად ლაპარაკობს. ჯერ იყო და მისი ქალიშვილის ლანძღვაგინებით ამიკლო. არ მიჯერებს, არ მოვწონვარო. მე მგონი შურს კიდეც ჩემი, რომ ასე კარგად ვხატავო. გუშინ დილით მითხრა, შარვალში სასაცილოდ გამოიყურებიო. ღმერთო, შეგცოდე, მართალი უთქვამს მეთქი გავიფიქრე. მართლაც არ უხდება 70 წლის ქალს შარვალი. სახეზე იმდენი ფერუმარილი აქვს წასმული რომ ნიღაბი მგონია. ჩემი ქალიშვილი მე-12 კლასშიაო. ამ ორი კვირის წინ მისმა კლასელმა ბიჭმა „შემიცდინა“, ახლა რომ ჩავალ, შინ უნდა მივუვარდე, როგორმე ცოლად შეირთოსო. ქალიშვილის „დახასიათებას“ რომ მორჩა ახლა მთელი საათია მისაბუთებს, ჩვენ სლავებთან საერთო არაფერი გვაქვსო.

რუმინეთი

დავათვალიერეთ ორიოდე ტაძარი. ისე მომაბეზრა გიდმა თავი, რომ როცა ლაპარაკს იწყებს, დავადებ თავს და ათიოდე ნაბიჯზე მოვშორდები. მომსდევს და ქაქანებს.

ვეძებთ ბესიკის საფლავს. არავინ იცის ვისაც ვკითხეთ. შევედით მიტროპოლიტის რეზიდენციაში. კათალიკოსის თანაშემწე ნარიბ ანტონი თბილისში ნამყოფი აღმოჩნდა. გულთბილად მიგვიღო. ჩარეკ-ჩამორეკა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ბესიკის საფლავი არავინ იცის.

საღამოს შვიდ საათზე ვესტუმრეთ იასას მწერალთა ასოციაციის თავმჯდომარეს მირჩა რადუკ იაკობანუს. შესანიშნავი პიროვნება ჩანს. მწერალთა კავშირის თავმჯდომარეცაა და თეატრის დირექტორიც. საქართველოში სამჯერაა ნამყოფი. დიდი სიყვარულით იგონებს ყველას.

გვიან საღამომდე გვიმასპინძლა. რაც რუმინეთში ქართული წიგნი გამოვიდა (ბესიკი, მორის ფოცხიშვილი, ლეონიძე, ჭაბუა, ახლა ნოდარი გამოდის) ყველა ჩემი გამოცემულიაო. მეც ზრდილობისთვის შევთავაზე თქვენს წიგნს გამოვცემთ მეთქი (მე რომელი გამომცემელი ვარ) გაუხარდა, მაშინვე დააძრო თავისი ახალი წიგნი და ხელში შემომაჩეჩა. სხვა გზა არ არის, უნდა ველრიჯო მორისს და ფანჯიკიძეს გამოცემა. ღირსეული კაცია და ჩვენც პატივი უნდა ვცეთ. ფანი ჯინჯიხაშვილი თარგმნისო, თვითონვე შემომთავაზა.

ბესიკის საფლავიც და საფლავის ქვაც დაკარგულია.

3 მაისი

გამომცემლობა „უფნიმის“ სტუმარი ვარ.

დირექტორმა, დრამატურგმა ანდი ანდრიეშმა ვრცლად ილაპარაკა გამომცემლობის საქმიანობაზე. დიდის ამბით მომესალმა. საქართველოთი აღფრთოვანებული ვარო. კვლავაც გავაგრძელებ ტრადიციას და ქართულ წიგნებს გამოვცემო.

საპასუხო სიტყვა ვთქვი. დაახლოებით 40 წუთი ვილაპარაკე. ჩამოვთვალე, რა გამოვეცით ჩვენც და რას ვაპირებთ. ძალიან გაეხარდათ. აქამდე საქართველოსთან ცალხმრივი კავშირი გვქონდაო. მერე ჩემი წიგნები მომთხოვა და აღმითქვა 1985 წელს გამოცემა. თარგმნა იქვე დაავალა ქართველების დიდ მეგობარს, დოქტორს, მთარგმნელს, გამომცემლობის განყოფილების გამგეს დოინა ფლორეას.

დიდხანს ვისაუბრეთ.

გამომცემლობის თანამშრომლები შეკითხვებს-შეკითხვებზე მაძლევდნენ. რა განწყობილებაა მწერლობაში, რას ამბობენ მწერლები ეკონომიკურ კრიზისზე.

მერე ბანკეტი გაიმართა. მე და დირექტორმა ძალიან ვაცინეთ. სუფრის წევრები. სამი საათის შემდეგ დავშორდით ერთმანეთს. ანდი ანდრიეშმა მთხოვა: ა) ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღების“ თარგმნის თანხმობა ჩამოიტანოს ფანი ჯინჯიხაშვილმა. ბ) მოვიკითხო რომან მიმინოშვილი, ნოდარ დუმბაძე, ჭაბუა, მორისი.

დავათვალიერეთ იასას ლიტერატურული მუზეუმი. ეს გახლავთ დიდი დაწესებულება, სადაც არა მარტო კლასიკოსთა ნივთებს კრებენ და მათ შესახებ აგროვებენ ცნობებს, არამედ თანამედროვეთა შესახებაც. და, რაც მთავარია, აქ ყოველ პარასკევს იმართება ლიტერატურული დისპუტები და საღამოები.

ვეწვიე რუმინეთის XX საუკუნის მიხაი სადოვიანეს სახლმუზეუმს. ეს გახლდათ შესანიშნავი ისტორიული რომანების ავტორი. ახლოს იცნობდა და მეგობრობდა გიორგი ლეონიძესთან.

საღამო გავატარე დოინას და მისი მეუღლის – მშენებელი ინჟინრის ალექსანდრეს ბინაში. ოქრო ხალხი ყოფილან. რაც ზაირაა ბუქარესტში, ისაა დოინა აისაში. გაგიჟებულნი საქართველოზე, სწორედ დოინა აწყობს ქართული წიგნების

გამოცემის ორგანიზებას. ცოლ-ქმარმა ძალიან კარგად იციან ჩვენი ქვეყნის ფასი. საღად, სწორად აზროვნებენ. ორივენი დოქტორები არიან. ერთ ოთახში ქართული კუთხე აქვთ მოწყობილი. მორისის წიგნები და ნახატები, ჭაბუას ფოტოები, სვანური ქუდი, ქართული ფიალები, კერამიკა. ველაფერი სათუთად შეუნახავთ, რაც კი საქართველოს აგონებთ.

რუმინეთი

დიდხანს ვისაუბრეთ. შევეცადე ზოგი რამ ახალი მეთქვა ჩვენს ხალხზე, ჩვენს თვითმყოფად კულტურაზე.

ღამის 12 საათზე, თავსხმა წვიმაში ცოლ-ქმარმა მე და ჩემი თარჯიმანი-საფრთხობელა სადგურზე გამოგვაცილეს და სანამ მატარებელი თვალს არ მიეფარა, ადგილიდან არ დაძრულან, ხელს გვიქნევდნენ და კოცნას გვიგზავნიდნენ.

4 მაისი

რუმინეთის მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა იიონ ხობანამ გვიმასპინძლა.

როგორ მიდის თქვენი ვიზიტიო, დაინტერესდა. ნამგზავრი, დაღლილი იქნებითო, რუმინეთში ცუდი მატარებლები გვაქვსო.

ვუამბე, რა დიდებულად მიმიღეს იასაში.

ვესაუბრე რუმინულ-ქართულ გამოცემებზე.

საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით „ვეფხისტყაოსანი“ (რუსულ და ინგლისურ ენებზე) ვაჩუქე რუმინეთის მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკას.

მშრალი, სიტყვაძუნწი კაცი ჩანს. ასატანზე მეტად ოფიციალური. მეც დიპლომატიის ნიღაბი ავიფარე.

საღამოს ზაირამ მარჩელი და დანა პეტრიშორების სახლში წამიყვანა.

გველოდნენ.

მომხიბვლელმა დანამ „ქართული“ სუფრა გაგვიშალა.

მარჩელი პეტრიშორი. ლეგენდად დადის მისი სახელი რუმინეთში.

ყოველგვარი სიყალბისა და პომპეზურობისადმი მისი შეურიგებლობა ზოგჯერ რისხვად იქცევა ხოლმე.

წერს რომანებს და წერილებს.

აღმერთებს საქართველოს.

მან თარგმნა ჭაბუას რომანი. ლადო მრელაშვილის, გურამ Aშარაძის, მორისის და ჭაბუას მეგობარია.

ნათელა მომიკითხა.

ლადოს რომანს ჩემი ცოლი თარგმნის, მაგრამ 1984 წლის გეგმიდან ამოიღესო.

დიდხანს ვისაუბრეთ. საქართველოში რვაჯერაა ნამყოფი.

უაღრესად განათლებული კაცია. ფრანგულის სპეციალისტი. პროფესორი. ერთ-ერთ ლიცეუმში ფრანგულს ასწავლის.

ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ საქართველოში მწერალს დიდ პატივს სცემსო ხალხი. ჩვენთან აღარც ვამბობთ რომ მწერლები ვართ. უბრალო რუმინელისთვის ეს არაფერს ნიშნავსო. მართლაც ვისაც დავუსახალე. ჩემი ნაცნობი მწერლების გვარი, არავინ იცის.

ეს იქნებ იმის ბრალია, რომ თქვენ ქართველი მწერლები ხალხს სიმართლეს არ უმალავთ, ჩვენთან კი დიდი ხანია, ამაოდ ელის მკითხველი სიმართლესო.

მწერალი სხვა პროფესიაში ხელმოცარული კაცის სინონიმიაო.

საქართველო მენატრება, იქნებ ნოდარ დუმბაძემ მოწვევა გამომიგზავნოსო.

სასტუმროში მიმაცილა. დიდებული კაცი ჩანს.

5 მაისი

უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტს ვეწვიე.

ორ სპეციალობას სწავლობენ. დიპლომში ორი სპეციალობა იწერება, ვთქვათ, ინგლისური და რუსული და ა.შ.

სტიპენდიით ყველა არაა უზრუნველყოფილი. ლექციას ძველებურად კითხულობენ.

არავითარი თვალსაჩინოება, მაგრამ საუბრის ფორმას მაინც მიმართავენ.

სტუდენტებს სწავლა არ უნდათ. დაუსწრებელი და საღამო საერთოდ არ არის. კონკურსი დიდია.

რუმინეთში 12 წლიანი სწავლებაა.

XI და XII კლასში მხოლოდ იმ საგნებში წვრთნიან, რა სპეციალობის მიღებასაც აპირებს.

ვესაუბრე თანამედროვე მწერლობაზე. მომცეს შეკითხვები.

იქნებ გაცვლის წესით მეგობრობა დავამყაროთ ერთმანეთთანო, კარგი, ვეტყვი ჩვენს რექტორს მეთქი, დავპირდი.

უნივერსიტეტი გასამხედროებულია, საერთოდ რუმინეთში ვერცერთ დაწესებულებაში ვერ შეხვალ, რომ არ შეეჩეხო დაცვის მუშაკს. არასაუწყებო დაცვა აქ დიდ პატივშია.

დღის მეორე ნახევარში ისტორიული მუზეუმი დავათვალიერე.

რუმინეთი

ბრწყინვალე მუზეუმია. მაგრამ რუმინეთის წარმომავლობამ კიდევ უფრო დამაფიქრა. აქ ყველაფერი ნასხვისარია. მათ შორის რომაული.

დამავიწყდა მეთქვა: დღეს აქაურმა მთავარმა ლიტერატურულმა გაზეთმა „რომანია ლიტერატურამ“ დაბეჭდა ჩემი სურათი და მოთხრობა „გვანჯი“ ზაირას თარგმანით.

მწერალთა კავშირში გამეცნო მთარგმნელი იონ კოვაჩი. თუ შეიძლება თქვენი მოთხრობები მსურს ვთარგმნოო, დღევანდელ გაზეთში გამოქვეყნებული მოთხრობა ძალიან მომეწონაო. გაურკვეველი პასუხი გავეცი. ჯერ ერთი ჩემი წიგნი აღარ დამრჩა, მეორეც მე რომ ამ რუმინელ მთარგმნელს დავუკავშირდე, ზაირას ეწყინება ალბათ. არა და ვგრძნობ კოვაჩი უფრო გაახერხებს საერთო ენის გამონახვას რუმინელ გამომცემლებთან. თუმცა... მთავარი ხომ სინდის-ნამუსია.

6 მაისი

ბუქარესტიდან ოციოდე კილომეტრზე არის სოფელი „ჟილავა“. ამ სოფლის სტუმრები ვართ. კოოპერატივის თავმჯდომარემ თბილად მიმიღო.

– რა პრინციპით ხდება მიწის დამუშავება და განაწილება? – ვკითხე – ყველა ოჯახს თითო ჰექტარი აქვს გაპიროვნებული. რასაც მოიწევს სახელმწიფოს უნდა მიჰყიდოს, გეგმის ზევით, რასაც მოიწევს მისი 50% უფასოდ რჩება.

– რატომ გაძვირდა ხორცი? – ვეკითხები.– იმიტომ რომ არ არის.

– რატომ არ არის?

– რთული საკითხია. არ არის უპირველეს ყოვლისა, უყაირათო მუშაობის გამო, ვერ იანგარიშეს მოთხოვნილების ტემპი და საქონლის გამრავლების მასშტაბები.

– ახლა?

– ახლა ამ საქმეს დიდი ხნის მეცადინეობა დასჭირდება რომ გამოსწორდეს.

– რა ხერხს მიმართავთ რუმინეთის სოფლის მესვეურები?

– ხერხები ჯერჯერობით დიდად ქმედითი არ ჩანს: ამ ბოლო ორი წლის მანძილზე რუმინეთში კერძო პირებს საქონლის დაკვლა საერთოდ აეკრძალათ.

– ეს როგორ?

– ელემენტარულად. ყველა კერძო ძროხა კონტროლის ქვეშაა. გარდა ამისა, კერძო მეურნეს ეკრძალება ბაზარში ხორცის გაყიდვა.

– ?

– შეუძლია მხოლოდ ცოცხლად გაყიდოს.

– ესეიგი ერთი კილო ხორცის ყიდვა თუ მინდა მე, ბუქარესტის მოქალაქეს, მთელი ღორი ვიყიდო?

– სადაა, თორემ კი იყიდი.

– გამაგებინე, ძროხა თქვენში აბა, მხოლოდ სიბერთი კვდება და მერე მუსიკით ასაფლავებთ?!

გაეცინა.

რუმინეთში ქარის წისქვილებს დროჟამის გარდა აღარავინ ებრძვის

– რომ დაბერდება და დასაკლავია. მოვა, გამოაცხადებს გლეხი და სახელმწიფოს მიჰყიდის მტკიცე ფასებში.

– სახელმწიფო რამდენს უხდის კილოგრამ ხორცში?

– თხუთმეტ ლეის.

– ბაზარში რა ღირს?

– ხომ გითხარით, ჩვენს ბაზარში ორი წელია ხორცი აღარ გაჭაჭანებულა. სახელმწიფო იმ ხორცს საზოგადოებრივ კვებით ობიექტებს აბარებს, იშვიათად კი მაღაზიებში ჰყიდის კილოგრამს 40 ლეიდ.

ჭა

– თქვენ, როგორც სოფლის კოოპერატივის თავმჯდომარე, გამოსავალს ვერ ხედავთ?

– ყველანი ხედავენ მაგრამ ჯერ გაბედულ ნაბიჯს ვერავინ დგამს. პწკენა-პწკენით კი პატარძალი მარტო ანდაზაში ორსულდება. საჭიროა მიწა მიწის მუშას დავურიგოთ და ვუთხრათ, დაამუშავეთ, 2/3 სახელმწიფოს ჩააბარე, ერთი

მესამედი შენი იყოს უფასოდ. მკაცრად დავავალოთ 5-ზე ნაკლები ძროხა არ იყოლიოს. რაც მთავარია ბევრი უფროსი დაგვიგროვდა. ზოგს თეთრი ხელთათმანები უნდა წავაძროთ და ნამგალი მივცეთ ხელში. თუ საქმით შველა გვინდა ეს არის. თუ არა და ვატყუოთ ერთმანეთი და ეს იქნება. თუ ასე დარჩა ყველაფერი, ქვეყანა კიდევ უფრო დაიმშევა.

სხვაც ბევრი საგულისხმო და საინტერესო მითხრეს სოფელ ჟილავას კოოპერატივის თავმჯდომარემ ვიოკუ ვასილემ და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ვიშუ ილანამ.

შემომატარეს სოფელი ყანები ბაღ-ბოსტნები. რამდენიმე გლეხის ოჯახშიც შევიარე. საკარმოდამო ნაკვეთით და საცხოვრებელი სახლით დავინტერესდი. საკარმიდამო ისე როგორც ჩვენთან, მოვლილ-ჩაწიკწიკებული აქვთ. 0,30 ჰექტარზე საკარმიდამოში ორჯერ უფრო მეტი მოსავალი მოგვდის „რატომღაც“ ვიდრე კოოპერატივის ერთ ჰექტარზეო, მითხრეს. ნუთუ იმ „რატომღაცს“ იმდენ ხანს ვერავინ ჩაუფიქრდა?

2 საათზე შეხვედრა მქონდა გამომცემლობა „უნივერსის“ კოლექტივთან. ჩვეულებრივი მისალმებანი, უკვე ისე გავიწაფე, რომ ელჩი ვერ მაჯობებს დიპლომატიური ეტიკეტის დაცვაში. დამაყარეს კითხვები: რა ხდება საინტერესო საბჭოთა ლიტერატურაში საერთოდ და ქართულში კერძოდ. ძლიერდება თუ არა კრიტიკული პათოსი ლიტერატურაში.

სოციალისტური ქვეყნების რედაქციის გამგე აურელ ბაუიჩკი და მისი მოადგილე იონესკუ ნიკალაი, ჩანს ცდას არ აკლებენ, რათა საბჭოთა ლიტერატურა თავისი საუკეთესო ნაწარმოებებით იყოს წარმოდგენილი. უკანასკნელ წლებში გამოუციათ შუკშინის, რასპუტინის, ასტაფიევის, ჩინგიზ აიტმატოვის, აბრამოვის, ახმადულინას, ევტუშენკოს, როჟდესტვენსკის, ოკუჯავას, მაფკოსიანის და სხვათა წიგნები. – განსაკუთრებით დაინტერესებული ვართ ქართული მწერლობით, ვიცით, რომ ფრიად საინტერესო ლიტერატურული ცხოვრებით ცხოვრობთ, მაგრამ სამწუხაროდ თქვენი მიღწ-

ევების სწორი ობიექტური ინფორმაცია ჩვენამდე არ აღწევსო. სამჯერ მივწერეთ მწერალთა კავშირს შეედგინათ ქართული პროზის მცირე ანთოლოგიაში შესატან თანამედროვე მწერალთა სია. ჩვენი მიმართვა უპასუხოდ დარჩა. მერე მარლელ პეტრიშორმა თავის ქართველ მეგობრებთან კერძო მოთათბირებით ეს „ანთოლოგია“ შემოგვთავაზა. ნახეთ ალბათ ბევრი კარგი მწერალია გამორჩენილიო. ანთოლოგია ტექნიკურად მშვენივრადაა გამოცემული, მაგრამ სარჩევს რომ ჩავხედე, ელდა მეცა. შეიძლება ქართული თანამედროვე პროზის ანთოლოგია შეადგინო რევაზ ჯაფარიძის, გრიგოლ აბაშიძის, გურამ რჩეულიშვილის, არჩილ სულაკაურის, ოტია იოსელიანის, გურამ ფანჯიკიძის, ოთარ ჭილაძის, გურამ დოჩანაშვილის, გურამ გეგეშიძის და კიდევ ერთი-ორი კაცის გარეშე? ეს თუ პრინციპად ცოცხლების შეტანას გავიხდიდით, ან თუ ნიკო ლორთქიფანიძე შეგვყავს, კონსტანტინე გამსახურდიამ ან მიხეილ ჯავახიშვილმა რა დაგვიშავა? რატომ უნდა დავიწყებოდა მარლელ პეტრიშორის ქართველ კონსულტანტს გამსახურდიას და ჯავახიშვილის სახელები? როცა თავის საეჭვო ლიტერატურულ შემოქმედებას „განაჩვენებდა“, რუმინელ სტუმარს ყურები არ გაუწითლდა უფრო ღირსეულ მწერალთა მიმართ აუხსნელი გულმავიწყობის გამო? ეს ფიქრით ვიფიქრე, მაგრამ უდანაშაულო მასპინძლებს ხომ არ ვაგრძნობინებდი რომ ანთოლოგიამ ვერ დამაკმაყოფილა? მადლობა მოვახსენე წიგნის გამოცემისათვის და საერთოდ ქართველი მწერლების მიმართ ესოდენი ყურადღებისათვის.

საღამოს შევხვდი ცნობილ რუმინელ კრიტიკოსს მიხაი უნგიანუს, რომელიც რუმინეთში ერთ-ერთ პრინციპულ და ობიექტურ კრიტიკოსადაა ცნობილი. ხშირად წერს განმაქიქებელ წერილებს, იმაზე, რაც არ მოეწონება.

პირველი რაც ვკითხე, ეს იყო გიჭირს, თუ არა კრიტიკული (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) წერილების გამოქვეყნება მეთქი.

სრულიადაც არაო, რასაც ვწერ მაშინვე იბეჭდება და თქვენ წარმოიდგინეთ მძაფრ კრიტიკულ სტატიას უფრო ჩქარა ბეჭდავენო. რით ხსნით ამ ამბავს მეთქი.

მე მგონი იმის გამო ხდება, რომ ჩვენთან რედაქტორები და გამომცემლობათა დირექტორები უმეტესობა მწერლები არ არიან. ჩვენს ლიტერატურულ ავტორიტეტს ენდობიან და ლიტერატურული ცხოვრების „მოწესრიგებაში“ ხელს არ ურევენ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ პირადი ურთიერთობებით გადაღლილნი არ არიან და არც პატივმოყვარული ინტერესები ამოძრავებთო. ასეთ რედაქტორთან თანამშრომლობა უფრო ადვილიაო. სერიოზულმა მწერალმა თვით უნდა თქვას უარი რედაქტორობაზე, იმიტომ რომ დელიკატური მოსაზრებით თვითონვე „მკვდარი ავტორი“ ხდება თავისი გამომცემლობის ან ჟურნალისო. ვერც თავის წიგნს გამოსცემს „თავის“ გამომცემლობაში და ვერც თავის თავზე დაბეჭდავს სტატიას „თავის“ ჟურნალშიო.

პოემაზე ამის წინანდელი კამათი გამახსენდა და ვკითხე: როგორ არის მეთქი თანამედროვე რუმინულ პოეზიაში სიუჟეტიანი პოემის საქმე! – მთელი პასუხისმგებლობით მოგახსენებთ, რომ კლასიკური გაგებით სიუჟეტიანი პოემა ჩვენში უკვე კარგა ხანია აღარ იწერება. შესანიშნავმა პოეტმა იინ გეორგემ 1958 წელს დაწერა სიუჟეტიანი, თხრობითი პოემა „მარილი და წყალი“, მაგრამ კრიტიკამ ამ პოემის მხატვრული დონე უსუსურად მიიჩნია და დღეს იინ გეორგეს შემოქმედებაზე საუბრისას „მარილს და წყალს“ დუმილით უვლიანო გვერდს.

ბოლოს მიხაი უნგიანუს ვთხოვე შეედგინა თანამედროვე რუმინელ საუკეთესო პროზაიკოსთა და პოეტთა მისეული ხუთეულები. რუმინეთის ერთ-ერთი გამოჩენილი კრიტიკოსის რჩეულ ავტორთა სია ასეთი გახლავთ: პროზაიკოსები – მარინ პრედა, ფანუშნი აგუ, ევჯენ ბარბუ, პაულ ანგელი, ოინ ლენკრეჟანი; პოეტები – ნიკიტა სტანესკუ, იონ გეორგე, იოან ალექსანდრუ, ანდრიან ბაუნესკუ, გიორგ პიტუცი.

7 მაისი

თითქმის მთელი დღე ანთიმოზ ივერიელის სავანეში გავატარე. რუმინეთის მეფეს მე-17 საუკუნის წლებში კონსტანტიპოლიდან თან ჩამოჰყვა ოცდაათი წლის ფერგადალეული ბერი, რომელმაც იცოდა ხატვა, ქარგვა, გალობა, წერდა საეკლესიო პოემებს და გაწაფული იყო ხუროთმოძღვრებაში. უბრალო ბერიდან მიტროპოლიტობას მიაღწია ანთიმოზ ივერიელმა. იგი ითვლება რუმინეთის სალიტერატურო ენის, რუმინული ეროვნული საეკლესიო ფერწერისა და სტამბის ფუძემდებელ-დამაარსებლად.

თავისი მოწაფე საქართველოში გამოგზავნა – იშტვანოვიჩი და პირველი სტამბა გაამართვინა, სადაც 1709 წელს „ვეფხისტყაოსანი“ დაბეჭდა.

ანთიმოზ ივერიელს დაწერილი აქვს უამრავი საეკლესიო და საერო ნაწარმოები. რუმინეთში რამდენჯერმე სქელი ტომები გამოიცა მისი ნაწერების და გამოსვლების.

ანთიმოზ ივერიელის ტაძარი

სამწუხაროდ, თარგმანის ბუმის ამ საუკუნეში დღემდე ვერ მოხერხდა ანთიმოზ ივერიელის ნაშრომების თარგმნა მის მშობლიურ ენაზე.

ზაირამ მითხრა ახლა ანთიმოზ ივერიელის ანდერძს ვთარგმნი და ხშირად ცრემლი მომდისო. ვნახე ანთიმოზ ივერიელის დახატული ფრესკები და ხატები – ქართული სახეებია აშკარად.

ანთიმოზ ივერიელის ხელით გამოჩუქურთმებული ეკლესიის კარის დეტალი

მერე ისევ ანდისა და ზაირას სტუმარი გახლდით. დიდხანს ვისაუბრეთ მე და რუმინელმა სიძემ, ბრწყინვალე ნიჭის კაცია. ნამდვილი პოლიგლოტი. გამოსცა რუმინულ-ესპანური ლექსიკონი და ახლა ესპანურ-რუმინულზე მუშაობს. ეს არის უდიდესი შრომა რომელსაც 30 წელია ეწევა ანდი. თანაც ნაყოფიერი მთარგმნელია. პირველმა მან თარგმნა იმ დროს ფართო მკითხველისთვის ჯერ კიდევ უცნობი მარკესის წიგნი – „პოლკოვნიკს არავინ წერს“ რუმინულად.

საღამოს სააღდგომო წირვას დავესწარი.

8 მაისი

ამ საღამოს 8:20-ზე (ბუქარესტის დროით) გადის მატარებელი.

მოსკოვში ვბრუნდები.

გამომაცილეს ზაირამ, მისმა მეუღლე – ანდიმ, ფლორენტინამ (ზაირას მეგობარი) და ალა პეტრესკუმ.

დამავიწყდა. სადილად ალა პეტრესკუმ და მისმა მეუღლემ შინ მიმიწვიეს. სააღდგომო სუფრა ჰქონდათ გაშლილი. ღარიბული, მაგრამ გულალალი.

ღარიბულ სახლში რომ შევდივარ მასპინძლებისადმი მოწიწებით ვიმსჭვალები.

ღარიბია? ესე იგი პატიოსანია.

იაპონია – 1984

7 დეკემბერი

ვისაც ცხრა საათი მიწაზე დაუშვებლად არ უფრენია, ვერ წარმოიდგენს რას ნიშნავს ცხრა საათის განმავლობაში პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ „როგორც ბუზი ფანჯარასთან“ მიმწყვდეული იყო ცასთან“ და რეაქტიული ძრავების გულისგამაწვრილებელი სისინი ტვინს გიბურღავდეს.

„აეროფლოტით“ ვმოგზაურობთ. ჩვენმა თვითმფრინავმა უნდა გადასეროს თითქმის ნახევარი დედამიწა მოსკოვი-ტოკიო. არც ისე დიდი ხანია ეს პირდაპირი მარშრუტი დაინიშნა.

სხვა არა იყოს რა, ეს ფრენა საკუთარი თავის და ნერვების დიდი გამოცდაა. მე რომ ერთხელ კიდევ დამარწმუნა ურბანიზმის კაცი რომ არ ვარ და პროვინციის მთვარით გაზრდილს დიახაც რომ მიჭირს თურმე ეპოქის თავბრუდამხვევ რიტმს ავუწყო ფეხი, თუმცა საზღვარგარეთ მოგზაურობაში არც ისე ხამი გახლავართ. ამ ხუმრობა-ხუმრობაში ლამის მსოფლიოს ყველა დიდი ქვეყანა მომივლია.

იაპონიის მწერალთა ასოციაციის მიწვევით მივემგზავრებით ცნობილი რუსი მწერალი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვიქტორ ასტაფიევი და მე. თარჯიმნად გვახლავს მწერალთა კავშირის უცხოეთის განყოფილების რეფერენტი, იაპონურიდან რუსულად მხატვრული ლიტერატურის ცნობილი მთარგმნელი ელენა რედინა.

ბავშვობაში ჩემს ქუჩაზე მინახავს მოხუცი დედაკაცები ჭიშკართან ჩამოსხდებოდნენ, თავთავიანთი კველებითა და საქსოვ-საკემსავით ხელში მივიდოდნენ, დაიწყებდნენ მუსაიფს, და მზის ჩასვლისთანავე დაიშლებოდნენ. მე შენ გეტყვი სათქმელი შემოელეოდათ ან სიტყვა გაუმრუდდებოდათ. ნეტავი მათ.

რაზე არ ვისაუბრეთ ვიქტორმა და მე. რა მთა და ბარი არ გავასწორეთ, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოვკალით დრო.

„მეფე-თევზის“ და „ბერმუხას“ ავტორი მიამბობს რომ ცამეტი წლისამ სწავლას თავი დაანება და შრომითი ცხოვრება დაიწყო. კრასნოიარსკის ხე-ტყის კანტორის მტვირთავ მუშას ომმა მოუსწრო. ომიდან სამჭრილობიანი, კონტუზირებული დაბრუნებულა. ფიზიკური შრომის უნარსმოკლებულს რძის კომბინატში ღამის დარაჯად დაუწყია მუშაობა და სწორედ მაშინ ზამთრის გრძელი ღამეების შემყურე შედგომია წერას.

რედაქციაში მიტანას არ ვაპირებდი, მეგობრებმა შემაგულიანესო. 1951 წელს გამოუქვეყნებია პირველი მოთხრობა. ახლა ორასამდე წიგნის ავტორია. მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზეა თარგმნილი მისი რომანები და მოთხრობები.

ბარემ, არ დამავიწყდეს, აქვე მოგახსენებთ რომ ტოკიოში ჩასვლისთანავე მიართვეს იაპონურად ბრწყინვალედ გამოცემული მისი ორტომეული და კონვერტში ჩადებული ჰონორარი.

„ილ 62“ მოგეხსენებათ, გამძლე თვითმფრინავია, მაგრამ ისე ახლოსაა სავარძლები რომ გაყინული თევზებივით ვართ მიწყობილი ერთმანეთზე. რაც უფრო აძნელებს მგზავრობას.

არა და არ თავდება დრო. წუთისოფელივით გაიწელა ეს ცხრა საათი.

თვითმფრინავს სამი სალონი აქვს. მესამე სალონში ხალხმრავლობაა. პირველი და მეორე სალონი აბსოლუტურად ცარიელია. ტანი მიგრძნობდა რომ უარს მეტყოდნენ მაგრამ გავიწყვიტე შუბლის ძარღვი და დავეღრიჯე ქერათმიან სტიუარდესას, „თუ შეიძლება რომელიმე ცარიელ სალონში ჩამოვჯდები ცოტა ხანს მეთქი.“ არ შეიძლებაო, ეგ პირველი კლასია და მაღალი სახელმწიფო-ადმინისტრაციული მოხელეებისთვის არის განკუთვნილიო. მერე? შე კაი ქალო, მაღალი რანგის მოხელე ხომ არავინ მიფრინავს, და არც არავითარი იმედი არსებობს რომ გზაში დაგვაწევენ ვინმეს, რაკი თვითმფინავი ტოკიომდე დაუშვებლად მიფრინავს მეთქი, რა

იქნება დაბალი რანგის მოხელეები რიგიანად მოგვასვენოთ მეთქი. ვის დაეკარგე. კითხვა-პასუხის სამი წუთი დამთავრებულად ჩათვალა. არ შეიძლება, მორჩა და გათავდაო, დამამშვიდა და ლამაზი ზურგი შემაქცია.

როგორ არ შემეხარბოს, ახლა გრძელ-რეისმიჩვეული იაპონელის, ჩემს უკან რომ მოკალათებულა და ისე მშვიდადაა თითქოსდა ცხრა კილომეტრის სიმაღლეზე კი არა დედის თბილ კალთაში ედოს თავი.

ძრავები ხმაურობენ? ყური იაპონური რეზინის საცობებით დაიცო. მოსწყინდა სიჩუმე, საცობები გამოიძრო და საყურე-მაგნიტოფონი გაიკეთა. უსმენს მუსიკას და არის თავისთვის. რა მშვიდი სახე აქვს, ღმერთო ჩემო. ბოლოს ჯიბიდან შავი ხავერდის საგუგეები დააძრო (ამას მაინც შევაკერინებ ჩემს ცოლს) თვალზე დაიფარა და კეფასთან ზონარი შეიკრა. საზურგეს მიაწვა, მკერდზე შალის ზეწარი აიფარა და უდრტვინელ, მშვიდ ძილს მისცა თავი.

მე და ასტაფიევმა ორი ბოთლი კონიაკი გამოვწრუპეთ, მაგრამ არა და არ მოდის ძილი.

მაპატიე მკითხველო, მრავალსიტყვაობა. ვის რაში აინტერესებს ამ დროში მე და ასტაფიევი დავიძინებთ თუ არა.

როგორც იქნა გაილია ტაიგა, ლურჯ-თეთრად დახაზული ზღვა და პირველი რაც იაპონიის მიწაზე დავინახეთ ეს იყო ცისკენ ატყორცნილი თეთრი ფუძიამა. ფუძიამა თანდათან გაიზარდა, განათდა და ტოკიოს საერთაშორისო აეროპორტ ნარიტას ბეტონის ბილიკზე რომ დავეშვით, სადღაც მარცხნივ, ზეცაში დარჩა.

აეროპორტის გზაზე იქეთ, აქეთ, გაუმჭვირვალე მინის ხუთმეტრიანი კედლებია აღმართული. ვიკითხე ქარსაწინააღმდეგო, ხმაურსაწინააღმდეგო საშუალებააო. არ ვიცი ხმაურს რას უშვება, მაგრამ აეროპორტიდან ტოკიომდე 70 მილის უდიდესი ნაწილი კედლების მოსაწყენ დერეფანში რომ გავიარეთ ფაქტია.

იაპონია. ტოკიო

ერთბაშად აღიმართა ჩვენს წინ მზით გაჩახჩებული ტოკიო. თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე კომფორტული ქალაქი. ტოკიო ყველაზე მეტად მოერგო მეოცე საუკუნის რიტმს. ამ ქალაქ-საოცრებას სწორედ ის ნიშნები ახასიათებს, ურომლისოდაც ურბანიზმის მძიმე ნაბიჯებქვეშ ასე დაჩაგრულად გამოიყურებიან პარიზი და ლონდონი, რომი და ვენა, სადღაც წაკითხული გამახსენდა.

თვალში გეცემათ სამ-ოთხსართულიანი ესტაკადები და ულამაზესი სახლები. აღმოსავლურ-ევროპული სინთეზი რომ აშკარად ეტყობა.

ირგვლივ ყველაფერი დახატულივით კოხტა და ლამაზია. გაზონებიდან დაწყებული პატარა ვილების სახურავებითა და კარ-ფანჯრებით დამთავრებული.

ქუჩებში ჯგუფ-ჯგუფად მოსეირნე გოგონები. იაპონურ თოჯინებს ჰგვანან.

ქალაქის ცენტრში სასტუმრო „მიცუი ურბანში“ მოგვათავსეს.

კარგა მოსაღამოვებული იყო ძილს რომ წავართვით თავი და ღამის ტოკიოს მივაშურეთ.

რეკლამების ზღაპრული ფეირვერკი.

ტოკიოს ერთ-ერთი მთავარი ქუჩა – გინზა ბროდვეის მაგონებს, მაგრამ უფრო ლამაზია და დახვეწილი.

9 დეკემბერი

იაპონელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების მაღალი დონე დედამიწის ზურგზე ცნობილია, მაგრამ ბევრი რამ ჩემთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა.

სასტუმროში შესვლისთანავე ყოველგვარ საშუალებას გიქმნიან რომ შინაურულად იგრძნო თავი.

სტუმარმა რომ ჩემოდანს მოჰკიდოს ხელი და ნომერში თავისი ხელით აიტანოს, სასტუმროს მენეჯერი ლოყას ჩამოიხოკავს, ალბათ გამწყრალია ჩვენზე, რაღაც არ მოეწონაო.

გათვალისწინებულია ყველაზე გულმავიწყი სტუმრის მდგომარეობაც კი, ამიტომაც ნომერში შესვლისას ყველაფერი გხვდება გაწკრიალებულ-სტერილიზირებული და ცელოფანის პარკებში ჩალუქული საპონი, კბილის ჯაგრისი, თმისსაშრო-

ბი, ღამის საცვალი, ხალათი დ ღამის ისეთი საშუალებებიც კი მხოლოდ უკიდერუს შემთხვევაში რომ მიმართავენ ხოლმე და თავმოყვარე კაცი დანახვისას განზე რომ მიიხედავ.

ნომერში ტელევიზორის ერთ არხზე სასტუმროს ტელეინ-ფორმაცია მიდის. რომელ რაიონში იმყოფები, სად არის შენი სასტუმრო, რომელ სართულზეა რა და რა ღირს. იქამდეა საქმე მისული, რომ ტელევიზორში სასტუმროს მოსამსახურე ქალთაგან მომხიბვლელ ფოტომენატურეთ და მასაჟისტებ-საც გიჩვენებენ.

ტელევიზორის ცხრავე პროგრამა დილის შვიდი საათიდან ღამის პირველ (ზოგი სამ) საათამდე მუშაობს.

დილით ვიღაცამ დამიკაკუნა კიმანოში გამოწყობილი (კიმა-ნოს თეთრეულთან ერთად გვაწვდიან და მოწიწებით გვთხოვენ ჩავიცვათ) ვიქტორ ასტაფიევი, მოწყენილი სახით მიცქერის. წუხელის ხუთი ასიენიანი ჩავაგდე ტელევიზორში ეტყობა ფული ეცოტავათ და გამომირთეს, ახლა აღარ ირთვებაო.

იაპონია. ტოკიო

გავყევი. ტექნიკისა არც მე გამეგება ბევრი რამ, მაგრამ ოთახში მაგიდის გასწვრივ განლაგებული დაახლოებით ოცამდე ღილაკიდან ყველას შევეხე და ერთ-ერთმა გაამართლა. ტელევიზორი ამუშავდა.

შენ აგაშენა ღმერთმა, სირცხვილს გადამარჩინე არა და მთელი გვერდი დავწერე გაგულისებულმა კაპიტალისტური ცხოვრების წესზე სადაც ტელეგადაცემაშიც კი ფულს გღლეტენო.

ფულის ყულაბა ტელევიზორში მართლაც გახლავთ ჩამონ-ტაჟებული. მონეტა უნდა ჩააგდო მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გაგიწყრა ღმერთი და უმსგავსო (ხუმრობით პორნო-გრაფიულ ფილმს რომ ეძახიან) ფილმის ნახვა მოისურვე.

კვირა დღეა. ჩემი ხალხის შვილს ზრდილობა როგორ გამიკვირდება, მაგრამ მთელი იაპონია ღიმილის ქვეყნად ქცეულა, ყველა ერთმანეთს უღიმის და ტკბილად ეჩურჩუ-ლება, ქუჩაშიც ლამის უძიროებით დადიან, ფეხის ხმით ერთ-მანეთი რომ არ შეაწუხონ.

ყოველ ფეხის ნაბიჯზე გულზე ხელის მიდება და თაყ-ვანისცემა ხვდება თვალს, ხოლო თუ ყურს გაამახვილებ, მხოლოდამხოლოდ „არიგატო“ – „გმადლობთ“, „ჰაო დო ზო“ – „გეთაყვა“, „მოსი მოსი“ – „გისმენთ“, „საიონარა“ – „მშვი-დობით“, გაისმის.

მოღუშული, გამწყრალი კაცის ნახვა მოგენატრება.

რესტორანთან ან მაღაზიასთან თუ შეჩერდები, სამი კაცი მაინც გაგეგება ფიანდაზად. „მობრძანდით“, „ინებეთ“, „გვიმ-სახურეთ“.

რესტორან „სუხიროში“ ვისადილეთ. ჩვენს გაოცებას საზ-ღვარი არ ჰქონდა, ოფიციანტმა ქალმა სპირტის ქურა რომ შემოდგა მაგიდაზე. სხვადასხვა ზომის ქვაბები და დიდი გობით ნედლეული (უმი ხორცი, მწვანილეული) რომ შემოიტანა.

„ხომ არ ინებებენ ბატონები, თავისი ხელით გაიკეთონ სადილი?“

ჩვენს შორის მსურველი რომ არ აღმოჩნდა, თვითონვე, ელვისსისწრაფით, ჩვენს თვალწინ დაამზადა ხუთნაირი კერძი და დაგვაპურა.

რესტორნის ადმინისტრატორმა (თანამდებობას დაახლოებით ვამბობ) ქუჩამდე გამოგვაცილა და ბედნიერი სახით გვეჩურჩულება „შემქმნელ-მშობლებს“ გაფიცებთ თუუ ხვალაც ჩემთან არ ისადილოთო.

ხალხი გინზაზე შუა ქუჩაში თავისუფლად დადის. ჩვენში პარადზე რომ მინახავს ისეთი ხალხმრავლობაა, შუა ქუჩაში მოაბიჯებენ.

რამე დღესასწაული ხომ არ არის მეთქი, ვიკითხე. თურმე კვირაობით ტოკიოს რამდენიმე მთავარ ქუჩაზე მანქანების მოძრაობა აკრძალულია. ნუთუ დიდ სისულელედ ჩაგვეთვლება კვირაობით რუსთაველზე და პლეხანოვზე მანქანები არ გავაჭაჭანოთ და ფეხით მოსიარულებმა ერთ დღეს მაინც „იმეფონ“. ქალაქის, როგორც ჟურნალისტებს უყვართ თქმა, „მთავარ არტერიებზე“?

იაპონელების საყვარელი სასმელი „საკეა“ – ბრინჯის არაყი. იგი მოტკბო გემოსი გახლავთ, არც არაყივით მაგარია, მაგრამ ღვინოზე მეტად ალკოჰოლიანია. 14-15 გრადუსიანი გახლავთ.

დამავიწყდა მეთქვა, რომ ტოკიოს რესტორნების ერთ ნაწილში ფეხზე უნდა გაიხადო და ისე შეაბიჯო ხალიჩებიან იატაკზე.

ისევ ტოკიოს ქუჩები და ისევ მილიონი ღიმილი.

რამდენიმე პირაკრული მოქალაქე დავლანდე. ბინტის პირსაბურით (ამ სიტყვის ლოკალური მნიშვნელობით) დადიან, ქირურგებს ჰგვანან. რა დააშავეს ამათ მეთქი, ალბათ სურდო სჭირთ და ბაცილა სხვას რომ არ გადაედოს, თავის ნებით იკრავენ პირსო, მიპასუხეს.

იაპონიის დიდი გამომცემლობის, „გუძოსის“ ორი თანამშრომელი მთელი დღე არ მოგვცილებია.

მალიმალ გვეკითხებიან, ხომ არ დავიღალეთ, თავი ხომ არ მოგვაწყინეს ლაპარაკით? იქნებ სადილის მერე დასვენება გერჩივნათ ქალაქის დათვალიერებასო.

გამახსენდა, მთელი დღე რომ დავატარებდი სამ იაპონელ მწერალს ამასწინათ, ფუნიკულიორი, მუზეუმები, მცხეთა, მსურდა ყველაფერი მეჩვენებინა (ისედაც ცოტა დრო ჰქონდათ) აღარც კი მახსოვს, ვკითხე თუ არა, ხომ არ დაიღალეთ მეთქი. საღამოს მცხეთიდან რომ მომყავდა და ქართული ენის სილბოზე, გატაცებით რომ ვესაუბრებოდი, საეჭვო სიჩუმემ დამაფიქრა, მივიხედე დაღლილ-გაწამებულებს ერთმანეთის მხრებზე ჩამოედოთ თავები და ჩასძინებოდათ.

ჩვენს ნებას ვახვევთ სტუმარს ხანდახან თავზე და არც კი ვეკითხებით, შეუძლია? სურს?

აღარას ვამბობ მაღაზიების სიმდიდრეზე და მორთულობაზე.

ვინც საზღვარგარეთ დამმგზავრებია, ალბათ, დამეთანხმება რომ იქაურ მაღაზიებში თითქმის არ შევდივარ, მძულს ათასი მიზეზის გამო სავაჭრო ცენტრებში ღოღიალი.

ძაღლების ტანსაცმლის მაღაზიაში კი სიამოვნებით შევედით მე და ასტაფიევი და კარგა ხანს ლაზათიანადაც ვიცინოდით.

დავათვალიერეთ მლოცველებით პირთამდე სავსე ბუდისტური ტაძარი „ასაქუსა“.

საღამოს კი ჩემმა ნაცნობმა მწერლებმა იაპონიის მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელებმა: ნაკანიმ (თავმჯდომარე), ნაცაბურმა (მოადგილე) და იდემ (წევრი) ჩინურ რესტორანში მიგვიწვიეს.

ვახშამმა, როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან, ხოლმე გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაირა. ორივე მხარის წარმომადგენლებმა სადღეგრძელოები წარმოვთქვით.

10 დეკემბერი

ტოკიოს სატელევიზიო კოშკიდან მთელ ტოკიოს გადავყურებთ.

ასტაფიევს სიმაღლის ავადმყოფობა სჭირს, თავბრუ დაეხვა და გვთხოვა ჩავიდთო.

სახურავები საოცრადაა გამოყენებული. ზოგან ვარდების ბაღია, ზოგან ტენისის კორტი და უფრო ხშირად საბანაო აუზი, მზის აბაზანების სავარძლებით.



იაპონია

დავათვალიერეთ ტოკიოს სანთელის ფიგურების მუზეუმი. მადამ ტუსოს ხელოვნება მსოფლიოში გავრცელდა, აქ ერთმანეთის გვერდით დგანან: კენედი, ჩერჩილი, ჩან-კაი-ში და სხვანი, მაგრამ ყველანი რატომღაც იაპონელებს ჰგვანან.

რეიგანის ელეგანტური ფიგურა სანთლისგან გაკეთებული ცალკე დგას საგანგებოდ განათებულ ადგილას. როგორც ჩანს, აქ რეიგანი დიდ პატივშია. გვიჩვენეს ნაწყვეტები მისი სამი ჰოლივუდური ფილმიდან, სადაც მთავარ როლებში რეიგანია გადაღებული – მგონი ფილმების სათაურებიც ჩავიწერე: „ტროპიკული ზონა“, „კანონი და ბრძანება“ და „მკვლელები“.

შუადღისას ტოკიოს ერთ-ერთ თვალსაჩინო კინოთეატრში ვნახე ანდრეი ტარკოვსკის ახალი ფილმი „ნოსტალგია“. ფილმი თითქმის ავტობიოგრაფიულია. გვიამბობს რუსეთიდან იტალიაში გაქცეულ პოეტზე, რომელიც ნოსტალგიისგან იტანჯება (ანდრეი ტარკოვსკიც ხომ იტალიაში გადასახლდა ბევრისთვის სრულიად აუხსნელი მიზეზების გამო).

ფილმი ბრწყინვალე როდია, ჩემი ფიქრით, „ანდრეი რუბლიოვის“, „ივანეს ბავშვობის“ და „სარკის“ ავტორისთვის დიდად წინ წადგმულ ნაბიჯს როდი წარმოადენს, მაგრამ მაინც საინტერესოა. ერთგან ფილმის მთავარი პერსონაჟი (მოსკოვის თეატრ „კომკავშირელის“ მსახიობი ოლეგ იანკოვსკი ასრულებს) ყვება ასეთ ანეკდოტს. „კაცმა კაცი ჭაობიდან ამოიყვანა და გადარჩენილმა ჩხუბი დაუწყო, ვინ გკითხავდა რომ ამომიყვანე, მე იქ ვცხოვრობო.

მე მოჯარულ ჟურნალისტებს განვუცხადე – ფილმი მომეწონა მეთქი, რაც საღამოს ტელევიზიით გადასცეს.

საღამოს შინ მიგვიწვია ცნობილმა მთარგმნელმა ხარა სანმა.

დიდებული ოჯახის და დიდებული ბიბლიოთეკის პატრო-

ნია. რა ლექსიკონი არ შუდგენიათ იაპონელებს, ცალკე აქვთ „რუსული ქურდული ტერმინოლოგიის“ და „რუსული გინებების“ ლექსიკონიც კი.

მთელს იაპონიაში კი ერთი ქართულის მცოდნეც არ მოიძევება იაპონელებს შორის, რომ თარგმნოს ჩვენი ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები, რისი გამოცემის სურვილიც იაპონელებს, დიახაც, აქვთ.

მაგრამ, დღემდე, იაპონიაში მარტო რუსთაველია გამოცემული.

ვიკითხე სწავლების სისტემაზე. 6 წლიდან იწყებენ. 6 კლასი დაწყებითია, მერე 3 კლასი ზოგადსაგანმანათლებლო, მერე 3 წელი მისწრაფებათა მიხედვით და ბოლოს უნივერსიტეტში ეწყობიან.

უმაღლესი განათლება არის კერძო ინსტიტუტებშიც და სახელმწიფო ინსტიტუტებშიც. კერძო უფრო ძვირი ღირს.

თუ განიცადა მეთქი თქვენმა ენამ ცვლილება? 1546 წლამდე იაპონური ძველ ჩინურს ძალიან წააგავდა, 1546 წლიდან კი ენის სახელმწიფოა რეფორმა გატარდა და ენა საგრძნობლად გამარტივდაო.

მეტროს სადგურები მაღაზიებში გადის.

ტოკიოში ოცამდე უნივერსიტეტია.

11 დეკემბერს დილით საბჭოთა საელჩოში დაგვიბარეს.

ასტაფიევი და გიდი შეშინდნენ, ალბათ იმიტომ გვიბარებენ, შენ რომ „გამყიდველ“ ტარკოვსკის ფილმი შეაქეო. რა იციან მეთქი, როგორ არ იციან წუხელ ტელევიზიამ ხუთჯერ უჩვენაო.

მივედით. უნდა გენახათ სამივეს გაოცება, როცა საელჩოს I მდივანმა საელჩოს სახელით მადლობა გადამიხადა ფილმის ობიექტური შეფასებისთვის.

11 დეკემბერი

გამომცემლობა „გუძისის“ დირექტორი ასაკავა სანი ტოკიოს „ვასედას“ უნივერსიტეტში გაგვიძღვა.

გულთბილად შეგვხვდნენ.

დაგვაყარეს შეკითხვები.

ასტაფიევისა სტუდნეტებს ყველაფერი წაკითხული ჰქონდათ, ჩემი, რასაკვირველია, არაფერი.

უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტს უმდიდრესი ბიბლიოთეკა აქვს მსოფლიო ლიტერატურისა.

მთელი რუსული მწერლობაა წარმოდგენილი (რასაკვირველია ასტაფიევის ოთხტომეულის ჩათვლით).

ვიქტორ ასტაფიევი და რევაზ მიშველაძე იაპონელ მწერლებთან.
ტოკიო, 1984 წ.

ბევრი ვეძებე ქართველ მწერალთა წიგნები, მაგრამ ვერსად ვერაფერი აღმოვაჩინე. დიდი ძებნის შემდეგ მომაწოდეს ცნობა, რომ იაპონურად დღემდე თარგმნილიია მხოლოდ შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ნ. დუმბაძის „კუკარაჩა“ (საბჭოთა ალმანახშია დაბეჭდილი) და გურამ პეტრიაშვილის ზღაპრები.

ჩვენმა მასპინძელმა უნივერსიტეტში, პროფესორმა იასუტირენომ დარბაზს წარგვადგინა და ჩემს გვარზე დიდხანს იმტვრევდა ენას.

ასტაფიევმა მიმზიდველად ილაპარაკა. წერის ნიჭი რომ მქონდა იმაზე შევატყვე ჩემს თავს, რომ ომის დროს ჯარისკაცები თავიანთ გოგონებთან სასიყვარულო წერილებს სულ მე მაწერინებდნენო. ჩემი პირველი ლიტერატურული გაკვეთილები ეს გახლდათო. სკოლაში როგორ სწავლობდიო, ჰკითხეს. შეიძლება ითქვას რომ გამართული „ოროსანი“ გახლდით და VI კლასიდან დამითხოვეს როგორც უიმედო მოწაფეო. იაპონელმა სტუდენტებმა ამაზეც ბევრი იცინეს.

როცა ჩემი რიგი დადგა, ამოვილაგე ჩანთიდან ჩვენში გამოცემული იაპონური ლიტერატურის ნიმუშები და დარბაზს გადავეცი, სანამ ჩემს მოსაწყენ სიტყვას დავამთავრებ, ეს წიგნები დაათვალიერეთ მეთქი.

ხელიდან ხელში გადადიოდა: კობო აბე, აკუტაგავა, ისუკავა ტაკუბუკუ და სხვა: უკვირდათ, განსაკუთრებით ქართული ასოების მოხაზულობა მოეწონათ.

როცა დავიწყე მე ამა და ამ ქვეყნიდან ვარ, ქართველი ერი უძველესი კულტურული ერია, ჩვენ რომანი V საუკუნეში გვქონდა, ხოლო რვაასი წლის შოთა რუსთაველი მსოფლიოს უპირველეს პოეტთა შორის მოიხსენიება მეთქი, გაოცებისგან პირი დააღეს.

მერე თანამედროვე ქართული ლიტერატურის პრობლემებზე ვისაუბრე და შეკითხვებს გავეცი პასუხი.

საგულისხმო ის იყო, რომ მარტო უნივერსიტეტი კი არ

იწერდა ჩვენს გამოსვლებს მაგნიტოფონზე, დარბაზში ბევრი სტუდენტიც მაგნიტოფონით მოსულიყო. ვინ და რისთვის იწერდნენ ღმერთმა იცის, მაგრამ როცა რუსული ლიტერატურის კათედრაზე სხვადასხვა დროს ანალოგიური შეხვედრების ჩანაწერი მოგვასმენინეს ჩინგის აიტმატოვის, რასულ გაზმათოვის, მეჟელაიტისის, ფედორენკოს და სხვა მწერალთა მონაწილეობით, მივხვდით, რა პატარა ყურადღებით რა დიდი საქმე კეთდება. მე ვინ ვარ, მაგრამ ასტაფიევი დღეს თუ არა ხვალ მაინც ისეთი ფიგურა იქნება, რომილს გამოსვლის ჩანაწერებსაც ძებნას დაუწყებენ.

რამდენი დიდი კაცი გვყავდა უნივერსიტეტში, ვინ ჩაიწერა მათი სიტყვა? არავინ.

მსოფლიო ძალიან დაპატარავდა. ერთმა სათვალიანმა სტუდენტმა საჯაროდ მკითხა თბილისში გაზის აფეთქება რომ მოხდა, რამ გამოიწვიაო. ვიცრუე, ამ დროს, როგორც ჩანს უკვე მოსკოვს გახლდით და იაპონიაში წამოსასვლელად ვემზადებოდი, ამიტომ ვერას მოგახსენებთ მეთქი. საიდან სადაო, ჩვენი კომუნალური მომსახურების სიკეთე იაპონიაში დამხვდა, მაშინ როცა რამდენიმე დღე თბილისშიც ჭორად ვიცოდით ეს ამბავი.

ერთ ქალაქში პათოლოგის მიერ ჩადენილ დანაშაულზე მიტინგი მოვაწყვეთ და ტელეგადაცემა „მივუძღვენით“, მცირეწლოვანთა მიმართ მსგავსი დანაშაული რომ არ განმეორებულიყო. თუმცა ვერავინ დამარწმუნებს იმაში რომ ავადმყოფი გარეწრის მიერ ჩადენილი ფაქტი ასეთი განზოგადების და „უკვდავების“ ღირსი იყო. სწორედ გაზის საქმე უნდა ქცეულიყო სატელევიზიოდ. სწორედ იმაზე უნდა ავტეხოთ განგაში რომ ამ მწარე გაკვეთილის შემდეგაც კი ხდება: ვრეკავთ სახლმმართველობაში, მილი გასკდა, წყალი იღვრება, მოგვეშველეთ, ჩვენს ბინას ვინ დაეძებს, მეზობლებს ვაზარალებთო და ცივსისხლიანი სანტექნიკი მესამე დღეს გამოგვეცხადება.

წიგნი ძალიან ძვირი ღირს დაახლოებით 5000 იენი საშუალოდ.

წიგნის გამოცემის ოპერატიულობა განსაცვიფრებელია.

ასაკავამ ჩემი მოსკოვში გამოცემული კრებული გამომართვა.

მესამე დღეს რედაქტორის რეცენზია მიჩვენა, მეოთხე დღეს იაპონური გამოცემის მაკეტი მომიტანა, რამდენიმე დღის შემდეგ ხუთიოდე ნოველის თარგმანი ხელთ ჰქონდა (სხვადასხვა მთარგნელს მისცა), გამოფრენის დღეს მითხრა მოსკოვიდან გამოცემის ნებართვას რომ არ დაგვიანებოდა, აქ ყოფნის ორ კვირაში თქვენს წიგნს ჩაგაბარებდითო.

ორ კვირაში წიგნი! რაღა კომენტარი სჭირდება.

უნივერსიტეტში სწავლა ძალიან ძვირი ღირს.

ქურდობა თითქმის აღარ არის.

მთვრალ კაცს სანთლით რომ ეძებოთ ტოკიოს ქუჩაში იშვიათზე იშვიათად იპოვით.

ტოკიოში ყვავილების კულტია ყოველ ფეხის ნაბიჯზე ყვავილების მაღაზიაა. თითქმის ტიპიური სურათია, იაპონელს ყვავილები უჭირავს ხელში და გაბადრული სახით მიტანტალებს, თავის იაპონურ საქმეებზე.

უნივერსიტეტში დავაყენე საკითხი: რაკი არც თქვენ გყავთ ქართულის სპეციალისტი და არც ჩვენ იაპონურისა, იქნებ გავცვალოთ სამ წელიწადში ერთხელ მაინც თითო სტუდენტი უნივერსიტეტებმა როგორც ამას სხვა ქვეყნები აკეთებენ მეთქი.

ტაშისკვრით მიიღეს ეს წინადადება.

ვწერ ახლა ამ სტრიქონებს და მეცინება.

წაიკითხავს სამინისტროს რომელიმე უმცროსი რეფერენტი და ჩაეცინება, ვინ გკითხავს შენ, პატივცემულო, რევაზ მიშველაძევ სტუდენტების გაცვლა-გამოცვლის საკითხის მოგვარებას.

ამ საკითხს იოლად ნუ უყურებ. შენი საქმე იყო გეთქვა, ჩვენ კი აქ იმიტომ დაგვსვეს, რომ თუ მეტი არა, ათი წელი მაინც შევაფერხოთ შენს მიერ მოფიქრებული წინადადებაო.

კვირაში ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორს უფლება არა აქვს 4 საათზე მეტი წაიკითხოს. მის ჯანმრთელობას სახელმწიფო უფრთხილდება და ვინ იცის, სწორადაც იქცევა.

12 დეკემბერი

დილით პატარა გოგონამ აიაკომ ტოკიოს თოჯინების ნაციონალური თეატრისკენ წაგვიყვანა.

აიაკო წინ მიცუნცულებს, ჩვენ უკან მივძუნძულებთ. აიაკო შეჩერდება და ღიმილით ხელს დაგვიქნევს.

სანამ ტაქსთან მიგვიყვანდა ორჯერ დაიბნა. სასოწარკვეთილი შეჩერდება და პოლიციელისკენ გარბის. ტოკიოში მოქალაქე რომ შეაჩერო და რაიმე ჰკითხო, სირცხვილად ითვლება.

პოლიციელი სანამ რაიმეს ეტყოდეს აიაკო, ჯერ გულიანად ახითხითდება და მერე ყურადღებით უსმენს. აიაკოს კი შეშფოთებული სახე აქვს. პოლიციელი ისევ ახითხითდება, მერე სწრაფად დასერიოზულდება და გზას ასწავლის, რაშია საქმე, ვერ გავიგე.

ტოკიოს თოჯინების თეატრი 300 წლისაა.

რაღაც სულელური სპექტაკლი გვიჩვენეს ძველ იაპონურ ენაზე. ახალ იაპონურზე რომ ყოფილიყო, რა შეღავათია ჩემთვის.

ჩემს მიერ ნანახი სხვა თოჯინების თეატრისგან იმით განსხვავდება, რომ მსახიობები სცენაზე დადიან თავიანთი თოჯინებით ხელში (?).

გაგიკვირდებათ ლამის 12 მილიონიან ტოკიოში სამოცამდე თეატრი არსებობს, მაგრამ მუდმივი შენობა მხოლოდ თოჯინების ნაციონალურ თეატრს გააჩნია.

თანამოაზრე რეჟისორ-მსახიობებისგან შემდგარი დასები რეპეტიციებს თავიანთ კლუბებსა და სალონებში ატარებენ.

თუ, სხვათაშორის, კარგ სპექტაკლს შექმნიან (რაც იშვიათად ხდება) დაიქირავებენ თეატრის შენობას. სპექტაკლის სიავკარგეს იაპონიის კულტურის მეცენატთა 100 კაციანი ბრიგადა ფარული ხმის მიცემით აფასებს. ეს ერთგვარი სამხატვრო საბჭო (ძირითადად თეატრმცოდნეებისგან შემდგარი) წყვეტს ამა თუ იმ თეატრის შენობაში სპექტაკლის დადგმის საკითხს. დასს დაქირავებელი აქვს შენობა მანამდე, სანამ შემოსავალი ხელს აძლევთ. მსახიობები მერე ისევ თავიანთ კლუბებს უბრუნდებიან. ასე რომ მაყურებლები მხოლოდ რადიო-ტელევიზიის და აფიშა-პრესის საშუალებით იგებენ რომელ სცენაზე გამოდის მათი საყვარელი თეატრი. შეიძლება რამდენიმე წელი ისე გავიდეს, რომ თეატრი მაყურებლის წინაშე არც კი წარდგეს. ამიტომ თეატრებს შორის დიდი კონკურენციაა, სცენა იმას ეკუთვნის, ვისაც კარგი სპექტაკლი გამოუვა.

ოთხ საათზე სადგურისკენ მივდივართ.

ტაქსის მძღოლებს თეთრი ხელთათმანები უკეთიათ. ტაქსში იდეალური სისუფთავეა. მანქანის ჩიხოლები, თეთრი, ქათქათა ქსოვილისაა.

მატარებელმა 400 კილომეტრი ტოკიოდან ნაგოიამდე სამ საათში დაფარა. მატარებლის ბორბლების ხმა არც კი გამიგია. იაპონური ლუდის ჭიქები მე და ჩემს გვერდით მჯდომ გამომცემლობის დირექტორს ასაკავას ფანჯრის რაფაზე გვეწყო, არა თუ არ გადმოვარდნილა, არც კი გატოკებულა.

სამი საათის განმავლობაში ფანჯრიდან ხედი თითქმის არ შეცვლილა. მეგონა შუა ქალაქში მივდიოდით, იაპონიაში ქალაქსა და სოფელს შორის ზღვარი თითქმის წაშლილია. კარგია, ეს თუ ცუდი, ღმერთმა იცის.

ნაგოია სამრეწველო ქალაქიაო გვეუბნებიან. მრეწველობაზე გამახსენდა, ბევრი წამიკითხავს იაპონიის დიდ ქალაქებში ჰაერის გაჭუჭყიანების პრობლემაზე; მე ასეთი რამ არ მიგრძვნია. ყველა საწარმო მბოლავ მილზე ფილტრი დგას, გაუმართავი მანქანით გამოსვლისთვის მძღოლს დიდი თანხით აჯარიმებენ. არ დამიჯერებთ და იაპონიაში ჩემი ყოფნის განმავლობაში ჭუჭყიანი მანქანაც არ შემინიშნავს. იქნებოდა, როგორ არ იქნებოდა, მაგრამ მე არ შემინიშნავს.



ვიქტორ ასტაფიევი, რევაზ მიშველაძე

კიდევ ერთი რამ.

გადასასვლელზე შუქნიშნები დგას მაგრამ ავტომატური შუქნიშნები იშვიათად გვხვდება. არა მგონია იაპონელებს შუქფარების დადგმა გაჭირვებოდათ. საქმე შემდეგშია, როცა ხუთზე მეტი მგზავრი შეგროვდება, ერთი მოქალაქე დააჭერს ღილაკს ხელს და წითელი შუქი აინთება, მოძრაობა შეჩერდება. მოქალაქენი მშვიდად გადადიან. მერე ბოლო გადასვლელი მიაჭერს ღილაკს და მოძრაობა ისევ განახლდება. არ უნდა იყოს ეს მთლად ცუდი საქმე, ზოგ ადგილას მაინც. მე დიდად

დისციპლინირებული მძღოლი არ გახლავართ (იციან ჩემმა მეგობარმა ავტოინსპექტორებმა) მაგრამ გულდაწყვეტით და ბრაზით შევცქერი ზოგჯერ ავტომატურ შუქნიშანს, ჯიუტად აკიაფებულ წითელ ნათურას გზაზე, მაშინაც კი როცა არცერთი გადამსვლელი არ არის.

13 დეკემბერი

დილით ნაგოიას სასტუმრო „ინტერნაციონალში“ მიღება მთხოვა ახალგაზრდა იაპონელმა. იგი აღმოჩნდა ჩიუკიოს უნივერსიტეტის პროფესორი კემურა.

ქართულს ვსწავლობ, ლექსიკონების და თვითმასწავლებლების დახმარებით და, თუ შეიძლება, ქართულად მსურს საუბარი თქვენთანო. სადაც შემეშლება გამისწორეთ და ამასთან ერთად, თუ არ შეწუხდებით, მაგნიტოფონი ჩაიწერს თქვენს მიერ წაკითხულ ნაწყვეტს „ვეფხისტყაოსნიდან“ და ნ. ბარათაშვილის ლექსებს (წიგნები თან ჰქონდა) რომ გამოთქმაზე და ინტონაციაზე ვივარჯიშოო.

უარს როგორ ვეტყოდი. ჩაწერას რომ მოვრჩით, ვკითხე, რა მიზნით სწავლობ ქართულს მეთქი, სადოქტორო დისერტაციას ვწერ ლერმონტოვზე და მინდა ლერმონტოვის ადგილებზე სწორი წარმოდგენა მქონდესო. თარგმნას ხომ არ აპირებ მეთქი ქართულიდან იაპონურად. განა ისეთი რა ლიტერატურა აქვს საქართველოს სათარგმნელად რომ ღირდესო, თქვენი მწერლობა ხომ მცირე გამონაკლისების გარდა ფაქტიურად ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შეიქმნაო. ვუამბე, რაც საჭირო იყო, ვინ იცის დამიჯერა?

მერე ნაგოიას ქუჩებში გავისეირნეთ. ნაგოიაში არის მიწისქვეშა ქალაქი თავისი მაღაზიებით, რესტორნებით და სხვა დაწესებულებებით. თქვენ წარმოიდგინეთ, მიწისქვეშა ქალაქს სამოციოდე ჰექტარი ტერიტორია უჭირავს.

დავათვალიერეთ „ითოს კანონ“ ნაგოიას ბუდისტური ტაძარი.

გზად ვესაუბრე ასაკავას, რომელიც ძალიან დამიმეგობრდა. სანამ იაპონურად მთარგმნელი არ გვეყოლება მანამ ვერ გამოვცემთ ქართულ წიგნებსო. თარგმნილიდან თარგმნა (ე.ი. რუსულიდან) ხომ ფაქტიურად თავის მოტყუებაა. ჩამოვაწერინე უკეთესი ნიმუშები თანამედროვე ქართული მწერლობისა, გამოსცემს?

მკითხველი მეთქი? იაპონიაში ჭეშმარიტი ლიტერატურის მკითხველთა რიცხვი დღითი-დღე მცირდება. ჯერ კიდევ ჰყავს.ფანტასტიკურ-დეტექტივებს და სექსუალურ ლიტერატურას მკითხველი მაგრამ ისიც შემცირდა. „ტელევიზიამ შეჭამა ლიტერატურა“ ხშირად გაიგონებთ იაპონიაში, ლექსებს კი თითქმის აღარ კითხულობენ და „ტანკას“ უკვდავ ტრადიციას გაგრძელება აღარ უწერიაო.

მთავრობა პატივს აღარ სცემს, შეიძლება ითქვას არავითარ ანგარიშს არ უწევს მწერლებს, იმიტომ რომ პატიოსანი იაპონელი მწერლების 100% მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ ილაშქრებსო.

შუადღისას ნაგოიას უნივერსიტეტის პროფესორმა უმემურამ მიგვიღო და დაახლოებით სამ საათს გვესაუბრა. „ჩიუკიო“ კერძო უნივერსიტეტია ნაგოიაში. სწავლის იდეალური პირობებია. რექტორმა, 76 წლის მოხუცმა, თავისი ფეხით დაგვატარა ბიბლიოთეკა და რამდენიმე აუდიტორიაშიც შეგვიყვანა.

უნივერსიტეტი მთელი ქალაქია. აქვს თავისი სასტუმრო, რესტორანი, სხვადასხვა წარმოება და საბავშვო ბაღიც კი. ყოველივე ამას რექტორი ხელმძღვანელობს. კინაღამ წამომცდა 20 წელია უნივერსიტეტში ვმუშაობ და რექტორის კაბინეტში არასოდეს ვყოფილვარო. საღამოს და დაუსწრებელი სწავლება არ არის.

პროფესორის გადარჩევა არ ხდება. ერთხელ რომ აირჩევენ გათავდა.

პროფესორი დაახლოებით 500 000 იენს იღებს თვიურად. მანქანა „ტოიოტა“ მილიონი იენი ღირს. ე.ი. პროფესორის ორი თვის ხელფასი.

მანქანების საზოგადოებრივი სადგომი დავათვალიერეთ, გარაჟი ათსართულიანია. შეაყენებ მანქანას და მას მაშინვე წაიღებს კონვეიერი. როცა გამოყვანა დაგჭირდება შენს ნომერს დააჭერ თითს, ღილაკს. კონვეიერი ამუშავდება და მანქანას ერთ წუთში ფეხებთან მოგაწვდის.

სიდედრის და ტელევიზორის პროგლემა როგორ არის მეთქი იაპონიაში კემურას ვკითხე. სიდედრს იაპონელი თავის სახლში იშვიათად ღებულობს, ხოლო ოჯახში იმდენი ტელევიზორია, რამდენიც წევრია, ასე რომ „მე ამის ნახვა მინდაზე“ ჩხუბი გამორიცხულია.

ნაგოია ორმილიონიანი ქალაქია. ძირითადად იმითაა ცნობილი, რომ ნაგოიაშია მსუბუქ ავტომანქანათა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ქარხანა „ტოიოტა“.

საღამოს კემურამ სტრიპტიზის ღამის ბარში წაგვიყვანა. საძაგლობა იყო, რაც იქ ვნახეთ. „წარმოდგენის“ ბოლომდე არ დავრჩენილვართ. გული ამირია ამ სანახაობამ. სცენაზე ნატურალურ სექსს როგორ უნდა უყურო ნორმალურმა.

14 დეკემბერი

ნაგოიადან ხიროსიმაში მივემგზავრებით.

ჩქარი მატარებლის ფანჯრიდან ულამაზესი ხედები ჩანს.

უმკაცრესადაა დაცული ეროვნული არქიტექტურა. განსხვავებული ფორმისა და ზომის სახლებია, მაგრამ თითქმის ყველას ერთნაირი ფორმის სახურავი აქვს. ბოლოში ოდნავ აწეული. გადახურულია ყველა რუხი იაპონური კრამიტით.

„სოფლის შუკებს“ ვაკვირდები. უასფალტო გზა იაპონიაში თითქმის არ შემხვედრია. ძირითადად ორი ფერის ასფალტი

გვხვდება: თეთრი და შავი. შავით გზებია მოკირწყლული, თეთრით ტროტუარი და გზამგამყოლი ხაზები, რაც ქუჩას არაჩვეულებრივ სილამაზეს და შეფერილობას აძლევს.

ხიროსიმაში ვართ. ტიპიური იაპონური ქალაქია. მილიონზე მეტი მცხოვრებით, სასტუმრო „გრანდ ჰოტელში“ მოგვათავსეს.

ჩვენი გიდია კავამოტო, იგი ავადსახსენებელ 1945 წელს ხიროსიმაში იყო. სამ კილომეტრზე ცხოვრობდა ბომბის გავარდნის ადგილიდან. რადიაციითაა დაავადებული, პირველი კატეგორიის ინვალიდია.

ვნახეთ სახლის ნანგრევები რომელთანაც სულ 50 მეტრში დაეცა ბომბა. მხოლოდ რკინის ჩონჩხია გადარჩენილი. ვნახეთ წეროების მკეთებელი იაპონელი გოგონას ძეგლი. ყოველივე ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, ასევე დაღუპულთა მემორიალზე წარწერამ „იძინეთ მშვიდად, ეს აღარ განმეორდება“, მუზეუმმა კი ნამდვილად შემაძრწუნა:

ბომბი გავარდა დილით. 8:15ზე. არსებობს ფოტოები ქალაქისა ბომბამდე 1 საათით ადრე და ბომბის გავარდნიდან 1 საათის შემდეგ. ორი კილომეტრის რადიუსზე მიწასთანაა ყველაფერი გასწორებული. ბომბი მიწაზე არ დაცემულა, ცაში გასკდა 600 მეტრზე. პირველელ წუთებში დაიღუპა 100 000 კაცი, მერე კიდევ 100 000. აქედან 65 000 ბავშვი.

გამოფენილია დამწვარი ძვლები, ტანსაცმელი, საკაცეები, ბომბის გავარდნიდან რამდენიმე საათის შემდეგ შავი წვიმა წამოვიდა. ფერფლმა დაფარა მთელი ქალაქი. წყალი მოიწამლა. მძორისგან საშინელი სუნი დადგა. დამსაფლავებელი არავინ იყო. მედიკამენტები არ ჰქონდათ.

ასტაფიევს გული შეუწუხდა, მე ხელები გამიცივდა, მაგრამ არ ვთქვი, მიბაძვაში არ ჩამომართვან მეთქი.

მერე აღარაფრის ნახვა არ გვსურს. ომი ომია, მაგრამ ბავშვები?

სურათებია, როგორ იტანჯებიან, იკლაკნებიან მომაკვდავი ჩვილები და მშველელი არავინაა.

სასტუმროში უქეიფოდ დავბრუნდით. უგემურად ვივახშმეთ.

ფანჯარასთან ვდგავარ. წვიმს.

ალბათ იმ დღესაც ასე წვიმდა.

ტელევიზორი ჩავრთე, ხიროსიმელ იაპონელებს დიდი ცეკვა-თამაში გაუმართავთ.

ასეა, ადამიანები სიცოცხლისთვის, მხიარულებისთვის არიან გაჩენილნი და ნელ-ნელა ალბათ ყველაფერი ივიწყებენ.

ივიწყებენ კი?

15 დეკემბერი

ხიროსიმა.

დილიდანვე ქალაქის გარეუბანში, მიაჯიმას კუნძულზე მივდივართ.

წუხელ ცუდად მეძინა და უქეიფოდ ვარ.

ახალი გაზეთები ტრამვაიში ხელჩასაჭიდ რგოლებთან ერთად ჰკიდია. თუ წაკითხვა ვერ მოასწარი, შეიძლება ჩამოხსნა და წაიღო. რა გაზეთიც გინდა.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი იაპონიაში საკმაოდ ძვირი ღირს.

კუნძულზე კატერით გავემგზავრეთ.

მიაჯიმა სავსეა ირმებით.

ადამიანს სრულებით არ ეპუებიან. ხელს გაუწვდენ, მოვლენ და დაგყნოსავენ ხელისგულზე.

დავათვილიერეთ სინტოს საკულტო ტაძარი იცუკუჯიმა. გრანდიოზული სანახავია.

ტაძარი წყალში დგას.

ხიდით უნდა მიხვიდე.

რამდენიმე ოჯახში მოგვიხდა ყოფნა იაპონიაში. მივიხედ-

მოვიხედე, მაგრამ საწოლი არსად შემინიშნავს. თუ ძალიან გაევროპელებული არ არის იაპონელი ჭილოფზე იძინებს იატაკზე, უბალიშოდ. მართალია იაპონელი დიდი ელეგანტურობით არ გამოირჩევა, დაბალფეხებაა და მომცრო ტანისა გახლავთ, მაგრამ წელში ყველა გამართულია, იქნებ იატაკზე წოლის გამოც.

შუადღისას იაპონია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ხიროსიმას განყოფილებაში შეხვედრა გვქონდა. განყოფილების თავმჯდომარემ მიცურუ ფუკურიმ და მსმენელებმა გულთბილად მიგვიღეს.

საღამოს ქალაქ კიოტოსაკენ გამოვემგზავრეთ.

კიოტო იაპონიის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია.

გზაზე ასტაფიევმა ბევრი რამ მიამბო. თურმე მასაც ძალიან უჭირს ბეჭდვა. ახალ რომანს რომ დავამთავრებ, საზღვარგარეთის გამომცემლობები ნადირობენ მასზე, ჩვენები კი სამჯერ მაინც გადამაკეთებინებენო.

ჩემი რომანების მხოლოდ 2/3-ია დაბეჭდილი, 1/3 კი ამოღებული ადგილებით შინ მიდევსო.

მიამბო თავის გაუხარელ ბავშვობაზე. ვქურდობდი და ბავშვთა კოლონიაში მოვხვდი 13 წლისაო.

ყოველდღიურად უამრავ წერილს ვღებულობ მკითხველთაგან. ზოგი სიუჟეტს მაწვდის, ზოგი თავის შთაბეჭდილებას მიამბობს, ზოგი ღვთისმადლიანი წერილს ასე ამთავრებს; ვიცი ძალიან დაკავებული ბრძანდებით და თუ შეიძლება, ნუ შეწუხდებით, პასუხს ნუ მომწერთო.

საღამოს კიოტოში ჩამოვედით.

კიოტოს ინტერნაციონალური სასტუმრო.

საღამოს რესტორან „კიევში“ დიდი ბანკეტი გაგვიმართეს.

ისევ რუსისტების წრეში ვართ, ისევ შეკითხვები, რა ენაზე წერთ? იყიდება თუ არა თქვენი წიგნები საქართველოს გარდა? ნებაყოფლობით მოხდა თუ არა საქართველოს და რუსეთის შეერთება? და ა.შ.

16 დეკემბერი

კიოტო იაპონიის ყოფილი დედაქალაქი. იგი 1868 წლამდე იაპონიის დედაქალაქი იყო.

დილას დავათვალიერეთ ბუდისტური ტაძარი კიომიძუ. იგი მერვე საუკუნისა გახლავთ. მთელი კომპლექსია ხის ტაძრების, ძალიან ლამაზია.

მერე დავათვალიერეთ იაპონიის იმპერატორის ყოფილი რეზიდენცია „ნიჯიჯო“. 1603 წელს დამთავრდა მისი მშენებლობა. ზღაპრული ბაღი აქვს. ტბა. ფერადი თევზები ხელიდან გართმევენ პურის ნატეხს. ზღვის გოჭებიც არიან წყალში.

იაპონელ მწერლებთან
ვიქტორ ასტაფიევი, რევაზ მიშველაძე

მერე დავათვალიერეთ ბუდისტური ტაძარი ჰონენ ინი და მწერლის საფლავი. მწერლის სახელია ჯუნაჩერი ტანაძაკი. კარგა ხნის გარდაცვლილიაო გვითხრეს.

წვიმს.

ახლა ბაჩულია ტელევიზორს უყურებს. სვეტა სადილს ამზადებს და მალე დაიწყება ჩხუბი, „ეს არ მიყვარს, ეს რა გაგიკეთებია!“

მე ქვეყნის მეორე მხარეს ვარ. ძალიან შორს.

ტაძრის ეზოში ვდგავარ და წვიმას გავცქერი.

რაც დრო გადის მით უფრო მიზიდავს ეს ჩუმი, წყნარი ღვთის სახლები. აქ ვმშვიდდები, დიდი ქალაქი, დაკეტილი ფანჯარა, ხმაური, ტელევიზორი,... ხანდახან ისე მაწვება გულზე, რომ ყვირილი მინდა.

აქ კი საათობით შემიძლია ვიჯდე. ჩემი სვეტიცხოვლის ეზოში.

ღრმად მორწმუნე არასოდეს ვყოფილვარ და ვერც ვერასოდეს ვიქნები, მაგრამ რაც დრო გადის, უფრო და უფრო მიმიწევს გული მონასტრებისკენ.

საღამოს უნივერსიტეტის პროფესორის მასაძი ვატანაბეს და მისი მეუღლის იუკო ასუის სტუმრები გახლდით.

ულამაზეს პატარა რესტორანში მიგვიღეს. დიდხანს ვისაუბრეთ. ორივენი რუსული ლიტერატურის სპეციალისტები არიან. მასაძი წერს წიგნს დოსტოევსკიზე, მისი ცოლი ახმატოვაზე. ორივეს მოსკოვის უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული.

იუკო იასუი ამბობს, სტუდენტობისას ოთარ ჭილაძე გავიცანი, ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მოკითხვა გადაეციო.

ასტაფიევმა გვიამბო ახმატოვასთან შეხვედრებზე.

მე ვთამადობდი.

17 დეკემბერი

დღის თორმეტ საათზე შეხვედრა გვაქვს დოვოშიშას უნივერსიტეტში. ეს უნივერსიტეტი იაპონიაში შედარებით ახალგაზრდა უნივერსიტეტთა რიცხვს მიეკუთვნება. მხოლოდ 250 წლისაა.

აუდიტორიის წინაშე წარგვადგინა პოეტმა და მთარგმნელმა მასაძი ვატანაბემ.

რასაკვირველია, ასტაფიევმა დაიწყო. სახელოვან მწერალს გამოსვლაში არავითარი ზომა არ გააჩნია. ჩაერთვება და თუ არ დაქაჩე, სამ საათს ილაპარაკებს. რა თქმა უნდა მომენტი შევურჩიე და, რაკი სწავლას მოგაცდინეთ, მე და ასტაფიევი დღეს მოკლედ ვილაპარაკებთ მეთქი დავიყვირე, მაშინ როცა ასტაფიევს სიტყვა, მეტი რომ არა ვთქვა, ერთი საათის დაწყებული ჰქონდა.

შეკითხვები დაგვაყარეს.

შეხვედრა ამჯერად დიალოგის ფორმით ჩავატარეთ, ბევრი რამ ხომ ჩვენც გვაინტერესებდა.

გაირკვა რომ, იაპონიაში უშუალო კონტაქტი მწერალსა და მკითხველს შორის თითქმის არ არსებობს.

სრულებით არ ტარდება, საიუბილეო საღამოები ცოცხალი მწერლების. შეხვედრები მწერლებთან, ლიტერატურული დისპუტები.

პირველი შემთხვევაა, რომ ჩვენს უნივერსიტეტში მწერლები მოვიდნენო, განაცხადა ერთმა ასპირანტმა.

იქნებ ამის გამოცაა, რომ იაპონიაში მწერალი პოპულარული კაცი არ გახლავთ.

იშვიათად იბეჭდება პრესაში ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიები, უფრო მოდაშია ლიტერატურული ჟურნალისტიკა, ინფორმაციები წიგნებისა და მწერლების შესახებ. ნაწარმოების გარჩევას იაპონელები ძველმოდურ, პროვინციულ ამბად თვლიანო, გვითხრა ვატანაბემ.

შეხვედრის შემდეგ ფილოლოგიის ფაკულტეტის კაბინეტ-ლაბორატორიები დაგვათვალიერებინეს.

კათედრის ყოველ პროფესორს თავისი კაბინეტი აქვს, უმდიდრესი ბიბლიოთეკით გაწყობილი.

ამ უნივერსიტეტში პროფესორი, უმეტეს შემთხვევაში სემინარს ატარებს და ასპირანტურას ხელმძღვანელობს. ლექციას იშვიათად კითხულობს.

სემინარზე ბევრი-ბევრი 10-12 სტუდენტი ესწრება.

სემინარზე ჩვეულებრივ ამბად ითვლება ყავის სმა და კოლეგიალური, პროფესიული დიალოგი პროფესორსა და სტუდენტებს შორის.

ასტაფიევს უჩვენეს ჟენევაში გამოცემული კრებული „არსებობს თუ არა ორი რუსული ლიტერატურა“ იგი რუსულ ენაზეა გამოცემული. გადაშალა ვიქტორმა და მის შემოქმედებაზე დაბეჭდილ წერილს წააწყდა. ჟენევის უნივერსიტეტის პროფეოსორის ჟორჟ ნივას სტატიას ჰქვია: „ქვეტექსტები ვ. ასტაფიევის რომანისა „ოქროს თევზი“. ამ კრებულშივე ვინმე აბიამ ტურცის გამოკვლევაა დაბეჭდილი უკანასკნელ ხანს რუსეთში გავრცელებულ პოლიტიკურ ანეკდოტებზე.

ლექციას რომ გააცდენს პროფესორი რა დამსჯელობითი ღონისძიებები ხორციელდება მეთქი მის წინააღმდეგ, ვკითხე ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანს.

როგორ შეიძლება მეცნიერის დასჯაო, გაუკვირდა, ჩვენ უაღრესად მადლობელი დავრჩებით თუ იგი დაგვირეკავს და შეგვატყობინებსო.

აუდიტორიების უმეტესობა ტელეფიცირებულია. შეიძლება გაერთიანებული ლექცია რამდენიმე აუდიტორიის წინაშე პირდაპირ ტელევიზიით წაიკითხოს ლექტორმა. ასეთ შემთხვევაში სტუდენტები ფანჯრებს არ ამტვრევენ და „გრძელ ვირს“ არ თამაშობენ. სხედან ჩუმად და ტელევიზორს შესცქერიან.

საერთოდ ლექციების უმეტესობას სტუდენტები მაგნიტაფონზე იწერენ. უმეტესობა მათგანისა პატარა მაგნიტაფონით ხელში დადის.

ხშირად შეხვდებით უნივერსიტეტის ბაღში მიმჯდარ სტუდენტს მაგნიტოფონ-საყურეებით. იგი მეცადინეობს.

ლექციებზე დასწრება თავისუფალია, მაგრამ იშვიათად აცდენენ. საკმაოდ დიდი ფული გვაქვს სწავლისთვის გადახდილი, რომ გავაცდინოთო, ჩვენვე დაგვაკლდებაო სტუდენტებმა.

ყველა მისაღებ გამოცდას წერით აბარებენ. პროტექცია თითქმის გამორიცხულია. რადგანაც ინდივიდუალური ტესტებია დამუშავებული და წინასწარ დაშპარგალკება ან „პროლი“ გამორიცხულიაო. დეკანის ამ ნათქვამის სისწორეზე თავს ვერ დავდებთ.

ხუთ საათზე ტოკიოსაკენ გამოვემგზავრეთ.

სადგურზე ყოველ 20 მეტრში დგას ნიშანი წარწერით, რა ნომერი ვაგონი ჩერდება. ამიტომ არავინ გარბის დაოთხილი ცხენივით მატარებლის ჩამოდგომის შემდეგ.

მატარებელი „ტოკიო-ხიროსიმა“ ყოველ თხუთმეტ წუთში დადის. საათში 250კმ. სიჩქარით.

საღამოს 8 საათზე ტოკიოში ვართ და კვლავ სასტუმრო „მიცუი ურბალში“ ჩამოვხტით.

ტელევიზორი ჩავრთე, ერთ-ერთ არხზე ხმა არ აქვს გამოსახულებას. სამაგიეროდ ხელით რაღაც ნიშნებს აკეთებენ. ის იყო გადავწყვიტე, გაფუჭებული ტელევიზორი შემხვდა მეთქი, რომ ელენამ დამირეკა, VI არხზე ყრუ-მუნჯებისთვის სპეციალური გადაცემაა და თუ გაინტერესებთ, ნახეთო.

მატარებლის სალონში მორთმეული ცივი და გემრიელი ლუდი ურიგო როდი გახლავთ, მაგრამ არც ის გაოცება დამავიწყდება, ერთი იაპონელი მოქალაქის სახეზე რომ შევნიშნე, როცა ასტაფიევმა განაცხადა, ამ ორი კვირის წინათ ოროთახიანი ბინა მივიღეო.

ბინა? მწერალს? უფასოდ?

ხომ არ ხუმრობს ბატონი ასტაფიევი?

ასტაფიევი არ ხუმრობდა. იაპონიაში კი უფასოდ ბინის ან მიწის ნაკვეთის მიღება, არც მეტი არც ნაკლები, წარმოუდგენელი ამბავია.

ტელევიზიამ მკითხველი შეჭამა, გვეუბნებიან იაპონელი მწერლები.

მოდაშია კასეტებზე ჩაწერილი წიგნები და ნახატი. წიგნები, ჟურნალი, რაც გადავშალე, ყველგან მხოლოდ ნახატებია და პორნოგრაფია.

რა პრობლემები აწუხებთ ე.წ. სერიოზული ლიტერატურის წარმომადგენლებს იაპონიაში?

უპირველეს ყოვლისა ეს გახლავთ, ნაციონალური პრობლემა:

თურმე ნუ იტყვით, იაპონიას ნაციონალური სახის დაკარგვის საფრთხე ემუქრება. მწერლები დარდობენ, რომ ქალაქი გაევროპელდა, აშენებენ თანამედროვე მრავალსართულიან ამერიკული ტიპის სახლებს.

იაპონელი კიმანოში იშვიათია ქუჩაში და ა.შ.

მეორე პრობლემა რაც იაპონელ მწერლებს აწუხებთ, ეს არის ისევ ურბანიზმთან დაკავშირებული ტექნიზაციის პრობლემა. მანქანამ შეჭამა პიროვნება. ყველგან ავტომატი და ტელემექანიკა. კაცი დაიკარგა იაპონიაში. სამსახურში რომ კაცი ეწყობა, კომპიუტერულ გამოცდას გადის...

მესამე პრობლემა ეს არის მშვიდობის პრობლემა. ხალხი რომელმაც ხიროსამა გამოსცადა, აღარ იომებს, გაისმის პროგრესულ იაპონელ მწერალთა ნაწერებში.

18 დეკემბერი

დილით იაპონიის ერთ-ერთ უძველეს ქალაქში – კამაკურაში გავემგზავრეთ. კამაკურა იაპონიის დედაქალაქი იყო 1180-1333 წლებში. ზღვისპირა, საკურორტო ქალაქია. უძველესი მონასტრებითა და უმდიდრესი საზღვაო ვილებით.

გვიჩვენეს სახლი, რომელშიც მოხუცმა ისიკავა ტაკუბოკუმ თავი მოიკლა.

დავათვალიერეთ ბუდის უდიდესი ქანდაკება XIV საუკუნეში დადგმული.

თავის რეზიდენციაში მიგვიღო ცნობილმა მწერალმა აზია-აფრიკის მწერალთა ასოციაციის გენერალურმა მდივანმა უიკო კურიჰარამ.

დიდხანს ვისაუბრეთ ლიტერატურაზე.

კურიჰარამ ხაზი გაუსვა ქვეყნად კეთილი ნების დასამკვიდრებლად მწერალთა ერთობლივი მეცადინეობის დიდ მნიშვნელობას.

თქვა რომ მიუხედავად კომუნიკაციის საშუალებათა გაზრდისა, ადამიანები მაინც მარტონი არიან. დიდ სახელმწიფოებს ურთიერთგაგება არ გააჩნიათ დედამიწის სასიცოცხლო საკითხებზე. არა და წლები გადის, დედამიწაზე ყოველდღიურად შიმშილით ათასობით ბავშვი იხოცებაო.

სხვათაშორის კურიჰარამ გვაჩვენა მის მიერ შედგენილი მსოფლიო პროლეტარული ლიტერატურის 5 ტომი.

ილაპარაკა იმაზე რომ ადამიანსა და ბუნებას შორის ჰარმონია დაირღვა. თუ აქამდე ადამიანი და ბუნება ორგანულ მთლიანობას წარმოადგნედნენ, ახლა ცალ-ცალკე არიან და ერთმანეთისა ხშირად არ ესმით.

კურიჰარამაც სინანულით ილაპარაკა იმაზე, რომ იაპონელები ლექსებს თითქმის აღარ კითხულობენ, პოეზია მოდიდან გავიდა. პროზისადმი ინტერესი კი, განსაკუთრებით ამერიკული, ფრანგული და რუსული ლიტერატურისადმი თანდათანობით ძლიერდება.

ასტაფიევმა და მე ვილაპარეკთ ჩვენს დამოკიდებულებაზე იაპონიასთან, ჩვენს ქვეყნებში მწერლობის მდგომარეობაზე და ა.შ.

საღამოს ტოკიოში დავბრუნდით.

19 დეკემბერი

დილიდანვე „თავისუფალი“ ვართ. ტოკიოს ქუჩებში დავდივართ სამივენი და ვათვალიერებთ.

ცენტრში განსაკუთრებით საგრძნობია ტოკიოს ორსართულიანობა.

ყურადღება მივაქციე იმ ფაქტს, რომ ქუჩებში (ტოკიოშიც და სხვაგანაც) იშვიათზე იშვიათად გვხვდებიან სხვა ეროვნების წარმომადგენლები. ორიოდე ევროპელს და ამერიკელს თუ მოვკარი თვალი. ამიტომაც ყველა უცხოელი თუ გენეტიკურ-ანთროპოლიგიურად სხვა კონტინენენტი იაპონელისგან მაშინვე გამოირჩევა.

ეს აზრი რედინას გავუზიარე. ელენა ამბობს, რომ იაპონია მსოფლიოს იმ თითითჩამოსათვლელ ქვეყნებს შორისაა, რომელიც უცხოელს თავშესაფარს არ აძლევს. შეაღწიო იაპონელის სულში ძალიან ძნელია თურმე. ისინი რასაკვირველია, ერთი შეხედვით, ხელს რომ არ გკრავენ მაგრამ ნელა, ღიმილ-ღიმილით პირობებს შეგიქმნიან ისეთს რომ შენ თვითონვე აიბარგო აქედანო. ამიტომაც იაპონელი შედარებით სხვებთან, დღემდე ინარჩუნებს შეურევლობას და სისხლის სიწმინდესო.

საღამოს ექვს საათზე „რებანტეს“ შენობაში მოეწყო დიდი შეხვედრა იაპონიის მწერალთა ასოციაციის წევრებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ მწერლები, გამომცემლები, მთარგმნელები და ჟურნალისტები.

მოგვიხდა ვრცელი სიტყვებით გამოსვლა და პასუხის გაცემა უამრავ შეკითხვაზე, რომელთაგან ერთი ნაწილი ფრიად დელიკატურ-ქვეტექსტურ ხასიათს ატარებდა, ხოლო მეორე ნაწილი საზღვარგარეთ გაქცეულ (თუ განდევნილ) რუს მწერლებს ეხებოდა. შეხვედრა სინქრონულად ითარგმნებოდა და იწერებოდა რადიო-ტელევიზიით, ამიტომაც რასაკვირველია პასუხების გაცემისას სათანადო „სიფრთხილე“ იყო საჭირო.

შეხვედრას წარმართავდა ცნობილი იაპონელი მწერალი ნაკამოტო.

სხვათაშორის საინტერესო სიტყვა წარმოთქვა იაპონიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამომცემლობის დირექტორმა იურიო ივანამიმ. ქართველი მწერლის პატივსაცემად უნდა ვთქვათ, აღნიშნა მან, რომ მე მქონდა ბედნიერება იაპონურ ენაზე გამომეცა ქართული მწერლობის გვირგვინი „ვეფხისტყასოანი“. მე კარგად ვიცი რომ საქართველოში ამჟამად

დიდი ლიტერატურა იქმნება და ყოველმხრივ ვეცდები გავაცნო იგი იაპონელ მკითხველსო.

ილაპარაკა ქართული კინოს მაღალ დონეზე, ახსენა რევაზ ჩხეიძე, ელდარ და გიორგი შენგელაიები, ლანა ღოღობერიძე, თენგიზ აბულაძე.

ჩემის მხრივო, დასძინა მან, სასიამოვნო სიახლე იყო ბატონი მიშველაძის ინფორმაცია იმის შესახებ რომ საქართველოში ითარგმნება და წიგნად გამოდის იაპონელ მწერალთა ნაწერები. ასე რომ ვალში არც ჩვენ უნდა დავრჩეთო.

ამ დროს მოვიდა გამომცემელი კომიამა და იაპონურად გამოცემული ჩემი ორი ნოველა მომიტანა, პატარა, კოხტა წიგნაკია ჩემი სურათით ყდაზე.

20 დეკემბერი

ორ საათზე შევხვდით ცნობილ იაპონელ მწერალს, თანამედროვე იაპონური ლიტერატურის კლასიკოსად აღიარებულ ინოუე იასუსის. ოთხმოცწელსმიღწეულმა პროზაიკოსმა და დრამატურგმა ბევრი გვიამბო თავის თავზე და იაპონურ ლიტერატურაზე. მართლია, ახლა „ცივილიზებული“ მსოფლიო თვლის რომ ტექნიკის საუკუნეა, მაგრამ მე ვფიქრობ რომ უკან უნდა მივბრუნდეთ კლასიკოსებისაკენ, მათ დავუგდოთ ყური, თორემ კაცობრიობა დაიღუპებაო.

ჩემს წიგნებს რომ შევხედავ ხან მეჩვენება, ბევრი რამ შევძელი და მართლაც ურიგო მწერალი როდი ვარ, ხან კი ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი სისულელეა, ბავშვური თამაშია იმასთან შედარებით, რაც კლასიკოსებმა შექმნესო.

საღამოს „გუნიძისის“ დირექტორმა ასაკავამ და ლევ ტოლსტოის მთარგმნელმა მინოურამ დაგვპატიჟეს რუსულ რესტორან „ჩაიფაში“, რესტორანის მერე კი ბარში, რომელიც ასევე რუსული გახლდათ „ნა დნე“ ერქვა. უკრავდნენ რუსულ გარმონს. წიგნებით ხელში ისხდნენ იაპონელები და მღეროდნენ რუსულ სიმღერებს. მიკროფონი რომ მომაჩეჩეს, რა ვიმღერო მეთქი და ისევ „სულიკომ“ მიხსნა, სხვათაშორის ასტაფიევმა მომაძახა „სულიკო“ იმღერეო. მთელი დარბაზი ამყვა. „სულიკო“ იაპონელებმაც იციან.

ბუდას ქანდაკებასთან

რუსულ ბარში გვიანობამდე ვისხედით. ვსვამდით მოსკოვის არაყს. არაყზე გამახსენდა იაპონურ მაღაზიაში ორგან ვნახე „წინანდალი“, მოსკოვის ჩამოსხმა, საკმაოდ ძვირი 1500 იენი ღირს ერთი ბოთლი (0.75).

მსუბუქი ავტომანქანის მომსახურება იაპონიაში ასე ხდება: დარეკავ ტელეფონით, მოვა ავტომომსახურების ფირმის წარმომადგენელი (ვისთანაც შენ დადებული გაქვს ხელშეკრულება), დაგიტოვებს თავის მანქანას და შენს მანქანას წაიყვანს. სამ საათში მოიყვანს გამზადებულ მანქანას.

მაღაზიებში სიცარიელეა. ტელეფონით დარეკავ, ჩამოთვლი რაც გინდა, რამდენიმე წუთში კარზე მოგაყენებენ, ფულს გადაიხდი.

საღამოს მჟავანაძის ბიჭმა საშკამ (ცურვის დროს დავძმაკაცდით თბილისში) ქალაქში გამასეირნა თავისი მანქანით. საელჩოს ეკონომატაშეა.

21 დეკემბერი

ყველაზე ძნელი დღე იყო.

მასპინძლებმა თავაზიანად შემოგვთავაზეს მაღაზიებში გავლა, იქნებ რაიმე მოგეწონოთ იაპონური და შეიძინოთო.

სანამ რედინა და ასტაფიევი ზევით-ქვევით დარჭიანობდნენ. მივადექი ერთ პატარა მაღაზიას და სწრაფად დავიცალე ხელი ფულისაგან. ვიყიდე სუვენირები და რაღაც სისულელეები.

ფული აღარ მაქვს, შვებით ამოვისუნთქე.

ქუჩაში შემთხვევით გაცნობილმა იაპონელმა გოგონამ მიცურიმ (რომელიც ფრიად ნიჭიერი მხატვარი აღმოჩნდა) თავისი დახატული ფუძიამა მომიტანა, ჩემგან სახსოვრად, თუ შეიძლება, თქვენს ოთახში ეკიდოსო.

საღამოს კანაკო-სანმა და მისმა კომპანიამ დიდი ბანკეტი გაგვიმართეს.

გვიან ღამით დავიძინეთ.

დამავიწყდა, ვიყავით საელჩოში. იქ ვიღაც ქართველმა მიგვიღო კენაძე იური პეტროვიჩი. მე მგონი ფსევდონიმია. ასეთი გვარი ჩვენში არ გამიგია.

22 დეკემბერი

დილის ათი საათია.

აეროპორტისკენ მივემგზავრებით.

ტოკიოში დილით, 9:30-ზე როცა საელჩოს მანქანას ველოდებოდი, მოვიდა, ასე 35-40 წლის იაპონელი და მითხრა, ხომ არ დარჩებოდით კიდევ რამდენიმე დღის განმავლობაში იაპონიაშიო. ეს ნიშნავდა მუდმივად დარჩენას რასაკვირველია. გამეცინა. ჯერ ერთი, ვუთხარი, ერთი სული მაქვს, სანამ საქართველოს და ჩემიანებს ვნახავდე და მეორეც, რამ გაფიქრებინა ჩემთან ამ საკითხზე მოსვლა, ნუთუ ისეთი სახე მაქვს მეთქი.

ბოდიში მომიხადა და წავიდა.

თვითმფრინავი – „ილ-62“ სადაცაა დაიძვრება.

ამ სტრიქონებს თვითმფრინავში ვწერ.

ზაურ ბოლქვაძე მახსენდება „უსაქართველოდ ვერ ვიცოცხლებდი, ვერც მოვკვდებოდი უსაქართველოდ“.

კიდევ ერთხელ გამოჩნდა ფუძიამა, თანდათან დაპატარავდა.

კარგად ვიფრინეთ, სრულებით არ დავღლილვარ. ეტყობა, ხანგრძლივ ფრენებს მიჩვევა უნდა.

მოსკოვში მოხდა ერთი კაზუსი:

კონვეიერმა ბარგი ჩამოიტანა, ჩემი ჩემოდანი არ ჩანს.

ვიცინი, ვიცი მალე ამოვა.

გაჩერდა კონვეიერი, ჩემი ჩემოდანი მაინც არ ჩანს.

ასტაფიევმა შიში გამოთქვა, ჩვენი თვითმფრინავი ხომ ლონდონში მიფრინავს, ალბათ არ ჩამოუტანიაო.

როგორ ფიქრობთ, რა მოხდა? თურმე აფრენაგამოცხადებული ტრაპმოხსნილი თვითმფრინავიდან ჩამოხსნეს ჩემი ჩემოდანი. მატყუებს აეროპორტის კგბ, სინამდვილეში ალბათ ჩემს ჩემოდანს საგანგებოდ ჩხრეკდნენ. ეს მხოლოდ მოსკოვში შეიძლება მოხდეს. ბოლოს, როგორც იქნა, მაღირსეს ჩემი ჩემოდანი.

საიონარა („მშვიდობით“) იაპონია.

მონღოლეთი – 1986

9 მარტი

რაც შემეძლო, მოვემზადე მონღოლეთში გასამგზავრებლად. წავიკითხე ენციკლოპედიაში „მონღოლეთი“. გავიგე, რომ მონღოლეთში 1.7 მილიონი მცხოვრებია და მოსახლეობის 20 პროცენტზე მეტს საკუთრივ მონღოლები შეადგენენ. რაზე დასულა ერთ დროს (XIII–XIV) საუკუნეში მსოფლიოს გამამწარებელი მონღოლეთი? რა უმოწყალოა ისტორია? 20% - ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ მონღოლები თითქმის აღარ არსებობენ. გავიგე ისიც, რომ „ხალხი“ მონღოლური სიტყვაა და სახელმწიფოს ნიშნავს.

ორნი მივემგზავრებით. ალექსანდრ ალექსიჩ რუდენკო და მე. მონღოლ და საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეთა შეხვედრაში უნდა მივიღოთ მონაწილეობა. მე კრიტიკის მეთოდოლოგიაზე უნდა ვისაუბრო, რუდენომ – საბჭოთა კრიტიკის განვითარების გზებზე. რუდენკო ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ რედაქტორის მოადგილეა, საქართველოზეა შეყვარებული. ხშირად დადის. ჭაბუას და ნოდარ დუმბაძის მეგობართაგანია. ახლახანს ნოდარ დუმბაძეზე წიგნი გამოსცა.

მოსკოვიდან საღამოს ცხრა საათზე გავფრინდით. 4 საათის შემდეგ ომსკში დავეშვით. ომსკში ორ საათს ვიყურყუტეთ. მერე გავფრინდით და ირკუტსკში დავეშვით სამ საათში. ახლა ირკუსტკის აეროპორტში ვთვლიმეთ ოთხ საათს და პატარა, დანჯღრეული „იაკით“ გავფრინდით მონღოლეთისკენ. თვითმფრინავს ქარი ფოთოლივით აქანავებდა..

ილუმინატორიდან დავცქეროდი მონღოლეთს. ასობით კილომეტრზე ერთი ქოხიც არ შეგხვდება. ტრამალები და თოვლი. გაყინული ტბები, გაძარცული ხეები და თოვლი. უზარმაზარ ტერიტორიაზე 1.7 მილიონი კაცი ცხოვრობს და

აქედან, დახეთ ბედის ირონიას, 20% პროცენტი მონღოლია, დანარჩენები ჩინელები და ტიბეტელები არიან.

დაღლილები, უძილობით გაწამებულნი ვეშვებით ულან-ბატორის პატარა აეროდრომზე.

ჩემი ძველი ნაცნობი, მონღოლეთის მწერალთა კავშირის მდივანი – ხასბატორი შორიდან ხელს მიქნევს.

ულან-ბატორისკენ მივდივართ. პატარა, გორისხელა ქალაქია. უზარმაზარი, საპარადო მოედნითა და მავზოლეუმით. ლენინის მავზოლეუმის ასლები ვიეტნამშიც და აქაც არის.

საღამოს მე და რუდენკომ გავისეირნეთ და მერე ჩვენ-ჩვენს სასთუმალს მივაშურეთ. ახლა ძილია მთავარი!

11 მარტი

გამომეღვიძა. გარეთ ბნელა. ჩემს საათზე ორი საათია. რაკი მონღოლეთია დრო მოსკოვს ხუთი საათით უსწრებს ე.ი. აქ შვიდი საათია, მაგრამ ჩემი საათი ხომ თბილისის დროით მუშაობს, ე.ი ერთი საათი უნდა გამოვაკლო. ექვსი გამოდის. ვცადე ელექტროსაათის გადაყვანა ულან-ბატორის დროზე, მაგრამ არაფერი გამომივიდა და მოვეშვი.

დილით ხასბატორის ვაჟმა – მერგენმა მოგვაკითხა და ჯერ ქალაქი დაგვათვალიერებინა, შემდეგ მწერალთა კავშირში გაგვიძღვა. მიგვიღო მონღოლეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ცუდევმა. მონღოლეთი დიდი ლიტერატურის ტრადიციებით არ გამოირჩევა. მონღოლური ლიტერატურის ფუძემდებელი ნაცადორჟი ორმოციან წლებში გარდაიცვალა. ხოლო მონღოლური თეატრისა და მხატვრობის ფუძემდებლები დღესაც ცოცხალნი არიან. მანამდე მომთაბარე მონღოლები ფოლკლორულ ნაწარმოებებს ჰქმნიდნენ. ცნობილია შუასაუკუნეების თქმულებები გესერიადა და ჯანქარი. დიდ პატივშია ერდენის ნოველები თანამედროევე მონღოლეთზე

და გარტავის პოემები – განსაკუთრებით, „ლენინი ჩვენთანაა“ და „ფრიდრიხ ენგელსი“.

მწერალთა კავშირი 1929 წელს დაარსდა. 200-მდე წევრია. მწერალთა კავშირის დაქვემდებარებაშია ქალაქის ყველა მუზეუმი და ფოლკლორული ანსამბლი.

ამაყობენ იმით, რომ პეტრე I-მა რუსებს სპეციფიური „უკაზით“ მიმართა, შეისწავლეთ მონღოლურიო.

მონღოლურად „ვეფხისტყაოსნის“ გარდა თარგმნილია ალ. გომიაშვილის, ნ. დუმბაძის, ო.იოსელიანის და გურამ ფანჯიკიძის ნაწარმოებები.

მონღოლეთის ნაციონალური გმირის რევოლუციონერ სუხაბატოსის მავზოლეუმში გვინდოდა შესვლა, მაგრამ დაკეტილი დაგვხვდა.

მონღოლური ლექსი ტრადიციულად ურითმოა. გარითმულია ზოგჯერ მხოლოდ სტროფის პირველი სიტყვები. ბოლო დროს ურითმო ლექსის ნაცვლად ახალგაზრდებმა რითმიანი ლექსის წერა დაიწყეს. ჩვეულებრივად სტრიქონის ბოლო სიტყვებს რითმავენ. მონღოლები აღშფოთებით ლაპარაკობენ, რომ ეს არ არის ორგანული მონღოლური ლიტერატურისთვის.

მონღოლებს თავიანთი ანბანი ჰქონდათ. ტამდინ სუსენმა ორმოციან წლებში დამწერლობის რეფორმა მოახდინა. მონღოლებს თავიანთ ანბანზე უარი ათქმევინა და კირილიცაზე გადაიყვანა. ამჟამად მონღოლები კირილიცათი წერენ.

გირ – სახლს, ანუ იურტას ჰქვია.

მიღების შემდეგ წავედით უძველეს ქალაქ ცუმატში.

პატარა პროვინციული ქალაქია. ამათი მცხეთა.

ცუმატში გვითხრეს რომ მონღოლეთში ძირითადად ერთი რელიგია იყო გაბატონებული – ბუდიზმი, რეფორმაციის შემდეგ 700 ბუდისტური ტაძრიდან თითქმის ყველა დაანგრიეს. ეს „თითქმის“ იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ერთი დატოვეს ულან-ბატორში.

დავათვალიერეთ ცუმატის დანგრეული ეკლესიის ნაშთები და თვითნასწავლი ხელოვნის ჩაგდარ სურენის ნამუშევრები. ფრინველთა ფრთისაგან და პეპლებისგან ბრწყინვალე „ნახატებს“ ჰქმნის.

გზად შევიარეთ მწყემსის იურტაში. ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილ ქალ-ბავშვთან სურათი გადავიღე. გირ – მონღოლური სახლი ანუ კარავი მრგვალია და ზემოდან ქსოვილითაა დახურული. ირგვლივ ტყავები ან ქსოვილი აქვს. ფაქტიურად კარავია – მომთაბარე ცხოვრებით ნაკარნახევი. არა უშავს, სუფთად არიან.

რძეგარეულ ჩაის სვამენ.

ხორცი (ცხვრის ქონი) მათი საყვარელი საჭმელია.

ნაციონალური კაბა – დერ, დღესაც ბევრს აცვია.

მონღოლი „სამბინოს“ – გამარჯობას მხოლოდ ნაცნობს ეტყვის, ჩემს მიერ ნანახ სხვა აზიელებთან შეარებით უფრო თავდაჭერილი ხალხია. კბილებს უბრალოდ არ გიჩვენებენ.

ცივა.

მონღოლური პეიზაჟი. ტრამალები. მზე. ყინვა. თოვლი. გაშლილი სტეპი.

ცხვრის ხორცის ყაურმა და ხინკალი ვჭამეთ. ჩვენ ერთადერთი ნაციონალური კერძი გვაქვს, ეს არის „ხინკალიო“ მითხრეს სადილობისას და მართლაც ჩვენებური ხინკლის მსგავსი ხინკლით გამიმასპინძლდნენ. კამათი არ დამიწყია. იქნებ, მართლაც ასეა.

მონღოლურში არ არის ასოები ფ და ქ.

მონღოლეთში მხოლოდ ორი გამომცემლობაა, სახელმწიფო გამომცემლობა და სახალხო განათლების გამომცემლობა.

ირგვლივ, ბრწყინვალე თოვლიანი სერებია, მაგრამ სათხილამურო სპორტი ქვეყანაში სრულებით არ ვითარდება. მონღოლებს თხილამურით სრიალის ტრადიცია არ აქვთ.

თავისებურია მონღოლური ცხენი. დაბალი და ღონიერი. ცხვარი პატარაა და ძროხა ცხვარზე ცოტა დიდი.

მერგენმა ჩემი ნოველის „ყვავების“ (რომელსაც გაზეთი პარასკევის ნომერში ბეჭდავს) ჰონორარი – 200 ტიგრიკი მომიტანა, ვიუარე მაგრამ არ მომეშვა.

რუდენკო მოიღუშა. საერთოდ ურიგო კაცი არ ჩანს, მაგრამ გონებაშეზღუდულია. კონსტანტინე გამსახურდიას რომანებზე მაღლა გრიგოლ აბაშიძის „ცოტნეს“ აყენებს. ვეკამათე და გამოტყდა – ეს მარტო ჩემი აზრი არ არისო. ისტორიულ რომანშიო, ამტკიცებს ისტორიული პირები, სიუჟეტი და გამოკვეთილი ხასიათები აუცილებელი აღარ არისო, „მსჯელობებია“ მთავარი და ფილოსოფიური წიაღსვლებიო. ამ მხრივ მარკესის და ოთარ ჭილაძის პროზა სამაგალითოდ მიაჩნია. შევეცადე გადამერწმუნებინა. ნაწარმოებში კაცი თუ არ არის დახატული, შთამბეჭდავი გმირი თუ არ შეგხვდა, ლაილაი ვის რად უნდა მეთქი. ძნელად, ძალიან ძნელად, ზრდილობისთვის მეთანხმება.

მონღოლეთს თავისი სატელევიზიო არხი გააჩნია. მონღოლეთის ტელევიზია კვირაში ოთხჯერ გადის ეთერში. დანარჩენ დროს მონღოლი ხალხის მოთხოვნით, მოსკოვის სატელევიზიო გადაცემები იკავებს.

12 მარტი

დილით მერგენმა მოგვაკითხა და ორი, უაღრესად საინტერესო რამ გვიჩვენა. ერთი – 700-დან სასწაულებრივად გადარჩენილი ბუდისტური ტაძარი – მოქმედი. მაგიური სანახაობაა, თავგადაპარსული მონღოლი მღვდლები ფეხმორთხმით სხედან და ხმამაღლა გალობ-ლოცულობენ, ყვავების ხმას გამოსცემენ. მერე დავათვალიერეთ საეკლესიო მუზეუმი. ბუდას ათასნაირი ქანდაკება. მათ შორის ბევრი შუსაუკუნური ბუდას ქანდაკება ოქროსგანაა ჩამოსხმული.

მერგენი საუბარში მონღოლებთან ხშირად ხმარობს სიტყ-

ვას „ჭიჭიკო“, რაც თურმე მონღოლურად პატარას ნიშნავს.

11 საათზე მწერალთა კავშირში ვართ. დაიწყო ჩვენი გამოსვლები. პირველი მოხსნება რუდენკოსი, მეორე - ჩემი.

რუდენკოს თემაა – საბჭოთა ლიტერატურის ახალი მოვლენები. რუდენკო ამბობს 60-იან წლებში ჩვენს ლიტერატურაში პირველად გაჩნდა პატარა, ჩვეულებრივი ადამიანი. იგი იური ტრიფონოვმა შემოიყვანაო. 70-იან წლებში ჩვენს მკითხველს ისევ დასჭირდა ამაღლებული გმირი და იგი დათა თუთაშხიას სახით გაჩნდაო.

მერე ასახელებს ყაზახურ ისტორიულ რომანს და ომის თემას, ვასილი ბიკოვის შემოქმედებაში.

ახლაო, გვიამბობს რუდენკო, ჩვენში ლიტერატურა დოკუმენტური ხდებაო. ლენინგრადელმა დანიელ გრანინმა და ბელორუსმა ალეს ადამოვიჩმა მაგნიტოფონზე ჩაიწერეს ომის მონაწილეთა მოგონებები და მშვენიერი წიგნები გამოვიდაო.

ფართო, მონღოლური სახეები. მწერლები მთელი სერიოზულობით იწერენ რუდენკოს ნაბოდვარს.

შესვენებაზე ხასბატორის ოჯახში ვისადილეთ. მისი მეუღლე – ცერემხანი დიდი სიყვარულით შეგვხვდა.

მერე საელჩოში მივედით. საელჩოს კულტურულმა ატაშემ გვითხრა ამ ბოლო 5 წელიწადში 27 რომანიდან – 20 ისტორიულია. მონღოლი მწერლები თანამედროვეობაზე არ წერენო. წარსულის ნოსტალგია სჭირთო. რატომ არ ჩანან სსრკ-ში ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლებიო, გვკითხა საელჩოს კაცმა. სოციალური მოთხოვნა არ არისო კარგ მწერლებზე – წაიფილოსოფოსა რუდენკომ.

მოვიკითხე რუსთაველის მთარგმნელი კომბოჯავი. მითხრეს 10 წლის წინ გარდაიცვალაო.

4 საათზე ჩემი მოხსენებაა. შევეცადე საუბარი იუმორით შემელემაზებინა. მოხსენება გვერდზე გადავდე და ზეპირად ვილაპარაკე – კრიტიკის მეთოდოლოგიაზე. ხასბატორი თარგმნის. მე მგონი ურიგოდ არ გამომივიდა გამოსვლა.

მოხსენების შემდეგ კითხვები დამაყარეს. ყველაფერს მეკითხებიან: რატომ არ ასწავლიან სსრკ-ში ვრცლად ნაციონალურ ლიტერატურებს და რატომ ასწავლიან მხოლოდ რუსულ ლიტერატურას, რატომაა სკოლის სახელმძღვანელო სსრკ-ს ისტორია მხოლოდ რუსეთის ისტორია. სწორია თუუ არა დადგენილება ალკოჰოლზე, რა ფუნქციები აქვს თანამედროვე კრიტიკოსს, რატომ არსებობს აკრძალული თემები ლიტერატურაში, რატომ არ შუქდება 37 წლის ამბები?

ვუპასუხე, რაც შეიძლებოდა, ტაქტიანად. ვიცი, რომ ყველაფრის თქმა არ შეიძლება. რა ვიცი, რა კაცია რუდენკო. იქნებ დამასმინოს მოსკოვში?

საღამოს დავესწარით მწერალთა კავშირის ფოლკლორული ანსამბლის კონცერტს, რომელიც სპეციალურად ჩვენთვის ჩაატარეს. ძირითადად უაკომპანიმენტოდ მღერიან. სიმღერები ერთხმიანია.

მონღოლები გუნდურად თითქმის არ მღერიან. თითო კაცი მღერის. მტერმა მოისმინა – ეს არის უგემოვნო, სტეპის ღიღინი, მგლის ყმუილს წააგავს.

13 მარტი

დილით დავათვალიერეთ მონღოლეთის სამხატვრო გალერეა. მონღოლური სტილი იყო გაბატონებული სახვით ხელოვნებაში, შუქ-ჩრდილისა და პერსპექტივის გარეშე ხატავდნენ – ერთ სიბრტყეზე. ძალიან საინტერესოა, ძველი ნახატები. მერე ვერცხლის ნაკეთობათა გალერეა ვნახეთ. უნდა აღინიშნოს, რომ ვერცხლის ქამარ-ხანჯლები და უნაგირები, აგრეთვე ვერცხლის სურები საოცარ დონეზე აქვთ გაკეთებული. იქ, მართლაც დიდი ოსტატობა იგრძნობა.

11 საათიდან ისევ მწერალთა ფორუმზე ვართ. ისევ მომიწია გამოსვლამ. ვიცით, რომ საქართველოში ყველაზე მაღა-

ლი დონის ლიტერატურაა და ცოტა რამ გვიამბეთო. ვუპასუხე უამრავ შეკითხვას.

4 საათზე გავემგზავრეთ ულან-ბატორიდან 30 კილომეტრში მდებარე აგარაკზე. ბაკურიანის მსგავსი ადგილია. თოვს. ჩვეულებრივი დისკოტეკა და ცეკვა. ჩვენც გავერიეთ. ახალგაზრდობა ყველგან ახალგაზრდობაა.

ყინვა 35 გრადუსს აღწევს გარეთ. თოვა შეწყვეტილა. ცა მოსარკულა.

14 მარტი

12 საათზე დავბრუნდით აგარაკიდან და პირდაპირ წაგვიყვანეს მონღოლეთის საოცრების – ბოგდახანის მუზეუმის სანახავად.

ბოგდახანი მონღოლეთის მმართველი იყო და 1924 წელს გარდაიცვალა. გეგონებათ, XIII ჰა, XIV საუკუნის იმპერატორი. საოცარი სიმდიდრე მოუხვეჭია. თვალი აგიპარპალდება მილიონი ალმასით მოოჭვილ მის ტანსაცმელს რომ ნახავ. აგერ, გუშინწინდელ ხანს, ხელით დაატარებდნენ – ოქროს ჩარდახში იჯდა.

რა ქვეყნის იმპერატორის საჩუქრები არ მიუღია. მათ შორის ნიკოლოზ მეორის ნაჩუქარი ბრწყინვალე ჩექმები. ცოლი რომ მოუკვდა, 56 წლისამ 18 წლის გოგო შეირთო და 6 თვეში თვითონაც გარდაიცვალა.

მერე ვნახეთ ბალშინენის გახმაურებული ფილმი „მე შენ მიყვარხარ“, არაუშავს, ახალგაზრდების ცხოვრებაზე შექმნილი, არცთუ ურიგო, ფილმია.

საღამოს ცედევმა, ხასბატორმა და მწერალთა კავშირის სხვა ხელმძღვანელებმა გამოსათხოვარი ბანკეტი გაგვიმართეს. ერთმანეთს თბილი სიტყვებით მივმართეთ.

იქ გავიგე, რომ მწერალთა კავშირში ახალი წევრის მიღების

საკითხს მწერალთა კავშირის სამდივნო წყვეტს. არავითარი ფარული კენჭისყრა და ამისთანები. წიგნების ტირაჟი დაახლოებით ჩვენნაირია. წიგნები ნაკლებად საღდება.

საღამოს მე და რუდენკომ სტალინზე ვიკამათეთ. ვერ შევთანხმდით. სტალინი სძულს. მე კი სტალინის სიდიდეს და ნიჭს პატივს ვცემ.

საღამოს საელჩოს თანამშრომელმა იურიმ შემოგვიარა და მონღოლეთზე ბევრი საინტერესო რამ გვიამბო. 1956-57 წლებში აქ ელჩად იყო ვ. მოლოტოვი, ერთი თვის წინ შევარდნაძეს შემოუვლია, 3 საათიანი ლექცია ჩაგვიტარა, ცოლი ნანული რაჟდენოვნა ახლდაო. რუსულად ძალიან საინტერესოდ, ზეპირად გვესაუბრაო. ძალიან მოგვეწონაო. გვითხრა, ახლახან გრომიკოს მეგობარი, დიპლომატიური ინსტიტუტის რექტორი მოხსნეს და პარტიიდან გარიცხეს მექრთამეობისათვისო. რა საოცარი ამბები ხდება. როგორ მოიშალა სახსრებში ეს „საათივით აწყობილი“ სახელმწიფო. რა „ახალი ადამიანი“ აღგვიზრდია? მე ადრეც ვიცოდი, რომ მარქსიზმი უტოპიაა. სსრკ მალე დაინგრევა.

დღეს მონღოლეთის ცენტრალურმა ლიტერატურულმა გაზეთმა „უტგა ზოხიოლ ურლაგმა“ ჩემი ნოველა „ყვავები“ გამოაქვეყნა. ხ. მერგენმა თარგმნა. აქაური მწერლები ქათინაურს მეუბნებიან, ძალიან მოგვეწონა, ალეგორიული და ფილოსოფიურიაო.

15 მარტი

საწოლშივე მოგონებებით გამომეღვიძა. შთაბეჭდილება გუშინდელი მოგდახანის მუზეუმის. თვალწინ მიდგას ბოგდახანის იურტა.

საერთოდ ყველაფერი მონღოლს მომთაბარეობისთვის აქვს მოწყობილი. მისი იურტა ვეფხვის ტყავით იყო გადახუ-

რული. ბოგდახანის ცოლის კაბა – ფარშევანგის ტყავისგან შეკერილი.

დავათვალიერეთ ბიბლიოთეკა (საეკლესიო) ორი ათასამდე უძველესი ხელნაწერი. ტიბეტურ ენაზეა ძირითადად. ახლანდელი მონღოლები ვერ კითხულობენ.

კიდევ ერთხელ შევედით ბუდისტურ სალოცავში. ლოცვა ბარაბნების თანხლებითაა.

ჩვენს გასაცილებლად მოვიდნენ სასტუმროში შემთხვევით გაცნობილი გოგონები – ჩიმგე, ოტგონი, განჩომეგი... მე რომ ოთახში სასაუბროდ ერთი გოგონა შემოვიპატიჟე და ცხრამეტი გოგონა და შვიდი ვაჟი მესტუმრნენ.

მე არ მჯერა სულელური ენათმეცნეირული ძიებანი, მაგრამ რაღაც საერთო გვაქვს. „მუხა“ – მონღოლურად მუდმივს ნიშნავს.

აეროპორტში ხასბატორმა, ცერემხანმა და მერგენმა გამოგვაცილეს.

ერთ დროს „ოქროს ურდოში“ სტუმრობა ქართველ მამულიშვილებს კარგს არას უქადდა. დრონი იცვალნენ.

მე სამშვიდობო მისიით გახლდით მონღოლეთში და რაკი ამ სტრიქონებს ვწერ, ე.ი. მშვიდად ვბრუნდები.

რაშია საიდუმლო იმისა, რომ მონღოლი არ მიიღო XX საუკუნემ.

მონღოლს გამოკვეთილი ატრიბუტები აქვს. მონღოლურ ძროხას ახსენებს ქვეყანა, მონღოლური ცხვარი, მონღოლური ცხენი, მონღოლური ლექსი არსებობს, მონღოლური ნაციონალური ხარი, ავადმყოფობაც საკუთარი აქვთ – მონღოლიზმი, იურტა ხომ განუმეორებელია, მონღოლური კარავი. მაშ ღმერთმა ნუ ქნას ეს ყველაფერი უმონღოლოდ დარჩეს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა – 1987

6 ივნისი

სამსაათიანი ფრენის შემდეგ „ილ 86-ით“ ჩამოვფრინდით მაინის ფრანკფურტში. ლამაზი ქალაქია. ყველა მტკაველი გამოყენებულია, გერმანული რაციონალიზმი და სიმდიდრე იგრძნობა.

ყოველ ფეხის ნაბიჯზე ბარები და კაფეებია. ხალხი ზის ლუდს და ყავას შეექცევა და ერთობა. სასტუმრო „მონტანაში“ დავბინავდით. მერე ბრწყინვალე, ფეშენებელური ავტობუსით ქალაქი დაგვათვალიერებინეს.

გერმანელებს როგორღაც უპოვიათ ურბანიზმიდან გამოსავალი. გერმანული ქალაქები აღარ იზრდება, ჯერ ერთი შობადობა (თვით გერმანელებისთვის) თურმე მსოფლიოში ყველაზე დაბალია და მერე ფრანკფურტში და დიდ ქალაქებში ჩაწერა პრაქტიკულად შეუძლებელია.

ფრგ უცხოელს მოქალაქეობას ძნელად აძლევს. ქალაქში სკვერები და მანქანებიც წარმოიდგინეთ, ცოტაა. მე ველოდი მანქანების ნიაღვარს. უმეტესობა ფეხით დადის და ცენტრში ჰაერიც შედარებით, სუფთაა. მხოლოდ მდინარე მაინია საშინლად ჭუჭყიან-ქიმიკატიანი.

კოპწია გერმანული სახლები. ჭიშკრებს და გარაჟებს რკინის კარები აქვთ. დავაკვირდი სასტუმროს წინ. მოვიდა კაცი მანქანით, ამოიღო ჯიბიდან, მანქანიდან გადმოუსესვლად ტელევიზორის პულტის მსგავსი ღილაკიანი ფირფიტა, მიუშვირა ჭიშკარს, აიწია მაღლა ჭიშკარმა, შევიდა კაცი მანქანით და ჭიშკარი ნელ-ნელა დაეშვა.

ვიყავით გოეთეს სახლ-მუზეუმში. აქ, ფრანკფურტშია დაბადებული. თავის დროზე უმდიდრესი ოჯახი ყოფილა.

პირველი წყალსაქაჩი ტუმბო მათ ჰქონიათ ოჯახში, ხუთსართულიანი სახლი აქვს. მშვენივრად მოწყობილი დიდი ბიბლიოთეკა. სანამ ვაიმარში გადავიდოდა, აქ ცხოვრობდა.

საღამოს ვივახშმეთ ბერძნულ რესტორანში. შვედური პრინციპის მაგიდა. რა გინდა სულო და გულო. სოკო. ზეთისხილი.

გერმანელი მოქალაქე, რომელიც დაჯდა კრემლის წინ, აქ გმირად ითვლება, ჩვენთან დამნაშავედ. არადა გმირია.

ჩვენ ვეუბნებით, დაიტოვეთ მხოლოდ საშუალო რადიუსის რაკეტები, შორსმსროლელი მოხსენით. არ გვეთანხმებიან, საშუალოთი მერე ჩვენ გერმანელებმა ერთმანეთს ვესროლოთო?

ფრგ-ს კანონებით, გდრ-ს მოქალაქე და ფრგ-მოქალაქე ერთი სახელმწიფოს მოქალაქედ ითვლება, და ყველგან პრივილეგიით სარგებლობს. თუ მოახერხა კაცმა გდრ-დან გადმოსვლა, იგი მაშინვე ყურადღების ცენტრშია და ყოველგვარ პირობებს უქმნიან.

7 ივნისი

დილიდანვე ტრირში გავემგზავრეთ. დიდებული გზა. ჩვენი მშვენიერი გიდი – ქრისტიანა გვიამბობს გზაში ფრგ-ზე, ეკონომიკაზე, კულტურაზე, სოციალურ ყოფაზე.

სკოლა სამი ნაწილისგან შედგება. დაწყებითი, საშუალო და გიმნაზია. დაწყებითია 4 კლასი, საშუალო 3 და გიმნაზია 4. ასე რომ უნივერსიტეტამდე ისინი ჩვიდმეტ წელიწადს სწავლობენ. უმაღლესში ჩარიცხვა გიმნაზიის ატესტატის მიხედვითაა. ლექცია 1 საათია. მხოლოდ დიალოგის ფორმით ტარდება.

არ არის კურსიდან კურსზე გადასასვლელი გამოცდები. განსაზღვრული რაოდენობის გამოცდა უნდა ჩააბარო 4 ან

5 წელიწადში. სტიპენდიას მხოლოდ განსაკუთრებით ნიჭიერებს აძლევენ. განაწილება არ არის.

გერმანიაში 2.5 მილიონი უმუშევარია. უმუშევრებს სახელმწიფო ხელფასს აძლევს. ასევე მაღალია პენსია. პენსიაზე გადიან – ქალი (55), კაცი (60 წლის).

პროფესორი თვეში იღებს 7 000 მარკას.

ყველაზე იაფი მანქანა „ლადა“ ღირს 11 000, ხოლო მერსედესი 26 000.

ქალაქები ცარიელდება. ყველანი სოფელში გარბიან.

მოწამლულია მთელი ქვეყანა ქიმიკატებით.

შემოვიდა წესი „30-50 მეტრიანი ზონა“ არ შეიძლება ცხოვრება და ხილის მოყვანა გზისპირებზე. გამონაბოლქვის გამო ხილი მავნებელი ხდება.

„მწვანე პარტია“ იბრძვის ეკოლოგიის დასაცავად და წარმოიდგინეთ, ატომის მშვიდობიანი გამოყენების წინააღმდეგაც.

მაინც რა ვუყავით ბუნებას. რაინი და მაინი ულამაზესი მდინარეებია (საერთოდ ზღაპრული ბუნებაა) მაგრამ არც თევზია და არც ბანაობა შეიძლება.

შიდსზე ვიკითხეთ. ჯერ 50 კაცი მოკვდა იმუნოსინდრომით. 5-10 წელია ინკუბაციის პერიოდი. ბოლოს ყველა შიდსით კვდება მეთქი, ეგ გამოგონილი ავადმყოფობაა მეთქი, გაეცინა ყველას.

ქუჩებში სულ ზეიმია.

უზარმაზარი ზვრები, ვენახს არ წამლავენ, მავნეაო.

ტრირში მარქსის მშობლიური სახლი ვნახეთ.

გაზეთში წერია, იმ კაცზე ვინც თვითმფრინავი დასვა კრემლის მოედანზე, აქებენ. სურათებია გადაღებული მშობლებთან ერთად. შეშფოთებულია ხალხი მისი ბედით, 19 წლის ბიჭმა მიაღწია იმას, რომ ერთ დღეს უცებ მოახსნევინა სსრკ-ს თავდაცვის მინისტრი, ავიაციის მინისტრი და სხვა უამრავი ქვედა საფეხურებზე მდგომი ხალხი.

გაზეთი შემოგვაწოდეს, რომელშიც ეწერა: „კრემლზე, წითელ მოედანზე დაშვება ხომ ყოველი გერმანელი მფრინავის ოცნებაა“.

ღვინის უზარმაზარი რაიონი დავათვალიერეთ, ფერდობებზე შეფენილი ზვრებით. ამდენი ვენახი არსად მინახავს.

საღამოს რესტორანში ბევრი გერმანული ღვინო დავლიეთ. მშვენიერი ღვინოა.

გერმანიაში მოღრუბლული ამინდებია.

„მოზელ“ ჰქვია მევენახეობის მხარეს.

მოწამლულია მდინარეები, მოწამლულია გზისპირა ბალახი.

მთავარია ფრინველები არ გაწყდნენ.

საღამოს ფრანკფურტში ქუჩაში მკვდარი მტრედი ვნახეთ. ისე დამწყდა გული თითქოს ახლობელი დამეკარგოს.

8 ივნისი

ბონს ვესტუმრეთ, ფრგ-ს დედაქალაქს.

პატარა, პროვინციული ქალაქია.

სახელგანთქმული ჯერჯერობით იმით არის, რომ იქ ბეთჰოვენი დაიბადა.

მიგვიყვანეს ბუნდესტაგის შენობაში, ბუნდესტაგის სხდომას დაგვასწრეს, უბრალო ამბავია? არა მგონია, პოლიტბიუროს სხდომაზე უბრალო ტურისტებს (გნებავთ დელეგატებს) ასწრებდნენ.

ყველა საკითხს უმაღლესი დემოკრატიის ვითარებაში განიხილავენო, გიდმა.

ხმის მიცემა ასე ხდება: საკითხს რომ დააყენებენ, განიხილავენ, ხმის მიცემამდე განხილვა ხდება. მერე შესვენება ცხადდება. გადიან გარეთ და შემოდიან სამი კარებიდან. ერთს აწერია: „თანახმა ვარ“, მეორეს „წინააღმდეგი ვარ“, მესამეს „თავს ვიკავებ“.

ფრთაგაშლილი არწივი – ერთიანი გერმანიის სიმბოლო ბუნდესტაგის სხდომათა დარბაზში, ცენტრში აღმართულა.

ბუკლეტებზე, რომელიც გვაჩუქეს, ჰიტლერის სურათიცაა.

ისევ გზაში ვართ.

მთელი გერმანია მწვანეშია ჩაფლული. გერმანელებმა იმდენი ფული იშოვეს, რომ მიწისქვეშა გარაჟები გააკეთეს, ამიტომ ბევრი მანქანა არ ჩანს.

ძირითადად თურქები, ესპანელები, იუგოსლავები და იტალიელები მუშაობენ საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში.

ქარხნების დემონტაჟს აკეთებენ. ამიტომ ჰაერი შედარებით სუფთაა. ფული აქვთ და ყველაფერს ყიდულობენ.

სოფლის მეურნეობაში ყველაფერი მექანიზებულია. „მუზელში“ ფერმერმა გვითხრა: 100 ჰექტარ ვენახს მე და ჩემი შვილი ორნი ვამუშავებთო. მარტო კრეფაში გვეხმარებიანო ნათესავები.

ნაშუადღევს კიოლნში ჩამოვედით და სასტუმრო „ბრისტოლში“ დავბინავდით.

წვიმს.

დავათვალიერეთ ქალაქი და გერმანიის მშვენება კიოლნის ტაძარი – რომელიც 800 წლისაა.

მსოფლიოს ერთი ყველაზე დიდი გოთური სტილის კათოლიკური ტაძარია.

გერმანელები თავისუფლად და ცოტა უწმაწურად მოლაპარაკე ხალხია. ერთ ღვინოს „თეთრი ტრაკი“ ჰქვია და ეტიკეტზეც „ტრაკია“ დახატული.

საღამოს კიოლნი ლამაზია. იგი ფრგ-ს მესამე თუ მეოთხე ქალაქია მიუნხენის, ფრანკფურტის, ბერლინის შემდეგ.

ფეთქავს ღამის ცხოვრება. სექსფილმები და საროსკიპოები. თუმცა შიდსის შიშის ქარი იგრძნობა. ზოგმა მიატოვა

ეს ბიზნესი, „სექსშოპები“ და „სექსბარები“ შემოსავალს აღარ იძლევაო, გიდმა.

9 ივნისი

საუზმის შემდეგ ქალაქში ვიხეტიალეთ.

რა უყო სოციალიზმმა ადამიანს! უნდა გავიმეორო ეს სიტყვები ბევრჯერ. დავდივართ ერთად ცხვრებივით (მე ვცდილობ ცოტა განზე ვიყო). დილით საუზმეზე რიგი გაკეთდა, ჩვენ ხომ რიგის გარეშე არ შეგვიძლია. ერთმანეთის გვეშინია საუბრის დროს. მთელს ევროპაში ჰალსტუხი არავის უკეთია ჩვენი დელეგაციის წევრების გარდა (მე ვარ გამონაკლისი. „ფიდელ კასტროს“ ფორმით დავდივარ და უკვირთ. თმებიც სხვანაირად აქვთ ჩვენებს შეკრეჭილი. ირონიულ ღიმილს გვაყოლებენ, როცა ქუჩაში მივდივართ. ყველა ხვდება რომ სსრკ-დან ვართ.

გაირკვა, რომ ჩვენი 142 მარკით მხოლოდ ორი პერანგის ყიდვა შეგვიძლია.

დღის მეორე ნახევარში ვესტუმრეთ ფრგ-ს „ცოდნას“.

აქ ლექციები ისე არ ტარდება, როგორც ჩვენთან, ჩამოდიან ერთი კვირა მსმენელები და იძენენ ცოდნას. აქვე წვებიან, ათევენ ღამეს. ჩამოდიან მანქანებით. ეს არის რაღაც საშუალო კურსები სახალხო უნივერსიტეტსა და ინსტიტუტის ფაკულტეტს შორის. დიდებული შენობა აქვს კიოლნში „ცოდნას“.

მიგვიღეს მაღალ დონეზე. ბანანი, ქოქოსი, ვაშლი, ანანასი..

სიტყვა ვთქვი. კარგია რომ ცოდნის ლექციები წარმოებისგან მოწყვეტით ტარდება თქვენთან. ჩვენთან ყველაფერი უფასოა და ამიტომ უხარისხო მეთქი. არ მოეწონა ჩვენს ხელმძღვანელს ვლადიმერ სერგეევიჩს. შენიშვნა მომცა და

კბილები დავუკრაჭუნე; შენ ჭკუა შენს შვილებს დაარიგე მეთქი.

საღამოს სასტუროში ორი გადაცემა ვნახეთ ტელევიზორში. 1) კრემლის მფრინავზე, 2) ტეტჩერზე (ამ უკანასკნელზე, დიდი, ერთსაათიანი გადაცემა იყო.)

გვიჩვენეს ყველაფერი. როგორი ხასიათი აქვს, რა კაპრიზები ახასიათებს, რა ოჯახი ჰყავს. როგორი იყო ახალგაზრდობაში. რა კაბებს იცვამს უფრო ხშირად, როგორ საქმიანობს ოჯახში.

10 ივნისი

ისევ კიოლნში ვართ.

ბენზინგასამართ სადგურთან მივედი დილით. ზოგი ბენზინი ძვირია, ზოგი შედარებით იაფი. მითხრეს იაფია ის ბენზინია, რომელსაც გამონაბოლქვი ნაკლები აქვს (ახალშენარევიანი ბენზინი გამოუგონიათ), რომ, შოფრებმა ჰაერი არ გააჭუჭყიანონ თავიანთი მანქანებითო.

საოცარი მოდა შემოვიდა. ფართხუნა ბლუზა-ფუფაიკებით და თეთრი საწმერთულებით დადის ხალხი. განსაკუთრებით გოგონები, თითქოს საწოლიდან ესესაა გადმოსულანო, მოკლე, შარვლისმაგვარი ნაჭრებით დადიან. თითქოს არც მორგებული აქვს ტანზე (რაღაც სხვა სიტყვა კინაღამ წამომცდა) და რა საოცარია მოდა, თითქოს ეს მოშვებულობა, ეს მოურგებლობაა სწორედ ლამაზი. ასე რომ ყოველგვარი მოდა ლამაზია.

კიდევ ერთხელ, მარტო მივედი კიოლნის ტაძართან დილით. „გასაყეყეჩებელიაო“ შალვა დადიანი რომ იტყოდა, სწორედ ეგ არის. ექვსი საუკუნე აშენეს და კინაღამ ერთ წუთში დაანგრიეს. ბომბი იქვე, ოცდაათ მეტრში აფეთქდა და მარჯვენა მხარი ჩამოამტვრია ტაძარს, შეიძლება უფრო მეტი სიგიჟე? ეს იცის ომმა.

მარტო რატომ დადიხართო, ჩემს გასაგონად ვიღაცას უთხრა ხელმძღვანელმა. ჩემს ცხოვრებაში აღარ წამოვალ ტურისტად. დამამცირებელია ჩემი წონის კაცი ამ ჯგუფში არავინაა. თავსაც არ უნდა ვუყადრებდე ამ ჭინჭებზე მონადირე ვაჭრუკანებს.

ფრგ-ში 35 საათიანი სამუშაო კვირაა კაცებისთვის, ქალებისთვის კი 24 საათიანი.

ვეწვიეთ მოსამზადებელი კურსის მსგავს დაწესებულებას. იხდიან ფულს და ემზადებიან რაშიც უნდათ: გერმანული ენიდან დაწყებული, კომპიუტერით დამთავრებული.

სად გინდა მეცადინეობა? ოფიციალურ შენობაში თუ შინ? ვინ გინდა მასწავლებლად კაცი თუ ქალი? არჩევანი დიდია.

სადილის შემდეგ შეხვედრა მოგვიწყვეს კიოლნის უნივერსიტეტში.

600 წლისაა, 48 ათასი სტუდენტი სწავლობს. ფაკულტეტებია: ეკონომიკური, სამეცნიერო-საზოგადოებრივი, იურიდიული, სამედიცინო, ფილოლოგიური, პედაგოგიური, ფილოსოფიური, მათემატიკური.

სტუდენტებს თავიანთი პარლამენტი აქვთ. ისინი ირჩევენ საგნებს, რა ჩააბარონ. შეუძლიათ ლექტორის კი არა, დეკანის და რექტორის შეცვლაც.

უნივერსიტეტი სახელმწიფოს არ ემორჩილება. რექტორს ირჩევენ და მერე უსიტყვოდ ემორჩილებიან.

ახალგაზრდები აქაც ცოტას კითხულობენ. ყველაფერი ვიწრო სპეციალობას ემორჩილება. სტუდენტებს ვკითხე, თომას მანი და ჰაინრიხ მანი არ გაუგონიათ. ამერიკულ წიგნებს კითხულობენ.

საღამოს შეხვედრა მოგვიწყვეს პროფკავშირებში. პროფკავშირი აწყობს დემონსტრაციებს, გაფიცვებს, ექომაგება მუშებს, განაგებს შრომით მოწყობას.

გორბაჩოვი სიმპათიით მოიხსენიეს.

ღამის კიოლნი ნარკომანებით, ხულიგნებით და ბოზებითაა სავსე.

11 ივნისი

კიოლნიდან ჰამბურგში მივემგზავრებით, ექვსსაათიანი გზა. დაღლა არც კი გვიგრძვნია.

გზაზე ქრისტინამ გვიამბო, როგორ სწავლობდა თვითონ სლავისტიკის ფაკულტეტზე ჰამბურგის უნივერსიტეტში.

მისაღებს, როგორც ვიცი, არ აბარებენ. გიმნაზიის ნიშნებით ეწყობიან. ზოგ უნივერსიტეტში გასაუბრებაა. არსებობს აუცილებელი საგნები და საგნები რომელსაც შენ თვითონ ირჩევ, როცა დეკანს ხელშეკრულებას დაუდებ, გაძლევენ საგნების სიას რაც უნდა ჩააბარო 4 წელიწადში. სულ ერთია, როდის რას ჩააბარებ. ჩვენთან ერთი ჩათვლისთვის, ვრიცხავთ. რა შენი საქმეა, როდის მოვამზადებ!

ბოლოს აბარებს სახელმწიფო გამოცდების კომისიას, შეუძლია წელიწადში ორჯერ გავიდეს სახელმწიფოზე, თუნდაც 10 წლის განმავლობაში.

პროფესორი ძირითადად მხოლოდ სემინარს ატარებს და სტუდენტთა სამეცნიერო-რეფერატულ მუშაობას ხელმძღვანელობს.

სტუდენტები თვითონ ეწერებიან სემინარზე, ვიდეო მაგნიტოფონს ჩართავს ხანდახან პროფესორი და სტუდენტები იქვე უსმენენ. ზოგჯერ ლექტორი პროფესორის მოცემული თემის მიხედვით თვით სტუდენტს აბარებს.

ჩამოვედით ჰამბურგში. ძველი დიდი ქალაქია. ყოველ ქუჩას აქვს ველოსიპედით სასიარულო ტროტუარი.

ხილის მაღაზიებმა გამაოცა. მყიდველი არ ჩანს. რას უშვებიან ნეტა ამძაღებულ ხილს. არა და გამოფენილია ლამაზად, რომელი ქვეყნის, რა ხილი გინდა, სულო და

გულო, ანანას-ბანანით დაწყებული ნესვითა და საზამთროთი გათავებული.

ჩვენი სასტუმრო არც ისე ცენტრშია.

საღამოს შეხვედრა მოგვიწყვეს ჰამბურგის მარქსიზმის სკოლაში. მსმენელები ფულს იხდიან და მარქსიზმს სწავლობენ. „რაც დრო გადისო, ფრგ-ში მარქსიზმისადმი ინტერესი ნელდებაო, სსრკ თუ არ დამეხმარა ფინანსურად, შეიძლება დავხურო სკოლაო.“ სკოლის ხელმძღვანელმა.

12 ივნისი

ჰამბურგის ცნობილი ნავსადგური.

ქრისტინა ამბობს, ევროპის უდიდესი ნავსადგურიაო. მართლაც მთელი ქალაქია ზღვაზე. ათასგვარი გემები, ნავები, ხომალდები, კრეისერები, სავაჭრო და თევზსაჭერი კატერები, მოცურავე რესტორნები, მოცურავე „ბორდელებიც“ კი.

აქ ამუშავებენ ნედლეულს. აქვეა ქარხნები, აქვე ხდება დაკონსერვება, თევზის გაყინვა და ა.შ.

ორი გრანდიოზული რამ გვიჩვენეს. ერთი დაკიდებული ხიდი 55 მეტრი სიმაღლისა და რვაასი მეტრი სიგრძის. მეორე ელბის ფსკერზე გამავალი 2 კილომეტრიანი სამანქანო გვირაბი.

სადილის შემდეგ შეხვედრა გვქონდა ქალაქის მუნიციპალიტეტში. მდიდრულ დარბაზში მიგვიღო მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ.

დიდხანს გვესაუბრა. გვკითხა, რას ნიშნავს „პერესტროიკა“ და იმედით უცქერით თუ არაო. ყველამ მე შემომხედა, შენ გვიხსენიო.

ვილაპარაკე, რა მეტი გზა მქონდა.

ჯერ მთლად არ გარდავმქნილვართ, მაგრამ როგორც იქნა სწორ გზაზე გავედით მეთქი. კონკრეტული მაგალითები

მოვიყვანე. პირადად, რასაკვირველია, ჭეშმარიტად ვემხრობი გორბაჩოვს თუ აწი არ აურია მეთქი.

ჩვენო, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა (სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრია) ამომრჩევლებს თვალებში შევცქერითო. იმ დღესვე დავკარგავთ ხმებს, რამე რომ შეგვეშლება, გარდა ამისა, ყოველ მოქალაქეს შეუძლია ჩვენი გაწვევის საკითხის დაყენებაო.

საღამოს ჰამბურგის ქუჩებში გავისეირნეთ. მეძავები გვექაჩებიან ღამის ბარებში და საროსკიპოებში. ვუძალიანდებით და გავრბივართ; ჩვენ ხომ „საბჭოთა ადამიანები“ ვართ.

13 ივნისი

ცივა. ღრუბლიანი დღეა.

ლუბეკი ძველთაძველი ისტორიული ქალაქია. ჰამბურგიდან 70 კმ-ზე. მე-12 და მე-13 საუკუნის ტაძრებით და საცხოვრებელი სახლებით.

რესტავრაციის და ისტორიულ ძეგლთა დაცვის უმაღლესი კულტურა იგრძნობა. გიდი გვიყვება, რამდენი კაცი გაასამართლეს ძეგლის ხელყოფისა ან არასწორის რესტავრაციის გამო.

უვლიან თვალისჩინივით.

უეცრად ქუჩაში ღრიალი და დაფდაფების ხმა გაისმა. რა მოხდა? ჩაიარა უზარმაზარმა დემონსტრაციამ. თმამოშვებული, ეგზალტირებული ქალები და კაცები (უმეტესწილად ახალგაზრდა). დაფ-ნაღარით აღვიძებს მთელ გერმანიას და პატრიოტული სიმღერა-ლოზუნგებით არემარეს აყრუებს. რა სისხლის ყივილია ეს? ნოსტალიგა ხომ არა წარსული ომებისა გერმანიისთვის ცხვირში ძმრის დენით რომ დამთავრდა?

რაღაცნაირი სისხლამღვრეული ქვეყნის შთაბეჭდილებას ტოვებს გერმანია. ჰამბურგშიც ასე იყო. სიჩუმეა ქუჩაში, მო-

ქალაქენი წყნარად დადიან ან გზისპირას ბარებში სხედან, ამ დროს ვიღაც დამთხვეული წამოიყვირებს, წამოხტება, შემაღლებულ ადგილს მოძებნის და ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირის გერმანელთა უპირატესობაზე სხვა ერებთან შედარებით, იმაზე რომ ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობა უსამართლობაა.

დგანან და უსმენენ მრავლისმეტყველი დუმილით. ვერ გაუგებ, ეთანხმებიან თუ არა. ტაშს არ უკრავენ, მაგრამ უსმენენ კი.

ეს მხარე დაბომბესო სასტიკად ამერიკელებმა და ინგლისელებმა, წუხს გიდი. გვიჩვენებს რა ბარბაროსულად დაუბომბავთ ფრანკფურტი, კიოლნი, ჰამბურგი. სხვათაშორის ყველგან წააწყდებით სურათს: როგორ გამოიყურებოდა დაბომბილი ქალაქები. აღშფოთებას გამოთქვამენ, ასე ბარბაროსულად დაბომბვა როგორ შეიძლებოდაო. მართალია, მაგრამ თვითონ რა დღე აყარეს სხვებს (ლენინგრადს, სტალინგრადს, კიევს) დაავიწყდათ?

საღამოს „ლუნა პარკში“ რაღაც საშინელი, უგემოვნოდ მოწყობილი, ვითომდა ტეკნიკურ, სექსუალურ საშუალებათა გამოფენა-ატრაქციონი ვნახეთ.

რითი ერთობა ხალხი. გულისამრევი ტექნიკო-პორნოგრაფია.

არა, არა სულ სხვა ერი ვართ ქართველები. სერიოზული, ნიჭიერი, მაღალგემოვნებიანი.

მაწანწალების შთაბეჭდილებას ტოვებენ ეს რუსები (ჩემი დელეგაციის წევრებზე ვამბობ) და შეშინებულსახეებიანი შუაზიელები. ვინ არიან, რა ხალხია, ვინ დააბრალათ პროფესორობა.

ჩემს თანამეოთახეს, სამოცდაშვიდი წლის გროზნოელ პროფესორს, ზახულ ანატოლი პავლოვიჩს ეს ათი დღეა დუშის მიღებას თავი დავანებოთ, ფეხები არ დაუბანია და წინდები არ გამოუცვლია. კბილის ჯაგრისი და საპონი წამოღებული არა აქვს!

14 ივნისი

ჰამბურგიდან გამოვემგზავრეთ.

მაგბურგი – უძველესი საუნივერსიტეტო ქალაქი. აქ სწავლობდნენ ლომონოსოვი და პასტერნაკი. პუშკინის ლენსკიც აქ სწავლობდა („ევგენი ონეგინიდან“). დავათვალიერეთ XIII – XIV საუკუნის საყდრები. ვისადილეთ XVI საუკუნეში აშენებულ რესტორანში.

ქრისტინა გვიამბობს ფრგ-ს სოფლის მეურნეობაზე. სოფლის მეურნეობის მაჩვენებელი ძალიან მაღალია, ძირითადად ქიმიური სასუქების ხარჯზეო. ეს ქიმია ადამიანის ორგანიზმში იჭრება სასოფლო პროდუქტებიდან და ახლა წყალში გააღწია. თანაც გერმანიის მიწას სრული გამოფიტვის საშიშროება ემუქრებაო.

საღამოს ბერძნულ რესტორანში ვიბანკეტეთ. ხვალ დილით მოსკოვში მივფრინავთ.

ბულგარეთი – 1987

15 მაისი

ოთხი მწერალი მიგვიწვიეს გაბროვოს სატირისა და იუმორის მსოფლიო ფესტივალზე:

გრიგორი გორინი ისრაელის-ძე.

ჟვანეცკი მიხეილ მიხეილის-ძე.

ბელოუსი დიმიტრი გრიგორის-ძე.

მიშველაძე რევაზ აქვსენტის-ძე.

სიმართლე გითხრათ ცოტა გამიკვირდა ჩემი მიწვევა. მე ჩემი თავი სატირიკოსად არ მიმაჩნია. სატირული ლიტერატურა ზოგისთვის უგემოვნობის სინონიმია.

წლების განმავლობაში ჩაკლეს ჭეშმარიტი სატირულ-იუმორული აზროვნება სულხან-საბას, დ. კლდიაშვილის, ილია ჭავჭავაძის, გ. ერისთავის, ჩეხოვის და გოგოლის მიერ დაწყებული.

დილით ადრე 7 საათსა და 50 წუთზე გამოვფრინდით მოსკოვიდან. ეს 4 საათსა 30 წუთზე ადგომას ნიშნავს. კარგად ვიფრინეთ, მაგრამ მაინც არ მიყვარს ფრენა. სოფიაში სულ ერთი საათი გაგვაჩერეს მწერალთა კავშირში და ისევ თვითმფრინავი. მერე ერთი საათი ავტობუსი და მთიან, ძველებურ, ლამაზ გაბროვოში ამოვყავით თავი. მასპინძლები ყოველი ღონისძიებით ცდილობენ პატივი გვცენ, მაგრამ ყველა ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა სოციალისტური სიღარიბე.

ხვალ ფესტივალის გახსნაა. რა გვაცინებს, საინტერესოა, ჩვენი მდგომარეობის გადამკიდეს.

ქალაქი საზეიმოდაა მორთული. დაგვირიგეს მონაწილის მედალიონი და კარგად იუმორის ჩართვით გაფორმებული ბუკლეტები, ჟურნალები, წიგნები. მათ შორის გაბროვოული

ანეგდოტები. გვიან ღამემდე სიამოვნებით ვიკითხე და ვიხითხითე. მართალია, ზოგი გულუბრყვილოა, მაგრამ ხალხური ყველაფერი მიყვარს.

16 მაისი

დილით მარტო გამოვედი გაბროვის სასტუმრო „ბალკანიდან“. პატარა ქალაქია, სუფთა. მთელ ქალაქს ეტყობა პროვინციალიზმი, მაგრამ ევროპული და ეს უკვე რაღაცას ნიშნავს.

ხალხი სადად, უფრო ღარიბულად ჩაცმულია. რიგებია პურზე. ხორცი საერთოდ არ ჩანს. ბაზარში ხილი არ იყიდება. ერთ კაცს ჰქონდა ჩვენი პანტა ვაშლის მსგავსი - წვრილი ვაშლი. ვიყიდე. უვაშლოდ არ ვვარგივარ.

5 საათზე საზეიმოდ გაიხსნა ფესტივალი. მთელი მსოფლიოდან არიან მოწვეულნი. ევროპაში ახლა ამხელა მასშტაბის ღონისძიება არ ტარდება, როგორც ამ ღარიბ გაბროვოშია. მთელი ბულგარეთი ამით ცხოვრობს. მე-8 ფესტივალია. გაბროვო გახდა მსოფლიოში ცნობილი ქალაქი. იუმორი დიდი აქვს თუ არა, ამას უკვე აღარა აქვს მნიშვნელობა. ჩვენ ალბათ ამის ორგანიზებას ვერ შევძლებდით. ბეჭდავენ ბუკლეტებს, უშვებენ ჟურნალს. იწვევენ მსოფლიოს ცნობილ იუმორისტებს კინოს, მწერლობის, მხატვრობის, მუსიკის დარგში. მერე გამოცხადდა წინა ფესტივალის ლაურეატების გვარები. დიდი ტაში იყო. გორინს და ჟვანეცკის ეხვევიან ებრაელი ჟურნალისტები, ტელევიზია, რადიო, გაზეთი. შენ ვის დაეკარგე, ვინ გეძებს. საოცარია. რა დიდი მასშტაბები აქვთ ებრაელებს.

ჩემთანაც მოვიდნენ რადიოს და ბულგარეთის „სოფლის ცხოვრების“ კორესპოდენტები, რაკი დარწმუნდნენ, რომ საკმაოდ იუმორით ვპასუხობდი, მოეწონათ და სხვა ჟურნალი-

სტებსაც უხმეს. უხალისოდ დავთანხმდი , რა ჩემი საქმეა. მე ჩემი ქვეყნის ჯავრი მაწუხებს.

17 მაისი

დილის 10 საათიდან იუმორის გაბროვის მსოფლიო ცენტრში გაიმართა მრგვალი მაგიდა მსოფლიო იუმორის პრობლემებზე. თავმჯდომარემ გამოაცხადა: აქ ვინც ბრძანდებით, ყველანი ცნობილნი პიროვნებები ხართ, ჩვენ წინასწარ სია არ ჩამოვწერეთ გამომსვლელების და გთხოვთ ვისაც სურს, გამოვიდესო. სიჩუმე ჩამოვარდა. არც ვიცინ, არც ვაცხელე და პირველი სიტყვა მე ავიღე. ჯერ მადლობა გადავუხადე მასპინძლებს, მერე საქმეზე გადავედი. იუმორის დიდ მნიშვნელობაზე ვილაპარაკე, ქართული ლიტერატურის ტრადიციებზე ამ მხრივ და შემდეგ სსრკ-ში გარდაქმნის პერიოდში მის როლზე. გამოვთქვი სურვილები, ჯერ ერთი ვინც გაიმარჯვა ფესტივალზე, რატომ არ არიან ყველანი მოწვეულნი მეთქი. მეორეც, აქ ჩვენ მოწმეებივით ვზივართ, ზეიმით გვხვდებიან, მაგრამ ჩვენს უნარს არ ვამჟღავნებთ მეთქი. რატომ არ შეიძლება ბლიცკონკურსები აქვე მოცემულ თემაზე წერა, პასუხები ანკეტაზე, ან კონკურსები კარიკატურის ხატვაში მეთქი.

მერე როდესაც „მრგვალი მაგიდა“ დამთავრდა, დაგვათვალიერებინეს გაბროვოს სატირისა და იუმორის სახლი. ეს იყო ბრწყინვალე სანახაობა. მსოფლიოს ცნობილი სატირიკოსების წიგნები და ხელნაწერები, კარიკატურისტ და სატირიკოს-სკულპტორთა ნამუშევრები, სატირულ-იუმორისტული ფოტოგამოფენა. ჭეშმარიტად მაღალი კულტურით შერჩეული და ბოლოს, რაც ჩემთვის სრულიად ახალი იყო, უგემოვნობის გამოფენა, რაც უგემოვნო იქმნება თანამედროვე ბულგარეთში ის იყო გამოფენილი. ბევრი ვიცინე.

2 საათზე დაიწყო ბულგარეთის მწერალთა კავშირის სიმპოზიუმი და პრეს-კონფერენცია თემაზე „იუმორი თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურასა და კრიტიკაში“. მე, გრ. გორინი და მიხეილ ჟვანეცკი გამოვედით. ძალიან მოეწონათ ჩემი გამოსვლა ჟვანეცკის და გორინს, მე კიდევ მათი გამოსვლა მომეწონა. სიმართლე უნდა ითქვას მაგარი ურიები არიან. ვერაფერს იტყვი.

კარელ ჩაპეკის ანდაზით დავიწყე, კრიტიკულად განწყობილი გომბეშო რომ ამბობს, გველი ასე გრძელი რატომ უნდა იყოსო. მერე ვთქვი იმაზე, რომ ჩვენი სატირული არსენალი დაიშტამპა. ახალი ტიპები, ახალი სახეები, ახალი თემები უნდა აღმოვაჩინოთ მეთქი. მოვყევი გვერდით რომ ტაშის დამკვრელი მეჯდა და ერთი სიტყვა არ გაუგონია.

დღეს დიდი მუშაობა, ორჯერ გამოსვლა მომიწია. მაინც ძნელია ჩემნაირი მორუსულე კაცისთვის. იწერება თხუთმეტნაირად (ტელევიზია, რადიო), ითარგმნება 5 ენაზე. ისმენენ მსოფლიო ყველაზე დიდი ირონისტები. ჩემს შემდეგ ფრანგი, ამერიკელი, პოლონელი, შვედი, იაპონელი და ჩეხი მწერლები გამოვიდნენ.

საღამოს გაბროვოს მახლობლად (15 კმ) ერთი დიდებული, მოქმედი მონასტრის სიახლოვეს ბანკეტი გაგვიმართეს.

18 მაისი

დილით ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებული ფილმი ვნახეთ. „ჩაპლინის პარადი“ ჰქვია. ჩაპლინის პირველი ფილმები. შვიდი ფილმი ვნახეთ. რა საოცრებაა. თითქოსდა დღევანდელი მკითხველისთვისაა გათვალისწინებული. ყველა ეპოქაში რომ ეყოლება მაყურებელი მის გულუბრყვილო, საოცრად მოქნილ და საზრიან კაცუნას. რა ნიღაბი შექმნა, როგორ დაიტოვა თავი სამუდამოდ ამ გენიოსმა ურიამ.

შუადღისას ბულგარეთის უძველესს დედაქალაქს თერნოვოს ვეწვიეთ. ბუნებრივ კლდეზე აშენებული განსაცვიფრებელი ციხე-სიმაგრე ვნახეთ. პართენონზე ლამაზი მდებარეობა აქვს. საერთოდ ზღაპრული სილამაზის ადგილია. არ მეგონა თუ ბულგარელებს მე-12 საუკუნეში აშენებული ციხე მონასტრები ექნებოდათ. ავტობუსში ჩემს გვერდით შემთხვევით აღმოჩნდა პოლონელი მწერალი ზიგმუნდ ფლიზი. გულითადად ვისაუბრეთ. სოლიდარობის შესახებ მიამბო. ალალი, სუფთა კაცი ჩანს. ვილაპარაკეთ ყველაფერზე, მათ შორის ჩვენი ქვეყნების ბედზე და გარდაქმნაზეც. ახლა ისევ იმათ უნდათ გარდაქმნის მაგალითი მოგვცენ, ვინც ყველა ბოთლს ერგებოდა მეთქი. ქუთაისში იტყოდნენ, ლამარია ჩათლახს ყველა ქორწილზე პატარძლობა უნდაო. სწორიაო, მიპასუხა, გარდაქმნას ახალი, თავისი მოქალაქეები სჭირდებაო. არ შეიძლება ნახევრად დაორსულებაო, თუ გარდავიქმნებით, მთლიანად უნდა გარდავიქმნათო. სხვაც ბევრი რამ ვუამბეთ ერთმანეთს.

საღამოს გაბროვოს მონსტერში გამოვიარეთ და მონასტრის წინამძღოლ იღუმენ ივანეს ვესაუბრე დიდხანს. ძალიან ვიღლებიო, მონასტერში იმიტომ მივიტანე თავი რომ ნერვების დაწყნარება მინდოდა და აქ კიდევ უფრო მეშლებაო. შენ წარმოიდგინე უამრავი მიმსვლელ-მომსვლელი, მოსანათლავ-შესანდობარი და ძროხა – ღორ-ქათამი, მერე საღამოს სასტუმროს (52 კაციანი) მოვლა-პატრონობაო. მთვარე გვადგა თავზე. ბაჩკოვოს სული ტრიალებდა ბულგარეთის თბილ მიწაზე.

19 მაისი

დილით შეხვედრა გვქონდა გაბროვოს ყველაზე დიდ საწარმოში ცილინდრ-ტუმბოების ქარხანაში.

თბილად შეგვხვდნენ. დირექტორი გვესაუბრა იმაზე თუ წლების განმავლობაში სისტემატური მეცნიერული თავდადებით როგორ გამოიგონეს ახალი ცილინდრული ავტომატი. არც ვაციე, არც ვაცხელე, ვკითხე მსგავსი ავტომატი ამერიკელებს ან იაპონელებს თუ აქვთ მეთქი. აქვთო. აბა, რად გინდოდათ ველოსიპედის ხელახლა გამოგონება მეთქი. ერთმანეთს გადახედეს. ჩვენო, იმ არსებულის სახესხვაობა გავაკეთეთო.

მერე მოგვიწია გამოსვლამ. ჯერ გვკითხეს, ჩვენ რომ წუნს გამოვუშვებთ, გადავყრით ან ხელახლა გადავამუშავებთ, თქვენ რას უშვრებით წუნსო. ვუპასუხე, ჩვენი წუნი უბედურება არ არის, ან წაიკითხავენ ან არა. თქვენი წუნი კი ჩერნობილია მეთქი. ცოტა არ იყოს შეჩქვიფდნენ.

ჟვანეცკიმ, გორინმა, იახონცუმმა და მე წავიკითხეთ ჩვენი ნაწარმოებები. განსაკუთრებით ბევრი იცინეს ჩემს ნოველაზე „ავი კვამლი“. სამ საათზე დავბრუნდი სასტუმროში და თავი არ გამომიყვია გარეთ. გავცივდი თუ ალერგია მაქვს ჩემი ცხვირის გადამკიდეს. ოთხი ჟურნალისტი მივიღე. ინტერვიუები გაუთავებლად. რისთვის უნდათ, სად აქვეყნებენ, ჯერ ვერ გამირკვევია.

20 მაისი

დილის 10 საათზე ჟვანეცკი, გორინი, ბელოუსი და მე გაბროვოს მსოფლიო ფესტივალის ლაურეატებად გამოგვაცხადეს. მოგვცეს მედლები და დიპლომები. მერე ვნახეთ 11 საათზე ამერიკული ფილმი – კომედია. თორმეტი კაცი კვდება. რატომაა კომედია, ვერ მივხვდი.

იქ, სატირისა და იუმორის პრესცენტრში დაგვირიგეს სახელდახელოდ გამოცემული ჟურნალი, რომელშიც ჩემი დიდი ინტერვიუ და ავტობიოგრაფიაა ბულგარულ და ინგლისურ ენებზე. ყოჩაღ, გუშინ ჩამორთმეული ინტერვიუ დღეს უკვე

ჟურნალშია დაბეჭდილი. ეს პატარა საქმე არ არის ბულგარეთის სტამბისათვის.

საღამოს მწერალთა კავშირმა ბანკეტი გაგვიმართა. ვთქვი ვრცელი სიტყვა-სადღეგრძელო.

ინტერვიუ ვათარგმნინე ჩემს კუ - გიდს. კარგად მიუციათ. ვლაპარაკობ საერთოდ სატირული ლიტერატურის როლზე, ქართულ ხასიათზე, ამგვარი ფესტივალის უკეთეს ორგანიზაციაზე.

ადრე უნდა დავიძინო, ხვალ დილით 4 საათზე სოფიაში მივფრინავთ.

21 მაისი

ჩამოვფრინდით სოფიაში. გავჩერდით სასტუმრო „რილაში“. ცუდად ვარ. მაკანკალებს, დავწექი.

დამირეკა ჩემმა მთარგნელმა კუზმან სავოვმა. უთარგმნია ჩემი წიგნი და სტამბაშიაო, თუ არ მატყუებს. საღამოს რესტორანში წამიყვანა. ავად ვიყავი, უარი ვერ ვუთხარი.

22 მაისი

დილიდან სოფიას ვათვალიერებთ. 10 საათზე მიგვიღო მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა.

რადიოში სიტყვა მათქმევინეს და ჰონორარი მომცეს. რად მინდოდა? ფულს საერთოდ ვერ ვხარჯავ.

საღამოს 6 საათზე შეხვედრა მოგვიწყვეს მეცნიერების და კულტურის სასახლეში. გავსებულია დარბაზი. ფეხზე დგანან. უკვე მივეჩვიე რუსულ აუდიტორიას. დიდი ტაში მქონდა. ჟვანეცკი ძალიან მაგარია. გორინიც. ერთი სიტყვით დიდი ეფექტი მოვახდინეთ. მერე ბანკეტი გაგვიმართეს.

ყველაფერი კარგად. მიდის უკეთ ვარ.

23 მაისი

დღეს შედარებით თავისუფალი დღე გვქონდა. გიდმა დამირეკა, მაგრამ მის სამსახურზე უარი ვთქვი. არ მიყვარს გიდის გვერდით სირბილი და მისი დამადლებული საუბარი: ეს როდი მევალება, მაგრამ თქვენი გულისთვის ვაკეთებო.

მარტო, ნელა, ჩემთვის ვიარე ქალაქში. სოფიას თურმე 2500 წლის ისტორია აქვს. მართალია, ეს ისტორია ყოველთვის ბულგარელებთან როდია დაკავშირებული, მაგრამ მაინც ქალაქის ისტორიაა. ბერძნებს დაუარსებიათ. სოფია ბრძენს ნიშნავს. ვნახე ჩვ. წ-მდე 4 საუკუნეში აშენებული როტონდა (ტაძარი – სასახლე), სოფიას ტაძარი, ალექსანდრე ნეველის ტაძარი. ეს გრანდიოზული ნაგებობა მადლიერმა ბულგარელებმა თურქეთისგან განმათავისუფლებელ (1878 წ.) რუსებს აუშენეს. საერთოდ აქ რუსები ძალიან უყვართ.

გავიგე ბრწყინვალე საქციელი ტ. ჟივკოვის. 1985 წელს 2 მილიონი თურქი ერთბაშად ჩაწერეს ბულგარელებად. გამოუცხადეს, რომ თქვენ ხართ თურქების მიერ გათურქებული ბულგარელებიო. ამას მოჰყვა ერთი თვის განმავლობაში დიდი ჯაჯგური, მაგრამ მერე ყველაფერი დაწყნარდა. ბულგარელები ვერ მრავლდებიან, თურქები სწრაფად. ახლა ისტორია ბულგარეთის სასარგებლოდ იმუშავებს. „ღმერთო, ღმერთო ეს ხმა ტკბილი...“

ვიყავი სოფიოს ისტორიულ მუზეუმში. ძველბერძნული, რომაული, ბიზანტიური რელიქვიებია ძირითადად. საერთოდ ბულგარელები ვისი შთამომავლები არიან, თვითონაც არ იციან კარგად. ეს კია ბულგარული, როგორც უკრაინულ-ბელორუსული რუსულს ძალიან წააგავს.

ხვალ კირილე - მეთოდეს სახალხო ზეიმია. პარადის მისაღებად ვართ მიწვეული ჟივკოვის მიერ.

საღამოს კუზმან სავოვმა და მისმა მეუღლემ, მარგარიტამ შინ დამპატიჟეს. 4 შვილი ჰყოლიათ. ღარიბი, მაგრამ პატიოსანი ხალხია.

24 მაისი

მონაწილეობა მივიღეთ კირილე და მეთოდეს სახალხო დღესასწაულში. პარადი მივიღეთ. ჟივკოვისგან ოც მეტრში (ცოტა ქვემოთ) ვიდექით საპატიო სტუმრები დიმიტროვის მავზოლეუმის ტრიბუნაზე. ხელს ვუქნევდით, ვესალმებოდით დემონსტრანტებს.

მერე თავისუფალი დრო გვქონდა. მარტო ბევრი ვიარე ქალაქში. ჩანს, აქაც ბევრი ნარკომანია.

შიდსის შიშითო, ადმინისტრატორმა მითხრა, საერთოდ აკრძალული გვაქვს სასტუმროში სტუმრების შეშვება – სტუმრების „სტუმრებზეა“ ლაპარაკი.

ნომერში ნოველას ვწერდი გვიანობამდე.

25 მაისი

დღეს მოსკოვში მოვფრინავთ.

აფრიკა

მადაგასკარი – მავრიკია – სეიშელის კუნძულები – 1988

ჯერ, ჩვეულებისამებრ, ლექციების ციკლი, მოსკოვში მეგობრობის საზოგადოებაში.

ახალგაზრდა ლექტორი სერიოზული სახით ელემენტარულ წესებს გვასწავლის. დაახლოებით ისეთს – პაპუასი რომ ინგლისში დიპლომატად დანიშნონ და ჭკუა უნდა დაარიგონ, ვინმეს შემთხვევით ყური არ მოაჭამოს.

ოცდაერთსაათიანი ფრენა. საღამოს რვა საათიდან მეორე დილის ოთხ საათამდე.

მარშრუტი – მოსკოვი – სიმფეროპოლი – კაირო – ადანი (იემენის დედაქალაქი, ძალიან ცხელოდა) – ნაიობი (კენიის დედაქალაქი) და ბოლოს – ანტანანარივუ (მადაგასკარის დედაქალაქი).

ჩამოსვლისთანავე დაგვხვდნენ მასპინძლები და პრესის წარმომადგენლები. დელეგაციის ხელმძღვანელმა ვალერი ასათიანმა მისთვის ჩვეული სიდინჯით საინტერესოდ ისაუბრა. გააცნო დამხვდურთ ჩვენი ჩამოსვლის მიზანი.

საღამოს საელჩოში მიგვიღეს.

მადაგასკარელები დემოკრატიული განვითარების გზას ადგანან. ფამილიარობა არ უყვართ. ქვეყანა ღარიბია. 10 მილიონამდე მცხოვრებია. საფრანგეთის ვალი აქვთ. პრეზიდენტი რატირაკი მიუმხრობლობას თამაშობს. ბევრი სწავლობს სსრკში. ბრუდებიან და სამუშაოს ვერ შოულობენ. ის სპეციალობები, ჩვენთან რომ ასწავლიან, აქ არ არის.

სამი დღის წინ სამხედრო მოსამსახურეები, მათ შორის მინისტრი თვითმფრინავში დაღუპულა.

საღამოს გვავახშმეს სასტუმრო „ჰილტონის“ ფეშენებელურ რესტორანში. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ შვედურ მაგიდასთან ჩვენი მიშვება არ შეიძლება.

სასტუმრო კოლბერტში ვცხოვრობთ.
დაღლილებს მაშინვე ჩაგვეძინა.

30 მაისი

დილით ანტანანარივუს ხელით ნაკეთობათა გამოფენა – ბაზრობას ვეწვიეთ.
საოცარი ბაზარია. მილიონი მეწვრილმანე ერთად.
ქურდობა თუ ასეთ მაღალ დონეზე იყო, არ მჯეროდა, სანამ ჩემს თავზე არ გამოვცადე.
საერთოდ ღიმილიანი ხალხია, ტანად მომცრო, პატარა თავიანი.

მადაგასკარი. ვალერი ასათიანი და რევაზ მიშველაძე მეწვრილმანესთან

განსაკუთრებული წესი აქვთ მკვდართან ურთიერთობის. მკვდარს აკლდამაში ასაფლავებენ. ყველას თავის საგვარეულო აკლდამა აქვს. მიცვალებული ჯვალოს ქსოვილშია გახვეული და დაბალზამებულია.
ყოველ წელიწადს მკვდრის დღეს – ცხედარს სახლში მიასვენებენ, „აცეკვებენ“, ახალ სუდარაში შეფუთავენ და ისევ უკან წაასვენებენ.
ვისადილეთ რესტორან „მაცმეზონში“.
დედაქალაქი 1610 წელს დაარსდა. „ათასთა ქალაქს“ ნიშნავს ანტანანარივუ.
ხორცი უამრავი აქვთ. მხოლოდ ახალ ხორცს ხმარობენ. მეორე დღის ხორცი ამათი ტრადიციით არ ვარგა.
ბუზები არ არის საერთოდ. თორემ ხალხი დაიხოცებოდა. იმით ხსნიან რომ მზის რადიაციაა მომატებული და ბუზები იხოცებიანო.
საერთოდ მთელს მადაგასკარზე ღია წითელი მიწაა.
უმუშევრობა საკმაოდ მაღალ დონეზეა.
საღამოს შეხვედრა მეგობრობის საზოგადოების წარმომადგენლებთან გახსნა ვალერი ასათიანმა.
სიტყვის თქმა მეც მომიწია.
ზემოთ ვთქვი, რომ პრეზიდენტი რატირაკია – რითმა კი უხერხული ერითმება და თვითონაც ახალგაზრდაა.
კონცერტზე მადაგასკარელებმა „ციცინათელა“ იმღერეს.

31 მაისი

დილიდან მეფეთა საზაფხულო რეზიდენციისკენ გავეშურეთ.
მეფეები აქაც ისე ცხოვრობდნენ, როგორც მეფეებმა უნდა იცხოვრონ საერთოდ.
ნასადილევს დავათვალიერეთ ზოოპარკი. მადაგასკარისთვის დამახასიათებელი ცხოველები. ძირითადად ღია ზოოპარკია. „ლიმური“ – მადაგასკარის ულამაზესი მაიმუნი. აქაურები ხუმრობენ – ადამიანი საერთოდ მაიმუნიგან წარმოიშვა, ჩვენ კი ლიმურისგან გავჩნდითო.
მერე საუნივერსიტეტო ცენტრი დავათვალიერეთ. თანამედროვე აუდიტორიები. სპორტული მოედნები. უმაღლეს სას-

წავლებლებში კონკურსი დიდია. საშუალო სკოლები ძირითადად ფასიანია. უმაღლესი უფასო. განაწილება არ არის. პროფესურა ძირითადად ჩამოსულია.

1 ივნისი

დილით ანცირაბეში წავედით ავტობუსით და მანქანებით. საელჩოს თანამშრომელთა ორი „ტოიოტა“ გვახლავს. სიამოვნებით დავთანხმდი პრესცენტრის უფროსის არსენ განიევის შემოთავაზებაზე და ანცირაბემდე (170კმ.) საჭეს ვუჯექი. „ტოიოტა“ ბრწყინვალე მანქანაა.

პატარა პროვინციული ქალაქი. ანცირაბეში სასტუმრო „ტერმში“ ჩამოვხტით. ფრანგების მიერაა აშენებული. სასახლესავით სასტუმროა.

შეხვედრა ქალაქის მერთან. ვალერი აქაც ბრწყინვალე სიტყვას ამბობს. მერე ბანკეტზე მიგვიწვიეს.

მასპინძლებს ვესაუბრებით ყველაფერზე, რაც აინტერესებთ. ჩვენს ლიტერატურაზე, რა თქმა უნდა წარმოდგენა არა აქვთ.

საღამოს შეხვედრა ქალაქის წარმომადგენლობასთან.

ყველა იღიმება. მღერიან მშვენივრად და ცეკვავენ. შეხვედრას ანცირაბეს ტექნიკური საცდელი სახელოსნოს თანამშრომელი რუსებიც ესწრებიან მეუღლეებითურთ.

2 ივნისი

ვულკანური ტბები – ანდრაიბიბა და ტრიტურა ვნახეთ.

გზადაგზა ვინტერესდები მადაგასკარის კულტურით და გიდს შეკითხვებით გული გავუწყალე.

აქაური მწერლები ძირითადად ფრანგულ ენაზე წერენ. განსაკუთრებით უყვართ პოეზია. პროზას მაინცდამაინც არ ეტანებიან მკითხველები. რაცო, ფრანგებისგან თავი გავინთავისუფლეთ, ვცდილობთ ჩვენს მშობლიურ ენას დავუბრუნდეთ, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ. მოსახლეობა, რატომღაც ფრაგულ სკოლებს არჩევსო.

უკან ვბრუნდებით საღამოს.

გზაზე მანქანა გავაჩერე და გლეხის საცხოვრებელში შევიხედე.

მადაგასკარელი გოგონა

სიღარიბე. სიბინძურე. ავადმყოფები. მალარიის კოღო ყველაზე დიდი მხეცია ამათთვის.

მადაგასკარელთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 50 წელია.

გზაზე ბრინჯის ყანები. დამუშავების წესი პრიმიტიული. საღამოს არსენმა შინ მიგვიპატიჟა. ვალერი, მე და საელჩოს მდივანი გერმან პავლოვიჩი წავედით. სასიამოვნო ატმოსფერო სუფევდა. ბევრი ვისაუბრეთ და მათ შორის სტალინზეც. გერმანს სტალინის პიროვნებაზე სწორი წარმოდგენა აქვს.

3 ივნისი

დილის ათ საათზე პრესკონფერენცია ჟურნალისტებისთვის. ვალერი ასათიანმა დიდხანს ისაუბრა მეგობრული კონტაქტების მნიშვნელობაზე, სსრკ-ს საგარეო პოლიტიკის არსზე, კულტურის საკითხებზე. მერე მე გამოვედი მწერლის მოვალეობაზე მსოფლიოში და თანამედროვე ლიტერატურის

მიღწევებზე. ვუპასუხეთ უამრავ შეკითხვას: დაწერთ თუ არა რაიმეს მადაგასკარზე, რას ფიქრობთ ჩერნობილზე, რა განსხვავებაა ამერიკელ მწერალს და სსრკ-ს მწერალს შორის?

პირველ საათზე მიგვიღო ქალაქის მერმა. ანდრიანტინა რაკუტუვაემ. მერე გამოსათხოვარი ბანკეტი გაგვიმართა.

გამოგვაცილეს მინისტრებმა და საელჩოს თანამშრომლებმა.

აეროპორტის მოსაცდელში ვალერიმ და მე დიდხანს ვესაუბრეთ საელჩოს თანამშრომელს გერმან პავლოვიჩს. ლიტერატურასა და ხელოვნებაზე მუშტის მეთოდებით ლაპარაკობს.

6 საათზე გამოვფრინდით.

საათსა და ორმოც წუთში მავრიკიაში დავეშვით.

შეგხვდა საელჩოს თანამშრომელი ვალოდია.

მავრიკიაში მილიონამდე კაცი ცხოვრობს. ძირითადად ინდოელები და მავრიკიელები. გენერალ-გუბერნატორი მავრიკიელია. ცხოვრების დონე მაღალია. ქურდობა მაინცდამაინც არ არის. მაგრამ გავრცელებულია ნარკომანია, ამას წინათ ორი დიპლომატი დაიჭირეს ნარკოტიკების მოხმარებისთვის.

ხელმძღვანელობა ფიქრობს ნარკოტიკებით მოვაჭრეთა მიმართ დახვრეტის კანონი შემოიღოს.

დავბინავდით ოკეანის არხის ბრწყინვალე სასტუმროში.

4 ივნისი

დილით ოკეანეში ვიბანავე. წყალი თბილია. განწყობილება ჩინებული.

ჩვენს საელჩოს ვესტუმრეთ.

მავრიკიის პეიზაჟი. წითელყვავილოვანი ზღაპრული ხეები. თვალისმომჭრელი მზის შუქი. მწვანე ჰორიზონტზე უეცრად აღიმართება შენს წინ შავი კლდე-მთა. ბალახის ნასახიც კი არ ჩანს. დავათვალიერეთ ჩამქრალი ვულკანის კრატერიც.

XVI საუკუნის დასაწყისში პორტუგალიელებმა აღმოაჩინეს ეს კუნძული, მაშინ დაუსახლებელი იყო. მერე ჰოლანდიელებმა დაიპყრეს და ბოლოს ინგლისელებს ჩაუვარდათ ხელში.

მცხოვრები ერთი მილიონია, ნეიტრალური ქვეყანაა. 70% ინდუსია, 20% კრეოლი, დანარჩენი ფრანგები, ინგლისელები და ჩინელები, და ე.წ. მავრიკიელნი. დედაქალაქია პორტ დუისი 180 000 მცხოვრებით.

წყალი არ არის მთელს კუნძულზე. სვამენ მხოლოდ წვიმის წყალს.

რკინიგზა არ არის.

საინტერესოა მარილის მოპოვების წესი. აქ ოკეანე ძალიან მარილიანია, ამიტომ წყალს ოკეანიდან ტუმბავენ და რეზერვუარებში აგროვებენ. რამდენიმე დღეში წყალს გაუშვებენ და ძირს ქვიშასავით დარჩენილ მარილს ნიჩბებით ხვეტენ.

მავრიკიიას მხოლოდ ერთი გემი ჰყავს და სამი თვითმფრინავი.

ნავსადგურში ყოველდღე უამრავი გემი შემოდის.

ცხოვრების დონე მაღალია.

პარლამენტარული წყობა. კუნძულს თავისი გენერალ-გუბერნატორი ჰყავს – რომელიც ამავე დროს არის პრემიერ მინისტრი და შინაგან საქმეთა, სამხედრო, საგარეო საქმეთა, უშიშროების, ინფორმაციის, კულტურისა და მეურნეობის მინისტრი.

სწავლა ფრანგულ, ინგლისურ და ჰინდის ენაზეა სკოლებში.

კრეოლი ნიშნავს ზანგისა და ევროპელის შეჯვარებით მიღებულ ერს. კრეოლი ლაპარაკობს დამახინჯებული ფრანგულით.

ფული არის რუპია.

უმთავრესად შაქრის ლერწამი მოჰყავთ. ყველგან შაქრის ტყეებია.

მეორე მთავარი შემოსავალი ტურიზმია, აქვთ ჩაიც.

უნივერსიტეტი 1865 წელს დაარსდა, სწორედ იმ დღეს გახდა მავრიკია დამოუკიდებელი ქვეყანა.

პრემიერ მინისტრს 5 წლის ვადით ირჩევენ. მეორედ არჩევნებში, თავის კანდიდატურას ვერ წამოაყენებს 5 წლის განმავლობაში მაინც.



მავრიკია

არის მახათმა განდის ინსტიტუტიც.

მავრიკიას ჯარი არა ჰყავს, არის მხოლოდ პოლიცია.

წელიწადში 1000-მდე სხვადასხვა გემი შემოდის.

ყველაფერში მოვწონვართ, მხოლოდ ავღანეთის და კამპუჩიის საკითხებში არ გვეთანხმებიან.

ამჟამად სსრკ-ში 300-ზე მეტი მავრიკიელი სწავლობს, თბილისშიც არიანო.

გარდაცვლილთაგან 50% გულით კვდება.

როცა პორტუგალიელები გამოჩნდნენ, კუნძული დაუსახლებელი იყო.

თეატრები არ არის.

უყურებენ ძირითადად ინდურ ფილმებს და ძალიან მოსწონთ. ინდოეთი თურმე 700 ფილმს იღებს წელიწადში.

პორნოგრაფიული ფილმები აკრძალულია.

გავიცანით:

მწერალი ბიხარი – დაწერა წიგნი სსრკ-ში მოგზაურობაზე.

შეკუნდალა – პოეტი ქალი.

ბრინჯს მთლიანად ყიდულობენ.

ენერგიის ძირითადი წყარო თბოელექტროსადგურებია. მაზუთი გემით შემოდის.

უარს ამბობენ ყოველგვარ მასშტაბურ მრეწველობაზე, მეტალურგიის განვითარებაზე და განსაკუთრებით ატომურ ელექტროსადგურებზე.

ცხოვრობენ ტურიზმით. ყველაფერს აკეთებენ რომ ზღვა არ გაჭუჭყიანდეს.

ყველას მასპინძლის იერი აქვს. თვალებში გიყურებენ. გიღიმიან.

5 ივნისი

დილიდან დედაქალაქ პორტ ლუიში ექსკურსიაზე წაგვიყვანეს.

გიორგი თოიძის მიერ გაკეთებული ლენინის ძეგლი ყვავილებით შევამკეთ.

ზოოპარკი. თავისებურია. აღიქვამ ყველა ცხოველს, თითქოს მათთან ერთად დადიოდე ჯუნგლებში. არა აქვთ რკინის გალიები. ყველა სახეობას ირგვლივ წყალი უვლის. იმ წყალზე ფრინველების მეტი ვერაფერი გადმოდის.

ბოტანიკური ბაღი – საოცარი ხეები ბაობაბები და გიგანტური მიმოზები, საქვოიები და კაუჩუკის ხეები.

აკვარიუმი!

მავრიკიაში სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები არ არის საერთოდ. არის ზღვისპირა სასტუმროები ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ჩვენთან მაინდამაინც საგზური რომ უნდა შეუფარდო შენს ცხოვრებას და თუ დაგაგვიანდა შენს ადგილას რომ სხვას მიიღებენ და შენ უბოდიშოდ გამოგისტუმრებენ – ასე არ არის აქ.

საკუთარი აგარაკიც არავის არა აქვს. აგარაკის შენახვა ძვირი ჯდება, ამიტომაც მომგებიანი არ არის. როცა გვინდა და რამდენი დღითაც სასტუმროს დავიქირავებთო, სასტუმრო კოტეჯებიც არის, როცა ყოველგვარ პირობებს გიქმნიან და მოსამსახურე ინდუსები თვალებში შეგყურებენ.

საღამოს მე და ვალერი ვახშმად მიგვიწვია მავრიკიის მთავარმა ქირურგმა ინდოელმა რამდოვარმა, რომელსაც განათლება მოსკოვში მიუღია და საბჭოთა კავშირ-მავრიკიის მეგობრულ ურთიერთობათა საზოგადოების აქტიური წავრია.

საღამოს ფეხბურთი ვნახეთ – საფრანგეთ – სსრკ-ს შეხვედრა 1–1

კინაღამ მოგვიგეს ფრანგებმა. ჩივაძე არ თამაშობდა.

6 ივნისი

დილით ნავებში ჩაგვსვეს და ოკეანეში გაგვიყვანეს სათევზაოდ – საბანაოდ.

გიდები ძალიან გაუნათლებლები არიან, რაც უნდა ჰკითხო, უარყოფითად გპასუხობენ.

12 საათზე საბჭოთა და მავრიკიელი მწერლების შეხვედრაა. პირველი სიტყვა მე მომცეს.

მავრიკიელი მწერლები:

საკუნდალა პავალდარი – ქალი. ინდოელი.

ლიან ბერტელო – კრეოლი.

ლომე ანფარალი –კრეოლი.

პროსპერა – კრიტიკოსი, აზია-აფრიკის ქვეყნების II შეხვედრის მონაწილე.

სამსარანი.

რანფანდიტი.

აზის ასგალი – კრეოლი, პიესებს წერს.

თითო მწერალი 3-4 ენაზე წერს.

ვუპასუხე შეკითხვებს.

მერე ვიქტორ კარამაზოვი გამოვიდა, მერე ლატვიელი ვიტაუტას მარცინკიავიჩუსი.

დრამატურგები არიან, მაგრამ თეატრი არა აქვთ. მათი პიესები საზღვარგარეთ იდგმება.

ჩვენს ქვეყანაში დამსვენებლებად ჩამოდიან და ეროვნული თეატრი, რომელიც ადრე არსებობდა ნელნელა მოკვდაო. კრეოლი თეატრში მხოლოდ მაშინ მიდის თუ უფასო სანახაობაა.

ერთმა თქვა, მე ვწერ პიესებს და თვითონვე ვდგამ მოყვარულთა ძალებით, მაგრამ ძალიან ძნელია მავრიკიელი ტელევიზორს მოგლიჯო, ამიტომ მაყურებელი არა გვყავსო.

რა სიახლეებია სსსრკ-ს ლიტერატურაში?

რას კითხულობენ უპირატესად?

მწერალი მავრიკიაში უყვართ, მაგრამ არ კითხულობენ. წიგნები არ იყიდება.

მადაგასკარი. 300 წლის კუ.

ისე მწერალიაო, რომ გაიგონებენ, მოწიწებით შესცქერიან.

შეხვედრა დიდხანს გაგრძელდა და საკმაოდ საინტერესო იყო.

საღამოს გამოვიარეთ ატელიე-მაღაზიაში.

იქვე აგიღებენ ზომას, გამზადებული რაღაცეები აქვთ და რასაც გინდა, ნახევარ საათში ჩაგაბარებენ.

საღამოს ტელევიზიით უჩვენეს ვალერი ასათიანის საუბარი ადგილობრივი ტელევიზიის დიქტორთან, ლაპარაკობდა თავისუფლად, საინტერესოდ, იუმორიც ჩაურთო. სსრკ-ს ნაკრებში ერთი ქართველი ფეხბურთელი ჩივაძე თამაშობს და როცა გუნდს ძალიან გაუჭირდება, მაშინ გამოიყვანენო.

ვისხედით სასტუმროს ბაღში ჩუმად და უეცრად დაფდაფების ხმა გაისმა. თითქოს მიწიდან ამოიზარდნენო. სიმღერით და როკვით შემოვიდნენ ზანგები. ზოგს ხელში ჩვენი დაირის მსგავსი რამ ეჭირა, ზოგს უბრალო რკინის ნაჭერი და მეორე რკინას ურტყამდა. ეს იყო დიდებული სანახაობა. სიცოცხლის ძარღვი ფეთქავდა მათს რიტმში.

გვიან ღამემდე ვცეკვავდით დისკო-კლუბში. დისკოს რიტმზე როკვა არავის უხდება როგორც ზანგს. იგი მთელი სხეულით, რომ იტყვიან, თითის წვერებითაც კი ცეკვავს.

7 ივნისი

დილიდან დიდ ზოოპარკში ვართ. ვეფხვები, ლომები, აფრიკული ზებრები და ჟირაფები...

მერე ნიანგთსაშენში მიგვიყვანეს. უამრავი ნიანგი სხვადასხვა ასაკის. ნიანგი კვერცხისმდებელი ყოფილა. ჩემდა სამარცხვინოდ არ ვიცოდი. ინდაურისაზე ოდნავ დიდი კვერცხი აქვს.

ნიანგი ადამიანს არ ერჩის. მისი ნადირობის ძირითადი ფორმაა გაქვავება. მსხვერპლს თავი მკვდრად უნდა მოაჩვენოს. მშვენიერი კერძი კეთდებაო მისი ხორცისგან.

დამავიწყდა, ზოოპარკში 250 წლის აფრიკული კუ ვნახეთ. კუს მოძრაობა მოგეხსენებათ საერთოდ და ეს თითქმის არ ინძრევა. ორ კვირაში ერთხელ ჭამს, სხვა დროს დაყუდებულია, ზურგზე რამე რომ დაადო ასი წელი ისე ატარებს არც კი დაფიქრდება. თავისი ბაკანი არასოდეს დაუნახავს. თავს არ გაგიყადრებს. არ მინდა, ძმაო, არც ასეთი 250 წლის სიცოცხლე მინდა.

მერე ფულის დახარჯვის მტანჯველი წუთები და ბოლოს 7 საათზე მიღება მეგობრობის საზოგადოებაში. ელჩი პანკოვი ესწრება.

ბანკეტმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა ვალერიმ კარგი სიტყვა თქვა.

მერე ოთხივემ ქართული და ინდური სიმღერები ვიმღერეთ, როგორც შევძელით. მავრიკიაში 7 რუსის ქალი იყო მიღებაზე.

ნოსტალგიამ შეგვიპყროო, ქალებმა.

ქმარს თუ ღალატობთ მეთქი. არაო. ქართველები და რუსები აქ არ არიან და ერთ შავს მეორე შავზე ხომ არ გავცვლითო.

8 ივნისი

დილიდან წვიმს.

საღამოს სეიშელის კუნძულებზე მივფრინავთ.

9 ივნისი

სეიშელზე ვართ.

საბჭოთა ტურისტს ჯერ აქ ფეხი არ დაუდგამს.

ცხოვრობენ კრეოლები. პატარ-პატარა კუნძულებია. უზარმაზარი ჩვენი ბოინგი ძლივს დაჯდა.

პირველყოფილი ბუნება. ტყეში შეჭრილი სასტუმრო ისლის ქოხებისგან შედგება. ერთ ქოხში მე და ვალერი ვცხოვრობთ.

სასტუმროებში ეგზოტიკის მოყვარული ევროპელები და ამერიკელები ისვენებენ. ძვირი ღირს ადგილები. ჯავშნიან ტელეფონით. სასტუმროში კვება სამჯერადი. ფინური მაგიდით, შედის ნომრის ღირებულებაში.

აფრიკა. სეიშელის კუნძულები

ყოველ საღამოს კრეოლების ხალხურ საკრავთა ორკესტრი. უკრავს. ბრწყინვალე სანახაობაა.

მოვიარეთ ერთი კუნძული. ათასნაირი ხე. ერთი ხე დანით რომ გაჭრი, სისხლივით წითელ წყალს უშვებს. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ქოქოსის ტყეებია. მე და ვალერიმ სასტუმროში ერთი ქოქოსის კაკალი მოვიტანეთ, მაგრამ ძლივს გავტეხეთ.

ყოველ ნაბიჯზე შეიძლება სეიშელის ჯუნგლებში (უკეთეს შემთხვევას მოგახსენებთ) ზურგზე დაგახტეს მაიმუნი. არ უნდა შეიმჩნიო, თორემ დაგპოტავს. ვერ შემჩნევა არც ისე ადვილია, როცა მაიმუნი ცხვირში გიღიტინებს.

სეიშელზე დაბადებულ ბავშვთა 75% უკანონოა. ე. წ. უკანონო შვილის გაჩენა სასურველად როდი ითვლება. შვილიანი გოგონები უფრო თხოვდებიან. სამ შვილს გააჩენს და მერე უფრო ადვილად თხოვდება. განსაკუთრებით, თუ ერთი მაინც თეთრი გამოერიაო, გიდმა.

სულ სხვა ბალახი და სულ სხვა მცენარეებია. ასეც უნდა

იყოს. საქართველო და სეიშელი ქვეყნის სხვადასხვა კიდეა, მაგრამ გაგიკვირდება კაცს, ნაცნობ მცენარეს რომ დაინახავ. საიდან გაჩნდა, რატომაა ლამის ერთნაირი მცენარეებით დაფარული დედამიწის სხვადასხვა კუნჭული?

10 ივნისი

მთელი დღე ინდოეთის ოკეანეში ვჭყუმპალაობთ. ძალიან დავიწვი.

ჩვენს გარდა არავინ ცურავს ზღვაში. რამდენიმე კაცი აუზში ჭყუმპალაობს. ძალიან დავიწვი. დანარჩენები წვანან და მზეწვას იღებენ.

რაშია მეთქი საქმე. აქ ბანაობა არ შეიძლება, ზღვის ზღარბები და მორენებით (წვრილი გველები) სავსეაო ზღვა. არ დავიჯერეთ, სანამ ჩვენს თავზე არ გამოვცადეთ.

სტეპან ივანიჩს „უკბინა“ ზღარბმა. ძლივს ამოვათრიე. ფეხისგულზე ასამდე ნემსი ერჭო.

აქაურებს წამალი სცოდნიათ. გაფცქვნილი პაპაი წაუსვეს და მოუწვეს ფეხისგული. ძლივს გადარჩა. ახლა წევს და ოხრავს.

მორენები უარესია, თურმე მაშინვე კლავს ადამიანს.

11 ივნისი

სეიშელის განთქმულ პლაჟზე ვართ.

მოდაში შემოსულა; ქალები წელსზემოთ შიშვლები. ბანაობენ და მზეს ეფიცხებიან.

მეთევზეებს მივეხმარეთ ბაგირის გადაქაჩვაში (ბადის ამოთრევა), ბევრი ვერაფერი დაიჭირეს.

საღამოს მიღება გვქონდა კულტურის მინისტრთან ჯეიმს მიშელთან, რომელიც სახელმწიფოში მეორე კაცია (სხვა ბევრი რამის მინისტრიც არის).

გვესაუბრა სეიშელზე, პოლიტიკაზე. სსრკ-სთან ურთიერ-

თობაზე. ტერიტორიულად მოსახერხებელ ადგილზე ვართ და ჩვენზე ბევრი ნადირობსო.

საღამოს ცნობილ გიტარისტს მოვუსმინეთ. ბრწყინვალედ მღეროდა.

დისკოტეკა – გვიან ღამემდე.

12 ივნისი

დილიდან ზღვაზე.

სადილის შემდეგ ახალგაზრდობის ასოციაციაში მიღებაზე.

ასოციაციის თავმჯდომარემ თქვა, ახალგაზრდების აღზრდაში დიდი პრობლემები გვაქვსო. მოგეხსენებათ სეიშელი ტურისტული ქვეყანაა, ტურისტებს კი ათასი მამაძღლობა (ნარკომანია, სექსუალური მოდა, აზარტული თამაშები, და სხვა) ჩამოაქვთო. მოდის მიმართ სულსწრაფი კრეოლები და ზანგები ამას ყოველივეს სწრაფად ითვისებენ და იოლ ცხოვრებას დახარბებულნი ფულისთვის ათას მაიმუნობაზე თანხმდებიანო. ბიჭები იაფად უცვივიან ალფონსებად ხელში ხნიერ პარიზელ და ლონდონელ ''არისტოკრატკებს'', ხოლო გოგონები სექსუალურ ეროტიკას დახარბებულ მანიაკებსო.

მართლაც, ყოველ მოსახვევში დგანან ნახევარზე უფრო მეტად შიშველი გოგონები და მანქანებს ხელს უქნევენ, ან თეთრ კბილებს უელვებენ.

13 ივნისი

სახლში წასვლამდე სამი დღე დარჩა.

რას აკეთებენ, ნეტა, ახლა ნათელა და ბაჩულია?

მეც და ვალერისაც ყელში ამოგვივიდა აქაურობა. მოგვენატრა საქართველო. ჩვენი საქმე და ცოლ-შვილი.

მადაგასკარელ ბავშვებთან

ახალი ქვეყნების ნახვის საოცარი ჟინი მაქვს, მაგრამ დასვენებას ვერ ვეგუები.

წარმოიდგინე მწვანე კუნძულები ერთმანეთს 100-150 მეტრით დაშორებული და ირგვლივ ლურჯი ზღვა – ესაა სეიშელი.

ტანსაცმელი ჩვენი წარმოდგენით აქ არ არსებობს. ადგილობრივ მცხოვრებთა უმეტესებას მხოლოდ პერანგის ანხანაგები აცვია. წელსზევით ტიტველია და ფეხშიშველი.

ქალებს სიფრიფანა მაიკები აცვიათ და შორტები.

ოკეანე ძალიან მკაცრი რამ არის. ჩვენთან შავ ზღვაში სადაც გინდა რომ ჩახტები, აქ ისე არ არის. თუ სპეციალურად გაწმენდილ პლაჟზე არ იცურავე, სიცოცხლეს საფრთხეში იგდებ. შეიძლება მორენამ დაგშხამოს. ზღარბს დაადგა ფეხი ან ეკლიან ნიჟარებზე მუცელი გაიფატრო. სეიშელს ირგვლივ გრანიტის უზარმაზარი ქვები აქვს შემოწყობილი. ამოდენა ქვები ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს. ზოგი მათგანი არც მეტი არც ნაკლები ოდისხელაა.

14 ივნისი

მთელი დღე ზღვაზე გავატარეთ.

ვესაუბრე ინგლისელ გოგონას. ქვიშაზე სფინქსის სახეს აქანდაკებდა.

მეო, ლონდონის ტელევიზიის მსახიობი ვარო. თვრამეტი-ცხრამეტი წლისა ძლივს იქნება. თვისი ტრაგედია აქვს. ცოლიანი კაცი მიყვარსო და კამერუნში სანადიროდ წავყევიო. ორი თვე დავყავი მასთან, მერე ძალიან გამიჭირდა მიტოვება, იმიტომ რომ ოჯახს დაუბრუნდაო.

მადაგასკარი. ღარიბი გლეხის სახლი.

საღამოს დავესწარით ცნობილი ფრანგი პიანისტის ბრიჯიტ ანჟევერის კონცერტს. ეს იყო კლასიკური მუსიკის პირველი კონცერტი სეიშელზე საერთოდ. ბრწყინვალე შემსრულებელია. მაღალი, დახვეწილი კულტურით. შესახედავადაც, რა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მომხიბლველი ქალია. კონცერტის დასასრულს ვალერი და მე გასახდელში მიგვიღო. მოსკოვში

უსწავლია კონსერვატორიაში. თბილისის მუსიკოსთა სკოლას იცნობს და პატივს სცემს. ახსენა ელისო ვირსალაძისა და მარინა მდივნის სახელები. მეო, ხალხისთვის მინდოდა დამეკრა, ამათ კი ბილეთს 100 რუპია დააწერესო, რაც ძვირიაო (ოცი დოლარი). კონცერტს ჩინეთის, საფრანგეთის, ინგლისის ელჩები ესწრებოდნენ.

15 ივნისი

წყნარი, მშვიდი დილაა.

ინდოეთის ოკეანე მშვიდი ფაჩუნით თითქოს ოთახში შემოდის.

დღეს 3 საათზე მოსკოვში მივფრინავთ. დრო მაქვს და ჩემს დღიურში ვწერ: სეიშელზე 65 ათასი კაცი ცხოვრობს. 1976 წლიდან დამოუკიდებლობა მიიღო. საფრანგეთის კოლონია იყო, მერე ინგლისის.

უნიკალურია სეიშელის გრანიტი. იგი 600 მილიონი წლისაა. სეიშელზე სულ 101 კუნძულია. ირგვლივ გრანიტის გრანდიოზული ქვებითაა შემორაგვული. დედაქალაქი ვიქტორია. ვასკო და გამამ აღმოაჩინა.

სეიშელის პალმა, ანუ ორმაგი პალმა, როგორც აქ უწოდებენ მსოფლიოში უნიკალურია და საიდუმლოებებით მოცული.

ინდიელებს ზღვის პალმა უწოდეს, რადგანაც ზღვაში პოულობდნენ უზარმაზარ ორმაგ ნაყოფს, რომელიც ადამიანის ნაწილებს წააგავს.

კუნძულ პრასლენზე ხარობს.

ეს პალმა 500 წელი ცოცხლობს. ნაყოფი ექვს-რვა წელიწადს იზრდება.

გიგანტური კუ არის სეიშელის მეორე საოცრება. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ იგი არ შეცვლილა ნახევარი მილიარდი წლის განმავლობაში. თითქმის გაანადგურეს და შეტანილია წითელ წიგნში.

XVIII საუკუნემდე სეიშელზე მუდმივი მცხოვრებნი არ იყვნენ.

გრანიტის ქვებზე რაღაც ნიშნებია, ადგილობრივი მცხოვრებნი ამბობენ, რომ ეს არის პირატების (ყაჩაღი მეკობრეები) მიერ დამალული განძის საიდუმლო სიტყვა. მე–XVIII საუკუნიდან ბევრი გაითხარა, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მიაკვლიეს.

სეიშელი ტურიზმის გამო მალე გადავიდა პალმის ფოთლებით დახურული ქოხებიდან ფეშენებელურ ევროპულ ვილებზე.

„სიყვარულის არქიპელაგს“ უწოდებენ ახლაც სეიშელს. იგრძნობა მონური ფსიქოლოგია, რაც ფრანგმა და ინგლისელმა პლანტატორებმა შემოიტანეს. ბოლო დრომდე საერთოდ არ იყო ქორწინება. შვილები დედებს ეკუთვნოდა.

მადაგასკარი. პაწაწინა ქურდბაცაცები.

ძალიან ლამაზები არიან გოგონები. ბრინჯაოსავით ჩამოსხმული ტანი და მოქნილობა.

მშიერი არავინ დარჩება იმდენი ქოქოსი და ბანანია ირგვლივ. ამიტომ მუშაობა მაინდამაინც არ უყვართ. თევზჭერა და ქოქოსია მთავარი მეურნეობაში.

აქ არის მფრინავი მელიებიც კი.

და პალმის წვენი „პალმის ღვინო“ – ტოდი. ერთი პალმიდან დღეში შეიძლება ათ ლიტრამდე წვენი მიიღო.

დიდ პატივს სცემენ სახალხო მედიცინას. როცა სტეპან მალიშევმა ზღარბს ფეხი დააბიჯა და ძლივს ამოვათრიე ნაპირზე. ვერც ჩვენმა ექიმმა და ვერც ადგილობრივმა ეკლები ვერ ამოაცალა. მზარეულს შევჩივლე კაცს ასე დაემართა მეთქი. წამოვიდა და ეკლები ამოაცალა პაპაის ნაყენით და ცეცხლით.

ზვიგენზე ნადირობენ.

ტელევიზია არ არის. რადიო არ მუშაობს. კინო არ არის სპეციალურად. არის ზღვის პარაშუტი.

აქირავებენ ტურისტებისათვის პატარა ინგლისურ მანქანებს.

მანქანა მოვიდა. აეროპორტში წაგვიყვანს. იძულებული ვარ დღიურის წერა შევწყვიტო.

„ციცინათელა“ ეკვატორის მიღმა

ხომ ასე დაპატარავდა ჩვენი პლანეტა, ინფორმაციისა და გადაადგილების სასწაულებრივმა საშუალებებმა ხომ სამუგუზლო მეზობლებად გვიქცია შორეული ქვეყნები, მაინც ცოტა რამ ვიცით ერთმანეთის შესახებ. საენციკლოპედიო სტატიებსა და დიპლომატიურ ცირკულარებში უმთავრესად ციფრებზეა ლაპარაკი, ადამიანთა სულიერი წონასწორობა, ცხოვრების წესი, ინტერესთა ცვალებადი კალეიდოსკოპი კი, რატომღაც, საყოველთაო ინფორმაციის მიღმა რჩება. ამას მკითხველთა და მსმენელთა ფართო ფენების შესახებ მოგახსენებთ. თქვენ წარმოიდგინეთ, ცივილიზაციისგან არც თუ შორს მდგომ ქვეყნებშიც კი მიწევდა პასუხის გაცემა ამგვარ შეკითხვებზე:

„მართალია თუ არა, რომ თქვენს ქვეყანაში განქორწინება აკრძალულია და ცოლის ღალატისთვის ქმარს ციხეში სვამენ?“

„მართალია თუ არა, რომ თქვენთან ერთი ქალაქიდან მეორეში წასასვლელად მილიციის ნებართვაა საჭირო?“

„მართალია თუ არა, რომ საბჭოთა კავშირის ტელევიზია მხოლოდ ჰიმნს და შრომის მხიარულ სიმღერებს გადასცემს?“

უბრალო მოქალაქისგან რა გამიკვირდება, როცა ერთგან ისეთმა მაღალინფორმირებულმა პიროვნებამ, როგორიც მწერალი გახლავთ, სერიოზულად მკითხა:

„მითხარი ერთი თუ კაცი ხარ, თქვენთან მართლა მხოლოდ იმ წიგნებს ბეჭდავენ, რომლებშიც მთავრობის წევრთა საქმიანობაა შექებული?“

მადაგასკარზე, ანტანანარივუში სასტუმრო „კოლბერის“ წინ მდგარს, მეტი რომ არა ვთქვა – შავტუხა მალაგასიელი მომიახლოვდა, თეთრი კბილები გამიელვა და დალეწილი ინგლისურით მკითხა:

„ყური მოვკარი ჩერნობილის ავარიის დროს რამდენიმე კაცმა უარი თქვა საშიში ზონიდან გასახლებაზე, რათა სახელმწიფოსთვის ევაკუაციის ხარჯები დაეზოგაო, მართალია?“

ავუხსენი, რომ, მართალია, საბჭოთა კავშირში მომჭირნე

და გაბედული ადამიანები ცხოვრობენ, მაგრამ არც ისე მომჭირნე და გაბედული გახლავან, რომ ეკონომიური მოსაზრებით ასეთი სულელური გადაწყვეტილება მიეღოთ-მეთქი.

ბუნებრივია, ამგვარი შეკითხვების მოსმენის შემდეგ არავითარ პრეტენზიას არ ვაცხადებდით იმაზე, რომ აფრიკის შორეული ქვეყნის და ინდოეთის ოკეანეში მიმოფანტული კუნძულების მცხოვრებთ „ვეფხისტყაოსანი“ წაკითხული ჰქონოდათ ან დავით გურამიშვილზე რაიმე სმენოდათ. ქვეყნებს, რომლებზეც ქვემოთ მოგახსენებთ, დელიკატური მოსაზრებით განვითარებად ქვეყნებს უწოდებენ. ვინც ამ მოფერებით სახელს არქმევს, მან მშვენივრად იცის, რომ განვითარება და სრულყოფა შეიძლება რამდენიმე საუკუნეს გაგრძელდეს, მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რა ტემპით და საით მიდის ეს განვითარება.

ჯერ საქმეზე მოგახსენებთ, რომ ამ დღიურის ავტორი ვასკო დე გამას კვალზე შემდგარ მოხალისე გეოგრაფად, ან უარესი – მარტოხელა გეოლოგ-დეტექტივად არავინ ჩამთვალოს:

ამასწინათ საბჭოთა კავშირიდან გაფრინდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თხუთმეტკაციანი დელეგაცია საქართველოს კულტურის მინისტრის ვალერი ასათიანის მეთაურობით. დელეგაციამ შემოიარა სამი სახელმწიფო – მადაგასკარი, მავრიკია, სეიშელის კუნძულები და ჩვენი და უცხოური ოფიციალური პრესის დასტურით აღვნიშნავ, რომ გააკეთა მნიშვნელოვანი ინტერნაციონალურ-კულტურული საქმეები. ამ სახელმწიფოთა მეთაურებისა და კულტურის მინისტრის ხელმოწერით გაფორმდა მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის მრავალწლიანი ხელშეკრულებები. ჩატარდა საინტერესო შეხვედრები, პრესკონფერენციები. გაზეთებში დაიბეჭდა და ტელევიზიით გადაიცა ინტერვიუები ჩვენი ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა პრობლემის შემცველი ფართჶ ინფორმაციით. ერთი სიტყვით, დელეგაციას, ამ

ბოლო დროს მოდაში შემოსული გამოთქმა რომ ვიხმარო – აფრიკაში სადაგი დღეები ედგა. ყოველდღიურად ორი-სამი ღონისძიების გამართვა მაინც გვიწევდა. ვისაც ჩემი ორიოდე სტრიქონი მაინც წაუკითხავს, ალბათ, პირმოთნეობაში არ ჩამომართმევს, თუ ხაზგასმით აღვნიშნავ დელეგაციის თავის – ვალერი ასათიანის განსაკუთრებულ დამსახურებას – ყველა რანგის შეხედრებსა თუ დისკუსიებზე გამოსვლების მაღალ კულტურას და პოლიტიკურ სიტუაციებში ორიენტირების შესაშურ უნარს. ზოგან ისეთ ქვეყანასა თუ ქალაქში გალხდით (განსაკუთრებით სეიშელის კუნძულებზე), სადაც კულტურული მისიის საბჭოთა დელეგაციას მანამდე ფეხი არ დაედგა და საერთოდაც საბჭოთა მოქალაქეს პირველად ხედავდნენ, ამიტომაც თავს არ ვზოგავდით, რათა დაინტერესებულ დამხვდურთათვის წარმოდგენა შეგვექმნა ჩვენი ცხოვრების წესზე, კულტურული ცხოვრების სიახლეებზე, მწერლობის პათოსსა და იმ ჰუმანისტურ ტენდენციებზე ჩვენი ლიტერატორის საბრძოლო პროგრამას რომ შეადგენს. იქ ყოფნის მთელი კვირების განმავლობაში პრესა ფართოდ აშუქებდა საბჭოთა დელეგაციის საქმიანობას და ბოლოს ისე გავეჩვიეთ, უხალისოდ გადავდებდით ხოლმე გაზეთს, თუ მასში დელეგაციის ხელმძღვანელის, ან რომელიმე რიგითი წევრის ფოტოსურათი მაინც არ იყო დაბეჭდილი.

მადაგასკარი, მავრიკია და სეიშელის კუნძულები რომ შორზე შორს „ქვეყნის დასალიერში“ მდებარეობენ, იმასაც კი მოეხსენება, ვინც საშუალო სკოლაში გეოგრაფიას სამადლო სამიანზე ძლივს სწავლობდა. კუნძულების ეგზოტიკაზე, მოქმედ ვულკან ცარატანინაზე, გიგანტურ კუზე, ქამელეონზე, ულამაზეს მაიმუნებზე – ლემურებზე (თუ კი შეიძლება მაიმუნზე საერთოდ „ლამაზი“ ითქვას) და მახრჩობელა გველებზე მე არას მოგახსენებთ, ეს საკითხები მოგზაურთა კლუბის ტელეგადაცემების მესვეურთათვის დამითმია. საგაზეთო სტატიის მოცულობით შეზღუდული, მოკლედ გავიხსენებ იმას, რაც განსაკუთრებით დამამახსოვრდა.

მთელს მადაგასკარზე ღია წითელი მიწაა, ამიტომაც მას მოგზაურები „წითელ კუნძულსაც“ უწოდებდნენ. მოსახლეობის უმეტესობას მალაგასიელები, ინდოელები, არაბები და ზანგები შეადგენენ. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მადაგასკარზე ფრანგები გადმოსხდნენ და მომცრო ტანის, ადვილადმიმნდობ და სტუმართმოყვარე მალაგასიელებს „გაიძვერა მოყვრის“ პოლიტიკით ევროპულ ცივილიზაციასთან ზიარება დაუწყეს. ხოლო 1885 წელს კი იმერინის მონარქების ლამის მარიონეტული ხელისუფლებაც გააუქმეს და მადაგასკარი საფრანგეთის კოლონიად გამოაცხადეს. „განსწავლის“ არასრული საუკუნე საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მალაგასიელს თავისი ენა, ეთნიკური სახე დაეკარგა და გადაგვარების ოკეანეში ღრმად შეცურებულიყო. 1960 წლიდან მადაგასკარი დამოუკიდებელი რესპუბლიკაა და ენერგიულად ცდილობს თავისი ეროვნული სახე დაიბრუნოს. მაგრამ კოსმოპოლიტური გაქანების ცივილიზებული დინების ეროვნულ ღარზე მიშვება ძალიან უჭირს. მწერლების ოთხმოცდაათი პროცენტი წიგნებს ფრანგულად წერს, მალაგასიურ ენაზე მოქმედი სკოლები ძლივს ფეთქავენ, რადგანაც ევროპულ კულტურაში ფეხშედგმული მშობლები ამჯობინებენ შვილები ფრანგულ სკოლაში მიაბარონ. ტელევიზია უმეტესწილად ფრანგულ გადაცემებს გვთავაზობს, მუსიკალური მალაგასიელნი თავიანთ მშობლიურ ენაზე მხოლოდ მღერიან და ცეკვავენ უძველეს მალაგასიურ ცეკვებს. ამათაც მხოლოდ ეროვნულ ანსამბლთა წევრებიღა ახერხებენ. დისკოტეკათა შუქ-ჩრდილებში ლამის მთელ მსოფლიოში ერთი და იგივე ჰანგები ისმის და ნიველირების სულისშემძვრელი ბარაბნის ხმა ზედ გულის კოვზზე უბრაგუნებს როკვის ექსტაზში შესულ ჩვენს დაბნეულ თანამედროვეს.

მაგადასკარზე ცხოვრების დონე, ეკონომიკური და ინტელექტუალური განზომილებით თუ ვიმსჯელებთ, დაბალია, სამაგიეროდ ქურდობა და ბანდიტიზმი მაღალ დონეზე დგას. ანტანანარივუს ცნობილ გამოფენა-ბაზრობაზე წამდაუწუმ

გეჩხირებათ თვალში „პოლიცია! პოლიციას!“ ძახილით ყელგამშრალი მოქალაქე, რომელსაც ესესაა ჯიბეები დაუსუფთავეს. „რომ შეგხვდეს, სახეზე თუ იცნობო“ ეკითხებოდა პოლიციელი გაქურდულ აყლაყუდა ფინელ ტურისტს. ირგვლივ მყოფნი სიცილით იჭაჭებოდნენ, ხოლო ფინელი დაბნეული შესცქეროდა თავის მხსნელს“, რომელიც ქურდის აღმოჩენის ისეთ საეჭვო გზას სთავაზობდა, როგორიც გახლავთ ასიათასიან ბაზარში კაცის ამოცნობა, მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ზანგები ერთმანეთს ბიძაშვილმამიდაშვილებივით ჰგვანან.

გამოვუტყდები მკითხველს, რომ მე, საქართველოს პატრონს, მთები და მათი მწვანე სამოსელი აღარ მაოცებს. საზღვარგარეთ უფრო ადამიანთა ყოფა-ცხოვრების, მათი სულიერი წყობის გაცნობის წყურვილი მაქვს, და, მგონი, ეს სრულიად ბუნებრივი უნდა იყოს ჩემი პროფესიის კაცისათვის. უცხოეთში კი ლამის ყველაგან ერთნაირად ხდება: შენს ირგვლივ მოფუსფუსე გიდები და სხვა სამსახურის წარმომადგენლები სიამოვნებით გიჩვენებენ ბუნების საოცრებებს – ვულკანურ ტბებს და ჩანჩქერებს, სასაფლაოს აკლდამებს და მუზეუმთა გაქვავებულ ექსპონატებს, მაგრამ როგორც კი თანამედროვე კაცის სახლში, ან სულში შეხედვის სურვილს გაამჟღავნებ, მაშინვე სრულიად უსაფუძვლო შიში და ზრუნვა ჩაუდგებათ თვალებში და ყოვლის ღონისძიებით ცდილობენ ხელი შეგიშალონ.

ქალაქ ანცირაბეში რომ მივემგზავრებოდით, გზის ორივე მხარეს ალიზით შელესილი წოწოლა ქოხმახები ჩანდა. ერთი სული მქონდა, გამეგო, როგორია ჩვეულებრივი მადაგასკარელი გლეხის სახლის ინტერიერი. გიდს რამდენჯერმე ჩამოვუგდე სიტყვა ამის შესახებ, მაგრამ უარი განმიცხადა; მალაგასიელს არ უყვარს, როცა მის სახლში უცხოელი შეიხედავსო, ეშინია თვალი არ ეცესო. მე, რასაკვირველია, არ დამაკმაყოფილა ამ ზრდილობიანმა უარმა, უკან დაბრუნებისას ვისარგებლე ჩვენ პრესატაშის არსენ განიევის

კლეთილგანწყობით, რომელმაც სიამოვნებით დამითმო ახალთახალი „ტოიოტას“ საჭე და ჩვენი დელეგაციის ფეშენებელური ავტობუსი თვალს რომ მიეფარა, მანქანა ერთ-ერთ მადაგასკარულ „ვილასთან“ დავამუხრუჭე. ფეხმძიმე ქალი და მზისქუდიანი, მაღალძარღვოსანი მალაგასიელი გამოგვეგებნენ. დედას ქვედატანზე შემოხვეულ გაურკვეველი ფერის ქსოვილზე ოთხი თვალმაყვალა ბალღი ეპორწიალებოდა. როცა არსენმა ჩვენი სურვილი აუწყა მასპინძლებს, უნდა გენახათ, ცოლ-ქმრის სიხარულისგან გაბადრული სახეები. სახლის დათვალიერების თხოვნაზე სიამოვნებით დაგვეთანხმნენ. მალაგასიელის ტიპიური ალიზით შელესილი სახლი მაღალი იმიტომ ჩანდა, რომ ორსართულიანი ყოფილა. იგი ორი ვიწრო ოთახისაგან შედგება. ზედა და ქვედა ოთახები ფარღალალა ფიცრებითაა გაყოფილი. „ზემოთ ბავშვებს სძინავთ, ქვემოთ ჩვენო“, გამოგვიცხადა ოჯახის უფროსმა, მაგრამ მე ვერც „ზემოთ და ვერც ქვემოთ“ ვერ აღმოვაჩინე ისეთი რამ, რაზეც შეიძლებოდა ბავშვებს, ან მათს მშობლებს სძინებოდათ. ოთახებში არ იდგა არც საწოლი, არც სკამი, არც მაგიდა. ფანჯრის რაფაზე რამდენიმე თიხის ჯამი იდო. ეგ იყო სულ მალაგასიელის ავლა-დიდება. ასე რომ, ვერაფერი აღმოვაჩინე იმ სახლში ისეთი, რასაც შეიძლებოდა „თვალი სცემოდა“. მალაგასიელთ იატაკზე სძინავთ, იატაკზევე (ხის ჯამებით მუხლებზე) სადილობენ და საერთოდ სახლში ძალიან ცოტა ხანს ჩერდებიან. რაკი წლის განმავლობაში აქ ერთი და იგივე ტემპერატურაა, ფანჯრებს მინას არ უკეთებენ, დიდი და პატარა უმეტეს დროს მინდვრად, ბრინჯის და ყავის პლანტაციებში ატარებს.

მსოფლიოს ხალხებს მიცვალებულის გაპატიოსნების სხვადასხვა წესი აქვთ, მაგრამ მალაგასიური მათ შორის, რბილად რომ ვთქვა, ფრიად ორიგინალურია. წითელი კუნძულის მცხოვრებნი ფლობენ მკვდრის დაბალზამების უძველეს ხალხურ ხელოვნებას. მართალია, ეს წესი ბევრად უფრო პრიმიტიულია, ვიდრე დაბალზამების ფარაონთა ეგვიპტის

მეთოდები და თანამედროვე სამედიცინო დაბალზამებისაგანაც შორს დგას, მაგრამ მალაგასიელნი ერთგულად მისდევენ ტრადიციას და მიცვალებულს გარდაცვალების დღიდანვე ბალზამის ემბაზში ატარებენ. დაკრძალვის ცერემონიალი საგვარეულო აკლდამაში შესვენებით (კინაღამ წამომცდა შეტანით-მეთქი, რაც ალბათ უხერხული იქნებოდა მსოფლიოს ყველა პატიოსანი მკვდრის მისამართით) გვირგვინდება. აკლდამა ორი მეტრის სიმაღლის ოვალური ნაგებობაა, რომელშიც გამძლე ხის თაროებზე განისვენებენ ჯვალოს სუდარაში გახვეული სხვადასხვა ასაკის მუმიები. წელიწადში ერთხელ აკლდამას გახსნიან და მიცვალებულის ნეშთს სახლისკენ მოასვენებენ. „მკვდრის დღეს“ ჭირისუფლებს ცრემლის გადმოგდება ეკრძალებათ. მუმიას ცეკვა-სიმღერითა და დაფაზურნით გარს უვლიან. საღამოსკენ ახალ სუდარაში გამოაწყობენ და ისევ აკლდამის გზას გაუყენებენ. ასე „მონაწილეობს“ მიცვალებული მალაგასიელის ცხოვრებაში და შორეული კუნძულის მცხოვრებთ ღრმად სჯერათ, რომ მიცვალებულის მიწაში ჩაფლვა და ჭია-ღუის შესაჭმელად მისი გაწირვა უდიდესი ცოდვაა, რადგანაც ბიოლოგიური გარდასახვა (სული შორდება სხეულს) ადამიანის საბოლოოდ წასვლას როდი ნიშნავს, სული ყველაფერს გრძნობს და ხედავსო.

რაკი სიტყვას მოჰყვა, აქვე აღვნიშნავ, რომ მადაგასკარზე ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ ორმოცდარვა წელია. „სიცოცხლეში“, რასაკვირველია, აკლდამის გარეთ არსებობას ვგულისხმობთ.

მადაგასკარი მეცხოველეობის ქვეყანაა და ყოველ კუთხეში შეხვდებით გასაყიდად გამოტანილ სისხლშეუმშრალ ხორცს. ამ ქვეყანაში მაცივარს მაინცდამაინც პატივს არ სცემენ და დიდ ქალაქებშიც კი სარეალიზაციოდ (საიდან გაჩნდა ეს არაბუნებრივი სიტყვა ჩემს ლექსიკონში?) ახალ ხორცს იყენებენ.

ახალ ხორცზე გამახსენდა: მადაგასკარზე ბუზი იშვიათობას წარმოადგენს. ბუზის ნახვა მომენატრა-მეთქი ვერ

გეტყვით, მაგრამ ხორცის ბაზარს რომ ვათვალიერებდი, გიდს ვკითხე, რატომ არ ჩანს ხორცის განუყრელი თანამგზავრი-მეთქი. ბუზი მადაგასკარის მზის მაღალ რადიაციას ვერ უძლებსო, სამაგიეროდ ღმერთმა ისეთი საშინელი „მხეცი“ მოგვიმრავლა, როგორიც მალარიის კოღო გახლავთო. მალარიის კოღოსა და მზის რადიაციის ურთიერთდამოკიდებულებაზე აღარაფერი მიკითხავს. რაღაცას ჩემითაც ხომ უნდა მივმხვდარიყავი.

ოთხ ივნისს დელეგაცია მავრიკიას გაემგზავრა.

მავრიკია მადაგასკართან შედარებით პატარა სახელმწიფოა, ერთი მილიონი მცხოვრებით. მოსახლეობის უმეტესობას ინდოელები და კრეოლები შეადგენენ. მავრიკიაში რკინიგზა არ არის. სახელმწიფოს ოფიციალურად ერთი გემი და სამად სამი თვითმფრინავი აქვს. ქვეყნის შემოსავლის ძირითადი წყაროა შაქრის ლერწამი და ტურიზმი.

საინტერესოა ის გარემოება, რომ მავრიკიელნი სასმელად, ძირითადად, წვიმის წყალს ხმარობენ. ნალექები აქ, ღვთის შეწევნით, უხვად მოდის და წვიმის წყალს უზარმაზარ რეზერვუარებში აგროვებენ.

დედაქალაქ პორტ ლუისში ჩვენი იქ ყოფნის დროს პარლამენტმა მიიღო კანონი: – ნარკოტიკის მიღებისათვის გაუფრთხილებლად ათი წელი ციხე, ხოლო ნარკოტიკების გავრცელებისათვის დახვრეტა. კუნძულის მოსახლეობა, როგორც გვაცნობეს, კმაყოფილებით შეხვდა ამ ღონისძიებას, რადგანაც ნარკომანიამ ინდოელთა და მავრიკიელთა ამ პატარა სახელმწიფოში ბოლო წლებში არნახული გაქანება ჰპოვა.

მავრიკიას ჯარი არა ჰყავს. მშვიდობიანი ნეიტრალური სახელმწიფოა და დედამიწის პოლიტიკურ ვნებათაღელვებში აქტიურად არ მონაწილეობს.

მეხსიერებაში სამუდამოდ ჩამებეჭდა მავრიკიის ჩვეულებრივი პეიზაჟი: წითელყვავილოვანი ზღაპრული ხეები, კაშკაშა მზე და შაქრის ლერწმის ყანებში მოულოდნელად ცისკენ ავარდნილი, თვალშეუდგამი შავი კლდეები. მწვანე

წალკოტიდან ამოშვერილ ამ გიგანტურ კლდეებზე ბალახის ნატამალიც არ ჩანს. ვულკანური წარმოშობისაა, გამყოლმა. იქნებ მართლაც ასეა.

მავრიკიაში სუფთა ჰაერი და სიმშვიდეა. ხელისუფალნი ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ზღვა და ატმოსფერო არ გაჭუჭყიანდეს და სახელმწიფომ ტურისტული მაზანდა არ დაკარგოს. ამიტომაც ლამის შეგნებულად ამბობენ უარს მრეწველობის მასშტაბურ განვითარებაზე. მძიმე და შავი მეტალურგია საერთოდ არა აქვთ. ელექტროენერგიის ძირითადი წყარო თბოელექტროსადგურებია.

აქ სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები საერთოდ არ არის. ყოველ ფეხის ნაბიჯზეა ზღვისპირა სასტუმროები, სადაც ნომრის დაქირავება ტელეფონითაც შეიძლება. ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში რომ სანატორიუმის, ან დასასვენებელი სახლის საგზურის მრისხანე თარიღს უნდა შეუფარდო შენი ცხოვრება (და თუ დაგაგვიანდა შენს ადგილას რომ სხვას მიიღებენ და შენ უბოდიშოდ უკან გამოგისტუმრებენ) აქ ასე არ არის. სასტუმროს კოტეჯებში დასვენების მაღალ პირობებს გიქმნიან და თავაზიანი მენეჯერები თვალებში შეგყურებენ, რათა სხვა დროსაც მათს უწყებაში დაიდო ბინა.

მავრიკია განთქმულია მდიდარი ზოოპარკებითა და აკვარიუმებით. საგულისხმოა ზოოპარკთა მოწყობის წესი. რკინის გალიები აქ მხოლოდ ზოგიერთი სახის ფრინველებისთვის აქვთ. ცხოველები და მათ შორის ისეთი მარდნიც კი, როგორიც აფრიკული ზებრა და ჟირაფი გახლავთ, დამთვალიერებელთაგან წყლის არხებით არიან გამოყოფილნი. კუნძულებზე ზოოპარკის ბინადართა ცხოვრება ბუნებრივობის ილუზიასაც ჰქმნის და ჰიგიენური თვალსაზრისითაც უფრო მოსახერხებელიაო, აგვიხსნეს.

მავრიკიელ მწერლებთან შეხვედრაზე დრამატურგ აზის ასგალს ვკითხე: მავრიკიაში დრამატული თეატრი რომ არ არის, თქვენი პიესები სად იდგმება-მეთქი.

ორმოცდაათამდე პიესის ავტორი ვარ, აქედან მხოლოდ ორია დადგემული, ისიც საზღვარგარეთო. მავრიკიის ეროვნული თეატრი დიდხანს სულს ღაფავდა, ამ თხუთმეტი წლის წინათ შესწყვიტა არსებობაო. მიზეზი ვკითხე.

დამსვენებელს ქუდი რომ შეუგდო, ეროვნულ დრამატულ თეატრში არ შევა, ჩვენი პრობლემები მათ არ აინტერესებთ. არ ვიცი თქვენთან როგორ არის, მაგრამ აქ ტელევიზორისაგან მაყურებლის მოგლეჯა უძნელესი საქმეაო.

საერთოდ მწერალი თუ უყვართ-მეთქი მავრიკიაში. მწერალი კი უნდა უყვარდეთ, მაგრამ წიგნებს არ ყიდულობენო. თვით ყველაზე ცნობილ ადგილობრივ მწერალთა წიგნების ტირაჟი ასეულობით განისაზღვრება და ისინიც წლების განმავლობაში დევს მაღაზიათა თაროებზეო, მითხრა მშვენიერმა მავრიკიელმა პოეტმა ქალმა ჰავალდარ საკუნდალამ.

რვა ივნისს მავრიკიის ხელისუფალთ პატივი დაგვდეს და დელეგაციის ყველა წევრი მავრიკიის ხალხთა მეგობრობის ორდენით დაგვაჯილდოვეს.

მავრიკიიდან გამომგზავრების წინა საღამოს ჩვენი ფეშენებლური სასტუმროს ბაღში რომ ვისხედით და ერთმანეთს დღის შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით, უეცრად დაფდაფების ხმა გაისმა და თითქოს მიწიდან ამოიზარდნენო, სიმღერითა და როკვით ბაღში შემოვიდნენ კრეოლები. როგორც შემდეგ გამოირკვა, ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლი სასტუმროს პატრონს ჩვენი დელეგაციის პატივსაცემად მოეწვია. კონცერტი საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. ანსამბლი ინსტრუმენტთა სირთულით და მრავალფეროვნებით როდი გამოირჩეოდა; ზოგს დაირა ეჭირა ხელში, ზოგი რკინის ორ ნაჭერს ერთმანეთს უკაკუნებდა, მაგრამ ისე ბრწყინვალედ პლასტიკური იყო ყოველი მათგანის მოძრაობა, ისე ძალუმად ფეთქავდა მათს რიტმულ როკვაში სასიცოცხლო ძარღვი და იმდენად ემოციური გახლდათ ბრინჯაოსფერ კრეოლთა ზეიმი, რომ საბოლოოდ ვირწმუნეთ ყველამ, რა განუმეორებელი და მშვენიერია ის, რაც ეროვნულია, რაც უცხოს

მიერ ძნელად ისწავლება და რაც ძეხორციელის გენებში საუკუნეთა წიაღიდან ფეთქავს.

სახელმწიფოთა ამ სამეულში ყველაზე უფრო ეგზოტიკური სეიშელის კუნძულები აღმოჩნდა.

წარმოიდგინეთ, ერთმანეთისგან ორასი-სამასი მეტრით დაშორებული ასერთი პატარა კუნძული ლაჟვარდოვან ინდოეთის ოკეანეში. თითოეულ მწვანე წალკოტს ირგვლივ უზარმაზარი გრანიტის ქვები აკრავს. ზოგი ქვა ჩვენებურ ოდას აღემატება. ქვებს შორის პალმის ფოთლებით დახურული აბორიგენთა ქოხები და პეიზაჟთან განსაცვიფრებლად შეხამებული, ასევე პალმით დახურული, კომფორტაბელური სასტუმროები მოჩანს. ესაა სეიშელი.

ათი წელი არც კია, რაც სეიშელი ინგლის-საფრანგეთის მეურვეობისაგან განთავისუფლდა და დამოუკიდებლობა მიიღო.

ევროპულ-ამერიკული კაპიტალი ათეული წლების განმავლობაში ცდილობდა ქვეყანაში ბუნებრივი ეროვნული განვითარება შეეჩერებინა და სეიშელი მსოფლიოსათვის თავისებურ ნაკრძალად შეენახა.

ასე გასინჯეთ, სეიშელზე ბოლო წლებამდე საშუალო სკოლებიც კი არ იყო. შენდებოდა გიგანტური სასტუმროები და ადგილობრივ მოსახლეობაში წლების განმავლობაში ყალიბდებოდა ჩამოსული კაცის გამრთობისა და სასტუმროს მოსამსახურე პირის ფსიქოლოგია.

სეიშელზე დასვენება ახლაც საკმაოდ ძვირი ღირს.

წლების განმავლობაში სხვებთან ერთად აქეთ მოეშურებიან ევროპელი და ამერიკელი ხანშიშესული მილიონერი არისტოკრატი ქალები და ახალგაზრდა ალფონს ბიჭუნებზე ნადირობენ. ასევე მცირე გასამრჯელოს ფასად უმშვენიერესი კრეოლი გოგონები ადვილად უცვივიან ხელში სექსუალურ ეგზოტიკას დახარბებულ ტურისტებს.

ყოველ სასტუმროსთან, ყოველ მოსახვევში დგანან ნახევარზე უფრო მეტად შიშველი გოგონები და გამვლელ-გამოვლელთ ხელის ქნევით თუ თეთრი კბილების გაელვებით ეროტიკულ სამსახურს სთავაზობენ.

სეიშელმა ზამთარ-ზაფხული არ იცის. აქ ყოველთვის ერთნაირად ცხელა. ტანსაცმელი, ჩვენი წარმოდგენით, აქ თითქმის არ არსებობს. ადგილობრივ მცხოვრებთა უმეტესობას მხოლოდ პერანგის ამხანაგი აცვია, წელს ზემოთ ტიტველია და ფეხშიშველი. ბუნებაში გათქვეფის და ადგილობრივ ტალავართან შეხამების სურვილითაა გამოწვეული, ალბათ, ის მოდაც, სეიშელის თეთრქვიშიან პლაჟებზე რომ არსებობს; მზეს მიფიცხებული მანდილოსნები მხოლოდ საბანაო კოსტიუმების ქვედა ნაწილით არიან შემოსილნი.

სეიშელზე ადგილობრივ კრეოლთა და აბორიგენთა ცხოვრების წესში ორი ათეული წელიც კი არ იქნება, რაც ქორწინება გაჩნდა. მანამდე შვილები მხოლოდ დედას ეკუთვნოდა: გაგიკვირდებათ, მაგრამ ოფიციალურად გვაუწყეს, რომ სეიშელზე ამჟამად დაბადებულ ბავშვთა 75% უკანონოა. ე. ი. არარეგისტრირებული ქორწინების შედეგადაა გაჩენილი. ამ ქვეყანაში ქორწინებაზე და გათხოვებაზე ჩვენგან რამდენადმე განსხვავებული წარმოდგენები აქვთ. უბავშვო პატარძალი იშვიათია. თუ ქალს ორი ბავშვი მაინც არ ჰყავს, მასზე მამაკაცები ხალისით არ ქორწინდებიან. ადვილად თხოვდებიან სამ და მეტშვილიანი ქალები და მით უმეტეს, თუ ერთი შვილი მაინც თეთრკანიანი მამისგან ჰყავთ გაჩენილი.

სასტუმროებში მომსახურება იდეალურის დონეს უახლოვდება. რესტორნებში, ზოგი სხვა ქვეყნისგან განსხვავებით, არსად არ ღრიალებენ ორკესტრები. რესტორნის კუთხეში ზის კრეოლი გიტარით ხელში და ხმადაბლა მღერის მშვენიერსა და ნაღვლიან კრეოლურ სიმღერას. ყოველ რესტორანში ანანასი, ბანანი, მანგო, ფორთოხალი, მანდარინი, პაპაი, ქოქოსი და სხვა ხილი ცალკე უზარმაზარ მაგიდაზეა გაწყობილი და შვედური მაგიდის პრინციპით ნაწილდება სტუმრებზე. ეს იმას ნიშნავს, რომ შეგიძლია მიირთვა რამდენიც გაგეხარდება.

სეიშელზე, ლამის, პირველყოფილი ხელშეუხებლობითაა შენარჩუნებული ბუნება. ერთმანეთში არეულ-გადახლართულია ადგილობრივი მცენარეების გარდა, მეზღვაურთა მიერ ნებით თუ უნებლიეთ ჩამოტანილი და თესლიდან აღმოცენებული გიგანტური მიმოზები, საქვოიები, ბაობაბები, კაუჩუკის ხეები და სხვა. აქვე გვიჩვენეს განსაკუთრებული ჯიშის პალმა, რომელსაც გაკაწრული მერქნიდან სისხლივით წითელი სითხე სდის. ჯუნგლებში, უკეთეს შემთხვევაში, ყოველ წუთს შეიძლება ზურგზე დაგახტეს მაიმუნი და მისი ოჯახის გაკულტურებული ორფეხა წევრის მხრებით გასეირნება მოისურვოს. ასეთ შემთხვევაში, გიდები გაფრთხილებენ; გარეგნულად არაფერი შეიმჩნიო და ხმამაღლა პროტესტიც არ განაცხადო, თორემ შეიძლება შენს შორეულ წინაპართან შეხვედრა უსიამოვნოდ დასრულდეს. გაურჩებულ „რიქშას“ მაიმუნი მაშინვე დასაპუტად წაეტანება, თითქოს აქ არაფერიო, მშვიდად უნდა განაგრძო გზა მანამ, სანამ მაიმუნს არ მოსწყინდები და ტოტზე არ გადაინაცვლებს. ამ შემთხვევაში სიმშვიდის შენარჩუნება რომ ძნელია, იქედან ვიცი, რომ თვითონ მომიწია მაიმუნის ზურგით ტარებამ და ჩემი დაუპატიჟებელი სტუმარი ისე გამითამამდა, ყურში თითებს მიღიტინებდა და, მგონი, ერთიორჯერ ცხვირიც მომისინჯა (ძვრება თუ არაო).

„სიყვარულის არქიპელაგის“ (ასე შეარქვეს სეიშელს ევროპელებმა) უნიკალურ მცენარეთა რიცხვში, უპირველესად, სეიშელის ქოქოსს ასახელებენ. აქაურები მას „ორმაგ პალმას“ ეძახიან, ხოლო ინდოელებმა ზღვის პალმა შეარქვეს, რადგანაც ინდოეთის ნაპირებზე ოკეანე გამორიყავდა ხოლმე სეიშელის ქოქოსის ნაყოფს. ორმაგი პალმა მხოლოდ სეიშელზე ხარობს, მისი ნაყოფი უჩვეულოა და, ერთი შეხედვით, ღიმილსაც კი იწვევს, რადგანაც ადამიანის უხერხულად სათქმელ ანატომიურ ნაწილებს წააგავს. წონითაც საკმაოდ მძიმეა, თხუთმეტ კილოგრამამდე აღწევს, სეიშელის პალმა რვაასი წელი ცოცხლობს. ოცდამეათე წელს მსხმოიარობს, ხოლო ნაყოფის დამწიფებას ექვსი-რვა წელი სჭირდება.

ნახევრადველურ კუნძულთა ხელშეუხებელ ფაუნას თავისი სიმწარენიც ახლავს. სეიშელთან ინდოეთის ოკეანეში ბანაობა დასაშვებია მხოლოდ სპეციალურად გაწმენდილ პლაჟებზე, რომელსაც ფხიზლად დარაჯობს პლიაჟის მოვლის სამსახური. საქმე იმაშია, რომ სეიშელის ექვსასმილიონწლიან გრანიტის ქვებქვეშ უხვად ბინადრობენ ზღვის საშიში გველები – მორენები და ოკეანეში უხვადაა შხამიანი ზღვის ზღარბები. ნებადაურთველ ადგილას ბანაობის მსხვერპლი ჩვენი დელეგაციის წევრი, ცნობილი რუსი მხატვარი სტეფანე მალიშევი გახდა სეიშელზე ჩასვლის მეორე დღესვე. როგორც ჩანს, ფეოდოსიაში გაზრდილმა შავი ზღვის პირმშომ ყურად არ იღო გაფრთხილება და ბანაობისას ფეხი ზღვის ზღარბს დააბიჯა. ღრიალი რომ მომესმა, ჩავირბინე, წყალში გადავხტი და გულშეღონებული მალიშევი ნაპირზე გამოვათრიე. მარჯვენა ფეხისგულზე უთვალავი შავი მახათი ერჭო. გავვარდი სასტუმროს ექიმთან, სამწუხაროდ, ადგილზე არ აღმოჩნდა. უკან რომ გამოვრბოდი, თეთრხალათიან მზარეულს, რომელიც ქოქოსს ნაჯახით ხლეჩდა, შევჩივლე, ჩვენს ამხანაგს ასე დაემართა-მეთქი. ნაჯახი გააგდო, იქვე პაპაის ხეს შეახტა, რამდენიმე ნაყოფი მოგლიჯა და გამომიდგა. მალიშევს ფეხი შესივებოდა და საბჭოურად, ვაჟკაცურად იტანდა ტკივილს. მზარეულმა მხატვრის ფეხისგულს ეკლების შეამსხვრია, პაპაის ნაყოფი შუაზე გადატეხა და წაუსვა. მერე ირგვლივ შემოჯარულთ გვიბრძანა, მალიშევი გაგვეკავებინა, გაიქცა, აჩირაღდნებული კვარით ხელში დაბრუნდა და სტეფანეს მოშხამული ფეხისგულის მოწვას შეუდგა. ახლა კი დათმო მხატვარმა დელეგაციის სერიოზული წევრის პოზიციები და ცივი ხმით აყვირდა, მაგრამ გვიან იყო. ღონივრად გვეჭირა. ფეხისგული კარგად რომ აშიშხინდა და დამწვრის სუნი დატრიალდა, თვითნასწავლმა ექიმ-მზარეულმა ერთხელ კიდევ წაუსვა პაპაის ნაყოფი, ფეხი შეუხვია და ურჩია, დილამდე არ გაევლო. მეორე დღეს, საღ-სალამათი მალიშევი სეიშელის დედაქალაქის – ვიქტორიას სკოლა-ინტერნატის

ბავშვებს მხატვრობის ღია გაკვეთილს უტარებდა და გუშინდელი გოლგოთის საათი აღარც ახსოვდა.

სეიშელის საოცრებათა რიცხვს განეკუთვნება, აგრეთვე, გიგანტური კუ. ერთგან ორას სამოცდათხუთმეტი წლის კუს გვერდით სურათიც კი გადავიღე. სეიშელის უხუცესი ბინადარი, რომელსაც, ვინ იცის, იქნებ ამ ნაპირებზე გადმოსხმული პირველ მეკობრეთა ნავებიც ახსოვს, ფოტოგრაფირების ნებართვის თხოვნით არ შემიწუხებია. კვირაში ერთხელ იკვებება, დღეღამის უმეტეს ნაწილს გაუნძრევლად ატარებს, თავს არავის უყადრებსო, გიდმა. ბაკანზე როიალი რომ დაადო, არც გადმოაგდებს და არც შეღონდება. ატარებს ასე, უთქმელად, თავის დარჩენილ ას წელიწადს. არა, ძმაო, არც ასე დაყუდებულად ყოფნა მინდა და არც ამგვარი სამასი წლის სიცოცხლე.

...და მაინც ყველაზე მეტად რა დამამახსოვრდა? მადაგასკარზე ინტერნაციონალური შეხვედრისას ხუთასკაციან დარბაზში ზანგმა გოგონებმა და ბიჭუნებმა „ციცინათელა“ რომ იმღერეს. სიტყვების მნიშვნელობა არც კი იცოდნენ, კითხვითა და ნდობით აღსავსე თვალებით შემოგვცქეროდნენ, სქელ ტუჩებს ბროწეულის მსგავსად აღებდნენ და მღეროდნენ ცრემლიან ქართულ ჰანგს, მათთან კეთილი ნების მისიის სტუმრად მყოფი ორი ქართველის პატივსაცემად.

ახლაც ყურში ჩამესმის მეგობრობისა და სიყვარულის სითბოთი სავსე, ასე შორს დარხეული ჩვენი „ციცინათელა“.

თურქეთი – იორდანია – სირია – 1988

23 სექტემბერი

მოსკოვიდან დილის ათ საათზე გამოვფრინდით. ორსაათნახევარში ანკარაში ვართ. ერთ საათს მოგვიწია აეროპორტის დაკეტილ დარბაზში ყურყუტმა და ნახევარსაათიანი ფრენის შემდეგ სტამბულში ჩავფრინდით.

ჭუჭყიანი, ხმაურიანი სტამბული. ქალაქი – ბაზარი. ნამდვილი აზია, რომელიც ძალად გაევროპელებულის შთაბეჭდილებას სტოვებს. სასტუმრო „ბილგინი“. ჭუჭყიანი, ვიწრო ნომრები. ჩემთან ოთახში მირონ იოსებოვიჩია. მოსკოველი ებრაელი. ცოლი ქართველი ჰყოლია. იცინის, პირველი შემთხვევაა – ურიას ქართველი ცოლი რომ ჰყავსო.

საღამოს ზღვის პირას რესტორან „იულდუზლარში“ გვავახშმეს. ჩვეულებრივი ხმაურიანი რესტორანია. ორკესტრი ნერვების მომშლელად ჩხაოდა. დარბაზი ხალხით სავსეა. საოცარია – მარტო ჩემზე მოქმედებს ხმაური ასე საძაგლად?

ქორწილია თურქების. ულამაზო პატარძალი არ არსებობს. ეს პატარძალიც ძალიან ლამაზია.

ცეკვავენ, მხიარულობენ. საერთო ზეიმს ისინიც შეუერთდნენ, ვისაც ქორწილთან საერთო არა აქვს რა. ჩვენი მაგიდის გვერდით, კუთხეში ჩუმად სხედან ასე ოცდაათიოდე წლის კაცი და ქალიშვილი.

თურქები ქართველებს ძალიან ჰგვანან, მაგრამ ის კაცი რატომღაც ქართველად მივიჩნიე. საერთო მხიარულებაში არ მონაწილეობდნენ. ჩუმად თავისთვის სხედან. ასე, საათნახევრის მერე ჩავუარე. გურჯი? ვკითხე. ნაღვლიანად ამომხედა, იმ კაცის ამოხედვით, ძალიან დიდი იმედი რომ არა აქვს შემკითხავისა – კიო.

ამაზე ნოველას დავწერ. დიახ, კი გიდმა მითხრა თურქეთში მხოლოდ თურქები ცხოვრობენო. მართლაც პასპორტში თურქეთში მცხოვრებს ყველას უწერია „თურქი“. ეროვნება „თურქი“ და კიდევ – „მუსულმან“ ან „არამუსულმანი“. მუსულმანები ერთად არიან, ლამის ერთ ეროვნებას შეადგენენ.

24 სექტემბერი

დილით კატერზე დაგვსვეს და ბოსფორის სრუტეში გაგვიყვანეს. ულამაზესი სანახაობაა. კონსტანტინოპოლი (სტამბული) გაშენებულია ბოსფორის სრუტის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე. საოცარი განსხვავებაა მდიდრებსა და ე. წ. „ღარიბ“ უბნებს შორის. ჩვენ რომ ღარიბებს ვეძახით, ყველას თავისი ვილა აქვს. მაღაზიები პირთამდე სავსეა. რა ახალი ხორცი, რა თევზი, რა ხილი დაწყებული ანანას-ბანანით გათავებული ატამ-არაქისით. ჩვენ რა ჯანდაბა დაგვემართა? მაღაზიებში კაცისშვილი არ შედის. ნუთუ ოხრდება ის თევზი, ხილეული და მერე უნდა გადაყარონ? თურქეთი თუ გადაგვასწრებდა, ვერ წარმოვიდგენდი.

უწარსულო და უკულტურო ხალხმა პირდაპირ აუწყო ფეხი ინგლისურ-ამერიკულ ცივილიზაციას. მუსულმანობა ძლიერი რელიგიაა. იქ ვერ შეაღწია ურბანიზმმა.

ნაშუადღევს თურქეთის ბაზარს გვასტუმრეს. ცნობილი გადახურული „ჩარჩი-ბაზარი“ ოქრო-ვერცხლის ბრწყინვალება. აფიორაა ყოველ ფეხის ნაბიჯზე. მირონ იოსებოვიჩი (ებრაელი) და მე (წმინდა ქართველი) ისე გაგვაცურა პატარა თურქის ბიჭმა რომ სიცილით ერთმანეთს ვაწყდებოდით. შევიძინეთ წინდები თითო დოლარად და გახარებული ვართ. ჯერ ბიჭმა ხუთი დოლარი დაგვიფასა. მე არასოდეს შევდივარ ვაჭართან ურთიერთობაში, არც ვაჭრობა შემიძლია და არც ყიდვა-გაყიდვა, მაგრამ მირონმა გაუბა საუბარი და გახარებულმა დამიძახა: 5 დოლარიანი წინდა ერთ დოლარზე ჩამოვაყვანინეო. გავხსენით და ყველა დახეული (წუნი) აღმოჩნდა.

25 სექტემბერი

დილიდან მეჩეთებს ვათვალიერებთ. ჯამე (ე. წ. კათედრალი) სტამბულში რამდენიმეა. განსაკუთრებით გრანდიოზულია „არა კოფია“ (კონსტანტინოპოლის ტაძარი), რომელსაც ახლა სტამბულის დიდი მეჩეთი ჰქვია. გულსაკლავად უგემოვნოდ გადაუკეთებიათ ეს ანტიკურ-ბიზანტიური ტაძარი მუსულმანებს მეჩეთად. ამ ბოლო დროს წითლად შეუღებავთ და მთლად დაუმახინჯებიათ. შედარებით უფრო ლამაზია „აია სოფიას“ წინ მდებარე ცისფერი მეჩეთი.

ვიყავით კონსტანტინოპოლის უძველეს ანტიკურ წყალსაცავში (მიწისქვეშაა), ზღაპრულ სანახაობას წარმოადგენს და სტამბულის დიდ მუზეუმში. სელჯუკთა იმპერიის ძეგლნივთებს სასოებით ინახავენ, ბიზანტიურ-ბერძნული კი თითქმის არა აქვთ გამოფენილი იმის დასტურად, რომ ეს ყველაფერი მათია. ისინი არიან ისტორიის ბატონ-პატრონნი დღეს აქ და როგორც სურთ, ისე იქცევიან.

26 სექტემბერი

სულთანთა სასახლე დავათვალიერეთ.

ცხოვრობდნენ ბრწყინვალედ.

აურაცხელი სიმდიდრეა.

სამზარეულო. ნუგბარ-ნექტართა დასამზადებელი ოთახები.

ჰარამხანა.

ჰარამხანიდან საჭურისთა მიერ სულთანთან ცოლების მისაყვანი საიდუმლო დერეფანი და საწოლის კარები.

-ახლა თუ არის მეთქი თურქეთში მრავალცოლიანობა, გიდს ვკითხე.

ალეპო

კანონით აკრძალულია, მაგრამ არაოფიციალურად თითქმის ყველა თურქს ორი სამი ცოლი ჰყავსო.

ისლამი საროსკიპოსაც კრძალავს, მაგრამ არაოფიციალურად ბევრი საროსკიპოა სტამბულში. ქალი რაც უფრო თეთრია და მსუქანი, მით უფრო ძვირი ღირსო.

რა სიამოვნებით, სიამაყით გვიჩვენებენ ნაძარცვ ქონებას. თურქეთს ხომ არ შეუქმნია ეს ზურმუხტ-ოქრო-მარგალიტით მოსავადებულ-მოოჭვილი სურები, თასები, ყელსაბამები, პატარა სკულპტურები. ყველაფერი მიტაცებული აქვთ.

რომიდან აპოლონის უზარმაზარი ქანდაკებაც წამოუღიათ თავისი პიედესტალით. კარგად ვერ დაუდგამთ, წაქცეულა და დამსხვრეულა.

საღამოს სტამბულის დიდ რესტორანში ვარიეტე-ვახშამი გვქონდა. სხვათა შორის სამი ბიჭი ვირტუოზულად ცეკვავდა. დოლით, უდოლოდ, ხორუმს, ფერხულს, მთიულურს, აჭარულს. ძმები არიან გურჯებიო, რესტორნის მენეჯერმა. ვერ მოვახერხე ადგომა და მისვლა.

27 სექტემბერი

დილით ცოტა გავისეირნეთ სტამბულში და შუადღისას ამანისკენ ავიღეთ კურსი. იორდანიის დედაქალაქში „აირ-ფრანსის“ სააგენტოს თვითმფრინავით, ძველი ბოინგით მივფრინავთ.

დილიდანვე თავს ცუდად ვგრძნობ.

გული დამძიმებული მაქვს.

ორი ვალიდოლი ერთად ჩავიდე პირში, ისეთი გრძნობა მაქვს, სადაცაა წავიქცევი.

საღამოს ამანში ჩამოვფრინდით.

28 სექტემბერი

მილიონნახევრიანი, კოხტა, სუფთა ქალაქი ამან – იორდანიის სამეფოს დედაქალაქი.

ღამე მკვდარივით მეძინა.

დილით იორდანიის მეცნიერებათა აკადემიას ვეწვიეთ.

აკადემიის ვიცე პრეზიდენტმა გვიამბო ქვეყნის მეცნიერული საქმიანობის შესახებ.

გვითხრა, რომ ჩვენთან მეცნიერი ცალკე და ცხოვრებამრეწველობა ცალკე არ არსებობს.

იორდანელი მეცნიერი ამავე დროს საქმოსანია. აქვს თავისი ქარხანა, ან ფერმა. თავის მიღწევებს იგი ჯერ თავისავე საწარმოში ნერგავს და იქვე ატარებს ექსპერიმენტებს.

იორდანიის 80 პროცენტი უდაბნოა. ამიტომ მეცნიერები მუშაობენ იმაზე, თუ როგორ აქციონ უდაბნო სასარგებლოდ. პირველ რიგში ის გაკეთდა, რომ მზის ენერგიას ვიყენებთ. გარდა ამისა ქვიშა ვაქციეთ სამშენებლო მასალად, კარგი ბლოკები კეთდებაო.

დიდ ყურადღებას ვაქცევთო, აგრეთვე, ეკოლოგიის საკითხებს.

მერე ვნახეთ ფილმი.

იორდანია თურქეთისგან განსხვავდება. ღია, თავისუფალი ქვეყანაა. თურქეთში არ შეიძლება თუნდაც უბრალო სამკერდე ნიშნის ჩუქება უცხოელისგან. იქ არავის შეგვახვედრეს, აქ კი უმაღლეს დონეზე მიგვიღეს.

ვცხოვრობთ ფეშენებელურ სასტუმრო „კომანდორში". მასპინძლები თავს დაგვტრიალებენ.

ყველაზე იაფი იორდანიაში ასფალტი ღირსო აკადემიის ვიცე პრეზიდენტმა, ამიტომ თუ შეამჩნევთ, ჩვენთან თითქმის ყველა უმნიშვნელო გზაც კი ასფალტირებულიაო.

მერე ვეწვიეთ უნივერსიტეტს. ფასიანია. ტაშით შეგვხვდნენ. დაგვათვალიერებინეს აუდიტორიები და უნივერსიტეტის მუზეუმები. უნივერსიტეტში ბრწყინვალე მუზეუმებია.

აკადემიაში ვნახეთ მზის ენერგიის სადგური, რომელიც ათბობს წყალს.

1962 წლიდან გაიხსნა ერთი ფაკულტეტი – ჰუმანიტარული. მხოლოდ 8 ლექტორი ჰყავდათ. ახლა 14 ფაკულტეტია. 15 ათასი სტუდენტია.

სკოლას 12 წელიწადში ამთავრებს ყმაწვილი და 100 ქულიანი სისტემით აბარებს სახელმწიფო გამოცდებს. იმ გამოცდების მიხედვით ხდება უნივერსიტეტში ჩარიცხვა. აქ არ არის არავითარი მისაღები გამოცდები. ატესტატების კონკურსია. ისე ზოგჯერ მომავალ მასწავლებლებს და ექიმებს გავესაუბრებით მათი ფიზიკური მდგომარეობის შესასწავლადო.

უნივერსიტეტში სწავლა 4-დან 7-წლამდე გრძელდება. შეგიძლია დაამთავრო 4-ში ან 3,5 წელიწადში. 7 წლის მერე თუ ვერ დაამთავრა საგნების ჩაბარება, ეძლევა „მოსმენის" საბუთი. იმუშავებს დამხმარე სპეციალისტად, მაგრამ წამყვან სპეციალისტად ვერა.

პროფესორი ხელფასს ათასს ექვსას დოლარს იღებს.

საღამოს შეხვედრა მქონდა იორდანიის ცენტრალური გაზეთის „დუსტურ" („კონსტიტუციის") რედაქციაში. მთავარმა რედაქტორმა ბევრი რამ გვითხრა საინტერესო. თქვენაო, ყოველგვარი საშუალება გაქვთ, რომ კარგად ცხოვრობდეთ, მაგრამ თავი არა გაქვთო. ავღანისტანის საკითხში არ გეთანხმებითო, არც კამპუჩიის დაპყრობაში ხართ მართლებიო.

ილჰამ ბეი და სულეიმან ბეი ლაპარაკობენ მთელი თურქული სამყაროს სახელით. აზერბაიჯანი კინაღამ სამყაროს ჭიპად გამოაცხადეს.

29 სექტემბერი

მივდივართ მკვდარ ზღვაზე საბანაოდ.

400 მეტრი ზღვაზე დაბლა. გიდი გვიყვება, სამწუხაროდ 1% მუშახელი იორდანიაში ქალებიაო.

ბედუინთა კარვები.

მდინარე იორდანე.

ბიბლიური ადგილები.

გზა უდაბნოში გადის.

ცუდად ახსენებენ იზრაილს, რომელმაც გაამწარა პალესტინაო.

ამანთან მთელი კოლონიაა პალესტინიდან გამოქცეულთა.

ავტობუსში ვწერ.

პალესტინის საზღვარი.

იერიოქონი.

საღამოს მეგობრობის საზოგადოებაში შევხვდი მწერალ ვალიდა მუსტაფას. 1986 წელს მერე ხუსეინმა (4 ცოლი გამოიცვალა, ბოლოს სტიუარდესა შეირთო) გააუქმა მწერალთა კავშირი. ლიტ. გაზეთი არ გამოდის. პარასკევობით სამი მთავარი გაზეთი აძლევს ლიტერატურულ-კულტურულ დამატებას – „დუსტურ".

მკვდარი ზღვა სოდომ-გომორის ადგილას გააჩინა ღმერ-

თმა (ბიბლია). არ მეგონა თუ არსებობდა წყალი, სადაც ჩაყვინთვა და ცურვა არამც და არამც არ შეიძლება. შეგიძლია დაწვე და გაზეთი იკითხო. ისეთი მარილიანია, გეგონება საპონი გაქვსო წასმული. შეიძლება ლამის ფეხით გაიარო წყალზე (ბიბლია). გაღმა ისრაელი ჩანს. იქვე ზღვიდან ამოსულები თბილ თერმულ მტკნარ წყალში ჩავხტით. ვისაც ზღვის წყალი თვალში ან ტუჩზე მოხვდა „ვაი დედა“ აძახებინა.

საღამოს ტანია გავიცანით. არაბი ბიზნესმენის მე-15 ცოლი ვარო. თბილისელია.

ნასადილევს დავბრუნდით მკვდარი ზღვიდან და დედაქალაქის ამანის დათვალიერებას შევუდექით.

დიდებულია ძველი ამანი, დიდი ტაძრის ნანგრევები და ამფითეატრი ექვსიათასი მაყურებლისთვისაა.

30 სექტემბერი

დილიდანვე მადების, პეტრის და აკაბისკენ მივდივართ.

წითელ ზღვაში უნდა ვიბანაოთ.

ცუდ ხასიათზე დამაყენა ორი სულელი პროფესორი ქალის – ალას და ანას გამოსვლამ.

იორდანიას ასწავლიდნენ როგორ უნდა იცხოვრონ, რათა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადავიდნენ. საოცარია, ამ სოციალიზმმა ჩვენ დაგვამათხოვრა და ახლა სხვებს ვთავაზობთ.

მადებასთან მოსეს მთაზე შევჩერდით. აქედან გადახედა ბიბლიურმა მოსემ იორდანიის ნაპირებს. იქ, იორდანიის გაღმა უკვე მოჩანდა აღთქმული ქვეყანა. ისრაელს, გუშინ კილომეტრზე დავუახლოვდით, ხოლო იერუსალიმამდე 40 კმ იყო დარჩენილი.

მოსეს მთაზე მეოთხე საუკუნის ქრისტიანული მონასტრის ნანგრევებია ზღაპრული მოზაიკით.

გზის ორივე მხარეს უდაბნოა. არსად ხის ჭაჭანება. მაინც ყველანაირი ხილია მაღაზიებში. რა პატარაა მსოფლიო. ცივილიზებული ქვეყნები ყოველდღე ერთმანეთს აწვდიან თავიანთ ნაწარმს, მარტო ჩვენი „დიადი ქვეყანაა“ ყველაფრისთვის დაკეტილი.

მთავარი სასწაული, თურმე წინ გველოდა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეექვსე საუკუნეში კლდეში გამოკვეთილი ციხე-ქალაქი პეტრა („წითელი ქვა“). სასწაულია!

უდაბნო გათავდა და ჩვენს წინაშე გიგანტური ქვის მთები აღიმართა. მივუახლოვდით ქვის მთებს. ბედუინთა ცხენები დავიქირავეთ (მანქანა დღემდე ვერ შედის) და გავემართეთ ვარძიის მსგავსი ქვის ქალაქისკენ. კილომეტრამდე გავიარეთ კლდეთა ვიწრო დერეფანში. თვალშეუდგამი კლდეების ძირში მიკარგული საცხენოსნო გზა გაილია და ჩვენს წინ უეცრად გადაიშალა უზარმაზარი კლდეთა ქალაქი. ცენტრში დიდებული თაღოვანი ტაძარი რომაული სვეტებითა და სვეტისთავებით – „ეს რომის იმპერიის ნახელავია მეთქი“, ვთქვი, სანამ გიდი ახსნას დაიწყებდა. არაო, ეს იორდანელთა და იემენელ ლტოლვილთა ქალაქია დაწყებული მეექვსე საუკუნეში ჩვენს ერამდე. ხოლო რომაელებმა მეორე საუკუნეში დაიპყრესო. იქნებ მართლაც ასეა, მაგრამ ხომ არ არის ეს სხვისი კულტურის გათავისების ცნობილი ეშმაკური ხერხი ჩვენი „აფხაზებისა“ არ იყოს? მომთაბარე აბაზგებმა თავის თავს აფხაზები რომ უწოდეს და ბედიის ქრისტიანული ტაძარი და ბიჭვინთის მონასტერი თავისად რომ გამოაცხადეს?

რა ახლოსა ვარ აქედან პალესტინის ქართველთა ჯვრის მონასტერთან, ვინ გაგიშვებს, თორემ როგორ მინდა ნახვა, რომ იცოდეს ვინმემ.

პეტრას მსგავსი საოცრება მე არ მინახავს. წარმოიდგინეთ კლდეში გამოკვეთილი ათასი სასახლე. გამოქვაბული კი არა, სასახლე თაღებით, სვეტებით, ჩუქურთმებით, საყდრებით, ქალაქის ცენტრში უზარმაზარი ამფითეატრით. პირდაღე-

ბული, მონუსხული შევსცქეროდი ამ საოცრებას. უკანაც ცხენებითვე დავბრუნდით. ღმერთო, რა სილამაზეა, განძის მაძიებელთა კოვბოური ფილმების პერსონაჟი მეგონა თავი.

ვაგრძელებთ გზას საკურორტო ქალაქ აქაბასაკენ. საღამოს 7 საათზე ჩამოვედით და სასტუმრო „ალ კაზარში“ დავბინავდით. ძალიან ცხელა. სუნთქვა ჭირს.

1 ოქტომბერი

ქალაქ აქაბაში გავათიეთ წუხელის. ძალიან ცხელოდა. დილით პლაჟს მივაშურეთ. პირველად ვიბანავე წითელ ზღვაში. წყალი საოცრად სუფთაა მიუხედავად იმისა რომ პლაჟი ნავსადგურის გვერდითაა. მერე მინისძირიანი კატერით ზღვაში გაგვიყვანეს და თევზები და ზღვის ფსკერი დაგვათვალიერებინეს. ულამაზესი სანახაობაა. ისევ ზღვაში ვართ, ნასადილევს გავუყვებით ისევ ამანის გზას. ხვალ სირიაში მივდივართ.

გვიან საღამოს დავბრუნდით ამანში. შინ მიგვიწვია ჩერქეზმა მილიონერმა. ნახევარმილიონამდე ჩერქეზი ცხოვრობსო ამანში. მეფე ხუსეინს ძალიან ვუყვარვართ, იმიტომ რომ მისი ძიძა-გამზრდელი ჩერქეზი იყოო. მოხუცია ქართველს ჰგავს.

ღამის 12 საათზე მილიონერის სუფრიდან თბილისელმა ქალმა ტანიამ მომიტაცა. იგი ქმრითურთ მოვიდა და ღამის 3 საათამდე თავის ნოსტალგიაზე მელაპარაკა. მართლაც რომ საცოდავია ქართველი, ვერა და ვერ ძლებს სხვაგან. სამი შვილი მყავს, მაგრამ ხანდახან ისეთი გრძნობა მაქვს, სამივეს დავტოვებ და გამოვიქცევიო.

2 ოქტომბერი

გავედით სასტუმროდან ავტობუსით. ტანიამ და მისმა

ქმარმა გამოგვაცილეს. შევჩერდით იორდანიის ქალაქ ჯერაშში. რომაული ქალაქის ნანგრევები, ამფითეატრი, ტაძრები, ჰიპოდრომი, სასახლეები. განსაცვიფრებელი რომაული ხელწერა არქიტექტურის. სად არ იყო რომის იმპერია, რა კულტურას მიაღწია და გაქრა. როგორ მეშინია ისტორიის ამ ჩარხის მუხანათური ბრუნვის. საქართველოსაც ხომ არ ემუქრება გაქრობის აჩრდილი. რა ვიცი, იღბალია თუ სასწაული საქართველოს მახსოვრობაში საბერძნეთის იმპერია აყვავდა და დაეცა, რომის იმპერია აყვავდა და დაეცა, არაბეთის იმპერია აყვავდა და დაეცა, ბიზანტიის იმპერია აყვავდა და დაეცა, თურქ-სელჯუკთა იმპერია აყვავდა და დაეცა. საქართველო კი, ეს პატარა ნავი ისტორიის ოკეანეში, ისევ ტივტივებს და მიცურავს. ეტყობა, ბედნიერ ვარსკვლავზე ვართ გაჩენილი.

შევედით სირიაში.

ვნახეთ „ბოსრა“ მსოფლიოში ყველაზე დიდი ამფითიატრი.

დამასკო ღამით ძალიან ჰგავს სტამბულს. დიდი ქუჩყიანი ქალაქია, სავსე ტურისტებით. სასტუმრო „შამპალსში“ დაგვაბინავეს. ისევ ორადგილიანები, ოღონდ უარესი ნომრები, ვიდრე ამანში იყო. დავრეკე ლევან საღარაძესთან. ქალიშვილმა ლიზამ – თვენახევრით ბელგიაში წავიდაო.

3 ოქტომბერი

დილით ფეხი მტკიოდა და სასტუმროდან არ გავსულვარ.

ბრწყინვალე მომსახურებაა. ჯერ დილით გირეკავენ და დილა მშვიდობისას გისურვებენ, მერე, რაკი ვიწექი, შვიდჯერ შემოიხედეს სასტუმროს შემკრთალმა თანამშრომლებმა, ხომ არაფერი გჭირდებათო.

მოვიდა ლევან საღარაძის ქალიშვილი – ლიზა თავისი ბიჭით. მაღალი ლამაზი ბიჭი ჰყოლია. ძალიან შეწუხდნენ, რომ

ლევანი სირიაში არ ბრძანდება. შინ მიმიპატიჟეს. ახლა ქუსლი მტკივა და სხვა დროს გეახლებით მეთქი.

ექვს საათზე კულტურის ცენტრში შეხვედრა გვქონდა. არაბებმა ბევრი რამ იციან ჩვენს შესახებ. განსაკუთრებით აინტერესებდათ, გრომიკოს გამოგდება პოლიტბიუროდან. უამრავი შეკითხვა მომცეს. ბევრი ვიცინე. იუმორის გრძნობა ჰქონიათ.

დავიღალე.

4 ოქტომბერი

გავემგზავრეთ დამასკოდან ქალაქ პალმირაში. პალმირა უძველესი ქალაქია. შერეულიაო, გიდი ამბობს, რომაული და არაბული კულტურა, მაგრამ არაფერი შერეული არ არის, სუფთა რომაული ქალაქის ნანგრევებია.

გრანდიოზული, გაშლილი, ნამდვილი ქალაქი. ირგვლივ თვალშეუვლები უდაბნოა. მთელი გზა უდაბნოში ვიარეთ. რა უნდოდათ, რამ ააშენებინათ ასე ბრწყინვალე ქალაქი რომაელებს ასე შორს, უდაბნოში. რა ჟინმა მოიყვანათ აქ, ან როგორ ცხოვრობდნენ ამ ქარ-სიცხეში?

მერე დავათვალიერეთ წყალქვეშა გოგირდოვანი მდინარე. უდაბნოს ფსკერზე განსაცვიფრებელი, ლურჯი გოგირდოვანი მდინარე გადის.

ვნახეთ რომაულ-არამეული სასაფლაო. კოშკი მაღალი, სვანურივით, ოთხივე მხარეს კუბოების შესადგამი. მკვდარს მიწა არ ეყრებოდა.

მერე დავათვალიერეთ ასევე უძველესი ქალაქი ხომსი. იქაც ნანგრევები და მეჩეთები. საღამოს დავბრუნდით დამასკოში.

ჩემი მირონ ურია, როგორც მოველოდი, ჭირვეული, წვრილმანი კაცია. წუხელის შუაღამისას ოთხჯერ გამორთო კონდიციონერი, ვცივდებიო. თუ ცივდები, თბილად ჩაიცვი, შე ოჯახაშენებულო, მე ვუთხარი. არაო, ლოგინში თბილად

ჩაცმა არ შეიძლებაო. ვიფიქრე, ერთს გავულაწუნებ ყბაში და ამით მოვრჩები ამასთან ურთიერთობას მეთქი, მაგრამ არ გამოვა გავილანძღები.

5 ოქტომბერი

დილით დამასკოს „მცხეთას“, დამასკოდან ოცი კილომეტრით მოშორებულ ქალაქ სიდნაიას ვესტუმრეთ. დამასკო მსოფლიოში ყველაზე ძველი ქალაქია, მაგრამ სიდნაიაში ადამიანის არსებობის კვალი მილიონ წელს ითვლის. რა ძველია მაინც არაბულ-ებრაული სამყარო. მიდიხარ ქუჩაში და ფიქრობ: ამათ შექმნეს სწორუპოვარი არაბული პოეზია, ვარსკვლავთმრიცხველობა, ალქიმია.

ალეპო

სიდნაიას გასწრივ ჩინურ კედელივით გაგრძელებულა უზარმაზარი კლდე. ზედ ქალაქის თავზე ქვის ტალღა აღმართულა. გეგონებათ გადარეული ზღვა სწორედ აქ გაქვავებულაო. კლდეებში პირველყოფილ ადამიანთა გამოქვაბულებია და თანდათანობითი გაკულტურების ნათელი კვალი. ქვის უდაბნო აღმართულია ირგვლივ, რამ მოიყვანა, ღმერთო, აქ ადამიანი!

დავათვალიერეთ სიდნაიას ქალთა მონასტერი. იღუმენიამ თავის საკანში შეგვიყვანა და ტკბილად გვესაუბრა. მონაზვნად ამ ბოლო დროს ბევრი მოდის, მაგრამ ადგილი არა გვაქვსო. შვიდი წელი უნდა გაიაროს გამოსაცდელი ვადა. შვიდ წელიწადს ლურჯი კაბა აცვია, მერე კი მონაზვნის შავ კაბას ჩაიცვამს; შვიდი წლის განმავლობაში შეიძლება გადაიფიქროს და საერო ცხოვრებას დაუბრუნდეს, მერე კი არამც და არამც აღარ შეიძლებაო. ღმერთი, მაშინვე სიკვდილით დასჯისო.

მონაზონთა საკანშიც შევიხედეთ. გრძელ ტახტზე ორი „დაი“ ფეხშექცეულნი წვანან. „თუ არის მეთქი დაორსულების შემთხვევები“ გიდს გავეხუმრე, ამ მონასტერში არა, მაგრამ სხვაგან კიო.

განვაგრძეთ გზა. როგორც იქნა ოაზისს მივადექი. სასწაულია მწირ მიწაზე მოსავლის მოყვანა. არაბებს მაინც გაუხარებიათ ლეღვი, ფინიკის ხურმა, ბანანი, ბროწეული, ვაშლიც კი და ზეთისხილი. ხორბლის და სიმინდის მოყვანაზე ოცნებაც კი არ შეიძლება.

ლეღვის ბაღს შევესიეთ. გემრიელი ლეღვია. მარშრუტში შედის ეს „შესევა“, ფასი გადახდილია.

სირიაში 60% სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული. ჩვენთან მხოლოდ სამი.

ქალაქი მალულა. ეს ხომ ქართული სიტყვაა მეთქი. არაბულადო, გიდმა, „მალულა“ ნიშნავს მოპარვით, მალულად მქროლ ქარს, როცა არ იცი საიდან უბერავს და აგრეთვე ქარსმოფარებულ ადგილსო. მართლაც მალულა კლდეებშია მიკარგული. ესეც შენი „მალულა“. ეს მაინც მეგონა ქართული სიტყვა.

ნასადილევს დამასკოში ვიხეტიალეთ.

6 ოქტომბერი

რაც დამასკოში ვართ, ყოველდღე სასტუმროს სუფთა, კამკამა აუზში ვცურავდით. ამ დილით, როგორც კი დახედა არაბმა დარაჯმა ჩემს სავიზიტო ბარათს – შეშვებაზე უარი მითხრა – ნაბრძანები მაქვს საბჭოთა მოქალაქეები არ შეუშვაო. ვითომ რატომ მეთქი? თურმე, გუშინ, რომელიღაც ჩვენი ღორი აუზში დუშისმიუღებლად (შხაპი) ჩასულა. წყლის გაჭუჭყიანება კი მაშინვე ასახულა სისუფთავის ბარომეტრზე. აი, ასეთები ვართ ჩვენ.

გიდს ლევან საღარაძისთვის წამოღებული სიგარეტის კოლოფი ვაჩუქე და როგორც იქნა ცალკე ნომერი მომცა. წუხელის მარტო მეძინა. პირველად, ადამიანურად, ამ თოთხმეტი დღის მანძილზე.

ვიკითხე, არცერთი ქვეყნის ტურისტები არ არიან ორადგილიან ნომრებში ერთად. მარტო ჩვენ ვართ. ეს იმისთვის კეთდება, რომ ერთხელ კიდევ დაგვცინოს საბჭოთა მთავრობამ.

დავათვალიერეთ დამასკოს ისტორიული მუზეუმი. აქედან დაწყებულა ადამიანის არსებობა. 600 000 წლის წინათ მცხოვრები ადამიანის ნივთები გვიჩვენეს. საღამოს ჩემს ოთახში გამოსათხოვარი ვახშამი მოვაწყვეთ. ვითამადე. გავაგიჟე ყველანი. რა ლამაზი ლაპარაკი იციან ქართველებმაო, პირდაპირ წასვლა არ უნდოდათ. ყველამ ჩამოდგა შავი დღისთვის გადანახული თითო ბოთლი კონიაკი.

ცუდად მეძინა, როგორც ყოველთვის გაფრენის წინ.

7 ოქტომბერი

დილით აუზში ვიცურავე. შევიპარე. აქ ყველას არაბი ვგონივარ.

10-ის ნახევარზე აეროპორტში ვართ.
საბაჟო ცერემონიები.
ავფრინდით პირველ საათზე.
ამ სტრიქონებს კუნძულ კვიპროსზე ვწერ.
ახლა ავფრინდებით და პირს მოსკოვისაკენ ვიზამთ.
ოთხი საათია.
ჩამოვფრინდით მოსკოვში.

რვიდან ათ საათამდე გვაყურყუტეს აეროპორტში. საშინელი სანახავი იყო: კონვეიერს რომ მოჰყვებოდა დახსნილ-დადღლეზილი ჩემოდნები. ვინც გასაღებით დაკეტა სწორედ მისი ჩემოდანი დაამტვრიეს.

იმდენად დიდია სურვილი ამ ორი დღის წუთისოფელში ქვეყნის ნახვისა, რომ ცდუნებას ვერ ვძლევ ხოლმე, თორემ წესიერმა კაცმა, როგორ უნდა იკადრო ამ დამამცირებელ „კომპანიაში“ თავის გაყოფა. საბაჟოს ბიჭები, როგორც სპეკულანტს ისე გვიყურებენ და ვართ კიდეც. ცხრამეტკაციან ჯგუფში ჩემს გარდა ყველა რაღაცას ჩალიჩობდა.

ტაო-კლარჯეთი – 1998

20–25 აგვისტო

საქართველოს მოჭრილი ძუძუ

ათი წელია საქართველოდან ფეხი არ გამიდგამს.

ათმა მრისხანე წელმა ჩემი ცხოვრების წესიც შეცვალა და ეროვნულმა ბრძოლამ ჩემი არსება ისე მოიცვა, რომ თავს ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივცემდი ისეთი „ფუფუნების“ უფლებას, როგორიცაა საზღვარგარეთ წასვლა.

არც ახლა მქონდა დიდი სურვილი მოგზაურის ზურგჩანთის აკიდების, მაგრამ უარი ვერ ვუთხარი ჩემს უსაყვარლეს მეგობარს, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტს – ბატონ რევაზ ჩხეიძეს.

ცდუნება კი მართლაც დიდი იყო: სამი რამ მქონდა ოცნებად საზღვარგარეთ მოსახილველი: ტაო-კლარჯეთი, ფერეიდანი და ისრაელი. ყოველთა ქართველთა დელეგაციის წევრობა ამ ოცნებათაგან ერთ-ერთს მისრულებდა.

მიზანი – დავათვალიერო თურქეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიაზე მდებარე ტაო-კლარჯეთის ძეგლები.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ საქართველოს ე. წ. მენშევიკური ხელისუფლებისაგან განსხვავებით გამოვიჩინეთ ორჯონიკიძული კომუნისტური გულუხვობა და ახლახანს თურქეთს ხელი მოვუწერეთ, რომ მასთან ტერიტორიული პრეტენზიები აღარ გაგვაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენელი ნებისმიერ დონეზე თურქეთში გამოსვლისას არც კი ახსენებს საქართველოს მოჭრილ ძუძუს – ტაო-კლარჯეთს, ქვეყანამ იცის, რომ ლენინის გამცემლური ხელშეკრულების ძალით თურქეთის შემადგენლობაშია დღეს უძველესი ისტორიული საქართველო, კუთხე, სადაც ქრისტიანობის და ქართული ცივილიზაციის აკვანი დაირწა – ტაო-კლარჯეთი. თურქეთში დღეს რვა მილიონი ქართველი ცხოვრობს და ამ ქვეყნის ფარგლებში 200-მდე ქართული ისტორიული ძეგლი მოიძევება.

რა მეტაოკლარჯეთებოდა, როცა რაც ახლა გვაქვს, იმასაც გვართმევენ ჩვენი უილაჯობით და უნიათობით. აგერ, ა, გუშინ დავკარგეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო, ხოლო დღეს ჩვენი ბრძნული გადაწყვეტილებით მეორედ დავთმეთ გალი, როცა ოცდახუთმა სომეხმა რომ საქართველოს კუთვნილ ჯავახეთში, ახალქალაქში არ შეგვიშვა, ასევე ბრძნული ტაქტიკით მტერს ზურგი ვუჩვენეთ და სამარცხვინოდ გამოვბრუნდით. ამით საქართველოს ისტორიაში კიდევ ერთი სამარცხვინო ფურცელი ჩავწერეთ, ხოლო ქართველთა პატრიოტულ აღტკინებას ეს უკვე მერამდენედ ლახვარი ჩავეცით.

მაშ ასე, 20 აგვისტოს დილის 6.30-ზე გავდივართ თბილისიდან.

11 საათზე ახალციხის საბაჟოსთან ვართ. ზრდილობიანმა ქართველმა მებაჟეებმა სალმითა და პირზე კოცნით ათ წუთში მწვანე შუქი აგვინთეს, რუსებმა და თურქებმა კი სამი საათი გვაყურყუტეს მოსაწყენი, გამოგონილი საბაჟო პროცედურებით.

მე მგონია, ქართველი მებაჟეები აქ ისე, საოქმოდ დგანან (ჩვენ ხომ დამოუკიდებელ ქვეყანას გვათამაშებენ), სინამდვილეში კი მთავარი მებაჟეები რუსები და თურქები ყოფილან. კიდევ რუსი თუ იდგა ჩვენს საზღვარზე, არ მეგონა. ვინ ხართ-მეთქი, – ვკითხე რუს მებაჟეს – ესენგეს საზღვარს ვაკონტროლებთო. აგერ, თუ არა ვართ იმპერიის საზღვრებში, ძვირფასო ყოფილო პარლამენტარებო, ასე ერთხმად და ზეიმით რომ მიეცით ხმა საქართველოს შესვლას ესენგეში.

არსად მსოფლიოში არ მინახავს ასეთი აზიური სიბრიყვე, რაც ამ საბაჟოზე ხდება, შეიძლება მებაჟის საქმე 15 წუთში გაკეთდეს. დასავლეთში ასეც ხდება. შემოვა მებაჟე, გადასცემ სიას, შეამოწმებს პასპორტებს, მანქანა გაივლის რენტგენოხიდზე და თავისუფალი ხარ. აქ არა! სამი საათი უნდა გალოდინონ, დაგამცირონ. უნდა გაგათანაბრონ მარტოხელა კუსტარ-სპეკულიანტთან, გამოგძალონ სწორედ საბაჟოსათვის გადანახული ორიოდე გროში და სამი საათის მერე გაგიშვან.



ოშკი. მაყვალა გონაშვილი, რევაზ მიშველაძე

ასეთია მკაცრი აზიური (თურქულ-რუსული) საბაჟო სისტემა.

ოთხის ნახევარზე, როგორც იქნა, დავაღწიეთ თავი თურქულ-რუსულ საბაჟო-ფაცერს.

რომ არ დამავიწყდეს, აქვე ჩამოვთვლი ჩვენი დელეგაციის შემადგენლობას: რეზო ჩხეიძე (ხელმძღვანელი), არქიტექტორი არჩილ მინდიაშვილი (სამების ტაძრის პროექტის ავტორი), კინორეჟისორი დავით ურუშაძე, არქიტექტორი თემურ ბერიძე, ისტორიკოსი ქეთევან აბაშიძე, კინოოპერატორი თენგიზ მოდებაძე და მე.

გავიარეთ გიგანტური დერეფანი მაღალი მთებისა, ალპური საძოვრების უნაპირო ამფითეატრი და არტაანში ჩავედით.

ამ გზით გააქციეს გიორგი სააკაძე საქართველოდან. ძლივს ვიპოვეთ ბანა. ტაძრის მახლობლად თურქული სოფელი ფენეკია.

მძღოლებმა ხომ ვერ მიგვასწავლეს, ასეთი სახელი არ გაგვიგონიაო. ფენეკიდან სამას მეტრშია ბანა და ვერც ფენეკელებმა „გაიხსენეს“ ჩვენი ისტორიული ძეგლი. ბოლოს ერთი ჭარმაგი კაცი გამოჩნდა და სომხები ხართო? გვკითხა. არა, გურჯები ვართ და ქართულ მონასტერს ბანას, ვეძებთ – მეთქი. აქაო, ქართული მონასტერი საერთოდ არ გამიგონია, თქვენ, ალბათ, სომხურ საყდარს, ბანას, კითხულობთო.

სომხურსო! ვინ გითხრათ-მეთქი, რომ სომხურია. გაიცინა. შარშან სომეხი ტურისტები იყვნენ ჩამოსულნი და აქ მცხოვრებთ ფურცლები დაგვირიგეს, გთხოვთ, ჩვენს მონასტერს – ბანას მოუაროთო. თანაც ამ თხოვნას საჩუქრებიც მოაყოლესო. ასე „ერთგულად და თანმიმდევრულად“ ეპატრონებიან სომხები ტაო-კლარჯეთის კულტურას. ეს ახლა არ დაწყებულა. მსოფლიოს არაერთ სახელოვნებო ცნობარში ოშკი, ხახული, ბანა, იშხანი, ოპიზა, შატბერდი, ოთხთა ეკლესია... სომხური კულტურის ძეგლებადაა მონათლული. უნდა მოიცალონ ჩვენმა ხელოვნებისმცოდნეებმა, ერთხელ კიდევ შეადარონ VII-XII საუკუნეების ქართული და სომხური ხუროთმოძღვრების ძეგლები. საბუთებით უნდა დაამტკიცონ სომეხთა პრეტენზიების უსაფუძვლობა.



შატბერდი

ქართული ციხე. ოქროს კლდეები

ასე კითხვა-კითხვით (რაც ეჭვს ბადებს და ჩვენს გარშემო საიდუმლო სამსახურის მუშაკთა სკისებურ მოძრაობას თვალსაჩინოს ხდის) და უფრო ისტორიულ-გეოგრაფიული რუკების შემწეობით ვიკვალავთ გზას სხვა ძეგლებისაკენ.

საერთო, რაც ყველა უძვირფასეს ძეგლს სჭირს, ისაა, რომ თურქეთის ხელისუფლებას ერთი, თუნდაც უმნიშვნელო ნიუანსითაც კი არ უქცევია ქართველი ერის ღირსება-სიმდიდრე, გენიალური ტაძრები სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგნად. მოსახლეობას კი თვითნებურად უზრუნვია, მეჩეთად უქცევია, ზოგი კი, უბრალოდ, დაუნგრევია და ჩუქურთმოვანი ძვირფასი ქვებით მიწური სახლები აუშენებია. ვინ არიან ისინი? ვინ ცხოვრობს ქართული ისტორიული ძეგლების გარშემო? თურქი მოსახლეობა. ორმოციან-ორმოცდაათიან წლებში თურქეთის ეშმაკმა ხელისუფლებამ გაითვალისწინა ქართველთა მოსალოდნელი სურვილი ტაო-კლარჯეთის დაბრუნებისა (რისი სუნიც უკვე ტრიალებდა ჰაერში, სტალინის ბოლო საქციელს ეტყობოდა ეს) და ქართველები შუა თურქეთში გაასახლა.

მივდივართ კაპადოკიისკენ. ჩავუარეთ იულიუს კეისრის მიერ დაარსებულ ქალაქ კაისერს. ეს კაპადოკიის ძველი დედაქალაქია. სად წავიდნენ ქალაქის დამაარსებლები?

როცა თურქებმა დაიპყრეს კაპადოკია და ბერძნები განდევნეს, თურმე კარგა ხანს იძახდნენ დამარცხებული ბერძნები: არა უშავს, ჩვენ დიდი კუტურის ქვეყანა ვართ, მსოფლიო არ შეურიგდება ბერძენთა გენოციდს, მალე დავბრუნდებით ჩვენი ხელით აშენებულ კაპადოკიაშიო, მაგრამ მოტყუვდნენ. მსოფლიო გულგრილი აღმოჩნდა კაპადოკიის ტრაგედიის მიმართ. ამ ფაქტმა აფხაზეთ-სამაჩაბლოს ბედი გამახსენა და გული შემეკუმშა.

კონუსისებური კაპადოკია. მილიონი წლების განმავლობაში კირქვის ქანები რეცხა ქარმა და ქარაშოტმა, დარჩა ეკლესიებისხელა კონუსისებური, გიგანტური თეთრი ქვები. გამზადებულ-გადარჩენილი ნაგებობა, ბუნებრივი გუმბათით დამშვენებული. საჭიროა მიადგე იმ კონუსს და გამოკვეთო გინდა საყდრის ინტერიერი, გინდა საცხოვრებელი ბინა.

კაპადოკია



კაპადოკია. რ. ჩხეიძე, რ, მიშველაძე



კაპადოკიაში ერთმანეთს ერწყმიან პირველყოფილ ადამიანთა სადგომები, წარმართული სალოცავები და ქრისტიანული კულტურა.

რაც მომთაბარე თურქებმა კაპადოკიელ ქრისტიანებს შეუტიეს, საცოდავ შევიწროვებულ მორწმუნეთ მიწისქვეშა სამალავები უკეთებიათ, რამდენიმე ადგილას მთელი მიწისქვეშა ქალაქია გაშენებული.

კაპადოკიაში ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით გოგრის და ნესვის

ბაღებს. გადაყვითლებულია გოგრით და ნესვით იქაურობა. არავითარი ღობე, არავითარი დარაჯი. წარმოვიდგინე, ეს რომ თბილისთან ახლოს იყოს, ფოთოლს არ შეარჩენდნენ, ყუნწ-შივე მოიპარავდნენ ნაყოფს...

თურქეთის გზები ცალკე თემაა. ლამის მთელი თურქეთი მოვიარეთ და დაკერებული ასფალტი არ გვინახავს. სანი-მუშოდ მოვლილ-დახაზულ გზებზე საგზაო ფირნიშებია და ერთადერთი წარწერა: „იავაშ“ „ნელა“. გამახსენდა ჩვენს გზებზე სახიფათო მოსახვევთან წარწერები: „მძღოლო, წინ საშიში მოსახვევია!“, სანამ ამხელა წარწერას წაიკითხავდეს გაქანებული მანქანიდან წერა-კითხვას არც თუ დიდებულად დაუფლებული მძღოლი, ხომ ამოყო თავი ძირულას ცივ ტალ-ღებში. ნუთუ, არაა საკმარისი ერთი სიტყვა: „ფრთხილად“ ან „ნელა“!

ჩვენი გიდი, უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, მახარე ჯანაშვილი – ინგილო ყმაწვილი – ნამდვილი პატრიოტი თა-ვისი ქვეყნისა და ქართული კულტურის შესანიშნავი მცოდნეა.

ამ ბოლო წლებში, მოგეხსენებათ, ქართველებმა გაიდ-არბაზეს თურქეთი. ამიტომაც ქართველს ამ ქვეყანაში იშ-ვიათად როდი შეხვდებით. თუ „საგასტროლოდ“ ჩამოსული ქართველი მეძავები თავიანთ ეროვნებას მალავენ და უხერხ-ული შეკითხვების აცილების მიზნით თანამემამულეებს, რამ-დენადაც ახერხებენ, გაურბიან, სამაგიეროდ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაჩერებენ თურქეთის მოქალაქე ქართველები. ასე შემოგვარტყეს ალყა არზრუმში ქართველებმა, რომლებიც ამ ქალაქის გარეუბანში დიდ კომპლექსს აშენებენ. ჩვენაო, გვითხრეს, აქ ყველაზე კარგი მშენებლების სახელი გვაქვსო. კაპადოკიაშიც გავიცანით ქართველები, ოჯახებით იყვნენ ჩამოსული ანკარიდან და სტამბულიდან წმინდა ნინოს ქა-ლაქის დასათვალიერებლად.

თურქეთის ტერიტორიის ლამის ორი-მესამედი უდაბნოა.

მიდიხარ რუხ ტრამალებზე. ბუჩქიც არსად გხვდება. ჩერდები კემპინგზე. ხალვათობაა. ქირაობ ტრაქტორის-მოტორიან საბარგო მანქანას და უგზო ბილიკს ზევით მი-უყვები. საშიში ციცაბო აღმართი. ერთი კილომეტრი, ორი, სამი... და შუა უდაბნოში იფეთქებს წალკოტი, მყვირალა

მწვანე, ქვიშისფერი მთების უბეში. მიუახლოვდები და შენს წინ აღიმართება გიგანტური, ოქროსფერი მონასტერი...

ვინ აშენებდა, რა ხელმა და გონებამ დააპროექტა, მასალა როგორ ამოზიდეს ამ სიმაღლეზე...

ოთხთა ეკლესია...

გრანდიოზული სამნავიანი ბაზილიკა. სიმეტრიული გენიალობა. რაც ვნახეთ, სულ სხვადასხვა სტილია. რა მასშტაბები, რა სისადავე... გენიალურია. არაფერი მსგავსი მსოფლიოში არ მინახავს. ვისაც ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრები არ უნახავს, ის ძნელად წარმოიდგენს, რა სიმდიდრის პატრონი ვართ – შეიძლება კოცნით გარსშემოუარო. რა წინაპარი გვყოლია.

ერთი რამ იგრძნობა ამ ზღაპრულ სიდიადეში: ტაძართა მშენებლებს არსად ეჩქარებოდათ, არ იგრძნობა ზურგსუკან არც თურქთა და არც აზიის ტრამალებიდან დაძრულ სხვა მტერთა სუნთქვა. ახლა ყველაფერს ეტყობა, რომ პატრონი ერი ამ საგანძურისა, პატრონი ქვეყანა არ არსებობს. ხავსს შეუჭამია, ხეები ამოსულა ნავთა შეერთებაზე. ავიდეთ, დავიკაპიწოთ, ეს ხავსი მაინც მოვაცილოთ, ღამე აქვე გავათენოთ, მოვეპატრონოთ – მეთქი.

ჩამოვუარე ოთხთა ეკლესიას მარტომ და ხავსი ავაგლიჯე, ხელები დამისისხლიანდა, მაგრამ არ მოვეშვი. ბევრი ვერაფერი, მაგრამ ცოტა ხელი ხომ დავატყვე.

ვის ველოდებით. ხომ ვხედავთ, რომ სახელმწიფო უილაჯოა, ხომ უნდა დავიწყოთ ოდესმე...

წამოსვლისას მე და რეზო ჩხეიძე ართვინის ვილაიეთის გუბერნატორს (იგივე ართვინის მერი) ომერ ბიუკენტს ვეახლეთ. თავაზიანად მიგვიღო.

ვთხოვეთ ქართული საკვირაო სკოლის გახსნაში შემწეობის აღმოჩენა. პასუხის მოცემა გაუჭირდა, განათლების სამმართველოს უფროსს უხმო. სამმართველოს უფროსი გურჯი აღმოჩნდა.

ოთხთა. ვაჟა აზარაშვილი, რევაზ მიშველაძე, მაყვალა გონაშვილი,
გურამ გოგიაშვილი, ომარ მხეიძე, მერაბ დონაძე

ოთხთა. ვაჟა აზარაშვილი, რევაზ მიშველაძე

პარხალი

არტანუჯი

ჩვენ ვუთხარით, რომ გადამჭრელ პასუხს მათგან ახლა არ ველოდებით. უბრალოდ, ორი რამის დასაზუსტებლად მოვედით: ხომ არ არის თვით ბატონი გუბერნატორი ამგვარი სკოლის გახსნის პრინციპული წინაამღდეგი და შეძლებს თუ არა ამგვარი სკოლა სამეურნეო ანგარიშზე არსებობას. დავაზუსტეთ, რომ სკოლა იქნება მხოლოდდამხოლოდ ქართული წერა-კითხვის შემსწავლელი და რასაკვირველია, პოლიტიკისაგან თავისუფალი.

უნდა გენახათ ჩვენი გაოცება, როცა თურქმა მოხელემ თავიდან ბოლომდე მოიწონა ჩვენი წინადადება, თანხმობა ბრძანა და აღგვითქვა, პირადად გამოგიყოფთ ნებისმიერ თურქულ სკოლაში სამ ოთახს თქვენი კურსებისთვის და კონტიგენტის შოვნაშიც დაგეხმარებითო. გამომშვიდობებისას კი დელიკატურად დასძინა – იმედია, სწორად გამიგებთ, რომ ამ საქმეს საგარეო და განათლების სამინისტროების შესაბამისი წერილი და საქართველოს პრეზიდენტის დასტური სჭირდებაო.

მაშ ასე, თურქეთში ქართული სკოლის შექმნას საფუძველი უკვე ჩაყრილი აქვს.

ახლა ჯერი ჩვენზეა.

ირანი – 2001

პარლამენტის პლენარული სხდომის შემდეგ ზურაბ ჟვანიამ თავის კაბინეტში მიხმო: ბატონო რევაზ, სპარსეთში ხომ არ წამობრძანდებითო.

რა საქმეზე მეთქი, ისე ვკითხე, სიტყვის მასალად.

პარლამენტის დელეგაცია ვართ მიწვეული ჩემი ხელმძღვანელობით და ვფიქრობ, საინტერესო ვიზიტი იქნება თქვენთვის, როგორც მწერლისთვისო. თანაც ოქმით გვევალება, რომ დელეგაციაში ერთი ოპოზიციონერი (ოღონდ მშვიდი ოპოზიციონერი) უნდა გვყავდეს და არჩევანი თქვენზე შევაჩერეთო, ხუმრობით დასძინა.

რასაკვირველია, თანახმა ვარ.

დელეგაციაში ჩვენს გარდა კიდევ ორი წევრი იქნებაო, გივი შუღაროვი და პეტრე ცისკარიშვილი.

...თვითმფრინავმა სიმაღლე რომ აიღო, ზურაბ ჟვანია მომიბრუნდა: ბატონო რეზო, წასაკითხი ხომ არაფერი გაქვსო.

ჩანთა გავხსენი და ჩემი ნოველების ახალი წიგნი ვაჩუქე (რასაკვირველია, წარწერით).

გაუხარდა. დიდი მადლობა გადამიხადა, გადაშალა და მაშინვე დაიწყო კითხვა.

მე ილუმინატორს მივაჭიჭინდი.

ამ საჰაერო გზას პირველად ვსერავ.

აზერბაიჯანს გავცდით თუ არა, ჯერ მცირე მწვანიანი ტრამალები დაიწყო, მერე ასპროცენტიანი უდაბნო.

აქა-იქ პატარპატარა ქოხმახებიანი აული და მერე ისევ ათასი კილომეტრი უდაბნო. მწყემსები ცხვარს აძოვებენ, ზემოდან ასე ჩანს, მაგრამ საძოვარს მე აქ ვერაფერს ვხედავ.

16 აპრილი

აეროპორტი. უდაბნო თავდება და თვითმფრინავი ჯდება. მერჰაბადის აეროპორტი.

აეროპორტში გვხდება ირანის პარლამენტის სპიკერი ქაროუბი. საუბარი აეროპორტში.

სასტუმრო „ესტეგნალ გრანდ ჰოტელი“. ქუჩაში ძველი მანქანები.

აიათოლა ხომეინის მავზოლეუმში მისვლა.

მიღება პარლამენტში – ქაროუბი.

სამ საათზე: თეირანის ძვირფასი თვლების მუზეუმი. გეგონებათ, მთელი მსოფლიოს სიმდიდრე აქ არის.

ხუთ საათზე: მიღება ეკონომიკის და ფინანსების მინისტრ ნამაზისთან.

ჩადრიანი ქალები ქუჩებში.

ისპაჰანი

აკრძალულია არა თუ პორნოგრაფიული, ოდნავ „თავისუფალი“ ფილმების ჩვენებაც.

მკაცრი ცენზურა, განსაკუთრებით ნათარგმ ლიტერატურაზე.

ჩვენი ელჩი ჯიმშიდ გიუნაშვილი გვეუბნება, ყველაფერი ისმინება, განსაკუთრებით ხუმრობაზე რეაგირებენო.

მდიდრულ მერსედესებში ვზივართ.

ჟვანიას თავი კარგად უჭირავს.

საღამოს ჩვენმა ელჩმა, ჯიმშიდ გიუნაშვილმა საელჩოში შეგვიპატიჟა. თვითონაც იქვე, საელჩოს შენობაში ცხოვრობს.

გვიანობამდე ვისაუბრეთ.

ბატონ ჯიმშიდს ბევრი კარგი საქმე აქვს გაკეთებული. მარტო ის რად ღირს, რომ ფერეიდნელ ქართველებს დედაენას აწვდის და ქართულ ცნობიერებას უღვივებს.

17 აპრილი

დილის 9 საათზე შევხვდით ირანის პრეზიდენტს სეიედ მოჰამედ ქათამის.

აქ ვიგრძენი, რომ მგონი მართლა სახელმწიფო ვართ.

პრეზიდენტი ფეხზე დამდგარი შემოგვეგება.

ყველა მიღებაზე მიწის თხილი, ნუგბარი, შარბათები, წვენები, ჩაი, ყავა.

პრეზიდენტი ხომ იგივე შაჰია. შვიდასი წელი ვიარეთ საწყალმა ქართველებმა ისპაჰანის გზაზე, ირანი იყო ჩვენი „ცენტრი“, როგორც მოსკოვი ბოლო ორასი წლის მანძილზე.

ახლა ეს ბილიკი ისევ გაიკვალა, ოღონდ თანასწორობის ნიადაგზე.

აღმოსავლური სიტკბო, ყურადღება, ცბიერი ღიმილი. ჩვენო უფრო ახლოს, უფრო მეგობრულად უნდა ვიყოთო, პრეზიდეტმა, ჩვენ ხომ რუსმა დაგვაშორა, თორემ უახლოესი ხალხი ვართო, დააკვირდით მსგავსებას ფიზიკურსო.

ჟვანიამ თბილი, დიპლომატიური, ჭკვიანური სიტყვა უთხრა.

გამომშვიდობებისას „შაჰს“ რომ ხელს ვართმევდი, კვლავდაკვლავ პაატას მოკვეთილი თავი და თვალებდათხრილი მეამბოხე ქართველები მახსენდებოდა.

პრეზიდენტიდან ეროვნული ნაკეთობების ცენტრში წავედით. რა სურები, რა ოქროს და ვერცხლის თასები, რა სამკაულები უკეთებიათ ირანელ ოქრომჭედლებს და მინანქრის ოსტატებს.

შუადღისას ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ქამალ ხარაზიმ მიგვიღო.

ყველაზე ძნელი და რთულდიპლომატიური მიღება ეს იყო.

გარდა დითირამბების გაცვლისა აქ დიპლომატიით (აღმოსავლურით) შენიღბული ცოტა არ იყოს კრიტიკული საუბარი მოვისმინეთ.

ირანს, როგორც ადრე ახლაც სიკეთე უნდა თქვენთვის, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ვაღიარებთ, მაგრამ ვერ მოგიწონებთ საეჭვო ყვანცალს რუსეთსა და დასავლეთს შორისო. ჩვენაო, მეზობლობამ და ისტორიამ გადაგვაბა ერთმანეთზე და ერთად უნდა ვიყოთო.

ამასწინათ თბილისში კარგად მიმიღეთ, კავკასიური რეგიონის სახელმწიფოთა შეხვედრა დავგეგმეთ, ფოთში ტერმინალის გახსნას დაგვპირდით, მაგრამ რომ წამოვედი, ჩანს, ყველაფერი დაგავიწყდათო. ასე საქმე არ გამოვაო.

ჟვანიას თავის მართლება არ დაუწყია.

როცა ვსადილობდით სასტუმროში, ჟვანიას ვუთხარი, ტყუილი – ჩვენი დიპლომატიის თვისებადაც ქცეულა მეთქი. არ შეიძლება სახელმწიფოთა ურთიერთობაში ნათქვამის ერთ ადგილზე დაკიდება მეთქი. ვთქვათ, შევარდნაძეს დაავიწყდა, რისთვის ჰყავს რეფერენტები, ან საგარეო საქმეთა სამინისტრო მეთქი, სხვები? ჩინოვნიკები რას აკეთებენ მეთქი. მართალი ხარო.

საღამოს რვა საათზე პარლამენტის სპიკერმა ბატონმა ქაროუბიმ ოფიციალური ბანკეტი გაგვიმართა.

ღამით არ დამეძინა და ტელევიზორს ვუყურე.

ჩვენს ვიზიტს ყველა არხი აშუქებს.

ირანის ტელევიზიას ბევრი არხი აქვს.

ერთ არხზე მარტო კულტურაა. მწერლობა, მხატვრობა (ძველი, ახალი). ისლამმა დაარღვია პორტრეტის არდახატვის წესი. პორტრეტები (განსაკუთრებით ხომეინის) ბევრგანაა გამოფენილი.

ქალი დიქტორები ჩადრით გამოდიან ეთერში.

სადაა რეკლამა „ოლვეიზის“ საფენზე, ჩვენს ტელევიზიაში რომ გულს მირევს.

სასტუმროში დღეს სპარსულად გამოცემული ჩემი წიგნის ოცი ეგზემპლარი მომართვეს.

ელჩი ბატონი ჯიმშიდი მეუბნება, აქ თარგმნილი წიგნები თითქმის არ გამოდის, მხატვრული ლიტერატურიდან მარტო „ვეფხისტყაოსანია“ გამოცემულიო. შენმა წიგნმა უმკაცრესი ცენზურა გაიარა, არ მეგონა თუ გამოვიდოდაო.

ისპაჰანი

18 აპრილი

დილით პარლამენტს ვეწვიეთ.

პარლამენტის სხდომა აქაც ხმაურიანია.

ოღონდ, ეგ არის, პარლამენტის წევრებს მიკროფონები მაგიდაზე უდგათ და სიტყვის სათქმელად მიკროფონთან მისწრება არ უხდებათ.

თორმეტ საათზე ისპაჰანში გავფრინდით. დავბინავდით ქალაქის საუკეთესო „აბასის“ სასტუმროში.

ისპაჰანი კარგა ხანს იყო საქართველოს „ფაქტიური“ დედაქალაქი, როგორც მოსკოვი.

ყველაფერი შაჰ აბასის ამ ულამაზეს ქალაქში წყდებოდა.

ისპაჰანი გაცილებით უფრო ლამაზია, ვიდრე თეირანი.

ამწვანებული ქუჩები. ქუჩაბანდები. დიდებული ისტორიული ძეგლები. „იუნესკომ“ იგი მსოფლიოს უპირველესად დასაცავ ოთხ ისტორიულ ქალაქთა შორის აღიარა – რომი, ათინა, ისპაჰანი, ვენეცია.

დავათვალიერეთ ისპაჰანის „საკრებულოს“ ათასწლოვანი მთავარი მეჩეთი.

მასპინძლებმა გეგმა გაგვაცვნეს. კიდევ რაღაც ისტორიული ძეგლები, მერე დაიძინებთო და დილით კვლავ თეირანში.

შევუნთე ცეცხლი ჟვანიას. როგორ შეიძლება აქედან წასვლა ფერეიდნის უნახავად მეთქი. ამას თქვენი კარიერისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს მეთქი.

ჟვანია დაიქოქა. გუბერნატორს პირდაპირ ახალა – რატომ, ვისი სურვილით შეცვალეთ პროგრამაო და მასპინძლები იძულებული გახდნენ დაეთმოთ.

ორ საათზე ფერეიდნისკენ ავიღეთ გეზი. ორსაათნახევარს ვიარეთ უდაბნოში ავტობუსით და თოვლიანი მთებიც გამოჩნდა.

მთის ფერდობებზე შეფენილ 11 ქართულ სოფელს ფერეიდნის გუბერნია ანუ „ვილაიეთი“ ჰქვია.

ჩვენს მისვლაზე არ იყვნენ გართხილებულნი, მაგრამ ათ წუთში 6 ათასამდე ქართველი შეიკრიბა.

მე ასეთი წუთები არ განმიცდია.

ეს იყო დემონსტრირება იმისა, რომ ეროვნული გენი არ კვდება.

ჟვანიამ კარგი, ეროვნული სიტყვა თქვა.

ტაშით დაინგრა უზარმაზარი დარბაზი.

კინაღამ გადაგვთელეს, მოზღვავდა ხალხი. ცრემლიანი სახეები, ყვირილი, კოცნა, ხელის ჩამორთმევა, გულში ჩახუტება.

დავარიგე ყველაფერი რაც მქონდა წიგნად, ხელნაწერად წაღებული. ჩემი სპარსული წიგნიც დავარიგე. ხელიდან მგლეჯდნენ.

მწერალი, მწერალი! ყვიროდნენ.

380 წელია ეს ხალხი შაჰ-აბასმა ფერეიდანში გადაასახლა, ისპაჰანის დამცველ რაზმებად ჩაასახლა ისპაჰანის ჩრდილოეთით მთებში.

380 წელი ეს ხალხი ფაქტიურად რეზერვაციაში იყო.

ფერეიდანში ჯერ არ ჩასულა ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენელი – პირველი ჟვანიაა და ფერეიდანში ჯერ არ ჩასულა არცერთი ქართველი მწერალი.

ნეტა ასე მართმევდნენ თბილისში ხელიდან წიგნებს.

ეს არ იყო ოდენ ექსტაზი და ემოციურ გულზე ხელის ბრაგუნი შორეთის საქართველოზე.

გავიცანი სოსო უნიკაშვილი, ჰუსეინ ჰრაიმი - ორი ჟურნალისტი ფერეიდნის რადიოდან.

ზოგმა თავისი გადაწერილი „დედაენა“ გვიჩვენა. ერთმა მის მიერ გამოცემული კალენდარი გვაჩუქა. ჩვიდმეტი წლის არსენა ონიკაშვილს თამარ მეფის პორტრეტი დაუხატავს.

მათ სახეებზე ოთხასი წლის წინანდელ ღამის მეხრეს და გუთნისდედას ვეძებდი და ვპოულობდი.

ირანი საოცრად მოწესრიგებული სახელმწიფოა. მკაცრად იცავს თავის ეროვნულ-რელიგიურ შეუვალობას.

ფერეიდანელმა ქართველმა მაგალითი მისცა ყველას, ვისაც შეუძლია ოთხასი წლის განმავლობაში დაკარგოს მშობლიური ენა და პრეტენზია აქვს ქართველობაზე.

ახლა სხვა ირანი და სხვა საქართველოა, თორემ ვინ გამოგვიშვებდა ფერეიდანელებთან შესახვედრად. ესენი 4 საუკუნე რეზერვირებულები იყვნენ.

19 აპრილი

ისპაჰანში ვართ ისევ. დავათვალიერეთ ალავერდხანის (უნდილაძე) აშენებული უზარმაზარი ხიდი. ეს არის ულამაზესი ხიდი მთელს ირანში. საერთოდ ირანში უნდილაძეებს და როსტომ ხანს (ისპაჰანის მერი) აღმერთებენ.

ისპაჰანი. ალავერდი ხანის ხიდთან. მარცხნიდან: გიდი, რ. მიშველაძე, სპარსი, ზ. ჟვანია, ჯ. გიუნაშვილი, გ. შუღაროვი.

გრანდიოზული, ზღაპრული შაჰ-აბასის სასახლე ისპაჰანში. ოთხივ კუთხით მეჩეთია. შუაში სასახლე. მეჩეთებს და სასახლეს შუა დიდი მოედანი – სტადიონი.

დავდივართ შაჰის ჰარამხანაში, მის სადარბაზო ტალანებში. რამდენ ქართველს გაუვლია აქ.

ჩვენ უკან შაჰ-აბასის სასახლე ჩანს.

ისევ თეირანში.

ჩემი განწყობა, რა თქმა უნდა, ნასაზრდოები იყო საქართველოს ისტორიით და ლიტერატურით. 700 წელი საქართველო სხვადასხვა დროსა და ვითარებაში სპარსეთის მიერ იყო დაპყრობილი. ძალიან დიდხანს საქართველოს ფაქტიური დედაქალაქი ისპაჰანი იყო. აქ წყდებოდა ჩვენი ბედი. ისიც კარგად ვიცი, თუ რა დიდი კულტურული გავლენა მოახდინა სპარსეთმა საქართველოზე. ასე რომ მარტო უარყოფითი მხარეები არ ვიცოდი ჩვენი ურთიერთობისა. ყველაფერი წინასწარ მოვიძიე საისტორიო წყაროებში, ლიტერატურაში, რათა მომზადებული ვყოფილიყავი და ეს ურთიერთობა ცალსახად არ დამეხასიათებინა. ვიზიტისას თავიდანვე იყო გათვალ-

ისწინებული ფერიდან-შაჰრინში ჩასვლა. ასე ჰქვია ამ გუბერნიას, სადაც ქართველები ცხოვრობენ. ბოლო დღე ჩვენი ვიზიტისა ფერეიდანში ჩასვლას უნდა დათმობოდა, მაგრამ მასპინძლებმა დელიკატურად უარი გვითხრეს. მოტივი ასეთი იყო: სამწუხაროდ, ფერეიდანი ისეთი კეთილმოწყობილი არ არის, რომ თქვენისთანა მაღალი რანგის სტუმრების მიღება შეძლოსო. სინამდვილეში, ამ უარს სხვა რამ ასაზრდოებდა. ბოლო დროს, ძალიან გაიკვალა გზები ფერეიდნისკენ. სპარსული მხარე კი არ არის მოსურნე იმისა, რომ ფერეიდანში ქართული ცნობიერება გაღვივდეს. ამის შემდეგ ზურაბ ჟვანიამ კატეგორიულად მოითხოვა მასპინძლების მიერ იმ პროგრამის შესრულება, რაზეც წინასწარ ვიყავით შეთანხმებულები. ეს შეხვედრა უპრეცედენტო იქნებოდა, რადგან ჯერ არც ერთი ხელისუფლების წარმომადგენელი არ ჩასულა იქ. ეს რუბიკონი ჟვანიას უნდა გადაელახა. ჟვანიამ განაცხადა, მე შემიძლია ფეხზე ქალამნები ჩავიცვა და ნებისმიერი ქართველი გლეხის ოჯახში ჩავიდე ღამის გასათევად, ჩემთვის ეს პრობლემას არ წარმოადგენსო. მოკლედ, გზა ფერეიდნისკენ გაიმართა. მთელი სპარსეთი 90% უდაბნოა. თვითმფრინავიდან ქვეწარმავალიც კი შეგიძლია დაინახო. იქ მხოლოდ ქვიშა და ერთფეროვანი პეიზაჟია. მივდიოდით უდაბნოში და ჩემთვის სრულიად მოულოდნელად და გასაოცრად თოვლიანი მთები დავინახე. ისპაჰანიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. მთები! – დავიძახე უცებ. ვინც ჩვენ გვახლდა ოფიციალური პირი, ჩაიცინა და თქვა: - გეცნოთ არა?! ეს ფერეიდნის მთებია, რომელიც ძალიან ჰგავს საქართველოს მთებს. ასე რომ თქვენს ისტორიულ წყაროებში რომ წერია, შაჰ აბასმა ქართველები გარეკა და უდაბნოში დაასახლაო, ახლა დარწმუნდებით, რომ სპარსეთში ყველაზე უკეთეს ადგილას, ბალახიან და თოვლიან მთებში ქართველები დაასახლა.

წარმოიდგინეთ, ვუახლოვდებით ფერეიდანს. მე ვისრულებ ჩემი ჭაბუკობის ოცნებას და თანაც საშუალება მეძლევა

ვნახო, რას წარმოადგენს ოთხასი წლის წინათ საქართველოდან გასახლებული კაცი. ფერეიდანის გუბერნატორს გზიდან შეატყობინეს, საქართველოს დელეგაცია მოდისო. მათ მხოლოდ ორი საათი ჰქონდათ მოსამზადებელი დრო.

ფერეიდანი. საქართველოს დელეგაცია ირან-ერაყის ომში დაღუპულ ქართველთა საფლავებთან

ფერეიდანში 11 ქართული სოფელია. როგორც მთის სოფლები, ისინი საკმაოდ დაშორებულები არიან ერთმანეთისაგან. შევედით ფერეიდანში, გამოჩნდა ეზოები, სახლები. ზოგი მიწური, ზოგი ტიპიური აღმოსავლური, როგორც ჩვენს ქართულ-აზერბაიჯანულ სასაზღვრო ადგილებშია. ჩვენს მანქანებს ხალხი აედევნა – ახალგაზრდები და ბავშვები. მანქანებს მოსდევდნენ და ყვიროდნენ: -ქართველები! ქართველები! ამ სურათის დანახვისას თვალზე ცრემლი მომადგა. გუბერნატორთან შეხვედრის შემდეგ ქართველთა სასაფლაოებს მი-

ვადექით. ჩემთვის ეს ძალიან მტკივნეული იყო, თქვენთვის ცნობილ მიზეზთა გამო. ამის შემდეგ ოფიციალური შეხვედრისათვის უნდა მივსულიყავით სპორტის სასახლეში, რომელიც 2 ათას კაცს იტევდა. უნდა გენახათ ჩვენი გაოცება, როცა სასახლესთან 5 ათასი ქართველი მოვიდა. ეს გრანდიოზული შეხვედრა იყო. ჩემს ცხოვრებაში ეს სურათი არ დამავიწყდება. შეხვედრა რადიოფიცირებული იყო. მაგრამ ყველას შიგნით უნდოდა შემოსვლა. შენობაში დაცვამ შეგვიყვანა, რადგან ხალხი ხელს გვკიდებდა, გვკოცნიდა ხელებზე, გვეხვეოდნენ, იყო ტირილი: - ქართველი! ქართველი! ბიჭო!... ერთ ადგილას დაცვამ კორდონი ვერ გაარღვია და ცოტა ხანს გავჩერდით. უცებ ფეხი დამიმძიმდა, დავიხედე და ორივე ფეხზე 11-12 წლის ბავშვები მკოცნიდნენ,უფრო ხნიერები ყვიროდნენ: – „წამოვალთ საქართველოში! რატომ დასთმეთ აფხაზეთი! ჩონ წამოვალთ, ჩონ ვიბრძოლებთ! როგორ დათმეთ, გიორგი სააკაძის ძმები არ ხართ?! ჩონ ვიბრძოლებთ, ქართველი დედალი არასდროს ყოფილა!“ ეს რა ვნახე. ეროვნულად გაღვიძებული 380 წლის წინათ გადასახლებული, თითქმის რეზერვაციაში მყოფი ქართველები!!! ნეტა, საქართველოში მყავდეს ასე ეროვნულად განწყობილი და ეროვნულად მოლაპარაკე 10 მილიონი ქართველი. იქ ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვაგრძნობინებდნენ, ფერეიდანებში ერვნულ ცნობიერებას ნუ გააღვიძებთ, ისინი ქართველები აღარ არიან, არც ენა იციან და არც კულტურაო. მაგრამ რაც იქ ვნახეთ, ეს იყო დასტური ჩემს მიერ გამომუშავებული ეროვნული თეორიისა. იქ, ოჯახებში, ყველგან არის ხელით გადაწერილი ქართული დედაენა, ანბანი, თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის პორტრეტები. იქ ქართულ წერა-კითხვას ჩუმ-ჩუმად სწავლობენ. საქართველოს პრობლემებთან უშუალო დამოკიდებულება აქვთ. აქედან ჩემი ორმოცდაათამდე წიგნი მქონდა წაღებული. წიგნებს ხელიდან მგლეჯდნენ. ვიფიქრე, ნეტავ ასე მგლეჯდნენ საქართველოში წიგნებს ხელიდან-მეთქი. იქიდან სულ სხვა კაცი წამოვედი. ისე სჭირდება ეს

ეროვნულობა ამ ჩაძინებულ და არაეროვნულ საქართველოს, როგორც არასდროს. ისეთი ბანგი ასვეს ქართველებს, რომ ეროვნული ხელისუფლება განუდევნეს საქართველოდან. პარლამენტში ვბღავი, საქართველოში ქართველი გააქრო პარლამენტმა თავისი მიღებული დრაკონული კანონებით-მეთქი, მაგრამ თითქოს არაფერი ხდებოდეს. საქართველო ნადირივით ცოხნის ბალახს და ნადირივითვე სადღაც მიემართება. ვერავინ გავაღვიძე. მაშინაც და ახლაც საქართველოს მიწიდან ქართველებს ერეკებოდნენ და ერეკებიან. მაგრამ ერთი განსხვავებით: 400 წლის წინათ შაჰ-აბასმა ასიათასამდე ქართველი ძალით აჰყარა ქართული მიწიდან და სპარსეთს გაამწესა. სამაგიეროდ, დღეს, ჩვენი ხელისუფლების მეშვეობით, მოლიონ-ნახევარი ქართველი თავისი ნებით და დიდი სურვილით (ძალით არავის გაურეკავს) საზღვარგარეთ არის საცხოვრებლად თუ სამუშაოდ გასული, მილიონ-ნახევარს კი თვალი უჭირავს გაქცევაზე, ოღონდ ამ ყოფას თავი დააღწიოს. რაშია საქმე?

ადამიანი ეროვნულ ცნობიერებას რომ დაკარგავს, ის ცხოველად იქცევა. ქართველები ადრე ძალით გაირეკეს, მაგრამ როგორც ვნახეთ, ეროვნული ცნობიერება არ დაუკარგავთ. აგერ, ე. წ. თურქი მესხები რომ იხვეწებიან, შემოგვიშვითო, 50 წლის წინათ გადასახლებულებს ქართული ენაც კი ისე საფუძვლიანად დავიწყებიათ, რომ ერთი სიტყვითაც არ იციან. 400 წლის წინათ გადასახლებულებმა კი დღემდე საფუძვლიანად შეინარჩუნეს ქართული ცნობიერება. ეს იმიტომ მოხდა, რომ თურქ მესხებშიც თავის დროზეც არ იდო სათანადოდ ქართული გენი. დღეს წასულ ქართველებიდან, ზოგი ლუკმა-პურის საშოვნელად არის წასული და გამოღამებული თვალებით სამშობლოსკენ იყურება. ორ გროშს დავაგროვებ და უკან დავბრუნდებიო, მაგრამ უმეტესობა, ეროვნული ცნობიერებისგან, ეროვნული თავმოყვარეობიგან და პატრიოტული გრძნობისაგან დაცლილი ხალხია. არ ვიცი, რა ჩითილებში გაიზარდა ეს ხალხი. მეც ვცხოვრობდი კომუნისტურ ეპო-

ქაში, მაგრამ რაც უფრო მეტი ზეწოლა იყო მათი მხრიდან, ეროვნულ ცნობიერებას თავი დაანებეთო, მით უფრო მეტი გრძნობა გვიჩნდებოდა წინააღმდეგობისა. ესენი კი სად გაიზარდნენ, ასეთი საყველპურო ცნობიერება რომ შეიძინეს? სამშობლოს მოუკვდა პატრონი, სადაც კარგად ვიქნები, ის არის ჩემი სამშობლოო. ეს დამღუპველია. მათ აუცილებლად უნდა იცოდნენ, რომ მათ დანატოვარ ადგილს სხვა, საქართველოში მცხოვრები უცხო ერის შვილი დაიკავებს და შემდეგ ნოსტალგია რომ შემოგაწვება, ჩემო ძვირფასო, საქართველოდან იოლი ცხოვრებისთვის წახეტებულო ქართველო, საქართველოში შენი ადგილი აღარ იქნება. ამიტომაც, ჩამოდით აქ, აქ იბრძოლეთ იმისთვის, გააპანღუროთ ეს ხელისუფლება და თქვენთვის სასურველი ეროვნული ხელისუფლება მოიყვანოთ. სხვა არაფერი უშველის ამ ქვეყანას.

ირანის პარლამენტის თავმჯდომარე საქართველოს
დელეგაციას აცილებს.

ისრაელი – 2003

.

23 ივნისი

საქართველოს პარლამენტის დელეგაცია – ნინო ბურჯანაძის ხელმძღვანელობით ისრაელში მიემგზავრება. დელეგაციის წევრები: მაია ნადირაძე, გია ბარამიძე, რევაზ მიშველაძე, ჯემალ აჯიაშვილი.

სამსაათიანი ფრენის შემდეგ ისრაელის მიწაზე, თელ-ავივის ბენ-გურიონის აეროპორტში დავეშვით.

მადლობელი ვარ შენი, ღმერთო, რომ ეს ოცნებაც ამიხდინე.

ისრაელში ჩასვლა ჩემი სიყრმის დროიდან ადევნებული ოცნება იყო. რაც მეტს ვიგებდი ებრაელთა ცხოვრებაზე და მათ გმირულ ყოფაზე, მით უფრო მიცხოველდებოდა სურვილი, ფეხი დამედგა „წმინდა მიწაზე“.

თელ-ავივში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ქნესეთის წარმომადგენელი და ჩვენი ელჩი რევაზ გაჩეჩილაძე გვხდებიან.

საოქმო დიპლომატიური გასაუბრების მერე, მანქანებში ვსხდებით და თელ-ავივიდან იერუსალიმისაკენ ვიღებთ გეზს.

ორმოციოდე წუთში იერუსალიმში ვართ.

პირველი გაოცება: – მეგონა აღმოსავლური, უდაბნო-მორეული ქალაქი იყო. მთა-გორაკებზე აშენებული, მარადმწვანე ხეებში ჩაფლული ქალაქია. აღმართ-დაღმართი ყოველ ფეხის ნაბიჯზეა. ძალიან ცხელა.

გზადაგზა მდიდრული მანქანები და დიდებულად მოკირწყლული ქუჩებია. ქალაქში ჭარბობს შავ ფრაკსა და ცილინდრში (უმაღლესი მორწმუნეობის ნიშანი) გამოწყობილი წვეროსანი ებრაელი ხელჯოხით, ბუტბუტით რომ მიაბიჯებს თავის ებრაულ საქმეებზე.

„გვანათლებს“ მანქანაში ქნესეთის წარმომადგენელი:

„ისრაელში თითქმის არ არის ქურდობა!“

„არ არის ნარკომანია“.

„ჩანასახოვან მდგომარეობაშია (თითქმის არ იგრძნობა) პროსტიტუცია“.

„უმაღლეს დონეზეა აყვანილი პატრიოტიზმი“.

და ეს იცით რის გამო? ფანატიკური რწმენის, ღვთის შიშისა და რიდის გამო.

ებრაელობა რელიგიურობამ გადაარჩინა და რელიგიურობა წარმართავს დღესაც მის ეროვნულ ხასიათს.

რაც ისრაელის სახელმწიფო აღადგინეს, აქ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან დაიწყო დინება ებრაელობამ.

ბუნებრივი შერჩევა მოხდა; ჩამოვიდნენ უმთავრესად ძლიერი მორწმუნენი და ძლიერი პატრიოტები.

თან ჩამოიტანეს სხვადასხვა ქვეყნის კულტურა.

ამ კულტურის ერთიან თანამედროვე ებრაულ კულტურად დადუღება ხდება დღეს ისრაელში.

„ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში“.

საქართველოდან ჯერჯერობით მხოლოდ გარბიან.

არქიტექტურა – მკაცრი, უსახურავო, თეთრ-ყვითელი ქვით მოპირკეთებული სახლები. ძველსა და ახალ არქიტექტურას შორის განსხვავება თითქმის არ არის.

ეს შეხამებაც გენიალურია. სასტუმრო „დავით ციტადელ ჰოტელში“ დავბინავდით ქალაქის ცენტრში. 669-ე ნომერში ვარ.

ვახშმის მერე ჯემალ აჯიაშვილმა, გია ბარამიძემ და მე ღამის ორ საათამდე ვიხეტიალეთ იერუსალიმის ქუჩებში.

თავი ზღაპარში მგონია.

ოთხი ათასი წლის წინანდელ ქუჩა-შუკებში დავაბიჯებ. იარუსებიან იერუსალიმში რა ტაძრებს, რა აკლდამებს არ ვაწყდებით ყოველი ფეხის ნაბიჯზე. გამაოგნა სოლომონის

კედლის გრანდიოზულობამ, დავითის სასახლეთა ნაშთებმა, საფლავებმა.

და აი, გოდების კედელიც. ღამის პირველი საათია.



გოდების კედელთან

იფიქრებ, აქ შეკრებილანო მთელი დედამიწის მორწმუნე ებრაელები. კოცნიან კედელს, ლოცულობენ.

კედელი სასწაულებრივად გადარჩენილი სოლომონ წინასწარმეტყველის ტაძრის ნაწილია. თვით ტაძრის დანარჩენ ნაწილზე მეჩეთია მიშენებული. რა კარგად იცის ჯემალმა ებრაული და ებრაელთა ისტორია.

მართლაც რომ ბრძენი ებრაელია.

24 ივნისი

დილით ისრაელის პარლამენტის სპიკერ რეუვენ რივლინს შევხვდით.

თანამედროვე მსოფლიოს პრობლემებზე, ტერორიზმზე, ებრაელი და ქართველი ხალხის მეგობრობაზე ვისაუბრეთ.

ნინო ბრწყინვალედ ლაპარაკობს იგლისურად. საერთოდ თავი ღირსეულად უჭირავს, დაბადებულია პოლიტიკოსად.

ამის მერე ისრაელის პრეზიდენტმა მოშე კაცავმა მიგვიღო.

სპარსეთში დაბადებული და გაზრდილი ებრაელი ყოფილა.

გვესაუბრა იმაზე, თუ რა ბედნიერება ეწვია ებრაელ ხალხს, როცა მე-20 საუკუნეში სახელმწიფო დაიბრუნა და როგორ უჭირს ახლა მას ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება. ისაუბრა ისრაელის ეკონომიკურ აღმავლობაზე, საგარეო ურთიერთობებზე, ამერიკის მიერ აღმოჩენილ დახმარებაზე.

ჩვენ ვუთხარით, რომ სამაგალითოა ისრაელის ბრძოლა თითოეული გოჯი მიწისათვის.

სადილამდე სამი საათი ისრაელის ჰოლოკოსტის მუზეუმ „იად ვაშემში“ დავყავით.

ეს არის მუზეუმი მე-20 საუკუნეში ეთნოწმენდის გამო დაღუპულ ებრაელებზე.

კერძოდ, 1941-45 წლებში მეორე მსოფლიო ომის საშინელებაზე გვიამბობს მუზეუმი. რა ფოტო-მასალა, რა ნივთმტკიცებებია ჰიტლერის ვერაგული ჩანაფიქრის წინააღმდეგ.

ყელში ცრემლი შემიგუბდა.

მუზეუმის ეზოში უამრავი ხეა დარგული და ქვემოთ წარწერა აქვს: „ეს არის თითოეული იმ კეთილი კაცის სახელზე დარგული ხე, ვინც ებრაელი შეიფარა და გადაარჩინა“.

საღამოს ცნობილი ებრაელი მთარგმნელი და მეცნიერი გერშონ ბენ ორენ (წიწუაშვილი) მეწვია და ორი ძვირფასი საჩუქრით გამახარა; მომიტანა ებრაულ ენაზე გამოცემული ჩემი წიგნი, ქუთაისელ ებრაელთა წასვლაზე დაწერილი ნოველის სახელწოდებით „სიკვდილი“, 35 ცალი და ბორის გაპონოვის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“.

გვიან ღამემდე ლუდის ბარში ვისხედით გერშონი, ჯემალ აჯიაშვილი და მე.

ვკითხე გერშონს, როგორ არიან-მეთქი ქართველი ებრაელები?

ქარაგმებით, ბრძნულად მიპასუხა (როგორც ებრაელს შეეფერება):

„სახლი რომ იყიდო, კარგა ხანს ხომ ძველი სახლი გახსოვს, იქით გაგირბის კაცს მზერა, მაინც იქ გირჩევნია. ასე ვართ ჩვენცო.

აქ რომ ქართველმა ებრაელმა გითხრას, ძალიან კარგად ვარო, არ დაიჯერო.

ყვავილი რომ სხვა ადგილას გადარგა, შეიძლება არ გაიხაროს, დაჭკნეს, იქნებ ფესვები დაუზიანე ამოღების დროს. ასე ვართ ჩვენცო.

ახალი თაობა უფრო ეგუება ახალ ვითარებაში ცხოვრებას, ჩვენ კი ძველებს, გული იქით, საქართველოსკენ გვიხმობს, თუმცა 30 წელია აქა ვართო.

ისრაელი. ჯვრის მონასტერი. რუსთაველის ფრესკასთან

თბილისში თუ მომშივდებოდა, ან ზურაბ კიკნაძეს ვთხოვდი პურს, ან შენ, ან რომელიმე ქართველს, აქ კი მსგავსი რამ არ არსებობსო. უტაქტობად ითვლება დახმარების თხოვნაო“.

ამ დღეს ამიხდა ყველაზე დიდი ნატვრა!

ქართველთა ჯვრის მონასტერში რუსთაველის ფრესკას ვემთხვიე.

რუსთაველის ფრესკას ვემთხვევი.
გაივლის რამდენიმე თვე და ბერძნები თუ ურიები რუსთაველს თვალებს დათხრიან... შური?

ყველაზე დიდი ქართველის ფრესკასთან ვდგავარ. მაქსიმე აღმსარებლის და იოანე დამასკელის ფეხებთან მოკრძალებით მოკალათებულა იგი, დედამიწის ყველაზე დიდი მწერალი.

ცრემლი მახრჩობს.

ჯვრის მონასტერს ბერძნები დაპატრონებიან, ჩვენიაო.

არადა გავსებულია ქართული ფრესკებით.

ბევრჯერ გადასულა მე-10 საუკუნის ეს მონასტერი ხელიდან ხელში (მცხეთის ჯვარს ჰგავს შიგნიდან).

დავით აღმაშენებელს მამლუქთა დახმარებით დაუბრუნებია.

მე-19 საუკუნეში ბერძნებმა წაგვართვეს.

დღეს ნუთუ არ უნდა არსებობდეს რაიმე საერთაშორისო სამართალი, რომ ისევ მოგვაკუთვნონ?

ორ მილიარდადაა შეფასებული, გვითხრა ელჩმა რევაზ გაჩეჩილაძემ. თუ გამოვისყიდით, ბერძნები თანახმა არიანო. ვინ მოგვცა ორი მილიარდი ჩვენ.

25 ივნისი

შევხვდით ქნესეთის დეპუტატებს.

ისრაელი, თელ-ავივი. ნინო ბურჯანაძე, რევაზ მიშველაძე, ნინო აბესაძე (ჟურნალისტი) და გია ბარამიძე მიღებაზე საქართველოს საელჩოში.

ჟურნალისტთა შორის იყო ულამაზესი ქართველი ქალი ნინო აბესაძე, რომელსაც ებრაულად მიჰყავს სატელევიზიო

გადაცემები. იგი თბილისში გაშორდა ქმარს, თბილისშივე შეიყვარა ისრაელის ელჩი საქართველოში (გავიცანი, 2-მეტრიანი გიგანტია) და იერუსალიმში ცხოვრობს.

შევხდით პარლამენტის ისრაელ-საქართველოს მეგობართა ჯგუფს – რომან ბროფმანის ხელმძღვანელობით.

მიგვიღო ცნობილმა შიმონ პერესმა. იგი ისრაელის პრემიერ მინისტრი იყო. ახლა პარლამენტში ოპოზიციის ლიდერია.

ვეწვიეთ იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტს. უნივერსიტეტში მეგზურობას ქართველი ებრაელი, პროფესორი კონსტანტინე ლერნერი გვიწევდა. აღმოვჩნდით საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის სტუდენტთა შორის.

ჯერ იყო და, ინგლისურად მოვსინჯეთ ერთმანეთი, შიგა და შიგ რუსულზეც გადავედით, ბოლოს ერთმა სტუდენტმა თქვა: რაღას ვწვალობთ, ჩვენ აქ ქართული ყველას გვესმისო. ვუამბე ჩემს სამწერლო საქმიანობაზე. ვაჩუქე ჩემი პატარა ებრაული წიგნაკი. ძალიან გაიხარეს.

მესამე კურსის სტუდენტთა შორის ქუთაისელი ქართველი გოგონა ნინო ბერიძეც იყო.

საღამოს ქართველ ებრაელებთან აშკელონში გავემგზავრეთ.

ამაღელვებელი შეხვედრა გვქონდა.

აშკელონი პატარა (ასიათასმცხოვრებიანი) ზღვისპირა ქალაქია. ყველაზე მეტი ქართველი ებრაელი აქ ცხოვრობს კომპაქტურად. აშკელონის მერი შაბთაი ცური (ვანელი ებრაელი), პირველი ქართველი ებრაელია ქალაქის მერად ებრაელთა მთელი ისტორიის მანძილზე.

ქართული ცეკვები, სიმღერები, სამშობლოს მონატრების ცრემლი...

აქ არიან რუბენ ენუქაშვილი (ჩემი უნივერსიტეტელი მეგობარი), ფიზიკის პროფესორი დავით ბააზოვი, ცნობილი ქველმოქმედის – ბადრი პატარკაციშვილის დედა და ქუთაისელი, თბილისელი, კულაშელი ებრაელები.

საზეიმო შეხვედრაზე ვილაპარაკე ჩვენს 26 საუკუნოვან გაუბზარავ ძმობაზე, დავურიგე (ყველას არ ეყო) ჩემი ებრაული წიგნი. შაბთაი ცურმა, იქნებ ჩვენი თხოვნით კიდევ გამოსცესო გერშონ წიწუაშვილმა. თუ საჭიროა ჩვენც დავეხმარებითო.

სტუმრად აშკელონის მერთან

26 ივნისი

დილით ისრაელის სახელმწიფოს მეთაურმა, პრემიერ-მინისტრმა, არიელ შარონმა მიგვიღო.

73 წლის ტანდაბალი, მსუქანი მოხუცი საოცრად მკვირცხლად მოძრაობს და საღად აზროვნებს.

იუმორის გრძნობაც გააჩნია. იცით თუ არა, რომ ბებია თბილისში მყავს დაკრძალულიო. მერე თქვა, ჩვენს სახელმწიფოსაც იგივე პრობლემები აქვს, რაც თქვენო, იმ განსხვავებით, რომ ამერიკა ყოველწლიურად 3 მილიარდ დოლარს

გვაძლევს საჩუქრად (გრანტის სახით) და აქედან 1,5 მილიარდი შეიარაღებაზე უნდა დავხარჯოთო.

თქვენ მაინცდამაიც არ გეტყობათ, რომ აფხაზეთის დაბრუნება გსურთ, თავისი სახლიდან გამოდევნილი ხალხი ასე არ იქცევა, თქვენი ლტოლვილები ერთ ქვასაც არ ისვრიან აფხაზეთის მხარეს, ჩვენი დევნილები კი, ხომ ხედავთ, რა დღეში აგდებენ არაფატის ხროვასო.

შევარდნაძე ძალიან მიყვარს, ჭკვიანი და ფრთხილი პოლიტიკოსია. ეგ რომ არ გყავდეთ, თქვენ, ფიცხი ქართველები, აქამდე ვინ იცის, რას მოიმოქმედებდით; ან მთლად აშენდებოდით, ან დააქცევდით ქვეყანასო.

ნინომ კარგად ილაპარაკა. ჩვენ რომ ერთმანეთი გვიყვარს, ფაქტია, მაგრამ იქნებ იმაზეც გვეფიქრა, ერთმანეთს იარაღითაც დავხმარებოდით. იქნებ, ოდნავ მოძველებული საომარი ტექნიკა ჩვენთვის გადმოგეცათო. ეს თხოვნა შარონმა დელიკატურად გაატარა ყურიდან ყურში.

მერე გავემგზარეთ მუზეუმ „მინი იზრაელის“ დასათვალიერებლად. ორი საათის განმავლობაში ვიარეთ უზარმაზარ ტერიტორიაზე, სადაც თითქმის ყველა დიდი ქალაქის ყველა ისტორიული ძეგლია.

თუ ამ ღია ცისქვეშ მუზეუმს კარგად შეისწავლი, შეიძლება ჩათვალო, რომ მთელი ისრაელი მოვლილი გაქვს.

შუადღისას ისრაელის გიგანტურ საავიაციო ქარხანას ვეწვიეთ. „ისრაელის საჰაერო ინდუსტრიის“ ვიცე-პრეზიდენტმა მთელი ქარხანა დაგვათვალიერებინა.

ხუთი სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავს უშვებენ. თვითმფრინავის მშენებლობა და მოდერნიზება უახლესი კომპიუტერული ტექნოლოგიით სრულდება.

ნასადილევს დავბრუნდით იერუსალიმში და მთელი საღამო ძველი ქალაქი ვათვალიერეთ.

ქრისტეს საფლავი...

გოლგოთა...

აკლდამა, სადაც დაასვენეს და საიდანაც აღსდგა.

იერუსალიმი მიწის ზევით რაც არის, ორი იმდენი – ტაძრები, სასახლეები, მიწისქვეშაა.

ასე რომ, რელიგიური ცივილიზაცია აქ სამფენოვანია. თანაც სამი რელიგიური მიმდინარეობის შემქნელ ამ უძველეს ქალაქში ძნელი გამოსარჩევია ებრაული, ქრისტიანული და მუსულმანური კულტურის ძეგლები.

ერთ კედელზე, სხვადასხვა, სრულიად საწინააღმდეგო საკულტო ძეგლია მიშენებული.

გოდების კედელი. 26 საუკუნის წინ ნაბუქოდონოსორმა რომ იერუსალიმი დაანგრია, სოლომონის ტაძარი იავარჰყო, გადარჩა მხოლოდ სოლომონის ტაძრის ერთი კედელი (ეს ის ტაძარია, საიდანაც ქრისტემ ვაჭრები გამორეკა). ამ კედელთან გროვდებოდნენ და მოთქვამდნენ ებრაელები: თუ დაგივიწყო იერუშალაიმ, დამავიწყდეს მარჯვენა ჩემი და ენა ჩემი მიეზარდოს სასასა ჩემსას“.

ახლაც მთელი ებრაელობა ამ კედელთან ლოცულობს. ამ კედელმა უდიდესი როლი შეასრულა ისრაელის სახელმწიფოს აღდგენაში.

გადავიღე სურათი გოდების კედელთან მლოცველ ებრაელთა შორის.

საღამოს 8 საათზე ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩვენს დელეგაციას ვახშამი გაუმართა.

ხვალ ქალაქ ლოდში, მერე ქალაქ იაფოში და კვლავ თელავივში მივემგზავრებით.

რესტორანში მოგვიახლოვდა ერთი ებრაელი ბიზნესმენი და გვისაყვედურა – აღარ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე; თბილისის ზღვაზე მილიონობით დოლარი ჩავყარე და ვინც ხელშეკრულებაზე ხელი მომიწერა, ის ვიცე-პრემიერი ახლა, როგორც მითხრეს, ოპოზიციონერია. ასე რომ, ხელშეკრულებამ, როგორც ჩანს, ძალა დაკარგა. მსოფლიოში არსად არ ხდება, რომ სახელმწიფო მოხელე როცა თანამდებობას ტოვებს, მის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტებიც უქმდებოდესო.

ვერაფრით ვანუგეშეთ, თუმცა „ამ საკითხით დაინტერესებას“ დავპირდით.

27 ივნისი

პროვინციულ ქალაქ ლოდში ვართ.

ეს პატარა ქალაქიც ისტორიული ძეგლებითაა დახუნძლული.

მთელი ისრაელი ტურისტებითაა სავსე.

ღმერთო, ამის მეათედი ტურისტი რომ საქართველოში ჩამოვიდეს, რა გვიჭირდა.

ექსკურსიები ბრწყინვალედაა ორგანიზებული. ავტობუსები ძეგლებთან უმკაცრესი გრაფიკით დგანან. მაღალპროფესიული გიდები ყველა ჩამოსულს თავის ენაზე ელაპარაკებიან.

ისრაელში ძალიან ცხელა. ამიტომაც დღისით ქუჩაში მხოლოდ ტურისტები ჩანან.

ყოველ ორ საათში ერთხელ თავაზიანი გიდები სასტუმროში გაბრუნებენ, რომ გრილი შხაპი გადაივლო. სასტუმროთა ფასი ასატანზე უფრო მაღალია, ნომერი, რომელშიც მე ვცხოვრობ, 170 დოლარი ღირს. ნახევარ ლიტრ უბრალო

სასმელ წყალში, ნომრის მაცივრიდან რომ გამოვიღე, ოთხი დოლარი გადამახდევინეს. როცა მეტრდოტელს ვუთხარი, ასეთი წყალი ჩვენთან მდინარეებად მოედინება და სრულიად გამოუყენებლად ზღვაში ჩადის-მეთქი, კინაღამ გაგიჟდა. მთელ მსოფლიოს სასმელი წყალი უჭირს და, თუ თქვენ ასეთი სიმდიდრის პატრონები ხართ, როგორ მოახერხეთ, რომ ღარიბად ცხოვრობთო.

ლოდიდან იაფოში მივემგზავრებით.

წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში, წმინდა გიორგის სიმბოლურ საფლავთან ვდგავართ.

არავინ იცის, ვინ ააშენა ეს ქრისტიანული ტაძარი და როდის.

იქნებ სამშობლოდან ოტებულ ჩვენთა წინაპართა ნახელავია ესეც?

ისრაელი. რევაზ მიშველაძე წმ. გიორგის საფლავთან

სად არის მუხლჩახრილი, ჩაკირკიტებული, ფულითა და უფლებით აღჭურვილი მეცნიერი, თორემ ისრაელში ქართველთა ისტორიული კვალი არაერთგან იგრძნობა. ამას ვამბობ როგორც დილეტანტი, თვალის ერთი გადავლებით.

ჩვენი მასპინძლები – საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, გვაჩქარებენ. იოლი როდია ნაბიჯს აუჩქარო, როცა ოთხი ათასი წლის წინანდელ ქვაფენილზე გიდგას ფეხი და ყოველი ნანგრევიდან გარდასულ ათასწლეულთა სუნთქვას გრძნობ.

და მაინც, შუადღის ხვატიდან ლიმუზინის კონდიციონერით გაგრილებულ სალონში თავის შეყოფა დიდი შვებაა.

რევაზ გაჩეჩილაძე საქართველოს საელჩოში გამოსათხოვარ ვახშამს გვიმართავს.

მიღებაზე ისრაელში აკრედიტებულ ელჩთა უმრავლესობა მოუწვევია.

დიპლომატებს ჩვენი ბედკრული ქვეყნის ბედზე ვესაუბრებით. ისინიც, რასაკვირველია, დიპლომატიური ორაზროვნობით გვიღიმიან და თავს გვიქნევენ, მაშინაც კი, როცა ჩვენი (პირადად ჩემზე ვამბობ) დამტვრეული ინგლისურით სათქმელს მთლად კარგად ვერ ვაგებინებთ.

კვლავ ბენ-გურიონის აეროპორტი.

თვითმფრინავმა მაღლა რომ აიწია, ღაზის სექტორში აქაიქ ავად დაკლაკნილ კვამლს ვკიდე თვალი.

რა თქმა უნდა, მშფოთვარედ ცხოვრობს ისრაელის სახელმწიფო და საერთოდ, ნანატრი, სასურველი მშვიდობა ჯერ მსოფლიოში არ დასადგურებულა.

ერევანი – 2004

27 ივნისი

5 საათზე ჩავედით ერევანში. გზამ ძალიან დამღალა.

არც თუ ცუდი მძღოლი ვარ. თანაც მანქანის მართვა მიყვარს და გადავწყვიტე ჩემი "მერსედესით" წასვლა. სომხეთში 30 წელია არ ვყოფილვარ და გზაში სომხეთის სანახებს, მათ შორის სევანს თვალს შევავლებ მეთქი.

ჯერ იყო და რუსთავის მიმართულებით ბაქო-ერევანის ძველ გზას დავდგომივარ. წითელ ხიდამდე რომ მივედი, მებაჟეებმა ამიხსნეს, რომ სომხეთ-აზერბაიჯანს შორის საომარი მდგომარეობის გამო ერევნის გზა 14 წელია გადაკეტილია. უკან უნდა დაბრუნდე და მარნეულის გავლით სადახლოს საბაჟოდან უნდა გახვიდეო. დაახლოებით 150 კილომეტრი მოუკირწყლავი, ოღრო-ჩოღრო გზებით ვიარეთ. ეს იყო ტანჯვის გზა.

როგორც იქნა, მივაღწიე საბაჟოს საზღვარს.

გავედი სომხეთის გზაზე. ყველგან წარწერა სომხურ ენაზეა. სომხური წერა-კითხვა როგორ არ ვიცით, მაგრამ მაინც ავცდენილვართ გზას და წავსულვართ ახლადგაჭრილი მთიანი გზით, ნაცვლად კარაკოკანის გზისა. გვიკვირდა, რომ გზაში არცერთი მანქანა არ შეგვხვდა. თურმე საშიში ზონით მივდივართ აზერბაიჯანის საზღვართან ახლოს და ყოველ წუთს შესაძლებელი იყო ტყვიის მსხვერპლი გავმხდარიყავით. თურმე იმ გზაზე აზერბაიჯანელი სნაიპერები ხშირად ესვრიან და ხოცავენ მანქანით გზაზე მიმავალ მშვიდობიან სომხებს.

მწერალთა კავშირი ბაგრამიანის №3-შია. ერევანში რომ შემოვედი ავტოინსპექტორმა გამაჩერა; ღერძულა ხაზი გადაკვეთეო. მთელი საათი ვუხსნიდი: მსოფლიო მწერალი ვარ,

სომხეთის მეგობარი, მწერალთა კავშირის მდივანი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ხვალ მწერალთა ფორუმზე სიტყვით უნდა გამოვიდე მეთქი, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი. კინაღამ დამაჯარიმა. ავტოინსპექცია ყველგან ავტოისპენქციაა.

მწერლათა კავშირში მელოდებოდნენ თავმჯდომარე, ლევონ ანანიანი, მისი მოადგილი დავით მურადიანი და აგრეთვე მოადგილე, ცნობილი მთარგმნელი ფელოქ ბაღჩინიანი, ლევონს და ფელოქს ადრევე ვიცნობდი, დავითს არა.

გაეხარდათ ჩემი ნახვა, რომ მეგონა, იმაზე უკეთ მიცნობდნენ თურმე სომხეთში. შენს ნოველებსო ხშირად ვაქვეყნებთ ჟურნალ „გარუნში“ და „ლიტერატურნაია არმენიაშიო“. ტელეფონით მალაპარაკეს ჩემი წიგნის მთარგმნელთან ‍ᲡᲞᲠᲐᲩᲘᲐ ბაირამიანთან. ხვალიდან თქვენს გვერდით ვიქნებიო აღმიქვა.

დიდხანს ვისაუბრეთ თავმჯდომარის კაბინეტში.

გავარკვიე; რომ ბიუჯეტი სომხეთის მწერალთა კავშირს ათი წელია არ აფინანსებს. არც სტიპენდიებს აძლევენ მწერლებს. აბა რით არსებობთ მეთქი ვკითხე. პერიოდულად მინისტრთა კაბინეტს პროექტს წარვუდგენთ (იუბილე, კონფერენცია, წიგნების გამოცემა) და მინისტრთა კაბინეტი მოწყალებასავით რაღაც კაპიკებს გადმოგვიგდებსო. ეს ფული მხოლოდ 5%-ია რაც გვჭირდება, დანარჩენსო ლევონ ანანიანმა ჩემი მიდგომ-მოდგომით ვახერხებო. მაგალითად ჩამოვუვლი სპონსერებს, სომხეთში მწერალი ჯერ კიდევ უყვართ, ცოტას გვიწილადებენო. ერთი სიტყვით იმ ანეკდოტისა არ იყოს „ტუმბოჩკიდან“ ვიღებ ფულსო. ამასწინათ ტელემარათონი ჩავატარე მთელ სომხეთს მივმართე და ცოტა ფული შემოგვივიდაო (სულ 250 ათასი დოლარი).

ახლა თქვენ რომ ჩამობრძანდით, ორ დიდ ღონისძიებაზე ბრძანდებით მოწვეული – ერთი ეს არის მსოფლიო სომეხ მწერალთა ფორუმი და მეორე სომხეთის მწერალთა კავშირის

70 წლისთავის იუბილეო. ამ ღონისძიებათა დასაფინანსებლად მინისტრთა კაბინეტმა გამოგვიყო „კაპიკები“ იმედი გვაქვს, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვეული მწერლები აქაურ მწერალთა კავშირს ორიოდე გროშს შესწირავენო. ჭკვიანური მოფიქრებაა, ვერაფერს იტყვი.

მინისტრთა კაბინეტის ნაბოძები „კაპიკები“ ჩანს, არც ისე ცოტაა. ასამდე მწერლის ჩამოყვანას და პატივისცემას ცოტა ფული როდი ჭირდება.

ლევონმა, დავითმა, ფელიქსმა და კულტურის მინისტრის მოადგილემ კარინამ საქართველოს დელეგაციის მიმართ განუზომელი ყურადღება გამოამჟღავნეს. მიატოვეს ყველა სტუმარი და მთელი საღამო მე დამითმეს. ქალაქის საუკეთესო რესტორანში შეხვედრა-სადილი გამიმართეს. საუკეთესო სასტუმროში დამაბინავეს. მთელი საღამო ოთხივენი ჩემი ნოველების სიუჟეტებს ყვებოდნენ და სიცილით იხოცებოდნენ. დღეს მსოფლიოში თქვენზე დიდი ნოველისტი არ გვეგულებაო.

ოთხივეს იუმორის მაღალი გრძნობა ჰქონდა. საერთოდ სომხები უნიჭიერესი ხალხია.

გვიანობამდე ვიჯექით რესტორანში. საგანგებოდ, ჩემს პატივსაცემად ქართული სიმღერები შეასრულა ორკესტრმა. ფული რასაკვირველია თავმჯდომარემ გადაიხადა რესტორანში. ესეც „ტუმბოჩკიდან“ მეთქი? არაო, ეს ფული ჩამოსულთა პატივსაცემად, მინისტრმა კაბინეტმა მოგვცაო. ნეტავ, ჩვენც გვყავდეს ასეთი გულიხვი მინისტრთა კაბინეტი.

28 ივნისი

ფორუმის დელეგატები მთელ მსოფლიოში მცხოვრებ სომეხ მწელებს წარმოადგენენ. მითხრეს, რომ მათ შორის არაერთი მილიონერი მწერალია ამერიკიდან, არგეტინიდან,

ლიბიიდან, ისრაელიდან, არაბული ქვეყნებიდან, საფრანგეთიდან, ესპანეთიდან ...

დილიდანვე ყველანი ავტობუსში ჩაგვსხეს და სომხეთის წმინდა ადგილების მოსანახულებლად წაგვიყვანეს.

პატივი ვეცით მესროპ მაშტოცის საფლავს.

ჩავედით ეჩმიაძინში სრულიად სომეხთა კათალიკოსმა ორსაათიანი მიღება გაგვიმართა.

პატრიარქთან და მწერლებთან ჩემი გასაუბრების დროს უმთავრესი პრობლემა იყო – მსოფლიოში სომეხთა ორად გაყოფა. ლამის ორი კულტურის, ორი ენის, თითქმის ორი რელიგიური განშტოების (კათოლიკობა, გრეგორიანელობა), ორი პატრიარქის არსებობა.

საღამოს 6 საათზე მწერალთა სასახლის კლუბში გაიხსნა სომეხ მწერალთა II მსოფლიო ფორუმი.

ესწრებოდნენ მთავრობის წევრები, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ჟურნალისტები ....

გახსნა მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ლევონ ანანიანმა. სხვათაშორის აღნიშნა რომ არცერთი სხვა ქვეყნიდან ჩამოსული არასომეხი არ მოგვიწვევია ფორუმზე. ერთადერთი გამონაკლისი საქართველოა და გვეამაყება რომ ფორუმზე გვესწრება მსოფლიოში ცნობილი მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი რევაზ მიშველაძეო.

რამდენიმე ოფიციალური მისალმების შემდეგ სიტყვა მე მომცეს.

ვთქვი იუმორით შეზავებული, თბილი სიტყვა.

ტაში დააქუხეს როცა ამ სიტყვებით დავამთავრე „ჰაოსისა და ქართლოსის ძმობამ გადაგვარჩინა, აქამდე მიგვიყვანა და რთულ XXI საუკუნეშიც ამ ძმობამ უნდა გაგვაძლებინოს მეთქი“.

მერე ინტერვიუები ტელევიზიასთან, გაზეთებთან, მოლოცვები სომეხი კოლეგების: ყველაზე კარგად გამოხვედიო, გააცოცხლეო ფორუმი...

29 ივნისი

დილიდან ერევნის ღირშესანიშნოებებს ვათვალიერებთ

აღარ არის ერევანი ის კოპწია, მოვლილი ქალაქი, მე რომ სიყმაწვილეში მინახავს.

ყველგან სიღარიბე იგრძნობა.

ქალაქი მტვრიან – ნაგვიანია.

რატომ მეთქი რო ვკითხე ლევონს, მოგეხსენება აზერბაიჯანი თავდასხმას აპირებს, ჩვენც ომისთვის ვემზადებით, უბრძოლველად არცერთ მტკაველს არ დავთმობთ. ყარაბახი სომხური მიწაა და რაკიღა ძლივს დავიბრუნეთ, მთელი ძალისხმევა მის შესანარჩუნებლად უნდა მივმართოთო.

ამიტომაა რომ ბიუჯეტის დიდი ნაწილი შეიარაღებისკენაა მიმართული. რუსეთთან ჩვენი ჩახუტება იძულებითაა, თათრული აგრესიისგან რუსმა უნდა გვიხსნასო.

საერთოდ, ჩანს, სომხეთში რუსები მომრავლებულან და მომაგრებულან.

აჰ, ეს შიდაკავკასიური შუღლი, ეს გვღუპავს სწორედ.

ახალქალქში რომ ზოგი სომეხი ყალყელაობს და ავტონომიას ითხოვს, ამაზე რა აზრის ხართ მეთქი.

ახალქალაქში სხვა რამეაო. იგი, რა თქმა უნდა თქვენი ისტორიული ტერიტორიაა, მაგრამ შევარდნაძის უნაპირო ინტერნაციონალიზმმა კინაღამ დაგაკარგვინათო. ჩვენ სომხურ ინტელიგენციას ახალქალაქთან პრეტენზია არ გვაქვსო.

სხვათაშორის, ვიწროსომხურმა აგრესიამ ფორუმზეც იჩინა თავი. ფორუმზე გამოვიდა ახალქალაქელი პოეტი, რომელმაც თქვა: საქართველოში სომხური სკოლების დახურვას აპირებენო.

მე, რაკიღა სომხური არ ვიცი, ეს არავინ მითარგმნა.

დავინახე, როგორ შეეკამათა ვან ბაიბურთი ჟორას.

მეორე დღეს ამიხსნეს საქმის ვითარება. თურმე ვან ბაიბურთს უთქვამს: სწორსაც შვებიან თუ არაქართულ სკოლებს

აუქმებენ საქართველოში. დიახაც, საქართველოს მოქალაქემ ყველამ ქართულად უნდა ისწავლოს. სომხური სკოლების „პროდუქტი“ ქართულის არმცოდნე სომეხი ყოველთვის განწირულია იმისთვის, რათა მეორეხარისხოვან მოქალაქედ ჩაითვალოსო.

საღამოს 7 საათზე სომხეთის მწერალთა კავშირის 70 წლისთავის საიუბილეო საღამო გაიმართა.

პრეზიდიუმში 35 მწერალი ვზივართ.

აქვე არიან ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლები.

მოხსენება ლევონ ანანიანმა გააკეთა.

მთხოვეს, სიტყვა ქართულად თქვიო. მეც ასე ვაპირებდი. თარგმნიდა ჰრაჩია ბაირამაიანი.

კარგი სიტყვა გამოვიდა, როგორც მითხრეს და როგორც ტაშიდან ჩანდა.

35-დან მხოლოდ 14-ს მოგვცეს სიტყვა.

იუბილე რომ დამთავრდა, უკმაყოფილო სომეხი მწერლები მიაწყდნენ ლევონს; როგორ გაგვიბედე და სიტყვა არ მოგვეციო.

ხდება ასეთი რამ, ჩანს ხელისუფლებამ უკარნახა, გამომსვლელები შეამცირეო. როგორც ჩვენთან ხდება, ორატორი 3 წუთის ნაცვლად იქაც 20 წუთს ლაპარაკობს.

გვიან ღამით ლევონმა მე და 2-3 მწერალმა ერთად ვივახშმეთ. მოკლედ დიდი პატივი მცეს.

საბერძნეთი – როდოსი – 2008

5.VI – 19.VI

5 ივნისს მაყვალა გონაშვილი, მანანა დუმბაძე (ნოდარ დუმბაძის ქალიშვილი), საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, სომეხი მთარგმნელი ანაიდა ბოსტანჯიანი და მე საბერძნეთში გავემგზავრეთ.

კუნძულ როდოსზე 6 ივნისს იწყება ევროპის მწერალთა ასამბლეა, რომელზეც დაგეგმილია ჩემი მოხსენება.

ასამბლეა 10 წლის წინ შეიქმნა და, როგორც მითხრეს, ორ წელიწადში ერთხელ იკრიბება. ამ ასამბლეაზე ქართული მწერლობისთვის ყურადღების დათმობა და დღის წესრიგში საგანგებო მოხსენების შეტანა, ჩვენი ლიტერატურისთვის დიდი პატივია.

ლურჯად გადასარკულ ცაზე ღრუბლის ერთი ფილაც არ ჩანს. სამსაათიანი ფრენის შემდეგ ათენში ჩავფრინდით.

ათენის აეროპორტში ორსაათიანი ლოდინის შემდეგ როდოსისკენ ავიღეთ გეზი.

თვითმფრინავი ლილისფერ, კამკამა ხმელთაშუა ზღვაზე მიფრინავს.

ზღვაში უამრავი კუნძულია და ზემოდან რომ დავცქერი, ყველა მათგანზე ჩანს უძველესი ბერძნული კულტურის კვალი – ტაძართა თეთრი სვეტები და დანგრეული ამფითეატრები.

როდოსს რომ მივუახლოვდით, სტიუარდესას ვთხოვე როდოსის კოლოსი დამანახეთ, როგორია ამ სიმაღლიდან მაინტერესებს-მეთქი.

მომხიბვლელ სტიუარდესას მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი არც გაუგონია.

როგორ არ იცით, როდოსზე ზღვის პირას წყალში იდგა იუპიტერის უზარმაზარი ქანდაკება, რომელსაც ბერძენი ისტორიკოსები როდოსის კოლოსს უწოდებენ. ახლა მისგან მხოლოდ უმნიშვნელო ნანგრევებია დარჩენილი-მეთქი.

არაო, იქებნ ცდებით და კუნძულის სახელი გეშლებათ, აქ უამრავი კუნძულიაო. როდოსის კოლოსი მესამე წელია ამ რეისზე დავფრინავ და პირველად მესმისო.

რაღას ვეტყოდი.

სასტუმრო „ელადაში“ დავბინავდით.

„ელადა“ როდოსის კლდოვან ნაპირზე დგას და ჩემი ნომრის აივნიდან სულ რაღაც ორიოდე კილომეტრში მწვანე ტყით ახუჭუჭებული პატარა კუნძული ჩანს.

ნასადილევს ტაქსი დავიქირავეთ და როდოსის კოლოსისკენ გავწიეთ.

ნაპირთან ხალხი შეგროვილა.

საბერძნეთის კუნძული როდოსი

ზღვაში დაახლოებით 40-50 მეტრის დაშორებით ორი დუღაბიანი ნანგრევი ჩანს. ორივე მათგანი მკვიდრად ნაშენია და ზღვიდან ათიოდე მეტრზეა ამოწვერილი. გრანიტის ამ ნანგრევებზე იდგა უზარმაზარი როდოსის კოლოსი, რომლისგანაც მხოლოდ ეს უშნო ნატამალიღა დარჩენილა.

კოლოსის ნაშთთან სურათები გადავიღეთ და ღმერთს მადლობა შევწირე, რომ კოლოსის ამ ნამტვრევს მაინც მოვუსწარი.

დროთა განმავლობაში ზღვა და ულმობელი დრო-ჟამი ამ ფუნდამენტსაც წაშლის მიწის პირიდან.

6 ივნისს ევროპის მწერალთა ასამბლეის პირველი სხდომა გაიხსნა.

გერმანელმა მწერალმა ჰაინს ლანგემ ილაპარაკა თანამედროვე ევროპული ლიტერატურის პრობლემებზე და ხაზი გაუსვა მწერალთა ერთად ყოფნის აუცილებლობას.

მოხსენებისთვის პირველი სიტყვა მე მომცეს.

ჯერ ინგლისურად დავიწყე, მაგრამ რაკიღა ჩემი ინგლისურის დიდი იმედი არ მქონდა, დარბაზს მივმართე: ახლა მე ქართულზე, ჩემს მშობლიურ ენაზე გადავალ და ქალბატონ მანანას ვთხოვ თარგმნოს-მეთქი.

ინგლისურად გააგრძელეთო, სხდომის თავმჯდომარემ, ყველაფერი გვესმისო.

რაღას ვიზამდი, მანანა გავათავისუფლე მძიმე ტვირთისაგან.

აი, ძირითადად ის, რაც ევროპის მწერალთა ასამბლეაზე ვთქვი:

„ბატონებო,

არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, არ არსებობდა და ასეთ პრესტიჟულ მსოფლიო ფორუმებზე ქართველ მწერალს ან საერთოდ არ იწვევდნენ, ან თუ იწვევდნენ, მხოლოდ როგორც რუსეთის წარმომადგენელს.

მადლობა ღმერთს, იმპერიის კლანჭებს, როგორც იქნა, დავუსხლტით და ახლა ევროკავშირის და ნატოს თვალში ევროინტეგრაციისკენ მიმსწრაფი სახელმწიფო ვართ.

რას ვიზამთ. ჯერჯერობით მსოფლიო ისეა მოწყობილი, რომ პოლიტიკური ორიენტაცია თუ ზუსტად არა გაქვს გაცხადებული, შეიძლება უიალქნო ნავივით მიგასილოს ისტორიამ რომელიმე აისბერგთან.

საქართველოს კი ისევ რუსულ ჯოჯოხეთთან მიბრუნებას ევროკავშირისკენ და ნატოსკენ თუნდაც ისე ნელა, ტაატით სვლა ურჩევნია, როგორც ჩვენ მივდივართ.

საქართველო კავკასიის მთების ძირში მდებარე პატარა ქვეყანაა, სამნახევარი მილიონი მოსახლეობით.

საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია დღეს მხოლოდ 47 ათას კვადრატულ კილომეტრზე ვრცელდება.

ათასი წლის წინათ საქართველოს ეჭირა 300 ათასი კვადრატული კილომეტრი. შაგრენის ტყავივით საუკუნეთა განმავლობაში დაპატარავდა ჩვენი მიწა-წყალი, მეოცე საუკუნეში შემოვაღწიეთ 111 ათასი კვადრატული კილომეტრით. XX საუკუნის ოციან წლებში 69 ათას კვადრატულ კილომეტრზე დავედით, ხოლო ჯერჯერობით ბოლო ომში რუსეთთან 1993 წელს 22 ათასი კვადრატული კილომეტრი დავკარგეთ და, როგორც გითხარით, დაგვრჩა 47 ათასი კვ. კმ.

ჩვენი ისტორიული მტერი – რუსეთი დღესაც დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ჩვენს თავზე და შეიძლება ეს ტერიტორიაც არ შეგვარჩინოს.

ეს ციფრები თქვენთვის გულის ასაჩუყებლად არ მომიტანია.

კარგად ვიცი, რომ დღევანდელ მეკობრულ-ბაზრულ მსოფლიოში გულს ვერავის აუჩუყებ, ყველას თავისი სატკივარი ჰყოფნის.

მაგრამ რაკი ეს მაღალი ტრიბუნა დამითმეთ, მოვალე ვარ შეგახსენოთ, რომ საქართველოს ავტოქტონური ერი გახლავთ უძველესი კულტურის მქონე ქართველი ერი.

როგორც კი რიცხობრივად პატარა ერი სიტყვა „უძველესს“ ახსენებს, მე ვიცი ზოგიერთ თქვენგანს მთქნარება აუტყდება ხოლმე, მოჰყვება ახლა ეს თავის ძველთაძველ წარსულზე და „განუმეორებელ კულტურაზე“ ლაპარაკსო.

არ შეგეშინდეთ, მე კარგად ვიცი წარსულ დიდებაზე და ისტორიულ მიწებზე ლაპარაკი დღეს მოდაში აღარ არის და ჩემი ხალხის გუშინდელ დღეზე თქვენი მაღალი ყურადღების მიპყრობას არ ვაპირებ.

ერთს ვიტყვი მხოლოდ, რომ მაშინ, როცა ევროპაში მგლისთავიანი ქუდებით მეკობრეობდნენ და უცხოტომის წარმომადგენლებს, ანუ „ბარბაროსებს“ განუკითხავად ყველას თავებს აჭრიდნენ, საქართველოში მთელს მსოფლიოში პირველი მეფე ქალი – თამარი გვყავდა თავისი, ასევე დედამიწაზე პირველი, პარლამენტით სამასი წლით რომ წინ უსწრებდა ინგლისის პარლამენტს.

როცა ევროპაში რომანი, როგორც ჟანრი, ოცნებაშიც არ მოიაზრებოდა, საქართველოში ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნიდან იწერებოდა რომანები.

ხოლო რვაასი წლის წინათ შოთა რუსთაველმა შექმნა მსოფლიო ლიტერატურის უბრწყინვალესი ნიმუში. ფირდოუსის, ჰომეროსის და დანტე ალიგიერის ნაწარმოებთა ბადალი „ვეფხისტყაოსანი“.

თქვენს სახეზე გაოცებას ვხედავ და ეს სრულიად ბუნებრივია. ალბათ, ამ დარბაზში ღრმად პატივცემულ მწერალთაგან არც ერთ თქვენგანს არ წაუკითხავს „ვეფხისტყაოსანი“.

შოთა რუსთაველი იმიტომ როდი ვახსენე, თითქოს სურვილი მაქვს, რაღაც შეღავათები მოვითხოვო თქვენგან რუსთაველის კვალზე მოსულ ქართველ მწერალთათვის.

კი ბატონო, თანამედროვეობაზე ვილაპარაკოთ.

„სიები“ და ჩამოთვლა, ისე როგორც თქვენ, მეც ჭირივით მძულს და XX საუკუნის მწერალთაგან მხოლოდ ერთს

– გალაკტიონ ტაბიძეს დაგისახელებთ, თანამედროვეობის ერთ-ერთ დიდებულ ლირიკოსს.

ჩვენი ურთიერთობების საჭიროება, რაზეც ჩემს წინ გამომსვლელი ბრძანებდა, თუნდაც იმისთვისაა აუცილებელი, რომ არაპროფესიონალიზმმა არ დაგვრიოს ხელი და ლიტერატურული სუროგატი არ შემოგვეპაროს.

არა და ამის საშიშროება არსებობს.

დღეს მთარგმნელობითი საქმე მხოლოდ პირად კონტაქტებზეა მიგდებული და „ყოჩაღი ბიჭები“ ახერხებენ თავიანთი უნიჭო ნაწერებით მთარგმნელთა დაინტერესებას.

საბოლოოდ ვღებულობთ ამა თუ იმ ქვეყნის ნამდვილი ლიტერატურული სახით ნაცვლად მახინჯი სარკის ანარეკლს და კაცი ვერ გაარკვევს, რა ნიშნით უნდა ირიცხებოდეს ესა თუ ის კულტურა ევროპული ლიტერატურის ელიტურ ოჯახში.

ბატონებო, თუ რამე ღირებული იქმნება თანამედროვე ევროპულ ლიტერატურაში, ჩვენ, ქართველები, მას მაშინვე ვთარგმნით. მე თან ჩამოვიტანე თანამედროვე ევროპელ მწერალთა ქართულად ნათარგმნი წიგნების მთელი ჩემოდანი და იმ წიგნებს, სუვენირების სახით, შესვენებისას ფოიეში დაგირიგებთ.

უხერხულ დღეში არ მინდა ჩაგაგდოთ და არც ერთი თქვენგანი ასეთი ძვირფასი საჩუქრით აქ არ ჩამოსულა.

ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში, ჩვენს მასპინძელ საბერძნეთშიც თითქმის არავინ ინტერესდება ქართული ლიტერატურით.

მაპატიეთ, მაგრამ ეს გარემოება მე ვერაფრით ამიხსნია.

რამ გამოიწვია ეს „ზემოდან ყურება“? რაო, ვერა და ვერ გავხდით თქვენი მაღალი, ევროამერიკული ყურადღების ღირსი?

კაცმა რომ თქვას, მე ამ მხრივ ნაკლებად მაქვს საწუწუნო: ჩემი წიგნები საზღვარგარეთის 14 ქვეყანაშია თარგმნილი და

გამოცემული, მაგრამ მე აქ ჩემი ქართველი კოლეგების სახელით გამოვდივარ და მათს პრობლემაზე მოგახსენებთ.

შორი-შორს ვართ ერთმანეთისგან, ბატონებო.

თქვენ არც კი გაგიგიათ, რომ 2007 წლის 21 აგვისტოს საქართველოს დესპოტმა, მწერალთმოძულე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მწერალთა კუთვნილი სასახლიდან პოლიციის ძალით გამოგვრეკა და ათწლობით ნაგროვები ძვირფასი ისტორიულ-ლიტერატურული რელიქვიები ქუჩაში გამოგვიყარა.

მე წუწუნი არ მჩვევია. ჩემი ცხოვრების სტილი გაუთავებელი ბრძოლაა. საქართველოში „ქრონიკულ ოპოზიციონერს“ მეძახიან, მაგრამ ოდესმე ხომ უნდა მოეღოს ბოლო სიმართლის მთქმელ მწერალთა დევნას ხელისუფლების მხრიდან?

თვალს დავხუჭავ და ვხედავ, როგორ აძევებენ საფრანგეთიდან ჰიუგოს, როგორ ესვრიან ტყვიას პუშკინს, როგორ აწამებენ შანდორ პეტეფ და ფარაჯიან ესპანელ პოეტს – ფედერიკო გარსია ლორკას.

ეს რომ აღარ განმეორდეს, გავუწოდოთ ხელი ერთმანეთს, დავდგეთ ერთმანეთის გვერდით, ბატონებო, სიმართლისათვის ბრძოლის ბარიკადებზე“.

იმ დღესვე ასამბლეამ მიიღ ᲐᲐ მიმართვა სააკაშვილისადმი – დაუბრუნოს ქართველ მწერლებს კუთვნილი სასახლე. თუმცა არც ამ მიმართვას მოჰყოლია რაიმე შედეგი გათამამებული პრეიზდენტის მხრიდან.

15 ივნისს ათენში, „ქართველთა კულტურის ცენტში“ მაყვალას და მე დიდი შეხვედრა მოგვიწყვეს.

ქართველ ემიგრანტთა გარდა შეხვედრას ბერძნული ინტელიგენციის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

სომხეთი – 2010

6 ივნისი

ექვს ივნისს თბილისში აუტანლად ცხელოდა.

სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ლევონ ანანიანი საიათნოვას ზეიმზე და თბილისიდან ჩვენს წასაყვანად სპეციალურად ჩამოვიდა.

ლევონი ბრწყინვალე კაცია, ღირსეული მოქალაქე, ყურადღებიანი, საქართველო ძალიან უყვარს. ჩემი და მაყვალას უახლოესი მეგობარია. შარშან ლექსი მომიძღვნა, რომელიც შესანიშნავად თარგმნა მაყვალამ და სომხური პოეზიის ანთოლოგიაში მოათავსა.

7 ივნისი

თორმეტ საათზე ბაგნოატაშენში ჩავედით. გუბერნატორმა თავაზიანად მიგვიღო. ნოემბერიანი საქართველოს მოსაზღვრე გუბერნიაა და თბილისთან ყოველდრიური კავშირი გვაქვსო. ამიტომაც ჩვენს ძმობას გულით ვუფრთხილდებითო.

საპასუხო სიტყვები მაყვალამ და მე წარმოვსთქვით.

დავათვალიერეთ გოშეკანის სამონასტრო კომპლექსი.

იგი მეხუთე საუკუნისაა. იმ პერიოდში დაიწყო მშენებლობა, როცა სომხეთმა სახელმწიფოებრიობა დაკარგა. სომხები ხაზს მაინდამაინც არ უსვამენ, მაგრამ შიგადაშიგ მორცხვად აღნიშნავენ, რომ ათასი წლის განმავლობაში მეხუთედან მეთხუთმეტე საუკუნემდე, სომხეთი საქრთველომ შეიფარა და მის შემადგენლობაში იყო. როგორც რიგითი ნაწილი საქართველოსი; ვთქვათ, ქართლი და კახეთი.

გოშეკანის რემონტი დაუწყიათ, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ ამთავრებენ.

გოშეკანის ეპისკოპოსის მონაწილეობით გამართული მშვენიერი ტრაპეზის შემდე წახკაძორისკენ გამოვემართეთ.

გზად ლევონმა ნოემბერიანში თავის ულამაზეს მშობლიურ სოფელში შეგვახვევინა. იქაც სოფლის გამგებელმა და კამპანიამ დიდი პატივი გვცეს.

ღამე წახკაძორის მწერალთა სახლში გავათიეთ.

8 ივნისი

დილით გავემგზავრეთ ერევნისკენ.

მწერალთა კავშირში შეხვედრა გვქონდა მწერლებთან.

რევაზ მიშველაძე, ლევონ ანანიანი – სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

აქაც იგივე პრობლემებია: უსახსრობა (მწერალი სოციალურად ყველაზე დაუცველი პიროვნებაა), წიგნის გამოცემის გაძნელება (ესენიც, როგორც ჩვენ სპონსორების ამაო ძებნაში არიან), ეგ არის მწერალთა კავშირის შენობას არ ართმევენ. როგორც ჩვენ წაგვართვა სააკაშვილმა. თორემ სხვა მხრივ ძალიან ჰგავს სომეხი მწერლის ბედი ქართველი მწერლის ბედს.

პირველ საათზე კულტურის მინისტრმა მიგვიღო და მერე კულტურის სამინისტროში პრესკონფერენცია გაიმართა.

პრეკონფერენციაზე, მე, პირადად ჟურნალისტებმა ორი შეკითხვა დამისვეს. როგორ მოგწონთ თქვენი სომხური გამოცემები, რა პრობლემებია საქართველოს მწერალთა კავშირის წინაშე და როგორ გრძნობენ თავს თბილისში სომეხი მწერლები.

ვუპასუხე როგორც სიმართლეა და როგორც მეკადრებოდა.

მერე დავათვალიერთ მატენადარანი. როცა მესროპ მაშტოცის სურათთან გიდმა „შეგვახსენა“, რომ მაშტოცმა შეუქმნა ანბანი ქართველებს და სომხებსო, ვერ მოვითმინე და ჩავერიე. ქალბატონო, სომხურ ანბანს თუ აქვს კავშირი ფინიკიურთან ან ბერძნულთან მეთქი. კიო, ფინიკიურიდან ბერძნებმა გადმოიღეს ანბანი, ხოლო ბერძნულიდან ჩვენ სომხებმაო. ესე იგი მაშტოცს ახალი ანბანი კი არ შეუქმნია ანუ ახალი დამწერლობა კი არ შეუქმნია, არამედ ფინიკიურ-ბერძნულიდან გადმოუღია მეთქი. ასე რომ ქართველებს რანაირად შეუქმნიდა მესროპ მაშტოცი ანბანს, როცა თვით სომხებისთვისაც არ შეუქმნია მეთქი.

გაშრა. ხმა ვერ ამოიღო. მერე წაილუღლუღა „ჩვენ ასე ვიცითო“.

სადილამდე დავათვალიერეთ ოვანეს თუმანიანის სახლ-მუზეუმი. ერევანში ზუსტად იმ ბინის ასლი გაუკეთებიათ, რაც ჰქონდა ოვანესს თბილისში (ექვსი ოთახი). მუზეუმი მართლაც რომ შთამბეჭდავია.

სადილის მერე მარტიროს სარიანის სახლი-გამოფენა მოვინახულეთ.

დიდი მხატვარია. განსაკუთრებით შთამბეჭდავია მისი სიმბოლისტურ-მოდერნისტული პერიოდი. მერე როცა კომუნისტურად დააუთოვეს, მარტიროსი ისეთი თვითმყობადი აღარ არის.

საღამოს ტელეარხმა „შანმა“ მიმიწვია. მივედი თუ არა დიქტორმა, რომელ ენაზე ვისაუბროთო! სომხური მე არ ვიცი, ქართული თქვენ არ გეცოდინებათ, ამიტომ იძულებული ვიქნებით რუსულად ვისაუბროთ, მე რუსული კარგად ვიცი და ნუ გაშინიათ, პრობლემას არ შეგიქმნით მეთქი. საერთოდ კი საჯარო გამოსვლებში ოფიციალური პირიც და უბრალო მწერალიც თავის მშობლიურ ენაზე უნდა საუბრობდეს მეთქი.

მოძებნეს ქართულის მცოდნე სომეხი ქალი – ანა და დამისვეს თარჯიმნად.

მეგონა, ეშმაკ სომეხ დიქტორს სომხეთში ქართული ლიტერატურის დღეების შესახებ აინტერესებდა, მან კი პირველი შეკითხვისთანავე პოლიტიკისკენ „დამქაჩა“.

როდის უნდა გადაწყდეს ჯავახეთის პრობლემაო(?!), რატომ ვართ სომხეთი და საქართველო ურთიერთსაწინააღმდეგო ორიენტაციის საგარეო – პოლიტიკურ კურსშიო, ეს ხომ ხელს უშლის ჩვენს მეგობრობასო, რატომ არ ატარებენ ჯავახეთის საზღვარზე სომხურ წიგნებს სომეხი ბავშვებისთვისო, რატომ აპირებს ოვანეს თუმანიანის სახლის გაყიდვას საქართველოს ხელისუფლება და რატომ არ გვიბრუნებს სომხურ ეკლესია-მონასტრებს თბილისიო.

მე მეთქი ექსპერტი არ გახლავართ, მაგრამ „სომხურ“ ეკლესია მონასტრებზე შემიძლია გითხრათ, რომ კომპეტენ-

ტურ სახელოვნებო – რელიგიურ კომისიას ჯერ არ დაუდასტურებია ამ ძეგლების სომხურობა, ხოლო ორი ხალხის მიერ ერთად, ერთ სახელმწიფოში აშენებული ძეგლის ასე ხელაღებით მიკუთვნება რომელიმე სახელმწიფოსთვის სწორი არ იქნება მეთქი.

არ ვიცი რამდენი ქართული სკოლაა სომხეთში (მე მგონი არცერთი არ არის) საქართველოში კი უამრავი სომხური სკოლაა და სახელმძღვანელოებით მათი მომარაგებაც პრობლემად არასოდეს ქცეულა მეთქი.

თბილისში დიდებულად ფუნქციონირებს სომხური თეატრი და მისი დირექტორი არმენი ამჟამად პარლამენტის წევრია მეთქი.

საქართველოს უპირველესი ტაძრის სამების ტაძრის გვერდით არის სომეხ მწერალთა და მოღვაწეთა ხოჯევანქის პანთეონი და თბილისში ყოველწლიურად ვატარებთ საიათნოვას ხსოვნის დღეს, რომელზეც უკვე მე-20 წელია სისტემატურად სიტყვით გამოვდივარ მეთქი. რაც შეეხება ჩვენს სახელმწიფოებრივ კურსს, თქვენ სომხეთის გადარჩენის გზად რუსული ორიენტაცია გესახებათ, საქართველოს ხელისუფლებას პროამერიკული კურსის ერთგულება მეთქი.

ამ ეტაპზე ასეა. შეიძლება ხვალ-ზეგ ეს პოლიტიკა შეიცვალოს. საერთოდ კი უნდა იცოდეთ, რომ პოლიტიკოსები მოდიან და მიდიან, ერები კი რჩებიან. ასე რომ სომხეთის და საქართველოს მეგობრობას ვერავითარი პოლიტიკა ვერ დაარღვევს. საერთოდ კი რაც მეტი გვეყოლება ლევონ ანანიანისთანა საღად მოაზროვნე კაცი, მით უკეთესია ჩვენი ერების მომავლისთვის მეთქი.

ოვანეს თუმანიანის სახლის გაყიდვის შესახებ პირველად მესმის და თუ კი ასეთი სისულელე მართლაც აქვს ვინმეს ჩაფიქრებული ხელისუფლებაში, ჩასვლისთანავე გავარკვევ და ყველაფერს ვიღონებ, რათა ასეთი რამ არ მოხდეს მეთქი.

უნდა გავუსვა ხაზი, რომ სომხეთში უფრო მეტად იგრძნობა სიღარიბე ვიდრე 10 წლის წინათ მინახავს. ახალი მშენებლობები, თბილისისგან განსხვავებით, თითქმის არ არის. მძღოლმა, რომელმაც ტელევიზიის გამოსვლის შემდეგ წახკაძორში წამომიყვანა, მითხრა, საშინელი უმუშევრობაა, კორუფციამ შეჭამა სომხეთიო, 80% მანქანების გაზზე მუშაობს, რადგანაც ბენზინს აზერბაიჯანი აღარ გვაძლევს, ხოლო რუსეთიდან ან ირანიდან შემოტანა ძვირი ჯდებაო.

10 ივნისი

გვმასპინძლობს გიუმრი (ყოფილი ლენინაკანი).

გიუმრი ის მრავალტანჯული ქალაქია, რომელიც 1988 წლის სპიტაკის მიწისძვრამ მიწასთან გაასწორა.

ანაიდა ბოსტანჯიანი აპირებს ჩემი ნოველების ახალი წიგნის თარგმნას სომხურად და დავპირდი, 1988 წელს სომხეთის ტრაგედიაზე დაწერილ ნოველას მოვძებნი და მოგცემ მეთქი.

მიგვიღო ქალაქის მერმა.

სხვათაშორის ისიც გაიხსენა, სანამ ერევნიდან ხელისუფლება მაშველ ჯგუფებს გამოუგზავნიდა, პირველი საქართველოს მაშველთა ჯგუფი ჩამოვიდაო, მიწისძვრიდან სულ რამდენიმე საათში.

ქალაქის მერმა ჩემთვის სრულიად მოულოდნელად გამოაცხადა, რომ კომპეტენტური ჟიურის გადაწყვეტილებით უკანასკნელ წლებში დაწერილი მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოებებისათვის, სომხეთსა და საქართველოს შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის და ამ მიმართულებით ავეტიქ ისააკიანის იდეების გაგრძელებისთვის მომენიჭა ავეტიქ ისააკიანის პრემია, იქვე საზეიმოდ გადმომცეს პრემიის მოწმობა და ბაჯაღლო ოქროსგან ჩამოსხმული ორდენი.

ვთქვი, რომ ეს უაღრესად საპატიო ჯილდოა ჩემთვის და შევეცდები გავამართლო.

ამის შემდეგ გიუმრის ხელოვნების აკადემიაში გაიმართა მაყვალა გონაშვილის წიგნის „მზის ცრემლების“ პრეზენტაცია. წიგნი თარგმნა გაგიკ დავთიანმა. მაყვალა გონაშვილის ლექსებს მსმენელნი დიდი მოწონებით შეხვდნენ. რასაკვირველია, მეც მივესალმე ამ მშვენიერ პოეტს და სომეხ-ქართველთა ძმობისთვის ფრიად გარჯილ ქალბატონს.

დავათვალიერეთ მეცხრე საუკუნის სამონასტრო კომპლექსი მარმაშანი.

მარმაშანი მდინარე ახურიანის პირას დაბლობში, მოფარებულ ადგილასაა აშენებული და რაკი ძნელი შესამჩნევია, მტრებს ზოგჯერ გამორჩებოდათ ხოლმეო, გიდმა. ნაგებობა წითელი ტუფისგანაა აშენებული და ისე კარგადაა შემონახული, ათასი წლის კი არა ახლახან დამთარებული გეგონებათ. მარმაშანს თურმე არასოდეს რესტავრაცია არ დასჭირვებია. იგი ერთ-ერთი ულამაზესი ტაძარია სომხეთში.

საღამოს გიუმრის ფეშენებელურ რესტორან „ოაზისში“ ბანკეტი გაგვიმართეს და გვიან ღამით დავბრუნდით წახკაძორში.

11 ივნისი

დილით 11 საათზე წახკაძორიდან ერევანში გავემგზავრეთ და მწერალთა კავშირში გაიმართა „ქართული პროზის ანთოლოგიის“ პრეზენტაცია.

ანთოლოგიას ჰქვია „სიყვარულმისჯილნი“ ჩემი ნოველის მიხედვით. ეს ნოველები („სიყვარულმისჯილნი“, „თოვლი... თოვლი... თოვლი...“ „რას მერჩოდი“) ჰრაჩია ბაირამიანს შეურჩევია და შეუტანია ანთოლოგიაში.

ანთოლოგიაზე სომეხმა მწერლებმა ბევრი თბილი სიტყვა თქვეს. მეც გამოვედი. რომელიღაც სომხურმა ტელევიზიამ ჩემგან ინტერვიუ აიღო, ვერ გეტყვით, გადაიცა თუ არა.

დავათვალიერთ ბახში ხაჩატრიანის ფოტოგამოფენა და მერე კოჩარის გამოფენა. კოჩარი დიდი მხატვარია. თავის შემოქმედებაში არაერთ სტილს გაუღო ხარკი და ყველა მიმართულება შედევრების შექმნით გაიარა.

ვისადილეთ ერევნის უძველეს რესტორანში, რომელიც ხელოვნურ ტბაზე მდებარეობს და სადაც როგორც გაგიკ დავთიანმა გვითხრა, თურმე ტრადიციულად მწერლები და ხელოვნების მუშაკები იკრიბებოდნენ.

ახლაო, გაგიკმა, აქ შემოსვლა ძვირი ღირს და მხოლოდ ახალი სომხები იკრიბებიანო.

საღამოს წახკაძორში დავბრუნდით.

უცნაური ის გახლავთ, რომ სომხეთის ბანკები ახურდავებენ მსოფლიოს ყველა ქვეყნის ფულს (მათ შორის აზერბაიჯანულსაც) ლარის გარდა.

სუვენირების და სომხური სუჯუნის ყიდვა მინდოდა, ლევონი და გაგიკი თვითონ შემყვნენ რამდენიმე სომხურ (მათ შორის ცენტრალურ) ბანკში, მაგრამ ლარის დრაჰმაზე გადაცვლაზე სასტიკი უარი გვითხრეს.

რაშია საქმე ვერავინ ამიხსნა.

წახკაძორში საღამოს მასპინძლებმა დიდებული ბანკეტი გაგვიმართეს.

12 ივნისს თბილისში ვბრუნდებით. გზად სომეხმა მასპინძლებმა სევანის ტბაზე კატერით გაგვასეირნეს.

მკითხველს ყოველშემთხვევისთვის უნდა ვაუწყო, რომ სომხეთის მწერალთა კავშირის განკარგულებაშია ორი ფეშენებელური დასასვენებელი სახლი – წახკაძორის და სევანის.

სევანზე ერთ უკაცრიელ კუნძულზე მიგვიყვანეს, რომელსაც თოლიების კუნძული ჰქვია.

ეს იყო დაუჯერებელი სანახაობა. 10 000-ზე მეტი თოლია ჩვენს კატერს ელოდებოდა. როგორც კი ნაპირს მივადექით ერთბაშად დაგვესხენ თავს. იყო გნიასი, ხივილი. პირდაპირ კატერზე მოდიოდნენ კლანჭებით და ფრთების ტყლაშუნით.

ვერავინ გაბედა ნაპირზე გადასვლა. კატერის კაპიტანმა ახლა ხუნდები (ბარტყები, მართვეები) ჰყავთ და ძალიან საშიშრები არიანო. ჩირგვებში მართლაც იმალებოდა უამრავი ბარტყი. დედები მათ ჩირგვებში მალავდნენ და თვითონ იერიშზე გადმოდიოდნენ.

ნაპირს რომ მოვშორდით, მერეც კარგა ხანს მოსდევდნენ ჩვენს კატერს.

სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ლევონ ანანიანს ვუთხარი, თოლიებისგან უნდა ვისწავლოთ მეთქი ქართველებმა და სომხებმა მომხდურთაგან თავის დაცვა.

ასარჩევი

ფინეთი – 1966 5
ინგლისი – 1969 25
ამერიკის შეერთებული შტატები – 1973 40
ინდოეთი–ეგვიპტე – 1979 60
საბერძნეთი–კვიპროსი–იტალია 94
ევროპის გარშემო – 1981 115
ვიეტნამი – 1982 140
რუმინეთი – 1983 194
იაპონია – 1984 223
მონღოლეთი – 1986 261
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა – 1987 271
ბულგარეთი – 1987 284
აფრიკა. მადაგასკარი–მავრიკია–სეიშელის
კუნძულები – 1988 293
თურქეთი–იორდანია–სირია – 1988 329
ტაო-კლარჯეთი – 1998 345
ირანი – 2001 365
ისრაელი – 2003 379
ერევანი – 2004 393
საბერძნეთი–როდოსი – 2008 399
სომხეთი – 2010 406

РЕВАЗ МИШВЕЛАДЗЕ

ИЗБРАННЫЕ ПРОИЗВЕДЕНИЯ

в 25 томах

ТОМ XXII

Издательство „Сакартвелос Мацне”
Тбилиси 2013